

114
1978 | 3



ՀԱՅԿԱՍՏԱՆԻ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅԱՆ
ՆԱԽԱՐԱՐՈՒԹՅԱՆ ԳՐԱԴԱՐԱՆ

ՉԵՆՈՒՄԵՆՈ

12

1978



ენათობი



საქართველოს ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

წელიწადი 55-ე

№ 12

დეკემბერი, 1978 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო

შ ი ნ ა კ რ ს ი

2619

რწმინის ზნობრივი სივალე (მოწინავე)	3
ირაკლი აბაშიძე — ლექსი	11
იონა ვაკალი — ლექსები	12
ალექსანდრე ჭეთათელი — უკონ მთის ძირას კედებოდა. ლექსი	15
ზურა ბერუღაძე — გაფი მხიმი. ლექსი	17
ვანო ჩხიკვაძე — ლატვიური აკვარელები. ლექსები	19
ლალი ჯაფარაშვილი — ლექსები	25
რევაზ მიშვილაძე — ნოველები	27
არნო თელი — ლექსები	42
როდინე ქოჩია — მინიატურები	45
მთვარისა კარახელიძე — ლექსები	53
გრიგოლ ტყეშელაშვილი — ლექსები	55
სულხან ჭეთათელი — ზაფხულის ცხელი დღეები. რომანი	57
ირმინე მამბარაძე — ვალმოჭმული. დოკუმენტური მოთხრობა. დასასრული	132

ნაკვეთები ზოთქმული დღეებზე

მირან ხერხიანი — უფ, თინათო. კარგი ხარ	142
სიმონ წაბარაძე — ლინინური შაბათობა ქარახანო	153

კრიტიკა და კვლიერისტიკა

ზალა ჩიქაძე — რომანის ცნება და რომანის ისტორია	161
ლერი ჩანტაძე — დედანის ოპროქაო	175
ნინო ნაზარაძე — ქართული კომილიტი ინგლისურ ენაზე	178

ჩვენი იუბილეკები

გაბო აბაშელი — იონა მინიშვილისაფი. ლექსი	182
მანანა ჯიქია — სინაძე და გულწრფელობა	184
გიორგი სანადირაძე — გზალოგოთ ამ სივარულინათვის	185

ქიხნების მიმოხილვა

ა. ბოროძე — „ნათლის ბილიკი“	186
ბენე „მნათობის“ 1978 წლის ნომრების შინაარსი	188

მთავარი რედაქტორი გიორგი ნატროშვილი

საკრედიტო კოლეგია:

ი. აბაშიძე, რ. ანაწყელი (მთ. რედ. მოადგილე), ხ. პირაშვილი, თ. გიგინეიშვილი, მ. ლა-
 ხანიძე, ლ. მამალაშვილი, ა. სულაბაძე, ა. ქუთათელი, ხ. შანთიაშვილი, დ. შანთია-
 ლია, ნ. წულუკიანი, ვ. წულუკიანი, თ. პილაძე, ბ. ხარაჩაძე, რ. ჯაფარიძე,
 მ. ჯინაძე.

ტექნიკური რ. ნაკვბაძე

რედაქციის მისამართი:
 თბილისი, რუსთაველის ქროსკვეტი № 12.

ტელეფონები: რედაქტორის — 98-55-11.
 რედაქტორის მოადგილის — 98-55-18, განყოფი-
 ჟის — 98-55-15, 98-55-17, 98-55-20.

გადაეცა ანაწყოთად 4/XI-78 წ., ხელმოწერი-
 ლია დასაბეჭდად 24/XII-78 წ., ანაწყოების ზომა
 7 $\frac{1}{4}$ × 12, ქაღალდის ფორმატი 70 × 108 $\frac{1}{16}$,
 დიზაინერი ნაბეჭდი ფურცელი 12, პირობითი
 ნაბეჭდი ფურცელი 13, სააღრ.-საგამომცემლო
 თაბახი 16,58.

უფ. 14257. ტირაჟი 15.250. შეკვ. 3010.
 საქ. კ. ც.-ის გამოცემლობის სტამბა,
 თბილისი, ლენინის ქ. № 14.

რუმინის ფეოდალიზმი სიმაღლე

„მცირე მიწა“, „ალორძინება“, „ჰამირი“

ხალხის ცხოვრებასთან უმკიდროესი კავშირის, უფრო მეტიც — ამ ხალხისაგან ავტორის განუყოფლობის შესანიშნავ ნიმუშებად უნდა ჩაითვალოს, პირველ რიგში, ლეონიდ ილიას-მე ბრევენეის წიგნები — „მცირე მიწა“, „ალორძინება“ და „ჰამირი“, რომლებმაც არა მარტო საბჭოთა ხალხის, არამედ პოეტიკური კაცობრიობის ყურადღება მიიპყრეს. სულ მოკლე ხანში ეს წიგნები მსოფლიოს თითქმის ყველა ენაზე ითარგმნა. ეს გასაგებია არის. ეს წიგნები მოიცავენ საკითხთა უაღრესად ფართო წრეს, რომელთაც გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვთ მთელი კაცობრიობის მომავლისათვის. ამ წიგნების მსოფლიო რეზონანსს განაპირობებს ის ფაქტიც, რომ მათი ავტორი არის ჩვენი პლანეტის ყველაზე უფრო პოპულარული სახელმწიფო მოღვაწე, რომლის ყოველ სიტყვას დაქაბული უსმენს მთელი კაცობრიობა: „მცირე მიწა“, „ალორძინება“ და „ჰამირი“ ვადმოგვეცემენ საბჭოთა ხალხის ბრძოლის, შრომისა და ცხოვრების ისტორიულ გამოცდილებას, სიბრძნეს მთელი უზარმაზარი ეპოქისა, სიბრძნეს ლენინის პარტიისა, იმ მაღალი ჰუმანიზმისა, რომელსაც თავისი შრომითა და ბრძოლით ამკვიდრებს საბჭოთა ქვეყანა და მთელი სოციალისტური ბანაკი, იმ ჰუმანიზმისა, რომელზეც დასაბამიდან ოცნებობდა ადამიანი და რომელიც დღეს თვალთ დასანახ და ხელშესახებ ფორმებსღებულობს, მკვიდრდება თავისი რეალური სახით ჩვენს სამშობლოში, როცა იწერებოდა მეცნიერული კომუნისმის საპროგრამო დოკუმენტი — „კომუნისტური პარტიის მანიფესტი“, მაშინ კომუნისმი მხოლოდ აზრდილის სახით დადიოდა ევროპაში, დღეს კი ის ხორცს იხსამს და მილიონობით ადამიანთა გონებას ეუფლებს.

„მცირე მიწას“ სამამულო ომის ეპოქაში, გააფრთხილებული ბრძოლის შედეგულში გადაყვართ; მაგრამ ეს წიგნი მარტო მეშუარები არ არის, ეს არ არის მარტო წარსულის ასახვა; ეს არის ისტორია — მიმართული წინ, ისტორია, მომავლის განპერეტასაც რომ შეიცავს; ეს არის მარტო წიგნი კი არა, ბრძოლა კაცობრიობის მომავლისათვის; ეს არის ბრძოლა სიყვითისათვის, მშვიდობისათვის, ეს არის წიგნი ომზე და ომის წინააღმდეგ; მართლაც და, როგორც ამბობს „მცირე მიწის“ ავტორი, „ნებისმიერი შეტაკება, ყოველი ბრძოლა, სადაც უნდა ხდებოდეს — ეს არის ცეცხლი, სისხლი და სიკვდილი“; და აი, ჩვენს წინაშეა წიგნი სისხლსა და სიკვდილზე, დაწერილი იმ მიზნით, რომ აღარ იღვრებოდეს სისხლი და არ თარეშობდეს სიკვდილი თავისი გასისხლიანებული ცელით, საბჭოთა ეპოქის ჰუმანიზმმა აქ, ამ წიგნის ფურცლებზე მიაღწია თავის ზუსტ და ნათელ გამოხატულებას, თავის ბრწყინვალე მწვერვალს. აქ გამოჩნდა კომუნისტური რწმენის ხნეობრივი სიმაღლე და განა ბუნებრივი არ არის, რომ იგი იქცა მილიონებისათვის საყვარელ წიგნად, სამაგიდო წიგნად.

აქვე უნდა აღინიშნოს ერთი პრინციპული თვისება, თუ შესანიშნავი სიახლე ამ წიგნისა: რა არის მცირე მიწა? ეს არის კლდოვანი მიწის ნაგლევი, სულ 6 კილომეტრი სიგრძეზე და ოთხნახევარი სიღრმეზე, ამრიგად, ტერიტორიის თვალსაზრისით თუმცა მცირე მიწა ასახავს დიდი სამამულო ომის

მხოლოდ ერთ ეპიზოდს, მხოლოდ ერთი ბრძოლის სურათს, თუმცა აქ ნაჩვენებია მხოლოდ ნოვოროსისკი და მისი მასადგომები — სტანიჩკის ცესფერი გზა“ გელენჯიკიდან მცირე მიწამდე, ცემესის უბე, სტანიჩკის უბანი, მისხაკოს რაიონი — მაინც ჩვენს წინაშეა ნამდვილი განცდა, ნამდვილი ჩაწვდენა დიდი მასშტაბებისა, მთელი ომის უზარმაზარი ეპოპეისა, იმ მსოფლიო სამკედრო-სასიციოცხოლო შეტაკებისა, რომელიც მიმდინარეობდა მთელ ფრონტზე ჩრდილოეთის ყინულოვანი ოკეანიდან შავ ზღვამდე და კავკასიონის მწვერვალებამდე. სწორედ ასეთი „მცირე მიწებისაგან“ შესდგებოდა ეს დიდი მიწა, მთელი ჩვენი პლანეტა, რომელიც თავის გადარჩენას დღეს უმადლის საბჭოთა ხალხს, მის სახელოვან არმიას. და „მცირე მიწის“ ავტორის მაღალ ოსტატობაზე მეტყველებს ის გარემოებაც, რომ ეს წიგნი გვიხატავს ერთი ქალაქის, ერთი ბრძოლის სახით კაცობრიობის ისტორიაში ნანამდე უნახავი ომის პანორამას, მთელი ომის ისტორიას მის ყველა გამოვლენაში, მის ე. ი. პოლიტიკურ, ეკონომიურ, ფსიქოლოგიურ და მორალურ-ეთიკურ ასპექტებს. დიამ, ჩვენს წინაშეა საოცრად მართალი სურათი ომისა, სადაც საბჭოთა ადამიანმა გონებისათვის თითქმის მიუწვდომელი სიძნელეები დასძლია; ამას ხაზგასმით აღნიშნავს ამხანაგი ბრეჟნევი. აი რას წერს იგი: „როცა ახლა, მესამედი საუკუნის შემდეგ ვაგონდებ, თუ რა გადახდათ ჩვენი არმიის მებრძოლებს, მეთაურებს, პოლიტმუშაკებს, ზოგჯერ არც კი გჯერა, რომ ყველაფერი ეს ნამდვილად იყო, რომ ყველაფერ ამას გაუძლო ადამიანმა. დიახაც, გაფუძელით, ყველაფერი გამოვცადეთ და გავიმარჯვეთ, გავანადგურეთ ფაშისტები“.

სად არის ამისი ახსნა, ამ საიდუმლოს გასაღები? რამ მისცა ასეთი ბუმბერაზის ძალა საბჭოთა ჯარისკაცს? და რაოდენად საინტერესოა ის ფაქტი, რომ ყოველივე ამის ასახსნელად „მცირე მიწის“ ავტორმა მიმართა მსოფლიოს უბადლო გენიოსს, რომელიც ყველაზე დიდი ავტორიტეტია მხატვრული ლიტერატურის ისტორიაში; ჩვენ ვლაპარაკობთ ლევ ტოლსტოის შესახებ.

„მცირე მიწის“ ფუცვლებზე ვკითხულობთ:

„ექვს დღე-ღამეს გრძელდებოდა ბრძოლები ნოვოროსისკში, არ ჩამოვთვლი ნაწილებიანა და შენაერთების ნომრებს, არ მოვიყვან ციფრებს — იერიში დაწვრილებით არის ასახული სამხედრო ისტორიულ ლიტერატურაში. მთავარია სხვა რამ: მეომართა შეტევითი აღტკინება, კეთილშობილური მძვინვარება ისეთი დიდი იყო, რომ მათ უკვე ვეღარაფერი შეაჩერებდა. ყოველდღიურად და ყოველ საათს მხედრული გმირობის მოწმენი ვიყავით. ერთი ამბავი მაინც უნდა გიამბოთ“.

წიგნის ავტორს აქ მაგალითისათვის მოჰყავს ასეული პარტორგის ვალიულის გმირის ამბავი, როცა მან საკუთარი მკერდით ჩაახშო მტრის ტყვიამფრქვევი და იერიშზე გადასულ ასეულს გზა გაუხსნა. იხსენებს რა ამ ამბავს, ლ. ი. ბრეჟნევი განაგრძობს:

„...ვალულის კარგად ვიცნობდი მცირე მიწიდან. იგი საუკეთესო პარტორგი გახლდათ. ხელს ვაწერდი მისი დაჯილდოების ფურცელს და ვფიქრობდი ასეთი გმირობის არსზე. უდავოა, კაცმა იცოდა, რომ ნაღდი სიკვდილი ელოდა. მაგრამ არ მგონია, ამ დროს გაეფიქრა „ახლა გმირობას ჩავიდნო“. არა, ეს ვაეკაცობა თვალში საცემი კი არა, სიტყვაძენწი, მე ვიტყვოდი, მოკრძალებულია, რომელსაც განსაკუთრებით აფასებდა, თუ ვიმსჯელებთ რომან „ომი და მშვიდობის“ მიხედვით, ლ. ნ. ტოლსტოი. და გმირობა ამ სიტყვის ტო-

ლსტორისეული გაგებით იყო: ადამიანი იქცევა ისე, როგორც უნდა იქცეოდეს, მიუხედავად ყველაფრისა.

რა თქმა უნდა, სიკვდილის შიში ჩვეულება ადამიანისათვის, ეს ბუნებრივია. მაგრამ კრიზისულ ეამს გადაწყვეტილება თითქოს თავისთავად მოდიოდა და მთელი წინა ცხოვრებით იყო მომზადებული. მაშასადამე, არის რაღაც მიზეზი, რაღაც წამი, როცა პატრიოტ მეომარში სამშობლოს წინაშე ვალის შეგნება ახშობს შიშის გრძობასაც, ტკივილსაც, სიკვდილზე ფიქრსაც; მაშასადამე, გმირობა ანგარიშმიუტეველი მოქმედება კი არ არის, არამედ იმ საქმის სამართლიანობის და სიღიადის რწმენა, რომლისათვისაც კაცი შეგნებულად სწირავს სიცოცხლეს“.

აქ შესანიშნავად არის განსაზღვრული, თუ როგორია გმირის მოდელი თუ სახე ხალხურ წარმოსახვაში და მოქმედებაში; არის საზღვარი სიკვდილ-სიცოცხლის მიჯნაზე, როცა რაღაც დიადი აქრობს სიკვდილის შიშს, ტკივილს, და ეს ხდება მასობრივად. აქ არის ხალხის უძლეველობა. და საქმეც სწორად ის არის, რომ ამ საერთო-სახალხო გმირობის ფონზე ცალკეული ინდივიდუალობანი, ცალკეული ოფიცრები, ჯარისკაცები, როდი ითქვიფებიან ერთმეორეში, მათი სახეები როდი უფერულდება. არამედ თითო-ოროლა ფრაზით, თითო-ოროლა სტრიქონით ცოცხლებიან — ეს ითქმის „მცირე მიწის“ ყველა პერსონაჟზე; განა ნათლად, მთელი თავისი სიმძლით არ წარმოდგება თქვენს წინაშე მე-18 არმიის სარდალი კონსტანტინე ლესელიძე — „მკაცრი და დაუნდობელი მტრის მიმართ, კეთილი და გულისხმიერი მეგობრისადმი, ნაშუსის კაცი, სიტყვის კაცი, მახვილი გონების კაცი, ხალისიანი და მამადი“, და შემდეგ, სადაც წიგნის ფურცლებზე ლესელიძე გამოჩნდება, ჩვენ ვგრძნობთ ან ზემოთმოყვანილი დახასიათების სიმართლეს; და ეს შეიძლება ითქვას ყველა მოქმედ გმირზე: როგორ შეიძლება დაივიწყოს მკითხველმა მძიმედ დაკრძალი ლეიტენანტი — დახატული ორიოდ კალმის მოსმით; აი მისი უკანასკნელი წუთები: „ლამაზი ხეუბუქი შავი თმა, შავი წარბები, ცისფერი თვალები სიკვდილით შეპყრობილ აღმოდებულ სახეზე. ის კედება განგრენისაგან და მაისც იხვეწება: დამეხმარეთ, რომ თუ გადაერჩი, ჩემს ნაწილში დამაბრუნო“. ან გაიხსენეთ თავგანწირული ქალიშვილი მარია პედენკო, მაიორი ცენზარ, კუნიკოვი, მედესანტე შალვა თათარაშვილი, მრავალი და მრავალი სხვა სახეები, მთელი გალერეა, სამუდამოდ რომ აღიბეჭდებიან მკითხველის მეხსიერებაში. და წიგნის ავტორი დაასკვნის:

„რა გოლიათური სული აქვთ! რა უხილავი, მაგრამ უსაზღვრო სიყვარული აქვთ — სამშობლოსი, რაოდენ წყურვილი ამოძრავებთ მისი დაცვისა და სრულიად არ ფიქრობენ საკუთარ სიცოცხლეზე“.

როგორც „მცირე მიწაში“, ისე „აღორძინებასა“ და „უამირში“ ლ. ი. ბრეჟნევა ხაზი გაუსვა სოციალისტური რეალიზმისათვის, მთელი ჩვენი მწერლობისათვის ერთ უღარესად მნიშვნელოვან, უღარესად პრინციპულ მხარეს — სახელდობრ, იმ დებულებას, რომ გმირული, პეროიკული საწყისი მთელი ჩვენი ხალხის ცხოვრებაში, ბრძოლაში, ისტორიაში როდია რაღაც განსაკუთრებული, გამოცალკეებული, მარტო ამა თუ იმ პიროვნებისათვის მინიჭებული რამ, არამედ იგი, ეს გმირული საწყისი — მასობრივია, იგი თვით ხალხის წიაღშია, მის სულიერ სამყაროში; მარია პედენკო ერთი როდია; არა, ასეთები არიან ათასობით ჩვენი კომკავშირელი ქალიშვილები, და, იმავე დროს, სრულიად თავისებურნი, მკაფიოდ გამოკვეთილი ინდივიდუალობის მქონენი. ასე, რომ ლ. ი. ბრეჟნევის ზემოთმოყვანილი ბრძნული ფორმულა ზუსტად გადმოგვცემს ჩვენი ხალხის სულიერ სამყაროს; სწორედ ასეთი ძლევა-

მოსილი, უზარმაზარი შინაგანი ძალის და პოტენციის მქონე ფენის მქონე ხალხი, მასა, სოციალისტური რევოლუციის კონცეფციის მიხედვით, და ასევე განსახიერებს რევოლუციის მწერალი მას თავის მხატვრულ ნაწარმოებებში. დაუღვეველია, ამოუწურავია ხალხის ტალანტი, მისი ძალა, და მას სასწაულებების მოხდენა შეუძლია სწორედ მაშინ, როცა მას წინ მიუძღვის კომუნისტური პარტია. სოციალისტური რევოლუციის მწერლობამ სწორედ პარტიის ეს მარჯვანობებელი როლი მოაქცია ყურადღების ცენტრში თავისი ისტორიის დასაწყისშივე. სამოქალაქო ომის წლების ლიტერატურამ შექმნა ბოლშევიკი კომისარის მონუმენტური სახე და სრულიად სამართლიანად ეს ითვლება საბჭოთა კლასიკის უძვირფასეს მონაბოვრად. სამოქალაქო ომის დროის კომისარზე დიდძალი ლიტერატურა შეიქმნა, მაგრამ ჩვენ ერთ მაგალითს დავასახელებთ. ეს არის კომისარი ფედორ კლიჩკოვი დიმიტრი ფურმანოვის რომანიდან „ჩაბაევი“. ეს მართლაც კლასიკური სახეა კომისარისა, ერთ უაღრესად მკიდრო კოლექტივად რომ შევკრავს, რაზმავს, აცემენტებს და აღუღაბებს მთელ დივიზიას, სახელოვანი ჩაბაევის დივიზიას. კომისარის მხატვრულმა სახემ განუზომლად დიდი როლი შეასრულა საბჭოთა ლიტერატურის ისტორიაში, მისი იდეური ზრდისა და წინსვლის პროცესში, ისევე, როგორც თვითონ კომისარმა ჩვენი ხალხის ბრძოლის სახელოვან გზაზე. ასე მკიდროდ არის გადაწნული ურთიერთ შორის საბჭოთა ხალხის შრომისა და ბრძოლის მატთან და საბჭოთა მწერლობის ისტორია.

ახალი ისტორიული მაგალითი, ახალი დადასტურება ყოველივე ამისა არის „მცირე მიწა“. სადაც აღნიშნულია, რომ „პოლიტმუშაკები შეიარაღებულნი ძალების სული და გული ვახდენენ“: მთელი წიგნის მანძილზე ლ. ი. ბრეჯნევი ორჯერ ახსენებს სიტყვა — კომისარს. პირველად, როცა სახლვით ქვეითი ჯარის ბრიგადის პოლიტგანყოფილების უფროსი მ. ვ. ვილოვი, მეთაურის საყვედურზე, ამაოდ რისკზე რათ მიდიხარო, უპასუხებს — მე კომისარი ვარ, და მაშასადამე, ჩემი ადგილი ყველაზე წინ არისო; მეორე ადგილას ბრეჯნევის აღოუტანტი ი. კრავჩუკი აიძვდება განსაცდელში მყოფ მებრძოლებს — თქვენს დასასმარებლად ტანკები და მთელი ქვეითი პოლკი მოდისო, ეს ამბავი თვით არმიის პოლიტგანყოფილების უფროსმა მოიტანაო: ამის შემდეგ, ამ სასიხარულო ცნობით ვახარებული ლეიტენანტი გაიქცა თავის მებრძოლების გასამხნეველად, თან განუწყვეტლივ იმეორებს: „ — ეს კომისარია, პოლიტგანყოფილების უფროსი“.

ძველი, სამოქალაქო ომის დროინდელი რომანტიკა ახლაც ამ სიტყვას — კომისარს (ესაა ერთადერთი ხაზგასმული სიტყვა მთელ წიგნში): ვინ იყო კომისარი სამოქალაქო ომის დროს და პოლიტმუშაკი სამამულო ომში? ის პარტიის წარმომადგენელი იყო და, მაშასადამე, ანსახიერებდა ეპოქის სინდისს, ჭკუას, ღირსებას; ეს იყო კაცი, რომლისათვის უმაღლესი მსაჯული — იყო სინდისი, ეს იყო ადამიანი, განსახიერება გმირული მალაუნეობისა.

უაღრესად ფხიზელი რევოლუციური სტილით დაწერილმა, რომანტიკით აღსავსე ამ წიგნმა დაგვიხატა სრულყოფილი სახე კომუნისტისა, დახატული თითო-ორთა, მაგრამ მსხვილი მონასმით. ჩვენ აქ ნათლად დაინახეთ, რომ კომუნისტს ბრძოლაში ერთი დიდი და საპატიო პირველი ადგილი აქვს: პირველი ჩაებას ბრძოლაში და ყველაზე ბოლოს გამოვიდეს ბრძოლიდან. ეს არის ადამიანი, რომელიც აღზარდა ლენინის პარტიამ. „მცირე მიწა“ ადამიანის სულში მორალური სტოიციზმის აღზრდის შესანიშნავი პროგრამაა. სტოიციზმის, პეროტიკული საწყისის გარეშე ცნობერება წინ ვერ წავა, უამისოდ კეთილი ვერ გაიმარჯვებს ბორბტზე. „მცირე მიწა“ მოგვითხრობს კომუნისტ-



ბის სულიერ გაუტეხელობაზე და ყველაფერი ეს გაკეთებულია ლაკონურად, მჭაფრი და შთამბეჭდავი სახეებით, დიდი იდეური და ემოციური ძალით.

• • •

ასეთია კომუნისტი ბრძოლის ველზე, ხოლო როგორია ის შრომაში — ამის კონკრეტული მაგალითი მოცემულია წიგნში „ალორძინება“. აქაც, როგორც „მცირე მიწაში“, მარტო ისტორია კი არ არის, მარტო ის კი არ არის ნაჩვენები, თუ როგორ აღდგა ფერფლიდან ომის დროს დანგრეული ზაპოროჟე და დნეპროპეტროვსკი, რა გმირული შრომის ფასად დაჯდა ამ ქალაქების აღორძინება და რა როლი ითამაშა აქ პარტიულმა ორგანიზაციამ; იმავე დროს, აქ შორს მიმავალი განზოგადოებებია, რომლებიც გვიჩვენებენ კომუნისტების მორალურ კოდექსს მხატვრულ სახეებში. „ალორძინება“ მასწავლებელია იმისა, თუ როგორ უნდა იცხოვროს კომუნისტის ეპოქის ადამიანი. არა გასყენებული დებულებების სახით, არა დეკლარაციურად, არამედ ცოცხალი სახეებით, კონკრეტული ადამიანების ცხოვრების მაგალითზე აქ ნაჩვენებია კომუნისტების მორალური კოდექსი მოქმედებაში, ცოცხალ ყოფაში, ოჯახში, ქარხანაში, დაწესებულებაში, პარტიულ ორგანიზაციაში. და ჩვენ ვხედავთ ამ მაღალი მორალის ადამიანებს, ვულშურვალე პატრიოტებს, ისეთებს, როგორც არიან ბრიგადირო ანია ლოშკარიოვა, მილშემონტაჟე ივანე რუმინცევი, ტაველაჟური სამუშაოების ოსტატი ალექსანდრე ჩეპიგა, პარტიული მუშაკი ნიკოლოზ მირონოვი. ჩვენ ვხედავთ მათ მონუმენტურ სახეებს და ამ სახეებზე ვკითხულობთ სამშობლოს დიდ მატთანს, ეს ადამიანები თავიანთი მტკიცე მარჯვენით რომ სწერენ.

ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ „ალორძინება“ მარტო ისტორია არ არის. აქ ჩანს ის დიდი ჰუმანიზმი, კეთილი გული, კეთილი მოპყრობა ადამიანებისადმი, რომელიც თავიდან ბოლომდე გასდევს ამ წიგნს, როგორც დედაპირი, როგორც ლეიტმოტივი. ცნობილმა მწერალმა, საყოველთაოდ აღიარებული რომანის „ბლოკადის“ ავტორმა ალექსანდრე ჩაიკოვსკიმ თავის წერილში „სახელმძღვანელო მოქმედებისათვის“, რომელიც „პრავდაში“ დაიბეჭდა, მოიყვანა შემდეგი ადგილი „ალორძინებიდან“:

„პირველი დღეებიდანვე ვცდილობდით შევედგინა კადრებთან მზრუნველობითი დამოკიდებულებისათვის, ვუფროთხილდებოდით პარტიული კეთილსასურველობის ვითარებას, რომელიც უკვე დამყარდა ჩვენს ორგანიზაციაში. მე, საერთოდ, არასოდეს არ ვყოფილვარ უხეში, მყვირალა, ანდა, როგორც კიდევ ამბობენ ხოლმე, ხელმძღვანელობის „თვინებური“ მეთოდის მომხრე. თუ კაცი დაშინებულია, იგი პასუხისმგებლობას საკუთარ თავზე არ იღებს. ჩვენ კი არ უნდა შეგვებოჟა, არამედ, პირიქით, მხარი დაგვეჭირა ყველაზე ფართო ინიციატივისათვის. იმ დამაბულ პირობებში, ნოვატორობის, აქტიური ძიების გარეშე ვერაფერს ვერ მივაღწევდით. თუმცა საერთოდ ხმაურს, მშვიდ პირობებშიაც კი, არაფერი შედეგი არ მოაქვს“.

ამ ამონაწერს ალ. ჩაიკოვსკიმ დიდად საგულისხმო კომენტარი დაურთო: „მე დარწმუნებული ვარ, რომ ლეონიდ ილიას-ძის ამ სიტყვებში, არის გასაღები იმისა, რაც შეადგენს — მე არ მეშინია ამ უაღრესად ემოციურ სიტყვისა — „ალორძინების“ მთელ მომხიბველობას, რაც ხდის ამ წიგნს არა მარტო ნათელ, დამაჯერებელ მოგონებად ჩვენი ქვეყნის განვითარების გმირულ ეტაპზე, არამედ სახელმძღვანელოდაც ჩვენს დღევანდელ საქმიანობაში. უფრო მეტიც: ვკითხულობთ რა „ალორძინების“ ზემოთციტირებულ სტიქონებს, ჩვენ უფრო ღრმად ვწვდებით სათავეს იმ სტილისას, ვერძნობთ სუნთქვას იმ ატმოსფეროსი, რომელიც განსაზღვრავს პარტიულ, სახელმწიფოებრივ,

მთელ საზოგადოებრივ ცხოვრებას საბჭოთა ქვეყნისა, დაწყებული 1955 წლის შემოდგომიდან, როცა ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი არჩეულ იქნა ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად“.

კემპარტად, შესანიშნავი სიტყვებია, ეს გახლავთ სიმართლე ისტორიისა განუზომელია ამ წიგნების — „მცირე მიწისა“, „აღორძინებისა“ და „უამირის“ მნიშვნელობა საბჭოთა ქვეყნის მთელი ცხოვრებისათვის; ეს მართლაც არის სახელმძღვანელო მოქმედებისათვის მთელი ქვეყნის ასაშენებლად, ახალი სამყაროს ასაშენებლად და ამ მოკლე ფრაზით ყველაფერია ნათქვამი. საოლქო კომიტეტის პირველი მდიენის — წიგნის მთავარი გმირის ყოველ ნაბიჯზე იგრძნობა როგორც მინდობილი საქმის ღრმა ცოდნა, ისე მაღალი და განუზომელი ავტორიტეტი, ლენინური სიბრძნე და პრინციპულობა ყველაფერში, როგორც სახელმწიფოებრივი ისე ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების გადაწყვეტის დროს. „აღორძინება“ — ესაა საბჭოთა ცხოვრების წესის თავისებური ენციკლოპედია, სადაც ყოველი კომუნისტი, ყოველი საბჭოთა ადამიანი იპოვის ამომწურავ პასუხს, თუ როგორ უნდა იმოქმედოს, როცა რაიმე სიძნელე დახვდება წინ.

კითხულობ „აღორძინებას“ და ცოცხლად ხედავ რას გამოხატავს ცნება — კომუნისტი, ხელმძღვანელი პარტიული მუშაკი. მას ყველაფერი უნდა ახსოვდეს, ყველაფერზე უნდა ზრუნავდეს, ყველას სატიკერის მალამო უნდა მოძებნოს, ყველაფერი კარგი და კეთილი წახალისოს, ფართო გზა გაუხსნას, იქნება ეს მრეწველობის თუ სოფლის მეურნეობის უბანზე, თეატრისა და სპორტის სფეროში. ამიტომ სხედან საოლქო კომიტეტის პირველი მდიენის კაბინეტში ღამის ორ საათამდე შეჩვენკოს სახელობის თეატრის მსახიობები და ლაპარაკობენ თავიანთ დაღონებასა და გაჭირვებაზე... ამ წიგნს, სხვა მრავალ საკეთესთან ერთად, არ აკლია არც ხალისიანი, ლაღი იუმორი. თვით წიგნის ავტორის სიტყვით ხომ „სიცილი მრისხანე ძალაა, ადამიანთა ოპტიმიზმს მოწმობს, სულიერი სიჯანსაღის ნიშანია“.

ამიტომ არ აკლია ამ წიგნებს ხალისიანი იუმორით გამსჭვალული ეპიზოდები, და არც მსაფრი და ბასრი, ტყვიასავით გამკვეთი სატირა აკლია. მკითხველს კარგად მოეხსენება, რომ პიტლერის ბაქიობა და გებელსის ცრუპენტელური პროპაგანდა — ჩვენი სატირიკოსებისა და კარიკატურისტების მუდმივი თემა იყო. და მთელ ამ ნახატებსა და ნაწერებში უთუოდ მნიშვნელოვანი ადგილი უნდა მიეკუთვნოს იმ არაკს, რომელსაც ახალგაზრდა უკრაინელი სერჟანტი ჰყვება და რომელიც მოყვანილია „მცირე მიწის“ ფურცლებზე. აი ეს სტრიქონებიც:

„მას შემდეგ, რაც იერიში მოვიგერიეთ, ერთ-ერთ უბანზე ტრანშეანი დოროფევეთან ერთად მივდიოდი და საცეცხლე უჭრედთან სიცილი მოგვესმა. მივედით: თურმე იქ საუბრობდა ახალგაზრდა ავტატორი სერჟანტი; ბრძოლის შედეგებს ვაჭამებთ, ამხანაგო პოლკოვნიკო! — მომახსენა მან.

— მერე როგორი შედეგებია.

ტყვიამფრქვევთან შეჩვენებულმა მებრძოლებმა მუჯლუგუნი გაჰკრეს სერჟანტს, თქვი, თქვიო, მან ჯერ, ცოტა არ იყოს, დაირცხვინა, მაგრამ ამხანაგებმა გაათამამეს.

— პიტლერი იკეხნიდა, რომ დღეს ზღვაში გადაგყრიდა. პოდა, ჩვენი უკრაინული არაკითა ვთქვი, რასაც მან მიაღწია. წავიდა სანადიროდ, მოკლა დათვი; გაატყავა მელა, შინ მოიტანა კურდღელი, დედამ დაკლა იხვი და მოხარვა მახოხი. გასინჯა და პირი გაუმწარდა.

ჯარისკაცებთან ერთად სიამოვნებით ვუსმენდი მხიარულ ჰაბუქს. მისი

უბრალო არაჲ, ალბათ ამ მომენტში უფრო მეტს ნიშნავდა და უფრო ძლიერ მოქმედებდა, ვიდრე საომარი მოქმედების ყველაზე სერიოზული გარეგანი ფაქტორი მით უფრო იყო საჭირო, რომ ის დღე, ვიმეორებ, ყველაზე მძიმე იყო მცირე მიწაზე მთელი ყოფნის განმავლობაში. იწვოდა მიწა, ხრჩოლავდა ქვა, ლღვებოდა ლითონი, ინგრეოდა ბეტონი, მაგრამ ფიცის ერთგულ ადამიანებს ამ მიწიდან უკან არ დაუხევიათ“.

აი ასე, შედარებით აადვილებდა, ასატანს ხდიდა ომის ყველაზე მძიმე დღეებს ჯარისკაცის ხუმრობა, მისი ლალი იუმორი.

* * *

ლ. ი. ბრეჟნევის მესამე წიგნი ამ სერიიდან, „ყამირი“ არის შესანიშნავი მატთანე კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის გამირობისა მშვიდობიანი შრომის ფრონტზე, და აქაც უნდა დავსძინოთ — მარტო მატთანე კი არა, ეს მომავლის პროგრამაც არის — ესაა ცხოვრების ნამდვილი სახელმძღვანელო კოლმეურნესათვისაც და მწერლისათვისაც, პარტიული ხელმძღვანელისა და სამეურნეო მუშაკისათვის, ყველასათვის, ვინც კომუნისმს აშენებს, ვისაც წინ ბოჰყავს ჩვენი დიდი სამშობლო. მრავალი ასპექტი აქვს ამ წიგნს, მრავალი სფერო — იგი მოიცავს მთელ ცხოვრებას — პარტიულ, სახელმწიფო და სამეურნეო სფეროებს, კადრების აღზრდის გამოცდილებას, მეცნიერების და ცოდნის უზარმაზარ როლს, კრიტიკისა და თვითკრიტიკის განუთხომელ მნიშვნელობას; განსაკუთრებით აღსანიშნავია წიგნის ის ფურცლები, რომლებიც შემოქმედებითი ინტელიგენციის მუშაობას და კერძოდ ჩვენი მწერლობის სადღეისო და სახვალთა ამოცანებს ეხება. „ყამირის“ ფურცლებზე ვკითხულობთ:

„კიდევ ერთი რამ მაფიქრებდა: როგორ მიმეპყრო შემოქმედი ინტელიგენციის ყურადღება ყამირის თემისადმი? დახეტ, ვუთხარი მწერლებს ცენტრალურ კომიტეტში შეხვედრაზე, რა ამბები ხდება ჩვენს თვალწინ. ამოძრავდა ადამიანთა უზარმაზარი მასები, იქმნება მრავალეროვანი კოლექტივები, ახალი ოჯახები. ვაჟკაცდება ხასიათები. იწრთობიან ჩვენი დროის გამირობი. ყაზახეთში პური ყოველთვის ნუგბარი იყო და ძვირად ფასობდა. ძველად მოლებიც კი ამბობდნენ: „ყურანი საღეთო წიგნია. მაგრამ შეგვიძლია ყურანზე შევდგეთ, თუ პურის ნაჭერს ვერ ვწვდებითო“. და აი ახლა, ეს მხარე პურის მხარე ხდება. იცვლება ცხოვრების მთელი ყაიდა. ყალიბდება ადამიანის ახალი ფსიქოლოგია. განა ყოველივე ამის სიდიადე და დრამატიზმი არ ააღვლევებს კეშმარიტ ხელოვანს? ჩვენ ვერაჲინ ვერ გავვიგებს ახლა, ვერ გავვიგებს მომავლშიც, თუ ეს ეპოპეა მკაფიოდ არ აღიბეჭდება ისტორიისათვის.“

მაშინდელ ვითარებაში საჭირო იყო, რომ რესპუბლიკის მწერალთა ყრილობა მთელი საბჭოთა კულტურის ზეიმი გამხდარიყო. ჩვენ აღმა-ათაში მივიწვიეთ მ. ა. შოლოხოვი, ლ. მ. ლეონოვი, კამილ იაშენი, მირზო ტურსუნ-ზადე, მაქსიმ ტანკი და სხვა ცნობილი მწერლები. ამის შემდეგ ყამირის ხშირი სტუმრები გახდნენ კომპოზიტორები, მსახიობები, მხატვრები. ქვეყნდებოდა ნარკვევები და მოთხრობები პურისათვის ბრძოლის შესახებ. გამოვიდა კინოფილმები, იდგებოდა სპექტაკლები, აქლერდა ახალი სიმღერები. მათ, უდავოდ, დადებითი როლი შეასრულეს.

იმხნად მე ვოცნებობდი, რომ ყამირის ეპოპეა ოდესმე ისეთივე ძალითა და სიღრმით ასახულიყო მხატვრულ ნაწარმოებებში, როგორც აისახა სამოქალაქო ომი „წყნარ დონში“, ხოლო კოლექტივიზაცია — „გატეხილ ყამირში“. ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებისათვის არ არსებობს უფრო საფ-

ნტერესო და შთაშავონებელი ამოცანა, ვიდრე ის, რომ ასახონ ხალხის გმირობა, მათ შორის ყამირზე.“

ქართველმა ხალხმა, მოძვე საბჭოთა ხალხების მხარდამხარ, გაგზავნა თავისი საუკეთესო შვილები ყამირზე, რომელთაც უდიდესი ამაგი დასდეს ამ ისტორიულ საქმეს. ყამირი იქცა სასახელო ასპარეზად, სადაც საქართველოს სახელოვანმა ახალგაზრდობამ შრომითი გმირობის ბრწყინვალე მაგალითები გვიჩვენა. ქართული მწერლობაც დროულად გამოეხმურა ამ ღირსშესანიშნავ თემას — პოეტმა იოსებ ნონეშვილმა ყამირის ათვისებას უძღვნა მთელი ცოლი ლექსებისა, რომელთა შორის უნდა აღინიშნოს „ბიჭო, იქნებ პაპა იყო შენი“, „აქლემები“, „ქება ადამიანს“, „ძმები“, „პირველ რთველშიაც გიწვევით“, „გეყო დასვენება, ნასვენო მიწავ“, „რამ დამაინფყოს“ და მრავალი სხვ.

დასასრულ ორიოდ სიტყვა ეანრის თაობაზე. რა ეანრის განეკუთვნებიან „მცირე მიწა“, „აღმოსავლეთი“ და „ყამირი“? ეს არის პოლიტიკური პროზა, ანუ რაც იგივეა, მხატვრულ-პოლიტიკური პროზა, სადაც ერთი-მეორეში განუყრელად არის შერწყმული როგორც მხატვრული, ისე ისტორიული სიმართლე. ეს ეანრი, ლ. ი. ბრეჯნევის წიგნების გამოქვეყნების დროიდან, იწყებს თავის ახალ აღმოსავლეთს და ეს არის მეტად საინტერესო მოვლენა ლიტერატურის ისტორიაში. პოლიტიკურმა პროზამ — ამ ახალმა ტერმინმა ლიტერატურათმცოდნეობის სფეროდან — უკვე მოიპოვა მოქალაქეობრივი უფლება და იგი სულ უფრო და უფრო ხშირად გვხვდება როგორც პრესის ფურცლებზე, ისე საერთოდ მხატვრული ლიტერატურის დაარგში. საილუსტრაციოდ ერთი ფაქტი: „მცირე მიწისა“ და „აღმოსავლეთის“ გამოქვეყნების შემდეგ ჟურნალ „ზნაშიას“ მეთერთმეტე ნომერში დაიწყო ალექსანდრე ჩაკოვსკის ახალი წიგნის — „გამარჯვების“ ბეჭდვა, რომელსაც წარწერილი აქვს — „პოლიტიკური რომანი“.

პოლიტიკური პროზა — როგორც ეანრი ახალი არ არის და მას აქვს თავისი ტრადიცია, მაგრამ ახლა იგი ახალი ძალით იფურჩქნება. ეტყობა, ეს დრომ, ეპოქამ მოითხოვა — პოლიტიკა, როგორც არასდროს, შეიჭრა ადამიანის სულში, და ამიტომ ამ ტერმინსაც ახალი აზრი მიეცა, მაგრამ ეს ცალკე თემაა და ამ საკითხის დაწერილებით განხილვა შემდგომ დროისათვის უნდა გადავდოთ.

ახლა კი, დასკვნის სახით უნდა ითქვას: ჩვენი საბჭოთა ლიტერატურისათვის ამხანავ ბრეჯნევის ამ წიგნებს — ეპოქის ამ ღირსშესანიშნავ დოკუმენტებს განუზომლად დიდი მნიშვნელობა აქვს. ისინი ბრწყინვალე მაგალითს იძლევიან როგორ უნდა ვწეროთ, რომ ვიყოთ მართალი პარტიის წინაშე, რომ ვისწავლოთ ხალხისაგან და ვასწავლოთ მას, რომ გამოვხატოთ ცხოვრება მთელი მისი მრავალფეროვნებით — შეუფერავად, გაულამაზებლად, როგორც ამას რეალიზმი მოითხოვს. ამ მხრივ ეს წიგნები არის ბრწყინვალე ნიმუშები პოლიტიკურ-მხატვრული პროზისა, რომელიც უაღრესად ადამიანურია, სავსეა სიყვარულისა და სიკეთის გრძობებით: მათმა ავტორმა მთელი თავისი ცხოვრებით, ბრძოლით, საქმიანობით საბჭოთა ხალხის უდიდესი სიყვარული დაიმსახურა; მთელი მისი ცხოვრების გზა განუყრელად არის დაკავშირებული ლენინის პარტიის ისტორიულ ღვაწლთან — ჯერ უნახავ გმირობასთან, გმირულ შრომასთან კომუნისზმის ასაშენებლად, მსოფლიოს მშვიდობის განსამტკიცებლად. ეს წიგნები შთაგონებენ და განამზენებენ ყველა საბჭოთა ადამიანს იბრძოლოს ახალი გამარჯვებებისათვის სოციალისტური სამშობლოს საკეთილდღეოდ.

• • •

...მეორე დღეს კი
ატაცებული,
კვლავ ანოებული ხარ ძველებურად;
ო, როგორ ელავს ცა გაფსებული,
დღე როგორ ფეთქავს გაგრძელებულად.

როგორ დუღს მიწა —
დღედა უკვდავი,
ფრთა როგორ უკრთის
ნიაფს, უვნებელს;
ო, როგორ აბნევს მზე დამბუკავი
სურნელს და ფერებს დაუსრულებელს.

და შენც განაგრძობ,
და შენც განაგრძობ,
და ყველა შიში —
ნაცრის ფიფქია...
და შენ წინა დღეს,
და შენ არასდროს
სიბერის ჭირზე არც გიფიქრია.

იონა შაველი

სამშობლო ჩვენი

სამშობლოა სიცოცხლე და დედა ჩვენი,
იგი არის სალოცავი, ღმერთი, რჯულიც,
მისი დიდი მომავლისთვის ო, რამდენი —
დიდებული სიცოცხლეა დახარჯული.

ახლაც გშვენის მისი თბილი პირზე ღიმი,
დე, სანამ ვართ, ვიყოთ ყველა ბედიანი,
ავაქდეროთ საქართველოს ყველა სიმი,
ერთი გულიც ნუ დაგვრჩება სევდიანი.

გადავძახოთ ხალგაზრდებს მხრებგაშლილებს —
მტრის მიმართ ნუ იქნებიან ხათრიანი,
წარსულშიც ხომ ასე ზრდიდა თავის შვილებს,
საქართველოს ნიწა-წყალი მადლიანი.

იცით რაა საკუთარი სიხარული,
ან იმუდი დამტვერილი ვარდის მტვერით?
სამშობლოსთვის თუ არა ძგერს შენი გული,
ვერასოდეს ვერ გახდები ბედნიერი!

მეცოდება ის ქვეყანა ბედდამწვარი,
როცა ღმერთი გმირს არ მისცემს რვალით ნაგებს,
კიდევ უფრო საბრალო და ცოდვა არის —
ვისაც ჰყავს და ღუპავს თავის მოამაგეს.

მაგრამ შენ თუ გიყვარს ნომე მსგავსად ღვთისა,
ქვეყნის თვალში არასოდეს დაეცეში,
არ იქნება არ აზალღვე სიკეთისგან,
თვალს არ მოწყდეს ნეტარების წვეთი ცრემლი...

და ეს ცრემლი ნუ იქნება ბოღმით საფხე,
ძველიც კმარა ციხეები მტვრად ქცეული,
ნუმე გვენახოს სადაც ვცხოვრობთ იმ მიწაზე —
ჩვენი ერთი დაშლილი და წაქცეული!

აგერ, მინდორი, კრეფენ ჩაის მზის მადონები,
მთვარის შუქივით ანათებენ მათი გულები,
რაფაელის და ფიროსმანის ზეშთაგონებით —
უზენაესი სიყვარულით დახატულები.

არ ისვენებენ ეს ხელმარჯვე ქალბატონები,
სიცოცხლით სავსე მანანები და მადონები,
მძიმე გარჯაა, მაგრამ მაინც ბროლის სახეზე
არ ჩანს ნიშატი არც დაღლის და არც დაღონების.

ცხელ ამინდშიაც არ ისვენებს მათი თითები.
ვით როიალზე თამაშობენ გამრჯე ხელები,
თუ დაიღალეთ, შეისვენეთ, ნუ მერიდებით,
ჭაბუკი არ ვარ, მაგრამ მაინც შეგემველებით!

თავისუფლება

ვიცი, რომ ქვეყნად ცოდვია ბევრი,
მაგრამ სიკეთე ჩვენი მზე არის,
ახე დულს მუდამ ცხოვრების ქვევრი,
ბრძოლა დიდი და შეუბოვარი;
და არ ჩაქრება მისი ლამპარი
იმედის შუქით სულში მთოვარი,
თავისუფლების დიდი მზე არის
ყველაზე დიდი მონაბოვარი.
ჩვენს სულს ის მუდამ ანიჭებს სითბოს,
ხან დიდ ბრძოლაშიც ცეცხლს
გვაფრქვევინებს,

იგი თვით არის ფარული სიტკბო,
ბოროტზე კეთილს ვერ ათქმევინებ...
ბევრჯერ სცადეს, რომ დალუპულიყო,
დევნიდნენ ღამით, დევნიდნენ დღისით,
ოი, რამდენი ბრძოლები იყო,
ჯვარზეც კი აცვეს თავყვანის ღირსი...
მაგრამ ვერასდროს ჩაქოლეს ქვიშით
და ვერც ჩაკეტეს ფოლაღის ნიშით —
რადგან სიმართლის დიდ სამსხვერპლოზე,
მან არ იცოდა რა იყო შიში!

ფიროსმანი

მოგვევლინე კეთილი და გრძნობით სავსე,
ცახაც მისწვდა შენი ფუნჯის ფერი,
სულ დახატე საქართველოს სილამაზე,
რაც ჩვენს სულში ახლაც ტკბილად მღერის.

და ეს იყო შენი დიდი ტანჯვის წყარო,
ბოჰემური სიამაყის მფენი...
ბინდში შედის უამური ვე სამყარო,
მღერის შავი წუთისოფლის ფერი.

თვალწინ მიდგას აგერ შენი ორი შველი —
წყაროს პირად რომ დალიეს წყალი,
შეხედავ და დაგატყვევებს სათნო ცქერით,
შავტურება ანგელოსის თვალთა...

და ელვარებს ასე ლურჯად მოხატული —
ისანი და ძველი ჩულურეთი,
სულ აღიჭვი, რითაც წუხდა კაცის გული,
შენი ხელით მუშაობდა ღმერთი.

მუშაობდა და არ ქონდა სახლი, კარი,
მაგრამ ამით ვინ ასულა ცაზე,
ჩვენ იმის გვწამს, ვინც წამების მძიმე
ჯვარი —
მხრებით ზიდა მაღალ გოლგოთაზე.

და შენც გერგო ეს მძიმე და საველად —
ყველა დროის გენიოსის ბედი,

იღუპება ყველგან ასე უმთავრად,
თავის დროის დიდი შემოქმედი....

იღუპება და დროვამი თითქოს ხარობს,
გალობს საღლაც იერის ლერწმის ლერი...
ბინდში შედის უამური ეგ სამყარო,
მღერის შავი წუთისოფლის ფერი!

ბ ა რ ა თ ი

ენახე ბარათი დიდი ხნის წინათ,
ყუთში მდებარე კარადის თავზე,
ვაჭი ქალს წერდა, რომ მასზე წმინდა —
არაგინ დაღის ამ ქვეყანაზე.

ითხოვდა შევლას წამებისმიერს,
სიყვარულს ცრემლით ეფიცებოდა,
რომ სამუდამოდ, მასავით ძლიერ
ქვეყნად არაგინ ეყვარებოდა.

ნეტავ ვინ იყო აგრე მგზნებარე,
ანდა ის ქალი მაინც ვინ იყო?
ან ის ბარათი ყუთში მდებარე —
ამდენ ხანს როგორ შენახულიყო!

იქნებ ღვთის მაღლით სვეილბლიანი
შვერთდა კიდევ ეგ ორი სული,
შექმნეს ოჯახი ხალისიანი,
ნანატრი სიტკბოთ გარემოყული!

ან კიდევ, ქალმა თავაზიანად —
იმ ვაჭს უარით ატკინა გული,
არ აღმოცენდა სამართლიანი
გრძნობა წმინდა და ამალღებული.

და დარჩა ვაჭი დაღენთილ სანთლად
ვერ აღადგინა ღირსება მისი,
ან ვინც იბრძოდა, ვის გაუმართლა,
ბედნიერების ვინც იყო ღირსი!



უძოვ მთის ძირას კვდებოდა

გიორგი ლეონიძის ხსოვნას

მგოსანს ხიბლავდა კახეთი
ფერად-ფერადი ქულაჯით,
სიღნაღით გადასახვდი
და მაყვლის ბუნქში დურაჯი.
აქ ყვარლის მწვანე მთებია,
ალაზნის ველის ხავერდი-
იქ — გრემი, აკადემია,
უჯარმა და ალავერდი.
მგოსანს ხიბლავდა ნიადაგ
რბუნა ალაზნის, ივრისა
მოსული ყარაიადან
ხმა, მყვირალობა ირმისა,
ის თავად იყო „მყვირალი“,
შვენიდა ლომის ბუსუნი,
ბრძენის ლურჯ თვალით მზირალი —
გვეგონებოდა ლუბუბი
მოზდოკის მთვარეს ზვერავდა,
მაგ ყურღანებში ყიფნაღებს;
მხედრებს გაფრენილთ ვვლავდა,
ხანძრები რომ გაგვიჩაღებს.

* * *

ეზმანებოდა ლევანი,
რქაწითლის ტკბილი მტვევანი
და წინ დაუდგა წარსული,
ხეზე ვაზივით გასული.
მას ნინოწმინდა ხიბლავდა

და პალატები მეფეთა,
საბას ქართულს რომ მხილავდა, —
ბაჯალლო შემოეფეთა.
ქართული მას არ რისხავდა, —
ქვეაოდა, ნაყოფს ისხამდა...
მხიბლავდა სვეტიცხოველი,
მისი ჩუქურთმა ყოველი,
გელათი — განძთა საფარი,
ქართლის დიდების ლამპარი.
თამარის სახე ნატიფი,
შუბლი გაშლილი, მარმარი,
სულ თვალწინ ედგა ზატივით,
თავზე ნათელის ვარვარით.

* * *

ომის დროს ვნახე ის შეტად
დამწუხრებელი, გარჯილი,
როს ეყრებოდა თვის ღედას —
შვილი ბრძოლაში დაჭრილი.
„ღლეო, გადიდდი, გადიდდი“ —
იგი იძახდა ვედრებით,
პირსისხლიანი ბანდიტის
როცა გვიტევდნენ მხედრები.
მწამს: ქვეყნის სიბრძნეს იძენდა
ფრონტზე მგოსანი ქებული,
ბრეყნევთან, ლესელიძესთან
როს ვნახე გადაღებული...



ვით ხე წაბრილი განდაგან —
 „ოლე“ კლდის თავზე დამდგარი
 ვნახე. მომესმა დაგანდგარი
 და მყის დაეცა ქადაგად.
 ჩვენ ლეონიძემ დაგვადგა
 თავზე „ნატურის ხე“ გვირგვინად,
 როცა სხვას უკვე არ ჰგავდა
 და ცამ მის თავზეც იგრგვინა.

ზემო წყნეთს, უძოს მთის ძირას
 თვის აგარაკზე კედებოდა,
 შფოთავდა, ვერ დაეძინა,
 ავი სენისგან დნებოდა.
 გრილი დღე იდგა. მას ისევ
 ცხელოდა, ღვიძლი ეწოდა.
 „კოკა ცივი წყლით აგივსე!“ —
 ხმა შემოესმა ეზოდან.
 ხელზე ცივ-ცივ წყალს იელვებდა.
 ივრის ჭალეების ნატრული
 და ტანჯვას უმსუბუქებდა
 მეზობლის ტკბილი ქართული.
 წყნეთში მგოსანი კედებოდა,
 შეწყდა ბუხუნი ლომისა,
 მუნჯი დაისი დგებოდა, —
 ნიშანი ერის გლოვისა.
 უძოს ბუღბულიც დადუმდა,
 აღარ სტვენს უცხო ფრთოსანი.
 ხალხის გართობა არ უნდა,
 რადგან დუმს ერის მგოსანი.

ზემო წყნეთს, უძოს მთის ძირას
 თვის აგარაკზე კედებოდა,
 შფოთავდა, ვერ დაეძინა,
 ავი სენისგან დნებოდა.
 ეზმანებოდა შირაქის
 ერთი მეცხვარის სიზმარი
 და თვალწინ ედგა ხშირად ის
 ვაგვაცი დღე-დღე ცისმარი.
 „დედი, ლოგინი გაშალე,
 სულის ამოსვლის დღე არი“, —
 იძახდა: — „რა დავაშავე,
 რომ მტანჯავს ბედი მდედარი!“

მა, მიწა იძვრის გუგუნით,
 მგოსანს სდის ცრემლის ღვარები.
 მთაში დაეშვა უკუნი
 და დაეხუჭა თვალეში.
 არსად არა ჩანს საშველი,
 არცა დრო, სივრცის საზღვარი
 და ქვეყნად ყოვლის წამშლელი
 მოდის სიკვდილი საზარი.
 მაგრამ თუმც დიდხანს ეძია, —
 სიკვდილმა მაინც ვერ სძლია,
 რადგან ბეჭს აჯდა ფშვეელი
 მგოსნის ვეება მტკაველი.

წიგნიდან „მშობლიური სახელები“

მადი მხეციე

შენი სურათები,
შენი ბარათები,
ისევ მომითხრობენ:
როგორ ანათებდი,
როგორ ამშვენებდი
ქუჩებს თბილისისას,
როგორ გეფრქვეოდა
შუქი დილის მზისა;

როგორ იცინოდი,
როცა იცინოდი,
როგორ მიფრინავდი
სამედიცინომდი,
როგორ გადარდებდა
უცხო ავადმყოფი,
დედის გულთმისნობით
როგორ ამავობდი!

როცა სწერდი ტოლებს,
როგორ სწერდი, მაღი,
როგორ შეადარე
სიზმარს ლენინგრადი,
განძად უჩვეულოდ
ამ დროს როგორ იქცა
წიგნი — ხაჩუქარი
ანდრონიკოვისა...

შენი წიგნები და
შენი რვეულები,
შენგან გადაფურცვლას

გადაჩვეულები,
ისევ მომითხრობენ:
რაზე გიღვლეოდა,
რაზე გიტირია,
რაზე გიმღერია...

ოცი გაზაფხული
ისე იშრიალე,
ნისლი არ უბილავთ
თვალებს გიშრიანებს!
ოცი გაზაფხული...
ოცი გაზაფხული...
გულში რამდენი რამ
გქონდა ჩასახული!

მაგრამ იმედები
ვეღარ აგისრულა
ბედმა უკუღმართმა,
ბედმა დანისლულმა!
ნატყრა უთვალავი
გაქყვა სვედას, ღრუბლებს, —
ელზა ტრიოლესაც
ვეღარ ესაუბრე...

შენი მშობილები,
დასტურ კეთილები,
დგანან ქუდმოხდილნი,
თავმოდრევილები,
შენი დობილები,
შენებრ სათნოები,

იხვე იკონებენ
უხმოდ, ათრთოლებით,

როგორ ოცნებობდი
მზნე და მზიარული,
როგორ ფართკალებდა
შენი ღია გული,
როცა დაგეწია
გულქვა ბედისწერა —
ფიჭრი გაგიწყვიტა,
სუნთქვა შეგიჩერა...

როგორ ანაზღუდულ
მოსწყედი თანატოლებს,
ცრემლიც, ყვავილებიც
როგორ დაგათოვეს,
როგორ გაგაცილეს
ბოლო, უღვთო გზაზე,
როგორ ინახავენ
ხსოვნას ულამაზესს!

შენი დღიურები,
შენი საკრავები,
ნივთი, რაიც გქონდა,

მცირე სამკაული,
დღესაც, როგორც მაშინ
იხვე ალაგია,
თითქოს ათი წუთით
გახველ ქალაქიდან...

თქვენსას, როგორც მუდამ,
წესი უცვლელია:
ძველი მეგობრები
საათს უცქერიან, —
ჩუმად ჩურჩულებენ:
ალბათ, აღარ მოვა,
უკვე დამე არი,
განა საღამოა!

წლებიც მიფრინავენ,
განა დარდი ცხრება?
დღედას განა ძალუქს
შენი დაფიწყება?
ზარის ყოველ ხმაზე
კართან გელოდება,
და ეს მოლოდინი
მარად მეორდება!



ლატვიური აკვარელები კვირადღე

ვალდის კიკანას

შენს ხმას მოვისმენ, როცა აპრილი წვიმის დაბზარულ
ზარებს დარგავს,
როცა თვალბში შემოიხედავს ძველი ქალაქი სამკუთხედი
სახურავებით...

არ ჩაუვლია დღეებს უკვალოდ —
ხსოვნას დააჩნდნენ, როგორც ხერხის ნაკბილარები....

წვიმდა (ვიხსენებ) —
კოშკის წვერზე ერთი მამალი —
ლატვიურ ბუბრის მუგუზალი
ყოფდა: „ფხიზლად“...
ჩვენ კი ვფერებოდით,
ვიოლინოს დარბეულ ტოტზე
ვაზის ლერწვივით დახვეული შენი თითები
ეფერებოდნენ მშობლიურ ქანგებს
და მოჭუტული თვალის ნაოქში
ბრწყინავდა ცრემლი — სარკის ნატეხი...
მე ისევ ვსვამდი და ვბრუფდებოდი
შენი სევდით და ლატვიურ ლუდით
და მეშინოდა, რომ თითებს თვალზე
მოისვამდი და ხელს გაიჭრიდი...
მაგრამ წვიმები ჩვენც გვაფხიზლებდნენ
თვალზე თავისით შრებოდა ცრემლი
და ვიოლინო გესვენა უხმოდ
მუხლებზე, როგორც დაცლილი თოფი...

შენს ხმას მოვისმენ, როცა აპრილი წვიმის დაბზარულ
ზარებს დარგავს.

გ რ ი გ ა ლ ი

ეროვნული
პეტერბოგის ზღვრების მემორიალი

უცნაურია, გიყურებენ და ვერ გხედავენ
ზღვიდან მოსულთ მოგზაურთ —
ნეტავი დღემდე
რამდენი გემი მოინელე,
ვისი ძვლებით მოფინე ფსკერი...

უცნაურია, გიყურებენ და ვერ გხედავენ
შენ — უსხვეულო ენერგიას,
დაუმცხრალს და დაუოკებელს.
სანოტო ნიშნებს არ შეუძლიათ
გადმოსცენ შენი
მღელვარე სულის ვიბრაცია —
ნგრევის მუსიკა.
ფესქვეშ გიგია გათელილი თაზინებში,
შენში ხარხარებს უდაბნოთა ხიცარიცლა...

იქნებ სული ხარ,
შემომწყურალი კაცზე და ღმერთზე,
იქნებ ტანჯვავა შენთვის ყოფნა,
მარადიულად
სწუხარ ოდესღაც დაკარგული სხეულის გამო.

• • •

ჩამავალი მზე ბალტიის ზღვაში
მისდევდა თავის სხივებს ტიფტიფით.
ფიჭვის ხეებში უსტვენდა შაშვი,
გალობდა ჩვენი ზღაპრის ჩიტვიით...

მე ვიძინებდი.
რეკდა ზემოდან
შავი გუმბათი ნისლში გაჩრილი,
ფიჭვის ხეებში შაშვი მღეროდა
და გიღიმოდი ძილში ბავშვივით.

• • •

აქაც მოხვედი, გაზაფხულო — ყვავილთა მწყემსო?
ამოპყვა მზის სხივს ველის ბალახი
და განიფინა მწვანე ნოზი,
ფესისგულები რომ არ გეტყინოს.

აქაც მოხვედნი წვიმების და ნისლის მხარეში —
 შეირბა ხავსი საბურავზე,
 ღია კარიდან
 გამოფარფატდა მონაზონი —
 უმწეო, როგორც ნესტის ქია
 და გაირინდა...
 აქაც მოხვედნი, გაზაფხულო —
 ფრთხილად იარე
 არ შემოგაცვდეს ზედაზენის ჭრელჭრულა ჩითი.

საორღანო კონცერტი

გოთური თაღი...

თითქოს ორივე გადაბრუნებულ ნაგის ქვეშ ვსხედვართ
 და ვუსმენთ, როგორ ხრიალებს ტალღა,
 როცა ნაპირზე ქაფს ამოანთხევს...

ცვალებადია ზღვაზე ამინდი —
 დარბაზთან ერთად ჩვენც დაგვაფიწედა,
 რომ ყველაფერი იწყება შტორმით
 და ყველაფერი შტორმით მთავრდება .

ცვალებადია ზღვაზე ამინდი —
 უსმინე, ვიდრე ჰარმონია არ დარღვეულა,
 ვიდრე ორღანი გოთურ თაღებში
 მშვიდად დაცურავს გადარჩენილ კიდობანივით,
 ვიდრე ჩქნს თვალწინ არ დამსხვრეულა
 კლაფიატურის თეთრი ჯებირი...

ცვალებადია ზღვაზე ამინდი —
 არავინ იცნს, რას გამოიჩყავს
 ნაპირისაკენ ნობალახე ტალღების ჯოგი,
 ვის რა შესვდება —
 ზღვის ყვავილი თუ
 შლამს მოყოლილი ნაფოტივით
 მკვდარი ლიფსიტა.

ცვალებადია ზღვაზე ამინდი —
 ბეჭერი ფიქრობს, რომ უპრეტენზიოდ
 ცხოვრობს და მუდამ მშრალზე დარჩება.
 როდესაც ღია პროცესი მიდის
 ისინი მუდამ უკან დგებიან,
 მაგრამ დიდების სანაგვეზე უპირველესად
 ეჯახებიან მათი შუბლები
 და არცერთ მათგანს არ ახსენდება,
 ვინც ლომს ხაზაში თავი ჩაუყო...



ცვალებადია ზღვაზე ამინდი —
 სადღაც იღვიძებს მძინარე შტორმი —
 უსმინე, ვიდრე ჰარმონია არ დარღვეულა,
 ვიდრე კონცერტზე არ შესრულდება
 ბოლო ნომერი —
 „განკითხვის წუთი“...

საჰაერო რეისი

1

მე კარგად მახსოვს, რასაც ვფიქრობდი,
 როცა ბეტონზე თვითმფრინავი ყალყზე შედგა
 დოღის ცხენივით.

უცებ გაქონა თითებში ოფლმა
 და მიეწება სახელურებს...

გაჩერდა წამით

გული,

გონება,

დაცარიელდა თავისქალა, როგორც ქალაქი
 საგანგაშო სირენის შემდეგ...

მე კარგად მახსოვს, როგორ ვცდილობდი
 არ ვყოფილიყავ იმ წუთას მარტო —

მეფიქრა რამე უკეთესზე:

მზეზე, ბალახზე.

ჩვილის კბილივით რომ ამოჭრა ნახნავის ნუნა.

მეფიქრა მუნზე!

მუნზე ფიქრიც ვერ შევიძელი,

რადგან ნერვები თავს ართმევდნენ

თითების მარყუქს

ყელში წაჭერილ გიურზებივით...

მერე მოვიდა აგონიის მსგავსი სიმშვიდე —

„არ შეიძლება ყველაფერი ახლა დამთავრდეს...“

„ან... შეიძლება ყველაფერი ახლა დამთავრდეს...“

არ შეიძლება....

შეიძლება...

ეს ორი აზრი —

როგორც მაგნიტის ორი პოლუსი

სხვადასხვა მხარეს მეწეოდნენ...

მე ყველაფერზე ვიყავ თანახმა —

უკვე გულგრილად შევყურებდი ყოფნა — არყოფნის

მოსზრიალვ სასწორის პინებს —

თითქოს მამლები ძიძგილაობდნენ...

2

თანდათანობით ვეგუებით თურმე ყველაფერს,
 ოღონდ გაუძლოს
 მაღალ ძაბვაზე ჩართულმა გულმა...
 ჯერ ვერ მიხვდები როგორ სწავლობენ
 ადამიანზე ნადირობას ტყვიის გარეშე —
 გული, ო, გული —
 ტირის სამიზნე
 დახლერილია ყოველდღიურ შხამით და გესლით —
 ის მაინც ფეთქავს —
 „მგობარო, გულს მოუფრთხილდი —
 სამედიცინო ბუკლეტიდან მაფრთხილებს ე-№-ი, —
 გული ძრავაა ორგანიზმის,
 მას შეუძლია ერთ მშვენიერ დღეს
 უარი თქვას — მოგეშასხუროს...“

გმადლობთ, ბატონო პროფესორო,
 თქვენ ერთხელ კიდევ მატკინეთ გული
 იმ დღეს (ან ღამეს) „მშვენიერი“ როცა უწოდეთ...

ის მაინც ფეთქავს!
 დატორილი და დაფშხალული
 უნდა გვიდოს წყველ ტირში „მშვენიერ დღემდე“ —
 ვიდრე მოწყდება და ქირურგის ცივი ხელები
 აიტაცებენ დამძიმებულ რიყის ქვასავით...

3

შენი ხმა მჭმის!
 მაგრამ საიდან —
 არეულია სათვალავი კილომეტრების, —
 გაყოფილი ვართ ველის ზანტი მდინარეებით,
 ტბებით, ტაობით,
 ფოთლოვანი ტყეთა ბურუსით.
 შლაგბაუმებით, მიწაყრილებით,
 გზებით,
 რომლებიც მე არ ვიცი საით მიდიან —
 არეულია სათვალავი კილომეტრების
 დატერასებულ მინდვრებით და ქარის ზუზუნით,
 პირდაპირილი ნახნავეებით,
 ცივი წვიმებით,
 ჭვარტლში გახვეულ ქალაქებით და ყვავილებით
 მოზუზული და მოფანტული სველი სოფლებით....

4

რა მოგვიგენა, რად შევრთი ძილში...
 გავცურეთ ღამის ოგანე, სააღვიგობი ანკუჩან პოლით

გაიხსნა შასი,
 ვუახლოვდებით გვირილებით მოფენილ მინდორს...
 ნუ გეშინია,
 დღეს არ მთავრდება
 ჩემი სხეულის მოგზაურობა —
 კიდევ მრავალჯერ დაიღუნება
 შენი მკერდისკენ ჩემი კისერი....

რა მოგეჩვენა, რად შეკრთი ძილში,
 როცა გრიგალი თვითმფრინავის ფრთებს დაეძვება
 და ასხლეტილი ნაფოტივით შეათამაშა...
 მე დავინახე როგორ აანთო შორს უხილავის
 ხელმა მარისი —
 დაიწყო ღამის დღესასწაული —
 ასი ათასმა შეცვარებულმა ვარსკვლავმა
 ჩემსკენ გამოიხედა....
 მე შენ მიყვარდი.
 იქაც ვგრძნობდი შენს სიახლოვეს,
 როგორც ფოთოლი გრძნობს ნიავის გამოღვიძებას...

5

რა მოგეჩვენა, რად შეკრთი ძილში...
 მონოტონური ტაქსის მრიცხველის
 მარტივი, მაგრამ პრაქტიკული ტვინი
 კაპიკებს
 ჩემს გასაგონად ხმამაღლა ითვლის.
 კერიბავს, ამრავლებს, კილომეტრებს
 კილომეტრს აკლებს
 და ხურდა ფულით ხახა ევსება...

გარბის მანქანა.
 ფარების შუქი
 ყნოსვით მიჰყვება ნაწივიმარ ასფალტს,
 რომ შენი თავი მამოფინნოს,
 მოაწყდეს ხარკმელს,
 გამოგადვიძოს აღრენილი სიგნალის ყუფით...

ვიცი, ყველაფერს გადავივიწყებ,
 როცა მოვალ და
 ერთმანეთში ჩავეიკარებებით,
 როცა ლოდინით დაღლილ თვალებში
 კვლავ ვარსკვლავიან ცას დავინახავ.



დილა

მზის ოქროფერილ ეტლით მობრძანდა
დილა, ვერცხლისფერ ნამით ნაბანი,
ლორთქო ფერებით აივსო ხალთა,
აიკალთავა ჯუბა-კაბანი,

ჩიტების კრინით, ნასირის ბანით
მოაფუჩეწა რალაც სიმღერა,
მერე დიდედას მიაყრდნო თავი
და კვლების ბოლოს ჩამოისვენა.

სიმღერა

არც უცხო ფერთა თოვითა,
არც თუ ნაცნობთა თოვით,
ციდან სიმღერა მოვიდა,
აპრილი იდგა, მგონი;

უბრალო კაბა ემოსა,
თვად მზისფერი ჩანდა,

მოქონდა საქართველოსად
ნიშნადებული ხალთა;

მიწას შეეხო, გაოცდა
ნატვრით აევსო თვალი,
ღმერთის სახელი წამოცდა, —
მაშინღა შევიცანით.

მწუხარე დღე

გურამ ჩხეულიშვილს

ზღვას გულზე ცრემლის საბანი მხურავს,
ნაპირზეც მძიმე ამინდი დადის,
მე მხოლოდ ახლა გავიგე, გურამ,
ღუზაჩაშვებულ გემების დარდი,

მე ახლა მიეხვდი მარტოთა ფიქრებს,
როცა ცა არის ყინულის სარკე,
ცრემლმორეული ტკივილებს ითმენ,
და ისევ ჩუმაღ იამებ ნატკენს.

და ითვლი ჩუმად, — ერთი ან ასი,
ნაზ ფიქრებს როგორც დალაღებს იჭრი,
იმედის ნაცვლად მოდის და გავსებს
ყოვლისმომცველი თვალმარდი იჭვი

და ერგება სულის სარკმლიდან
ღაბუა ჩიტებს რომ თვლიდი შენად, —

ახლა ტირილი მომინდა გურამ,
ახლა მეც აღარ მინდა დარჩენა,

რადგან ზღვას ცრემლის საბანი ჰხურავს,
ნაპირზეც მძიმე ამინდი დადის
და მხოლოდ ახლა გავიგე, გურამ,
ღუზანაშეებულ გემების დარდი.

არ დაიჯერებ...

გუპლანი თ. იშხნელს

„არ დაიჯერებ, არ დაიჯერებ...“
რა დაგიმალო, თვითონ არ მჯერა,
რომ გაზაფხული უკვე ჩაველილი
შემომიბრუნდა უკან, ამჯერად

ამიფერადა ხე და ხევანა
მარტის სურნელით დამითრო მიწა,

მიიყრდნო ჩემი დაღლილი თავი
და ყველა წყენა გადამავიწყა;

ჰგავდა მეგობრის მოტანილ იმედს
და დების ტკბილად ნათქვამ სიმღერას, —
ისეთი იყო, — არ დაიჯერებ,
რა დაგიმალო, თვითონ არ მჯერა!



ნოველები

ყ აყ ან 6 0

საპნის ქარხნის სკვერში საქანელა სკამზე საპნის გამშვები ლეო მახათაძე იჯდა და მშვენიერი ქალებით სავსე ზღვის პლაჟზე ფიქრობდა. თვალები მიეღულა, და ფეხებს არც კი ამოძრავებდა, რომ არ გამოჩვეულიყო და ლამაზი ფეხებით სავსე პლაჟიდან საპნის ქარხნის ეზოში არ გადმოზარებულყო. სხვა დროს ამ ადგილას მჯდომი ლეო მახათაძე თეთრ სპილოზე უფრო იფიქრებდა, ვიდრე ზღვაზე, მაგრამ ამჟამად იგი შეაგარაკეთა სანუკვარ ოცნებასთან ყველაზე ახლოს იყო. ჯიბეში ღვინო და ბავშვთა პანსიონატის საგზური და შვებულების ფული ედო. ხვალისა და ოცდაათი დღით ემშვიდობებოდა საპნის ქარხნის სპეციფიკურ, მაგრამ ადვილადმისაჩვენებელ სუნს. ლეო მახათაძე სამოსმილწველი დაბალი, ჯანსაღი მამაკაცი იყო. არასოდეს არ ავადმყოფობდა. ავადმყოფობა მის სხეულზე ფეხს ვერ მოიკიდებდა, რადგანაც ლეოს ყველაფერი ახლოს ჰქონდა; კიდურები ტანის შესაფერისად მოკლე მხრებზე პირდაპირ უკისროდ დადებული, ლამაზი, მელოტი თავი და კეფაზე საგულდაგულოდ აწებებული ყურები. ლეო ერთიანი, შეკრული კაცი იყო მას ყელ-კისერი და წელი არასოდეს არ ატკივდებოდა, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ეს ორი უკანასკნელი საერთოდ

არ გააჩნდა. რაც შეეხება სახადს, მაინც-დამაინც არც ამის საშიშროება ემუქრებოდა, რადგანაც საპნის გამშვები უაღრესად ფაქიზად და წესიერად ცხოვრობდა. ამ ჩიზეზთა გამო ახლობლები ვარაუდობდნენ, რომ ლეოს სულ მცირე ასი წელი მაინც უნდა ეცხოვრა.

უცრად ლეო მახათაძე საეჭოდ ახეცა ცალდა. ჯერ ჯიბეები მოიჭექა, მერე საქანელადან ჩამოხტა და ბალახი გადაქექა. ერთხანს სალაროს ჯიბურში გაუჩინარდა. იქედან აქოშინებულმა მოიბრინა, ერთხელ კიდევ მოიჭექა ჯიბეები, ერთხელ კიდევ გადაქექა ბალახი, მერე სათვალე მოიხსნა და ისე საგულდაგულოდ ჩაჩურთა გულის ჯიბეში, თითქოსდა აღარასოდეს დასჭირდებოდა. დღინჯი გაიკეთა და წყნარად, თავისთვის ჩაილაპარაკა-

— გასამდა.

არეული ნაბიჯით გაემართა ქარხნის გასასვლელისაკენ, მეკარეს განწირული კაცის იერით თვალბში ჩამატერდა და მრავალმნიშვნელოვნად აუწყა.

— ნელნელა მივდივართ, ნელნელა ბოლო გველბა.

არასაუწყებო დაცვის წარმომადგენელმა შუაზე ვახლენილი ქლიავი მაგიდაზე დატოვა და ლეო მახათაძეს თავი ისე მიმხედრიანად დაუქნია, თითქოს საიდუმლო შე-

ტქმულებაში მონაწილეობის დასტურს აღ-
ლევდა.

საპნის გამწვები ქუჩაში არ გასულა, ქ-
შკრიდანვე უკან დაბრუნდა, თავის სამუ-
შათ ოთახს მიადგა, ჯიბიდან ხელებისამო-
ვლებლად, ომწაგებელი სარდალივით ვა-
იარა კაბინეტი, მაგიდასთან მსხდარ მო-
სადილე პერსონალს გადახედა და სააქო-
დან დაბრუნებული კაცის ხმით ამოილა-
პარაკა.

— გასამდა.

გამწვები საამქროს მუშა-მოსამსახურე-
ებს ლუკმა პირში შეაცივდათ, ყველამ ერ-
თბაზად იგრძნო, რომ ლეო მახათაძის სა-
ქმე მთლად კარგად ვერ იყო.

სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა.

ლეომ შეკითხვას არ დაუცადა, არც შეს-
ვენების ოქრო წუთები მოახმარა თავის ერ-
თგულ თანამშრომლებს, ჯენტლემენობის-
თვის დრო აღარ რჩებოდა.

— გასამდება შეტქი და გასამდა. დღეს
დილიდან თითქოსდა ვიღაც დამსდევს. სა-
სლში ცოცხალი მივიდოდე, თორემ არა-
ფერს დავეძებ. ცუდ ფეხზე ვარ ამდგარი.
განგებებს არ უნდა ჩემი დასვენება, ან რა-
ღაც საშინელებაა ჩემს თავს. ამ დილით,
ათის ნახევარზე გამოვედით სახლიდან. ხე-
ლფასი და შვებულების ფული უნდა ამეღო.
მოლარე თორმეტამდე ფულს მაინც არ ვა-
მოიტანს ბანკიდან, მოდი ერთი კინოში
წვევიდეთო, დაიჭინა შორენამ (შორენა
ლეოს ცოლს ერქვა). როდის იყო კინოში
დამყავდა, მაგრამ დაეთანხმდი, საქმე მა-
ინც არაფერი მქონდა. ავიღეთ ბილეთი,
ჩემო ბატონო, დაგვუქით ამფითეატრში,
კარგად, მშვენიერად. მთელი ჟურნალი ტა-
ნის კვრა იყო რაღაცას დღესასწაულობ-
დნენ, აღარ მახსოვს. მომეშალა ნერვები.
ეგებ ფილმმა მაინც გაამართლოს შეტქი.
გათავდა ჟურნალი და ეს ჩემი კნეინა
მეუბნება: ლეო, მე ამ დილას უთო გამოგ-
რთე თუ გახსოვს? მე რა ვიცი, შენ რა
გახსოვს შეტქი? ჩემს პერანგებს აუთავ-
ბდა. მივანერდით სულელებივით ერთმა-
ნეთს. მეომნი გამოვრთეთო, პატარა ხნის მე-
რე მითხრა. „მეომნის“ მოუკვდა პატრონი.

„მეომნი“ მინდა ახლა შეეჩქრისას ხან-
ძარი. შენი რაცა, კარგი დახეყვას, მაგრამ
ხეგებს რაღას ემართლები. ჩვენს სახლში
ოთხმოცდაათი ოჯახი ცხოვრობს. დავტო-
ვე შორენა კინოში და გამოვიძურწე ვა-
რეთ. სად მიხვალო, კარისკაცმა მომადანა.
მოვალ პატარა ხანში, ცოტას გავეისიერებ
შეთქი, აბა შენ იცი, აბა შენ იციო, მომა-
ძანა. ავადმყოფი ვეგონე და შევეცოდე
აღმათ. არიქა ტაქსი! კიდევ კარგი ახლა
ტაქსში თუ ძალიან არ გაუჭირდა, კაციშ-
ვილი არ ჯდება.

ვარგვე, მე ვუთხარი, მეომნი სახლი მე-
წვება, უთო დარჩენია ჩემს ტკუის კოლოფს
შეთქი. აშენდა მისი ოჯახი, მართლა მოუ-
მატა სიჩქარეს. უსიფარ და შიშით ვკან-
კალებ. არის აღმათ ჩვენს სახლში ახლა
წვილი-კვილი. სასწრაფოები და სახანძ-
რო მანქანები, გაგიგებული შეწობლების
ფერილი — მახათაძეებმა, მახათაძეებმა
დაგვლუბეს! შორიდან რომ შეგებდე სახლს,
ცოტა დავმშვიდდი, ეტყობა ჯერ ყველა-
ფერს არ მოდებია ცეცხლი, მთლად დალე-
ბული არ უნდა ვიყო შეტქი. სანამ ლიფ-
ტით მეათე სართულზე ავიდოდი, ჩემი და-
მემართა ვევი უთოს — გამორთულია. გა-
დავრჩენილვართ. ჩამოვედი. ისევ ტაქსს
ველოდები. ტაქსის ფულს დავეძებ? ისე
ვარ გახარებული, თითქოს ეს ჩემი ბინა,
თავის ყველაფრიანად ახლა, ამ წუთში,
ეჩქებინოს ვიდაცას. ბევრი რომ არ გავა-
გრძელო, შევედი კინოში, სიბნელეში ძლივს
მოვეძებნე ჩემი ცოლი. მაყურებელთა სა-
ალერსო სიტყვებს წავუყურე და ის იყო
გვერდით მოვუყავი, რომ „დასასრულიც“
გამოჩნდა. „ნუ იღარდებ, ფილმი კაპიკად
არ ვარგოდაო“, მანუგემა შორენამ. ეს
ჩემი ნერვების გლეჯა ვითომ არაფერი. ახ-
ლა მეორე: ჩამოვდივართ კიბეზე. რაც პე
კინო „სინემას“ კიბეებზე დაშვება მეზა-
რება, გააკეთე კიბე ქრისტიანული. თავბრუ
დაგვხვევა წინ და უკან ტრიალით. ქვედა
სალონს რომ გამოვცდით, ვასილ ამაშუკუ-
ლის ბიუსტი რომ დგას ზუსტად იმ აღ-
გილას, ფეხი ფეხს გამოვდევნი და ცხვი-
რით წავედი თავდადმარდში. შორენამ
იკოვლი: მსუ უხერხულად და გზმეტებით ჯერ

არ წავტყულებარ. თითქოს ვილაყამ ფეხა შემბორკა და რაც ძალი და ღონე ჰქონდა გადამაგდო. მიფერინავ და ვფიქრობ: „რას შერები ახლა? ეს კი ნამდვილად ბოლოა“. დავეცი. ხელები კი მოვახწარი (უ-მენტის იატაკს, მაგრამ ხელები გიმეკლეს?

წვევარ. მაშველად გამოქცეული ფეხების ბრაგუნი მესმის. ესე იგი ცოცხალ ვარ შეთქი და სანამ ჩემამდე მოაღწევდნენ, თვითონ ავდექი, სასწაულით გადავრჩი. არც მოტეხილობა, არაუფრი, ცოტა მუხლები ავიღლიტე და იდაყვი შემიშინდა, რაც მთავარია თავი არაფერს მივარტყი თქვენ წარმოიდგინეთ, სათვალე ორ მეტრზე გადავარდა და ისიც მთელი აღმოჩნდა. გასამდება შეთქი და ა, გასამდა. ისე ავიხდათ ყველაფერი კარგი. პორტმანი მიჭირა ხელში, ჩემი საბუთები — შესაბუნთა კავშირის წიგნაკი, პირადობა მოწობა, საგზური, ფული, რაც მქონდა. დღეს ფული რომ ავიღე, ვთქვი, პატარა ხანს სკვერში დავჯდები შეთქი, ესეც ჩემი სისულელე. წადი თურმე სახლში. როდეს იყო სკვერში რომ ვიჯექი. წყალი მომწვერდა. გაზიან წყალს დავღვევ შეთქი და ნუ-დღეულის საწყობთან რომ ავტომატებია, იქ მივედი. თურმე დაღვი უბრალო წყალი, როდის იყო გაზიან წყალზე რომ სული მიმდიოდა. ავტომატებთან, როგორც ჩანს, ხელყარული მივედი. ეს იქედან ვიცი, რომ კაპიტანს ვერძედი ჯიბეში და კარგა ხანს ვერ ვიპოვე. ესე იგი პორტმანი სკვერში დამჩრა. დაგბრუნდი, ისეც იმ ადგილას დავჯექი და ასე დაასლოებით ნახევარი საათის შერე გამახსენდა პორტმანი. აქეთ ვეცი, იქეთ ვეცი, მარა შენც არ მომიკვდი. ჩემი წყლის დაღვევაში გააქრო ვილაყამ. დავრჩი ასე უსაბუთოდ და უკაპეიკოდ.

— საბუთები არაფერია, — ყრუდ ჩილაპარაკა მხარშავმა. თხელცხვირა შავტუბა ბიჭმა — დაწერ განცხადებას და ახალს მოგციმენ. ფულია საქმე.

— ფული რამდენი იყო? — იკითხა მესაბუნე მერაბ კვასაძემ.

— რაც მქონდა ერთად — შევბუღებინ

ფული და ხელფასი ოთხას რალად იქნა. — გამოჩნდება, ვილაყა იტყუებოდა. არის ასლა ისეთი უხინდისო, ბოლოსდაბოლოს, ქუჩაში სომ არ იპოვა. შენს გვარს და სახელს რომ ნახავს, არაფრით არ წაიღებს. ღეო მასათამე ამ ქარხანაში ყველამ იცის — ცოტა წაიპოპივისტ-წაიმილიქვენელა ნორშადარმა შურა კობახიძემ.

— მე ფული მაფიქრებს, ცოტა რომ ყუფილიყო. შეიმდება დაგბრუნებინა, მარა ოთახის მანეთი ერთად ძნელი დასაბრუნებელია. შეაყდენს კაცს. — განუცხადა მსარშავმა.

— ასლა ამას დაყოვნება არ სჭირდება, სანამ თინე ცხელია, ლავაში უნდა ჩაიყარას, ჯერ ეგება არც კი გასულა თქვენი პორტმანი ქარხნის ტერიტორიიდან. ჩავიდეთ ადგილკომში, მილიციამდე დავერგვით უნდა და რადიომიც უნდა გამოვაცხადოთ. „ვინც იპოვა ამა და ამ ადგილას მოიტანოს თქო“ — ერთმანეთს მიაყარა მერაბ კვასაძემ, სტაცა დაწარალბუღს ხელი და თითქმის სირბილით გაიყოლია.

მილიციის სამორიგეოდან უბასუბეს: „ქურდობის შემთხვევასთან რომ გვქონდეს საქმე, სხვა ამბავია — ახლავე ოპერ-ჯგუფს გამოვგზავნითო. თქვენ თვითონ დაგვიკარგავთ და თქვენს თავს დააბრალებთო. თუ ეჭვი ვინმეზე გაქვთ, გვითხარითო. ღელს ეჭვი არავისზე ჰქონდა და ამიტომაც მილიციის მხრივ მხოლოდ იმის იმედოლა დარჩა, რომ დაკარგვის აქტს შეადგენდნენ და საბუთებს აღადგენდა. რამდენიმე წუთის შემდეგ ქარხნის რადიო წამდა უწუმ აღხადებდა — ღეო მასათამის ფული და საბუთები ვინც ნახა, ადგილკომში მოიტანოსო. გავიდა საათზე მეტი, მაგრამ მიმტანი არ ჩანდა და ღეო მასათამეს იმედის წყალი საბოლოოდ რომ გადაეწურა, სწორედ იმ დროს შემოიტანა დამლაგებელმა ქალმა საპნის გამშვების დიდი შავი პორტმანი. ღეო უკითხავად ეცა დაკარგულ ავლა-დიდებას. პორტმანში ყველაფერი თავის ადგილას იყო (საგზურიც კი), ფულის გარდა. დამლაგებელმა ქალმა დინჯად ახსნა: საპარაკმახერობს გვერდით, ხანაცვე ყუთს ვახუფთავებდი და შიგ აღმო-

ჩნდაო. რადიოს ხმა არც კი გამოიგონია. ბატონი ლეო სურათით მაშინვე ვიცანი და ძებნა დავუწყეო. ფულის შესახებ რომ გაიგო, შეშინდა და ტირილი დაიწყო. ნეტავ მე არ შეპოვა. შეიძლება ვინმემ ჩემზე იფიქროსო, მაგრამ დაამშვიდდეს და ნადლობით გამოისტუმრეს.

* * *

საამქროში ლეო მახათაძეს მერაბ კვახაძეზე უფრო ახლობლები სხვები ჰყავდა. მაგრამ საპნის გამშვების წარალი გულთან ყველაზე ახლოს მერაბმა მოიტანა. სანამ ლეო ადგილკომში სინდისის ქენჯნისგან შეწუხებულ თავის დამღუპველს ელოდებოდა ოთხთხი მანეთით ხელში, მერაბი საამქროს შინაურ მიტიנגზე საპნის გამშვების სასარგებლოდ პრობაგანდას ეწეოდა.

— ყველას შეიძლება ასეთი რამ მოუვიდეს. — ამბობდა მერაბი, — შემთხვევისგან დიდი ხელი არაფერია ვართ. ლეოს ამბავი ყველამ იცით, კაცი ხელფასით ცხოვრობდა. არამია ვინც ის ფული ჩაიჯობა. არ შეერგება, არ უნდა ამას ლაპარაკი, მაგრამ იგი უკვე ფულის დამბრუნებელი აღარ არის.

— რა იცი შენ! — გააწყვეტინა ვილამამ.

— რა დიდი ცოდნა უნდა, ხომ ხედავთ. საბუთები იპოვეს. ურნაში იდო. ესე იგი ფული ამოღებულია პორტმანიდან.

— იქნება ფული სხვა ურნაში ჩაყარა — ისევ ის ხმა იყო.

— კვია მასხრობა, მაგრამ ახლა ლეო მახათაძეს ვკითხოთ, ვმასხრება?

— ნამდვილად არა. — გამოცხადდა ზემრობის მოყვარული. მაგრამ მესაპნეთა მოკუმულ ბავებზე შეატყო, რომ ეს ნომერი არ გამოუვიდა და სანამ ძალით გამაჩუმებდნენ, ჩემით ვაგრუმდებო. გაიფიქრა.

მერაბმა პაუზით ისარგებლა და საჭურველად გადავიდა.

— შევადგინოთ ფული. არ დაიკვირებო. ქვეყანა. დავდოთ ყველამ. შევეშველოთ კაცს. დასვენებას რომ თავი დავანებოთ, უბრალოდ მის ცოლმეილს ამ საფხულზე რჩენა ხომ უნდა. მე ასე მოვიფიქრე. კაცობა თუ მან-თუ მანი დავდოთ. ქალებმა ხუ-

ხუთი მანეთი. ანდა ისე, როგორც თქვენ გადაწყვეტთ. როგორც სურთ, მე თქვენს საამქროში ახალი კაცი ვარ. ყველგან ასე აკეთებენ. მე ასე მგონია.

— რა ამბავია ხუთი მანეთი! — ქვაბის სარქველზე ჩამომჯდარი სამი ქალიდან ერთ-ერთმა დაიძახა.

— ვისაც რამდენი შეუძლია, ვისაც რაგორ უღირს აქ, ძალას არაფერს გვატანს, — დაიბნა მერაბი.

— ახლა რამდენიც დაკარგა, იმდენი ვერ შევეგროვებთ. ამ საამქროში ორმოცდახუთი კაცი ვართ. ქალებს რომ თავი დავანებოთ ყველამ რომ თუ მან-თუ მანი დავდოთ, კაი ოთხას ორმოცდაათი მანეთი გამოვვა.

— ვუვიდოთ მაშინ ერთი ჯიგული და ეს იქნება. — ხელსაყრელ შემთხვევას ხუმარა მესაპნე ხელიდან როგორ გაუშვებდა.

— ყველა კი არ მოიტანს. ნახათ აგერ, ორასამდეც ვერ მოვაგროვებთ — უკან არ იხვედა მერაბი.

— თუ მანი ნამეტანია, ცხრა თუმანი ვღებულობ მტკს კი არა მე! — გამოაცხადა ახალგაზრდა კაცმა, რომელსაც შუალზე ბერეტი ჩამოფხხატა და თვეში მართლა ცხრა თუმანს აძლევდნენ.

— არ დაღვე ერთ ბოთლ კონიაკს და ეს იქნება. რა ბეგია, შე კაი კაცი. — მერაბს პასუხი თვითონვე ესიამოვნა, მაგრამ ვერ წარმოიდგინა რა ხალხში ჰქონდა საქმე და რა სიტყვა ელოდა.

— თუ მახეა, ორ ბოთლ კონიაკს არ დავეღვე. და ოცი-ოცი შეგვირიბოთ — დაძახა ბერეტიანმა და მუშების ხარხარში ბერეტი შეატრიალა.

— მოკლედ რა ვქნათ, ვინდათ ამ კაცს დავეხმაროთ. თუ არა? — ილაჯი გაუწვდა მერაბს და გაიფიქრა, ვინ მავალებდა, რა სათაბლაში შეერეოთ თავი.

— გვინდა! გვინდა! — ერთხმად დაიძახეს.

— აბა მოვიტანოთ, ხვალ დილით, რაგორც ვთქვით ისე, და ჩავაბაროთ ვინმეს. ჩამოწეროს სია ერთმა რომელიმე.

— რაშენა?

— ვთქვამთ, ქალბატონმა შურამ.

— არა გენაცვალე, მე მოვიტან ჩემ წილ ხუთ მანეთს და ჩაბარებით სხვამ ჩაიბაროს — ქვა ააგდო და თავი შეუშვია შურა კობახიძემ.

— რატომ? — გულუბრყვილოდ ჰკითხა მერაბმა.

— არ მინდა ფულთან მქონდეს საქმე. შენ ახალგაზრდა ხარ, შვილო ჯერ, ჯერ არ იცი, რას ჰქვია ფულთან საქმის დაკავება.

— კარგი, ბატონო, მაშინ კალე ჩაფიქემ ჩამოკრიბოს, ბრიგადირია მაინც — გამოსავალი იპოვა შესაძენე.

— ერთხელ გავეყვი ამნაირ ხათაბალაში თავი და დაბადების დღე ვიწყველე. მაგის თავი მაქვს მე? — სხვამ ითავოს და ჩემსას გადაკეთებ.

— კი მარა ასე ძნელა ახლა ვითომ ეს საქმე? არ ვენდობით ერთმანეთს, თუ რაი? შენ ვერ აკრიბავ, ბიჭო, მაგალითად? — მიუბრუნდა მერაბი შეტუხა მხარშავს.

— ვერა, ვერა, დამეზნევა ფული და საფორთხე გავეზნებო. ვიცი ჩემი უბედური თავის ამბავი. რათ უნდა ამას ამდენი ჰბატონი. შენ წამოიწყე ეს საქმე და ფულიც შენ უნდა ჩამოკრიბო.

— კაი ბატონო, რაკი დაიქცა ქვეყანა, მე ჩამოვწერ სიას, — კვება მოიფხანა მერაბმა და ღვთის წინაშე სიმაართლე უნდა ვთქვა, ფულთან საქმის მიცემა მერაბსაც არ უნდოდა.

— კი მარა, ერთს ვიტყვი ახლა მე ამ ფულს რომ ვკრიფავთ, იცის იმ კაცმა? — იკითხა შურა კობახიძემ.

— არ იცის — თქვა მერაბმა.

— აბა თუ არ იცის, ვგება არაა თანახმა. ყველა კი არ მიიღებს ასე ჩამოკრეფილ ფულს. თქვენ ლეოს ხასიათი არ იცით. არ იწყინოს, კაცო, შეურაცხყოფად არ მიიღოს.

— ახლა წინასწარ ვერ ვეტყვი, შურა დეიდა, ფულს გიკრიბავთ მეთქი. ლეო თევთყვარე კაცია. მივეყმით ისე მოხერხებულად, დაუმაღლებლად. ასეა ყველგან. არა მგონია უარი თქვას — განუმარტა მერაბმა.

— არ ვიცი მე მე მაგალითად ასე შევულონ როვილ ფულზე უარს ვიტყვოდნო მტრის ვალს დავიდებდი და სამოწყვლოდ არ გავიხდიდი საქმეს — თავისი თქვა შურა კობახიძემ და წამოდგა.

წამით სიჩუმე ჩამოვარდა.

— არ უნდა აჩქარება ამ საქმეს. მილაციამ იცის უკვე. იქნება დაიჭირონ, ვინც ლეოს ფული მოიპარა — დაიწყოს მხარშავთა ბრიგადის თავმა კალე ჩაფიქემ.

— მოიპარა კი არა, იპოვა — გაუსწორა მხარშავმა.

— მოიპარა, მოიპარა დიხაც. პოვნა ჰქვია რომ იპოვი და ირგვლივ რომ არავინაა. აქ, შე კაი კაცო, ჩვენს ოჯახში, პორტმანი დარჩა კაცს სკამზე. გახსნა ვილცამ, ნახა ვისიც იყო. საშუთებს ურნაში გადაუძახა და ფული ქე დაიტოვა. პარგაა, აბა რა ჯანდაბაა ეს. მილიცია თუ მოინდომებს, ერთ საათში იპოვის იმ ფულს.

— როგორ, მაინც, რანაირად? — არ მოეშვა ბრიგადირის შეტუხა.

— რა ვიცი მე რანაირად, მაგენს სპეცი-ალურად ასწავლიან, როგორ უნდა მოიქცნენ ასეთ შემთხვევაში. მე, მაგალითად, ჩემი მოკლე გაგებით, ასე ვიზამდი: ჯერ შემოსასვლელში გაგარკვევდი ვინ შემოვიდა დღეს უცხო კაცი. მაგრამ აქედანვე ვიცი, რომ ეს საქმე შინაურის გაკეთებულა. გარედან მოსვლელი სკვერში არ გავა. იმას ან დირექციაში აქვს საქმე, ან პარტკომში. ბაღში ჩვენ გავდივართ. ახლა წესიერი, ღმერთო შევცოდე, და, მაგის გამკეთებელი არ არის. ის ფული წაიღო ცოტა იპნაირმა კაცმა, ლოთმა, უბედურმა, ან მთლად ახალგაზრდამ და უკუკომ. ასეთი ახლა ბევრი არაა ჩვენს ქარხანაში ისედაც რა ვართ, ცოტა ვმუშაობთ. პორტმანის დაკარგვა თორმეტიდან პირველამდე — შესვენების დროს მოხდა. კარისკაცმა ხომ იცის, ვინ გავიდა იმ დროს კარებში. უმეტესობა, ხომ სწორია, აქვე ვსადილობთ. ერთი ხუთი კაცი თუ გავიდოდა. იქედან ოთხი მართლა სასადილოდ გავიდა, ერთმა კი შეიძლება ფული გადასალა, აქ არ მოპოვონო. ხუთივეს უნდა უთხრას ვინ მომძებელმა, დაგინახეთ პორტმანი რომ იპოვე

და ჩუმად დააბრუნე, არ დაგიჭერთქვა. უკვე ჯერად დააბრუნებს.

— კი, კი იმ წუთას — სასაცილოდ არ ეყო ეს ვარაუდი შურა კობახიძეს — იმას, ვისაც ფულის წაღების თავი აქვს, იმის შიშაც აქვს უარი თქვას.

— არა, ჭალობატონო შურა, — დინჯად განაგრძობ ბრიგადირმა, — გააჩნია რანაირი გამოძიებელი იქნება და რანაირად ეტყვის. ახლა ხომ ფაქტია, რომ ეს საქმე პროფესიონალი ქურდის გაკეთებული არ არის. პროფესიონალი ქურდი საპნის ქარხანაში არ დაგიწყებს მუშაობას.

— ვთქვით, გარეთ არ გაუტანია და აქვე აქვს ფული. მაშინ რა ვქნათ? — იკითხა მერაბმა.

— მაშინაც ეშველება რაღაც. გამოძიებულმა უკეთ იცის, ის რამდენიმე ვჭეშტიანილი ცალ-ცალკე უნდა გაიყვანოს სამიქროდან, ვითომ სალაპარაკოდ, და ამასობაში იმათი სამუშაო ადგილი ან ტანსაცმლის კარადები უნდა გაჩხრიკოს ვიღაცამ.

— შენ ხომ არ გაგიჟდი! — არ დაეთანხმა კედელს მიყრდნობილი უზარმაზარი შავ-წვეროსანი მესაპნე. — კაცის განხრეკა შენ ხუმრობა ხომ არ გგონია. უსანქციოდ თავს ვინ გაგაჩხრეკინებს.

— მე იმ განხრეკას კი არ ვაზნობ. მე ვიძახი ისე, ჩუმად. გაუფრთხილებლად კარადებში შეხედვას. შე კაი კაცო, ყველა დამლაგებელს აქვს ჩვენი გასაღები და დილას რომ მოვდივარ ამოყიარებულა მხედვება ჩემი უჯრები. განხრეკა არ არის ეეს? აბა რაია!

— მერე ამდენი თუ იცით, ვერ დაუძახეთ მილიციას? — ნოდარმა კვლავ მაიქცია ყურადღება.

— დაუძახებს, მაგრამ ასეთ უბრალო საქმეზე ჩვენ არ დავდივართო. მაგი თქვენ თვითონ გარკვეითო. ვეჭვი თუ გაქვთ, ვინმეზე, გვითხარით და კი ბატონოვო — ჩაივრია მერაბი.

— ესე იგი, თუ მოძებნით თქვენ თვითონ ქურდს, მერე დაჭერა ჩვენზე იყოსო არა? — გაიცილა შავტუხა მხარშავმა.

— მოკლედ იმ დღეს საპნის მხარშავთა სამიქროს საქმე გაუჩნდა. სხვაც ბევრი რამ

ითქვა, მაგრამ ნოველის კეტორს მიმჩნია. რომ დანარჩენი მოსაყრდელად [ქართული] ღირს. კიდევ მეტი, მას ეჭვი ეპარება, ვანა რაც აქამდე ვიამბოთ, ასე მნიშვნელოვანი იყო ამ პატარა ნოველისათვის?

* * *

მეორე დღეს მერაბ კვახაძე ჭალობატონო კალმით ხელში სამიქროს ჩან ერთ კუთხეში გაილეგებდა და ხან მფიროვნი. ფული ძალიან ნელა გროვდებოდა. ზოგიერთი ჯერ სიას ჩამოართმევდა, მაშვენე აბა რამდენიმე მოითხანო, მერე ცოტა ხანს დაფიქრდებოდა და მშვიდად ეტყოდა: ხვალ მოგიტანო. — მე კი ნუ მომიტან, ჩემთვის კი არ მოგაქვს, ლეო მახათაძეს ვუვროვებთ და ამოღამ მატარებლით მიდის ის კაციო — ვაწიწმაცდებოდა მერაბი. — არ გამოძევა უბეჭე და ჩამოიციდე ახლათ — შარზე იყო მესაპნე, — თუ გაქვს დადვი ჩემს მაგივრად შენ და როცა მექნება, გაგისწორდებითო. ფული ძალიან არ არის, მისით რომ გამოგვევს. უნდა წამოგედო და გვეწებოდათ, — ამ ცოტა არ იყოს გაცვეთილი ფრანკით ნესტრავდა უპასუხისმგებლო მესაპნეს მერაბი და გაეცლებოდა.

შესვენებამდე წუთები იყო დარჩენილი. შურა კობახიძემ მაგიდასთან თავდახრალ მერაბს მხარზე რომ დაადო ხელი და განზე გაიყვანა.

— რა იყო, შურა დეიდა?

— მერაბ გენაცვალე, შენ დარწმუნებული ხარ, რომ ლეო მახათაძემ მართლა დაკარგა ფული?

მერაბი შეცბა.

— როგორ გეკადრებათ, შურა დეიდა!

— რა იცი? მე კი არ მეკადრება მარა, დღეს კაცი არ ინდობა. გაფუჭდა ხალხი. ვინ იცის იქნებ დასახვეწებლად ფული დაჭირდა და... —

— მე იქ ვიყავი, დამლაგებელმა პორტმანი რომ შემოიტიანა.

— ჰოდა, დაედებულს ჰგავს ის პორტმანი.

— ვის დაედებულს?

— პატრონის. რა ამბავია ოთხასი, შე კაი, კაცო, იქნებ ორასი დაკარგა და თა-

ხას ამბობს. შემიგროვებენ მაინცო. შეი-
ლებს ვფიცავარ, მე რომ დამეკარგა, ხმას
არ ამოვიღებდი. ვითომც არ მქონია, მო-
რჩა და გათავდა.

— კი მაგრამ... ეს რანაირად... მე ახა-
ლი კაცი ვარ... ასე იცნობთ თქვენ ლეო ნა-
ხათაძეს.

— ჩვენ ძალიან კარგად ვიცნობთ, მაგრამ
ხომ გითხარი დეიდა, გაფუჭდა ხალხი, აღა-
რავა ის ძელი სინდის-ნამუსი-

— გუშინ ვერ თქვით ასე?

— მე არც დღეს არ უნდა მეთქვა, გე-
ნაცვალე, მაგრამ ყურები გამომიჭედეს.
მთელი საამქრო ასე ლაპარაკობს; არაფერი
ფული არ დაკარგულა მახათაძემ თავი მო-
ინაწყლაო.

შურას პასუხისთვის არ დაუცდია, ვილა-
ცას ჰქვია თვალი და მერაბს სწრაფად გა-
ველა.

თვთრ, ჭათქათა საპირფარეშოში შესვე-
ნებისას ხელს რომ იბანდნენ, მერაბი შა-
ტუხა მხარშავდა დაიმართლებდა.

— ნეტავი შენ არ გარეუღიყავი ამ საქ-
მეში.

— რა საქმეში? — ჰკითხა მესაბნეში.

— მახათაძის ფულის საქმეში. დღეს
ერთ-ორს ჰე ვაგინე შენი გულისთვის და
ვილაცას იქნება მოეუჭმევ ყბას გვერდ-
ზე.

— რა უნდათ?

— რა და, ხომ იცი, ბნელი ხალხია, რას
ხტუნავს მაგიო, ერთმა თქვა, ვითომ თავს
აფვარებს ახლა მახათაძისო? ვითომ ეს გა-
მოგვივიდა ყველაზე კეთილი და ყველაზე
კვი ბიჭი ამ საამქროშიო. ლეოს აქ უფრო
ძველი ძმავაცები ჰყავს და იმათთვის უნ-
და ველაო. ვინ ჰკითხავს მაგას, ჩვენ
ფულს შევავროვებთ თუ ყავარს მივეუტანთ
ხახლშიო.

— მთელი საათი არ ვფეროვდი გუშინ,
ვინ შეავროვებს, ვინ წამოწყერს სიას მეთ-
ქი? იქ არ იყო სუყველა?

— უბედური ხალხია. გაგება არა აქვს
ნახევარს. ვე კი არა, ასე მოთხრა ერთმა,
მაგ რალაცა ისე წირიალებს, თვითონ ხომ
არ იპოვა ის ფული ნეტავიო.

მერაბს კვრ გაეცინა, მერე ერთბაშად მო-

3. „მნათობი“, № 12

იღუმა და შავტუხას სახელოში სტაცა—
მითხარი ვინ გითხრა და, რუმბიტოთ გავე-
ხდი ცხვირ-პირს! ეს ყიამყრალეობი! ვა-
მა კაი საქმე არ უნდა გააკეთო? ისე ნახა
ხვირი მაგის გვარმა და ჯილაგმა, რაგარც
მე ის ფული ვიპოვე.

— ყოფილიყავი შენთვის. არ გამოდ-
წა წინ გამოსვლა და ცანცარი ამგნთან.
იმიტომ იყო ფულის შეკრებაზე ყველამ
უკან რომ დავიხიეთ. რა უნდოდა მაგ საქ-
მეს, მაგრამ ვიცი მე აქაური ამბავი-

ნამუადღევს ლეო გამოჩნდა. მერაბმა
ფული გადათვლა, ას სამოცდახუთი მანე-
თი შევტოვილიყო. დაღონებული საბნის
გამშვები ღერეფანში გამოიყვანა და ხიი-
ნად ჩაუნურთა ფული ხელში. ლეომ ბევრი
იუარა, მაგრამ ბოლოს მაინც მიიღო „მე-
გობრული დასმარება“ (მერაბმა ასე აუხს-
ნა) კარგადაც მოიქცა. მის მდგომარეობაში
კულაბზიკობა და „ღმერთო კი მომკალის“
თამაში სისულელე იყო.

საბნის ჭარხანაში კიდევ ერთი საინტე-
რესო დღე ჩაბარდა წარსულს.

სამეტა ბიუროს რომ გამოცდნენ, კალე
ნაფიქმ ხელი გამოსდო მერაბს.

- რომელი მიდიხარ?
- ოთხი ნომრით.
- ჰო, ერთი გზა არ გვექონია, მე იქა-
ვარ წასასვლელი. რა ქენი, მიეცი ფული?

- კი.
- რამდენი იყო?
- ასსამოცდახუთი.
- თქვა რამე?
- დიდი მადლობაო.
- ხიაც მიგეცი?
- აბა რას ვიწამდი.
- ხიაც გამოგართვა?
- კი.
- კაია, ნახავს ვინ რა კაცია. ვის ყო-
ფნის კაცობა, გასაჭირში მყოფს ხელი გა-
უწოლოს.
- სწორია.
- ასე რომ იცოდე, ვინც არ მოიტანა.
არც ისაა გასამტყუნარი- ეგება გულით
უნდოდა დახმარება, მაგრამ არ ქონდა და
რა ექნა.
- ჰო, — თავი დაუქნია მერაბმა და

გაიფიქრა, ბრიგადირს რაღაც უფრო მნიშვნელოვანი აქვს სათქმელი, ამისთვის არ გამოიყვებოდაო. არც შემცდარა.

— ჩვენს შორის დარჩეს და ვინც მოიტანა, არც ისაა ყველა ერთნაირი. გლახა იმათშიც ურევია. რა თქვა ერთმა თუ იცი?

— რაო?

— მერაბ კვახაძემ ფული გადაუღწია ლეო მახათაძესო. სია არ მოუცია და ვინ გაიგებს რამდენი შეგროვდაო.

მერაბი რაღაც უსიამოვნოს ელოდა, მაგრამ ასეთ საშინელებას თუ დასწანებდნენ. ვერ წარმოედგინა.

— აგერ მაქვს სია! მეორე ცალი გადავწერე, ყოველ შემთხვევისათვის! ეს რამ აფიქრებინათ! ფულის გადამღწევს ვგავარ მე? ხვალ მოშავედებიან სამსახურში და გაეარაკვევ ყველაფერს. მოდი თუ კაცა ხარ, შენ დაურევე ლეოს ამაღამ ნუ წაკა და იმ სიიანად ხვალ მოვიდეს.

— კაი კაცო, სალაპარაკოდ არ ღირს!

— რა თქვი?! — გაღურჯდა მერაბი — ამას მოგიტყენ მე?! ასლავე ჩემს თვალწინ დაურევე, თუ ჩემი სიკვდილი არ გინდა!

ორკაბიკიანი მოძებნეს და ტელეფონის ჯიბურისაკენ წავიდნენ. **ერქონესელი ზიზლიოთისა**

* * *

მეორე დღეს ყველაფერი გაიკვავა. შესვენებაზე ლეო მახათაძემ წაიკითხა სია და იკითხა: სომ არეინ ხართ შემთხვევით გამორჩენილიო. მერე მერაბ კვახაძემ წაიკითხა თავისი სია. ერთი სიტყვით, როგორც მოსალოდნელი იყო, მერაბი ყველაფერში სწორი აღმოჩნდა.

— დიდი შადლობა დახმარებისათვის. მაგრამ ფული უკვე ვისესხე და გთხოვთ ამ სიით ყველამ უკან დაიბრუნოთ, — თქვა ლეო მახათაძემ, ფული მაგიდაზე დადო და გავიდა.

— ჩემდა თავად თქვენს გვერდით მე აწი ვლარ ვიმუშავებ, სხვა საამქროში გადავალ, ან სულ წავალ აქედანო. მტკიცე გადაწყვეტილებით თქვა მერაბ კვახაძემ და საპნის მხარშავს მიჰყვა.

ასლა ჩვენ ვიკითხოთ — მთელ ამ ამბავში ყველაზე მეტი დანაშავე კალე ჩაფიძე არ არის? კალეა დააპირე ენას კალი. იყავი შენთვის. რალაზე უმღერევე გულ-მუცელს ამ იხედაც დაღლილ ხალხს.

306 დახმეხმეს...

დიდმიწელებმა იგი აღრევე შენიშნეს და შორიასლოს ცნობისმოყვარეთა კარგა მოზრდილი ბრბო მიჰყვებოდა. დაბალი ტანის კაცი იყო, ტყავის სერთუკი ეცვა და თავზე უადგილო ადვილას გაკეცილი, ფერგადასული შლიაპა ეხურა. სოფელ დიდმიწის მცხოვრებნი სტუმრიანობას მიჩვეულნი აყენენ და მისი უცნაური საქმიანობა აჩერებდათ, თორემ კარგა ხანია დაკარგავდნენ ინტერესს შლიაპოსნიდაში. სტუმარი კირველივ მყოფთ ურადლებას არ აქცევდა, ელექტრონის ბოძების დანომრით იყო გართული. ავტობუსიდან რომ ჩამოხტა, ტყავის ჩანთიდან ცარცი და უბის წიგნაკი ამოიღო, პირველივე ბოძთან მივიდა და

„35“ დააწერა. მერე საწერ-კალამი იმიშვლა და უბის წიგნაკში რაღაც ჩაინიშნა. სამუშაო იარაღი (ცარცი, უბის წიგნაკი, საწერ-კალამი) მარჯვენა ხელში ჭირა. ელექტრონის ბოძს ჯერ შორიდან შეათვალაერებდა, კალამს დაუმინებდა და ცალთვალს მოქუტავდა, მერე მტკიცე გადაწყვეტილებით მიუახლოვდებოდა და ნომერს დააწერდა. დიდმიწელები მაშინ უფრო არწმუნდნენ სტუმრის საქციელის მთელიდუმალეობაში, როცა „39“-ის შემდეგ ელექტრონის ბოძს „221“ დააწერა, 221-ს რატომღაც „7“ მიაყოლა, ხოლო სოფლის მოედანზე, კლუბის გვერდით აღმართულ ბოძს ნომრად „511“ ერგო. აქ კი



ვედარ მოიხილა ვიქტორ მაისურაძემ, — შრომისმოყვარე მეხინინლე ვლენმა, ზრე გარდგება და სტუდენტის წინ დაუდგა.

— ამ ნაძებს შორიდან მოკვებით, ბატონო?

უცნობმა რატიანმა თრით თითით აიწია შოიბა და ვიქტორს დიდი, ცხიფერი თვალით წყნარად, ვიქტორმა წვეთივას კი ელოდა, ნაგრამ მთლად ასეთ გულუბრყვილას არა, ანტიმად სფრთხილ პასუსს სუმირობა აქაობინა.

— რომ გიბარა, ამ ბოძებზე თვლას ვსწავლობ-მეთქი, დამიჯერებ?

ვიქტორმა სურეს უკან მოუთოკავი, სოფლური ხაპარაი გაიბა.

მაისურაძემ ქუდი იწვლია, თმაშეთხელეულ თავზე ვემა ხელისგული ჩამოასკა და ინტიბარი არ გაიწვია.

— ხელობა იოლი აფირრევიათ, პატავცემული!

— ჟურჯერობით არ ვემდური. — დაუგლო ტყავის სფრთხიანა და შემდეგი ბოძისკენ წავიდა. ის სორი კი ზედ კოლმეურნეობის კანტორას კარბთან იდგა, ბრბო უკან მიპკვა. უცნობის სემირბინარევიმა ბახუნმა დიდმიწვლები ვათანამა. ახლა ისინი უფრო ახლოს მოკვებოდნენ. ვიქტორ მაისურაძე კი გვერდით, ხელით გადადებამზე მოცილებდა. რატი სტუდენტმა უკანასკნელ ბოძს „725“ დააწერა, ფრთხილად ხიჩუმე ჩამოგარდა. ველოანი მიხედნენ, რომ უცნობი არ ხუმრობდა. ნირწამდარმა მისურაძემ შემკრთალი ხმით ამოღერდა.

— გვაპატიეთ, ჩვენი სიყრვევი, პატონო, მარა...

— რა მარა? — გაზეთის ნაგლევი ამოიღო, ცარცი ვაახვია და შარდლის ჯიბეში ჩაიღო, უბის წიგნაკი და კალამი ტყავის ჩანთაში საიმედოდ შეინახა და ხელებს ფერთხვით პირდაპირ ხალხისაგან წამოვიდა — ეს ბოძები დროებითი გაბლავთ. სპერთოდ, ელექტრონიისთვის ხის ბოძები რეკომენდებული არ არის — სინოქის მიაყურა და განაგრძო — ლპება. უნდა გამოვკვალთ. ამ დღეებში რკინისას ჩამოგიტანთ, შევევლით და იქნება და იქნება — გაიღიმა, თითები ერთმანეთს გაუყარა და თავა-

სი სიტყვით უადრესად ნასიამოვნები კაცის იერით დაამატა: — ასე ახარს სტუდენტის ბიბა?

— აუაწვიათ ღმერთმა! — დაიბახა ელცამ. ამ გულწრფელ მადლობას უცნობმა დიმილით უბახუნა დიმილი მართლაც მომზიბელები პტონდა. დასვეწილი. გამოიმეტველებმა კი არ ეცვლებოდა, თვალბირთ კი არ იღიმებოდა — ლამაზი ტუქ-კბილით. მარცხენა ღოყაზე ნაჭრილობევი აწინდა და დიმილის დროს თრად ვყოფიდა.

— ამ ბოძებს რას უსამთ? — ვიქტორ მაისურაძე პრაქტიკული კაცი იყო. ბრბო იხვე გაისუხა. ეტყობოდა ბოძების ბედი სხვებსაც აინტერესებდათ.

— ხომ გითხარით, რკინის ბოძებით შევევლით მეთქი, — უყურადღებო მოწაფეებზე გამწყრალი მახვებლების ტონით თქვა უცნობმა.

— ეგ კი გავიეთ, მაგრამ მერე ამ ბოძებს სად წაიდგენთ მეთქი, — კეფა მოფხანა მფინინდემ.

— მოვუნახავთ ადგილს. — გაიღიმა ელექტრონის ბოძების გამოცვლის ოსტატმა.

კოლმეურნეებმა კანტორის წინ აღმართულ ბოძს ერთდროულად მიაპყრეს თვლები. წარმოიდგინეს რკინის ბოძით შეცვლილი ეს ღარივით სწორი, მახუთით ვაპონილი სხ ბოძა, რომელიც მშვენიერ ღარბეცხნად გამოადგებოდა.

უცნობმა კიბზევა-პასუხის საღამო დამთავრებულად ჩათვალა და ის იყო კანტორის კიბეებს უნდა აპყოლოდა, რომ ვიღაცამ შეაჩერა.

— იქნებ ჩვენთვის მოგვეციათ ეს ბოძები, პატივცემულო?

უცნობი შეჩერდა, გაქვავებულ ხალხს დააკვირდა და ხმაშაღლა, დეკლამატორივით გამოაცხადა:

— ამ ძველ ხის ბოძებში ფულს როგორ გამოგართმევთ, თუ ძალიან გჭირდებათ, გაინაწილეთ და თქვენი იყოს, თონდ — აღრიალებული ბრბო ხელის შემართვით დააწერა — ორი სათხოვარი მაქვს. პირველი — გაყოფის დროს ჩხუბი არ მოგივლეთ, თითო ბოძი ევლეა ოჯახს შეხედეს.

მეორეც — ხანამ რკინის ბოძები არ დაიდგმება, ხელი არ ახლოთ. მავთულებს ახალ ხაზზე რომ გადავამონტაჟებთ, მერე ამოყარეთ ბოძები და წაიღეთ.

მადლობაც კი არავის უთქვამს. ბრზის წრას და მოწყობა ადგილს და გაიქცა უკნობი კარგა ხანს იდგა კიბეზე და ფელდმარშალის გააყურებდა შუკასი თავდადებულ დაშვებულ სოფლებს. პირველივე ბოძთან ამხანაზა გალიფისმარჯლიანმა კოლმეურნიმ მიიბრინა და ბოძს ხელები შემოხვია, ეს იმას ნიშნავდა, რომ ბოძი მისი იყო. სხვებს იქ არა ესაქმებოდათ რა და სხვა ბოძისაკენ გაიქცნენ. ელექტრონის ბოძების განაწილება, ცოტა არ იყოს, ჯუნგლის მეთადით ხდებოდა. ბოძის მუპატრონე რომ გამხდარიყავი, ამჯერად ჭკუა-განათლება ვერას გიშველიდა. უბრალოდ, არც მეტრ, არც ნაკლები, მგლის მუხლი უნდა გქონოდა.

უცნობმა შლიაბა გაისწორა, ელექტრონის ბოძზე მონადირეთ ერთხელ კიდევ დამილით გახვდა, თავი გადააქნია და კიბეს აუყვა.

კოლმეურნობის თავმჯდომარის კარებს მიადგა, მაგრამ გამობრუნდა და აივანა ხელმარცხნივ გააყვა. დიქით ხელში მიშავალი ქალი შეაჩერა და ხელი გაუწოდა. შემკრთალმა ქალმა მარჯვენა ხელი წინსაფარზე აისე-ჩამოისხვა და ისე გამეტებულად ჩამოართვა, თითქოს ამ წელიწადში მეტი მისალმება აღარავისთან აღარ მოუწევდა.

— ჩვენთან თავმჯდომარედ ხომ პარმენია ისევ?

— პარმენი ბატონო, კაკაბაძე — სახე გაუნათდა დამლაგებელ ქალს, რაკი ასეთი იოლი შეკითხვა აკმარეს.

— თავმჯდომარედ მაგი...

— ორი თვის გადმოსულია, ბატონო, ფერმაში არ მუშაობდა ზევით?

— დასწყველოს ღმერთმა. კაცს ჭადის სახელი დაავიწყდაო, ვებრძები, ვებრძობა.

— რაღა გეკადრებათ, ბატონო.

ქალმა თვალი გააყოლა ბუკების რხვეთ მიმავალ უცნობს და თავის ფიქრებში და-

ასკენა, რომ იგი დიდი — დიდი არმოსდაათის იქნებოდა და ამ ასაკის ასე უარგად შენახულ კაცს სიბერის შიში ჯერ კარგა ხანს არ უნდა აქონოდა.

თავმჯდომარეს ბურთივით მრგვალი, ნაცვავილარი სახე აქონდა. ოწინარივით აღმართული წარბები უნაოჭებო შებლზე სამკუთხედს ქმნიდნენ. ბუდიონისებური უღვაშები ლამის ყვრიმალეზამდე წვდებოდა. თაფლისფერი, თვინიერი თვალები აქონდა და ხმის ჩახლენამდე ჩაპყვიროდა წინ მდგომ, ფართოყურებიან კაცს, ხელმძღვანელის რისხვისაგან დაბნეული დაბამბული ქურთუკის საყელოში თანდათან უფრო ღრმად რომ მიძვრებოდა.

— ჩემთვის ერთი ხართ სუყველა! მე არავინ არაფერს არ მიაპატიებს. თუ მუშაობა გვინდა, ასე უნდა ვქნათ, თუ არა, დავისურვოთ ქუდი და წავიდეთ სახლში!

— რა უნდა ვქნათ? — გაუბედავად ეკითხებოდა მსხვერპლი.

— რა და უნდა შევთანხმდეთ. სხვანაირად ჩვენ ვერ მოვრიგდებით.

— რაში უნდა შევთანხმდეთ?

— რაში და მე რომ დამიბარებენ და მეტყვიან, რა პქნით, მე შენ გეტყვი, რა პქნით თქვა. მე რომ დამიბარებენ და მეტყვიან დაუქარეო, მე შენ გეტყვი დაუქარეთქვა. მე რომ მომცემენ საყვედურს, მე შენ მოგცემ საყვედურს, მე რომ შემაგინებენ, მე შენ შეგაგინებ! — თავმჯდომარე ამ სიტყვებს პათოსით ამბობდა. თანდათან ხმას უწევდა და „შეგაგინებ“, მან უკვე ფსხვე ამდგარმა წარმოსთქვა.

სტუმარმა სწრაფად გაიპარა, რომ ამ ორი ამხანაგის ინტელექტუალური საუბარა სახარბილო დღეს არ დააყრიდა თავმჯდომარის გუნებაგანწყობილებას, ამიტომაც სახვეზე ნაკადი ღიმილი აიფარა და უფროსისაკენ ხელგაშვერილი წავიდა.

— სიცოცხლე ჩემს პარმენს. ისევ შენი სტუმარი ვარ, მარა ამჟამად კაი საქმეზე. რომ გავგებარდება, ისეთ საქმეზე. სხვა კარგად ყოფილხარ იხე მიხარია, შვილებს ვფიცავარ, სულ კარგე ამბები რომ მოდის შენზე დედაქალაქში! — ტყვიამფრქვევით მიაყარა სტუმარმა და მსაპინძელს

გონზე მოსვლის საშუალება არ მისცა. ამ სიტყვების თქმაში გადააკოცნა კიდევ, შლიაპა ლურსმანზე დაჰკიდა, ხშირი, წაბლისფერი თმა თითებით გადაივარცხნა, მოშავო ტყავის ჩანთა მავდიდაზე წინ დაიდო და საკეტი ააჩხაკუნა, რითაც თავის თავს საქმიანი კაცის იერი მისცა.

— როგორ ვიქნები, ამგენის ხელში. თუ თავზე არ დაადექი, კაციშვილს არ უნდა მუშაობა, ზვეით კიდევ, მე მთხოვენ პანუსს.

— რასაკვირველია, რასაკვირველია, შენ ძველებურად მოითხოვნი დარჩი, ჩემო პაპმენ, თორემ მუყათით ხალხი კი არ გაკლავია. შენ სხვაგან უნდა იკითხო. სადაც კი დაფიქრდით, მეტს რას ვსვდებით. მეტი რა ვიცით. ეს ამხანაგი?

— მებოსტნეობის ბრიგადირია. ასე მაყუფებს ყოველდღე. მე მკლავს და თვითონ ქვა კაჭივით — თავმჯდომარე უცნობს თვალს არ აცილებდა და ცდილობდა მოეგონებინა, სადა უნახა ეს კაცი, ვერაფრით ვერ მოიგონა და თავის თავს გაუწყრა. ბრწყინვალე მესხიერებაც რომ ჰქონოდა, მაინც ვერ მოიგონებდა, რადგანაც თავმჯდომარე და სტუმარი დღეს პირველად ხედავდნენ ერთმანეთს. უცნობმა იგრძობა გურგველობის ბურუსი მასპინძლის ხმასა და გამოსუდგამი, ჩანთა გახსნა, ქაღალდები ამოალაგა და მშვიდად თქვა.

— მე, ჩემო პარმენ, ხომ არ დაგავიწყდით, კაკო რატიანი ვარ. კაი ხანია ერთმანეთი არ გვინახავს და მე ვთქვი გადაგავიწყდებოდით მეოქი, მაგრამ ისეთი შეხვედრა, ჩვენ რომ გვქონდა, იშვიათია ცხოვრებაში და სამუდამოდ ამახსოვრდება კაცს. იმ უბრალო ვახშამი არ იყო, ფიცი იყო მშობის და მეგობრობის. მე ასლა გეოლოგიური პარტიის უფროსად დამინიშნეს. ამ თქვენი სოფელში შექნება შტაბი და, მე მგონი, ერთმანეთს თუ ხელს გავეუშართავთ, თორემ შემოვლით არ შევეშლით.

პარმენს მაინცდამაინც კარგად კი არ ჰქონდა წარმოდგენილი, რა უნდა ეკეთებინა გეოლოგიურ პარტიას სოფელ დიდმინაში. მაგრამ რაკი ფაქტის წინაშე აღმოჩნდა, მასპინძლის იერი დაიმშვენა.

— მობრძანდით, ბატონო, თქვენი ხმალი და ჩვენი კისერი. რამე სასწიროს უნდა აქნას?

— ნავთს ვეძებთ, ჩემო პარმენ.

— იქნება ვითომ ნავთი ამ ჩვენს შემოგარენში?

— უნდა იყოს, წინასწარი ვარაუდები ასეთი გვაქვს. ჩავატარებთ სამძებრო სამუშაოებს, თუ აღმოჩნდა, ხომ კარგი, თუ არა და დაგემშვიდობებით და ის იქნება.

— კეთილი, ბატონო, ზვეით ხომ შეთანხმებულია, ეს ყველაფერი?

— მომიკვდეს თავი, აბა, რაგა იქნება. შეუთანხმებლად და დაუზუსტებლად ვინ გამოუშვებს ამხელა პარტიას. ამ საქმეზე ათასები იზარტება, ჩემო პარმენ. ყველან იცის, ყველა გაფრთხილებულია, შენ მაგის დარდი ნუ გაქვს.

— ჩვენგან ახლა ხომ არაფერი იქნება საჭირო? — დაფიქრებით თქვა თავმჯდომარემ.

— გენაცვალოს კაკო რატიანი — ხტუმარმა დაასვენა ამ თავმჯდომარეს ისეთი სახე აქვს, ალბათ ჩემი გვარი დაავიწყდებოდაო და შეახსენა — სანამ ხალხი და ტექნიკა ამომივიდოდეს, ჯერ მოსამზადებელი სამუშაოები უნდა ჩავატარო. გზაც არ ვივარგათ. შენი ვილისი უნდა მათხოვო. პატარა ხანს, სამუშაო ოთახი უნდა მომიჩინო და ხალხი დამასმარო ხანდახან.

პარმენ კაკაბაძე ცივ უარზე დადგა.

— არა, ბატონო, არ დაიჯეროთ მეგ ამბავი, ყველას პატივს ვცემ, ყველა მიყვარს, მაგრამ მაგის თავი ჩვენ არა გვაქვს. ხალხიო? მუშახელის ნაკლებობამ წელში გამწვვობა, სალხს იქეთ ვეძებ. ერთ წელს ვერ მოვადგენ ვერავის.

— მოცდენას რას ეძახი, პარმენ ბატონო? — ჩაურთო კაკომ — თავისუფალდროს, სამუშაოს შემდეგ, კაცმა ერთ-ერთ კაბიკი გააკეთოს, შენ რა დაგიშავებდამ?

— მე გეგმა მაქვს, ბატონო, გვემამ!

— მერე? შენსას რომ გააკეთებს და სასლში რომ წამოუვა, ერთი ორი საათითსახვა საქმე აკეთოს, შენ რაში ვეძება ეს საქმე? ძალას კი არავეინ დაატანს, ჩვენთან არაფერა უმადლებია.

— არ ვიცი. მე არაფერი არ ვიცი, კადეც რაით? მანქანაო? ეს ერთი დანჯარეული ვილისი მყავს და დღედაღამე მაგიორ დაფიანობს ზევით-ქვევით.

გეოლოგიური პარტიის უფროსმა გაიღიმა თავისი მაგიური დიმილით.

— დაიხვეწე მე რე ხანდახან. კაცი კაცს მხარზე შეისვამს შე კაი კაცო, რა გადანიწურე წყალი. ახლა, ერთ ორ კვირაში, ხამი ახალთახალი ვილისი ჩამომიყვანა პატროსან სიტყვას გაძღვე, მოგკიდებ ერთ ტაოტიან ვილისს ხელს და ჩვენი სამმართველოს ხახელით ვაწუქებ თქვენს კოლმეურნეობას. ა, ჩემი ხელი, მე ტყუილი ჩემს სიცოცხლეში არ მითქვამს იცოდე. სხვა რა გთხოვ, ოთახი გიჭირს? არც მაგაზე შეგაწუხებ ჯერჯერობით, თუ არა გაქვს საშუალება...

ბევრი რომ აღარ გაეგარკელო, შეთანამდნენ. ახალთახალმა ვილისმა თავისი გაიტანა. თავმჯდომარემ ყოველმხრივი დახმარება აღუთქვა. მანქანა ათხოვა, კოლმეურნეობის კანტორის აივანზე სამუშაო ოთახიც გამოუყო და დროებით (როგორც კაკო რატიანმა თქვა, სანამ კარგებს და ფინურ სახლებს ჩამოიტანდნენ), ვიქტორ მანსურაძის ახალ ოდაში შეასახლა. ვიქტორი, სტუმრით აღფრთოვანებული იყო და უზომოდ გაინხარა, რომ გეოლოგიური პარტიის უფროსის მდგმურობით დიდი ნდობა გამოუცხადეს. იმ ღამეს სტუმარ-მასპინძლებმა ვიქტორის ოჯახში ლაზათიანად მოილხინეს. პარმენ კაკაბაძე გულჩვილი აღმოჩნდა, იგი ისე მოხიბლა რატიანის სიტყვა-პასუხსა და ლაღმა ხუმრობებმა, რომ გამომწვიდობებისას ხუთმა კაცი ძლივს გამოკვლიჯა თავმჯდომარის დონიერ მკლავებში მოქცეული, სუნთქვაშეკრული სტუმარი.

* * *

მეორე დღეს, დილაუთენია კაკო რატიანი მოსამსახურე კაცის იერით სოფლის მთავარ მაგისტრალზე მოაბიჯებდა თავისი განუყრელი ჩანთით ხელში. გზადაგზა ელექტრონის ბოძებთან ჩერდებოდა და ხმამაღლა იცინოდა. ელექტრონის ბოძებზე

მისი ნუმერაცია წაეშალათ და სამაგიეროდ მელნით, ტუშით, ცარციტით (ზოგს დანაო ამოეჭრა) ასეთი წარწერები გაჩენილიყო: „ეს ბოძი გეოფენის მიქელთაძე მუქმანს“, „ამბერკი თადემაძის“, „სვეასტი (შვილი)“. „მართა ქებულაძე-კვეციანი-რისა“, „ნატამა“, „კონნელი შეანგირამისა“ და ა. შ.

კანტორასთან გამხდარი წერილების რა კაცი იღვა. გეოლოგიური პარტიის უფროსი რომ დაინახა, გამოიქცა, მარჯვენა ზეული თავზე ეღო რომ შუბლზეხახაკეცი, თეთრი იმერული ქუდი ქარს არ მოეტაცა.

რატიანი მშვენივრად მიხვდა, რომ წერილების მასთან ქმონდა საქმე, მაგრამ ზურგი შეაქცია და ჩქარი ნაბიჯით აუყვა კიბეებს. დამხედური დაედევნა.

— რაშია საქმე? — ნაბიჯის შეუნელებლად მოიხედა კაკომ, რითაც აგრძნობინა, ათასი საქმე მაქვს და, თუ კაცი ხარ, ნუ გამცადდენ ამ დილასო.

— მე, ბატონო, ხამა ვაშაყმაძე ვახლავართ. გუშინ ცოლოურს ვიყავი წასული და დევიდუბე, ამოვვარდი კაცი.

— ხომ მშვიდობაა? — წარბი შეკყარა რატიანმა.

— ბოძები გავინაწილებით გუშინ, ბატონო, და ჩემდა იღბლად, მანცდამანც მაშინ არ ვიყავი. ქე დავრჩი ისე.

— მეტი არაფერი? ფარსაგი არ შეგონა, შე კაცო, — დამხეიდდა გეოლოგთა თავი.

— მეტი რაღა იქნება, ბატონო, თუ ვინმეს სჭირდება ეს ბოძი, მე მჭირდება. ხახლს ვანერგე ახლა გაზაფხულზე და ახალს ვიწყებ. სოფიერთ იმნაირს შეხვედრია რომე, დაჩებავს და შეშად იხმარს ამ ოქროსავით მასალას.

— რა გიყო, ძმო, რაც გაგვანდა აგერაა, სახეზეა. მე არც კი ჩავრეულვარ, თერთონ განინაწილონ მეთქი, დავაყალე თავმჯდომარეს. არ ვიცი მეტი არაფერი — კარის ჭკურტანაში ხელი შეკყო, გასაღები გამოთარია, გააღო და თავის ახალ კაბინეტში ისეთი მოღუშული სახით შევიდა, კაცს ვვინებოდა, მთელი ცხოვრება ამ კა-

ბინტეში აქვს გატარებული და მოსწყენიაო. საშა ვაშაყმაძე ფეხდაფეხ შეჰყავა.

- უნდა მიშველოთ, ბატონო!
- რა უნდა გიშველო, ამხანაგო?
- ერთი ბოძი უნდა მომიხერხოთ.
- რანაირად? — მაჭებს და არ გაძლევ?
- რამენაირად...

— წავართვა სხვას და მოგვე შენ? იკადრებ შენ ნახევსარს? რას იტყვის ის კაცი, ვისაც თავისი სახელი და გვარი მიუწერია. ხომ დაგვარგავ ატკორიტეტს, ხომ ნული გამოვჩნდები მის თვალში?

— მე ტყვილად კი არ მინდა, ბატონო — ხმას დაუწია ვაშაყმაძემ.

— ახალგაზრდა კაცი ხარ, არ გრცხვევინა, ბიჭო? რატომ კადრულობ მასეთ ლაპარაკს. მოგვიდო ბოძი და ფული ავიღო შენგან? რა შემატყვევებანაირი. ჩემი სახელი მე, შენ რომ იყოდე, მთელ დუნიად მიღირს. არ მკადრო, მეორეჯერ ასეთი რამე. ჩემი ცხოვრება აქამდე პატიოსნად მომიყვანია, არ მიცნობ შენ ჯერ, მთლად კი არ წამხდარა ქვეყანა.

— არ გეწყინოთ კია, ბატონო. თავს ზეით ძალა არაა. რა ვქნა ახლა თქვენ კარგად იყავით, თუ არ არის, რას იზამთ. — ნაღვლიანად ჩაილაპარაკა საშამ, გეოლოგს ერთხელ კიდევ შეავლო თვალი და გარეთ გასვლა დააპირა, მაგრამ რატოანმა შემოაბრუნა.

- რაზე მუშაობ, ბიჭოკო შენ?
- მექანიზატორი ვარ.
- უმადლესი განათლება გაქვს?
- არა. — დამორცხვა ვაშაყმაძემ.
- ძალიანაც კარგი. კადრების უფროსად რომ გაგაფორმოს ჩემთან იმუშავენ?
- ემტყუნიდან. ვინ გამომიშობს?

— ცუდი აქაც, ორივეგან იმუშავე. ჩემთან საქმე ბევრი კი არ გექნება. ხალხი უნდა შემიკრიბო. ერთ კვირაში გადმოსასვლელი ბოგირი უნდა გავმართოთ სიხარულიძეების ჭიშკართან. ტექნიკა ჩამომავადი მე და ამ დანერგულ ბოგირზე ვერ გადმოვიყვან. აბა შენ იცი, ჩამოყარე ვისაც იცნობ, ყველას. თავმჯდომარემ იცაბ. თვითონაც იქ იქნება. დღემი ორი-სამი საათი უნდა წავიმუშაოთ საღამოობით.

ორ სათში — ოც-ოც მანეთს მიიღებს თათო მუშა. თუ შევატყვე მონდომებას ერთს ოცდახუთსაც ვამოვეწერ. ვლახა! — კმა? შენ თვითონ არ უთხრა არავის და დღეში სამთუშნიანი ხარ. გესმის?!

— კი, ბატონო, როდის მოვიყვანო ხალხი? — ბევრი ფიქრი არ დასჭირვებია ვაშაყმაძეს.

— დღეზე, ამ საღამოსვე. ჯერ გზა უნდა გავწმინდოთ. ჩიხრებულთა იქაურობა. გავარდი ახლა და ხუთ საათზე ბოგირთან გელოდებით, თავთავისი ბარ-ნიჩაბი წამოიღოს ყველამ.

ახალდანიშნულმა კადრების ვაშაყმაძე თავეი დაუქნია.

— მოიცა — კიდევ ერთხელ შეაჩერა იგი რატოანმა — სოფლის ბოლოს, ჩვენი გზა სადაც იწყება... ერთი ბოძით იქნო... მთავარი გზისაა, მარა ჯანდაბას ვთხოვ უფროსს ერთი რკინის ბოძს ბოლოს და ბოლოს. დააწერე შენი სახელი და გვარი და შენი იყოს. ოღონდ არ უთხრა არავის, გესმის შენ? თვარა დამეხსება ხალხი. გავარდი ახლავე.

გახარებული საშა ვაშაყმაძე კიბეზე თავქუდმოგლეჯილი ჩაბრძოდა.



ორ საათს წამუშაებაში ოცი მანეთის მსურველი სოფელ დიდმიწაში ცოტა როდი აღმოჩნდა. საშა ვაშაყმაძემ ორმოცამდე მოხალისე მოიყვანა. იმ დღეს დამძალი მორები აპყარეს და გზა გაასუფთავეს. მორე დღეს კაკომ კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ბოგირისათვის საავარიო ხე-ტყე გამოაწვრინა რაიონის საწყობიდან და იმ საღამოსვე ჩამოატანინა. ხუთ დღეში ბოგირი კი არა, სიხარულიძეების დღეზე მშენიერი პატარა ხიდი გამართეს. კაკო რატოანი სამუშაოს დასასრულს კოლმეურნის გვარის გასწვრივ „25 მან-ს“ სწერდა რვეული და ყველას ხელს აწერინებდა.

გავიდა თხუთმეტი დღე. გეოლოგიური პარტიის უფროსი სოფელში ცნობილი კაცი გასდა. ყველანი მოწინებით შესცქეროდნენ. ყველას მისი ხათრი ჰქონდა. გეოლოგიური პარტიის ბრიგადაში ისე ხალხით

და ერთსულოვნად გამოდიოდნენ სამუშაოდ, რომ ხანდახან კაკო ზოგიერთს უკან აბრუნებდა — გადახარჯვა მომივა, ამდენი ხალხი არ მჭირდებაო.

რატიანი ჩუმრუმად თანამდებობებსაც ანაწილებდა, კოლმეურნეთა შორის ამაყად დაბიჯებდნენ გეოლოგიური პარტიის უფროსის სამი მოადგილე, ოთხი საქმის მწარმოებელი, სამი მზომავი, ექვსი გამყოლ-მშველელი და ოთხი დამლაგებელ-მოანგარიშე. ყველა მათგანს კაკომ თანამდებობის შესაფერისად საკმაოდ მაღალი ხელფასი დაუნიშნა.

კაკო რატიანის ავტორიტეტმა კულმინაციურ წერტილს მიაშინ მიაღწია, როდესაც მისი თაოსნობით ბრიგადამ გზის რემონტი დაამთავრა და სოფლის ცენტრში აბანოს მშენებლობა დაიწყო.

მშრომელთა ენთუზიაზმს საზღვარი არ ჰქონდა. ამ ოცი დღის განმავლობაში ზოგმა მუყაითმა კოლმეურნემ ხუთას მანეთამდე გამოიმუშავა. როცა სიტყვა ფულზე ჩამოვარდებოდა, კაკო ყველას სიამოვნებით განამურტავდა, ნახევარი თვის თავზე მოლარე ჩამოვა და თქვენს ხელფასს დაგირიგებთო.

გავიდა ოცი დღე. ხელფასი არ ჩანდა. გეოლოგიური პარტიის შტატიანი და უშტატო წევრებს შორის აქა-იქ საეჭვო ბუნდური და მითქმა-მოთქმა ატყდა.

ერთ დღეს სოფელ დიდმიწის მოედანზე უზარმაზარი მიღებით დატვირთული ორი „ტრალერი“ გამოჩნდა. შოფრებმა გეოლოგიური პარტიის უფროსი — რატიანი ივითხეს, კაკომ კაბინტიდან გამოსულა დაავიანა. ბოლოს, როგორც იქნა ავიანზე გადმოდგა და სამთვლი რისხვა დაატერხ თავს უდანაშაულო მძღოლებს. — „ეს რა ვიქნაითო, მე ოცდღეშიანი მიღები გამოფურე, თქვენ ორმოციანები წამოგილიათო. დოყლაპიები ხართ, თქვენცა და თქვენი უფროსებიცო. ოცი დღეა, მე აქ მარტო კაცი ვიტანჯებითო. ხალხი გავწყვიტე წულში, სამმართველომ კი ისიც ვერ მომიხერხა, რომ დროზე მოლარე და ფული გამომიგზავნონო. წადით ახლავე და სასწრაფოდ აქაყის მასალაც და ხაღბიცო. პირველ

რიგში მოლარე და ჩემი სამი ვილისი გამომიგზავნონო“. „კი უფროსო კი ნატონი, როგორც თქვენ ისურვებთ, უფროსოვო“ — თავი დაუკრეს შოფრებმა და უშველებელი მანქანებით უკანვე გაღრიალდნენ.

ახლა კი ეჭვი არავის ეპარებოდა, რომ კაკო რატიანი მართლაც გეოლოგიური პარტიის უფროსი იყო.

ჩამოსვლიდან ერთი თვის თავზე რატიანი ერთბაშად გაქრა. ვიქტორ მაისურაძემ თავისი მდგმურის საწერ მაგიდაზე ახეთი წერილი იპოვა: „დიდი მადლობა ყველაფრისათვის, ძვირფასო დიდმიწელებო. მე თქვენ მიყვარხართ, იყოდეს ღმერთმა. გტოვებთ, რადგანაც ხელფასის გადახდის დრო ახლოვდება. ამდენი ფული ვინ მომატებოდა. მე ერთი საწყალი კაცი ვარ. ცხოვრებმა არ გამიმართლა. მინდოდა ერთი თვე თქვენთან გამეტარებინა და გავატარე. ახლა წავალ ჩემს გზაზე. ნუ შემაგინებთ, თქვენ ისეთი ალლი და მიმნდობი ხალხი ხართ, რომ შემიყოფეთ და ვერ გაგწირეთ, ვერ გილატეთ. მე თქვენთვის არაფერი მომიპარავს, არაფერი წამირთმევია. თქვენი კაკო რატიანი“.

რამდენიმე დღის შემდეგ მილიციის ქვეგანყოფილებათა დაფებზე გაჩნდა კაკო რატიანის სურათი, ასეთი წარწერით: „შინაგან საქმეთა ორგანოები ეძებენ თაღლითს, გაიძვრას, აფერისტს, რომელიც კაკო რატიანის გვართ შედის ნაცნობობაში თანამდებობის პირებთან და უპრალო ადამიანებთან, თავს ასალებს გეოლოგიური პარტიის უფროსად, იმსახურებს გულუბრყვილო ადამიანების ნდობას და იყენებს მათ უფასო მუშახელად ხსნადსხვა არასახელმწიფოებრივ საქმეთა შესასრულებლად“.

ამ განცხადების გაჩენისთანავე დიდმიწის მოედანზე ასევე გამოჩნდა მიღებით დატვირთული ორი „ტრალერი“. „ჩვენა — მძღოლებმა მესამე ატეკიდან ვართო. ჰესის მშენებლობაზე მიღებს ვეზიდობითო. ამის წინათ გზაზე ერთი კაცი გადავიდგა: გეთხოვა, შემობრუნეთ მანქანები და ამ ადგილას მოდიეთო. იქ მე და-



გხედებით და გაგლანძღავთ, გეტყვით — მე რა გითხარით და თქვენ რა წამოგიღიათო. თქვენც მომისმინეთ, თავი დამიქნიეთ და წადით თქვენს გზაზეო. ბიჭებო, სანაძლეო მაქვს დადებული და ნუ წამოგებინებთო. თანაც ორივეს თითო წითელა თუმნიანი ჩაგვიჯიბა. ჩვენ ხათრი ვეღარ გავუტყებთ. სერიოზული კაცი ჩანდა. შლიაპა ესურა. რა ვიცოდით თუ თაღლითი იყოო.

როცა გამძვინვარებული სოფელელები მიიფანტ-მოიფანტნენ, კოლმეურნეობის კანტორის წინ ორი კაცი დარჩა. ისინი ქვაზე ისხდნენ და აბოლებდნენ.

მშვიდი ხალაპო იყო. შორიდან პატეფონის ხმა მოისმოდა.

— ერთს ვიტყვი ახლა მე. — დაიწყო ვიქტორ მაისურაძემ.

— რას იტყვი? — ჰკითხა საშა ვაშაყმაძემ. გეოლოგიური პარტიის ყოფილმა კადრების გამგემ.

— ეს ხალხი რომ დამდგარა და ყვირის, რა ფული შეგვიჭამა, თუ სადმე წავაწყდით, ჩაგქოლავთო, სამართალია ახლა ეეს?

— არ შეგვიჭამა? არ მოგვალორა, არ გვამუშავა, ერთ თვეს ვირივით?!

— რას ლაპარაკობ საშა, თუ გვამუშავა ისევე ჩვენს ბოგირზე, ჩვენს გზაზე და

ჩვენს აბანოზე. თვითონ რა ხეირი ნახა, რა წვილო ჩვენგან?

— წალებით არაფერი. მარა, შენ როგორ ფიქრობ, რა უნდოდა? გჯერავს ახლა შენ, რომ ჩვენი ბოგირის და აბანოს ჯავრით ჩამოვიდა ეს კაცი ამ სიშორიდან?

— კაცმა არ იცის რა უნდოდა, მარა ჩვენგან შეგინება მაინც არ გკუთვნის.

— აბა რა გკუთვნის, დღევრძელობა?

— ყველამ ჩვენ ჩვენ გულში ჩვეიხედოთ და რავარც ჰქუამ გაგვიტრას, ისე ვიფიქროთ. შე კაი კაცო, რატინას რას ვერჩი. მარტო ის რად ღირს გზა რომ გამიკეცია და ტალახში რომ აღარ ვისვრები.

— არ ვიცი, არ ვიცი, არაფერი არ ვიცი, ვერაფერი ვერ გაგიგე. დაიპურენ ალბათ და თვითონ გვეტყვის ყველაფერს, რა უნდოდა, რას გვერჩოდა, რატომ მოვიდა, რაღა მაინცდამაინც ჩვენს სოფელში მოვიდა, — დაბნეულად თქვა საშამ.

— ეგება ღმერთი იყო, ღმერთი და ვერ ვიცანით. შეჭმა მოვუნდომეთ. ასე არ ვუციტ ჩვენ? — ჩაიცინა ვიქტორმა.

— ღმერთი კი არა ის... — საშა ვაშაყმაძე ადგა, ბეჭზე მიგდებული მოსასხამი გაისწორა და სიბნელეში გააბიჯა. იგი ახლა სახლისაკენ არ გაუხვევდა. სოფლის ბოლოში გავიდოდა, რათა იქ, გადასახვევთან ელექტრონის ბოძზე თეთრი საღებავით წაწერილი „საშა ვაშაყმაძე“ წაეშალა.



არსო მწელო

მოგზაურობა ერთ დღეში

• • •

რიერაქმა იწყო მთაში ზეიმი —
დღე მოდიოდა სავსე სიკეთით.

მაშ, გახწი გულო, გავისეირნოთ,
ვიხილოთ ლიხის აქეთ-იქეთი.

აგერ გომბორი და ალაზანი,
ეს დღეც აქაა. ფიქრნი ცისანი
მან გამაცნო და მეც გაეცანი
ახლა აქ ჩემი მოსვლის მიზანი.

ღიადი დღეა, მთლად ჩვენებური,
რჩეულთა შორის გასლავთ რჩეული,

ვით დედოფალი, დაშვენებული
თვალ-მარგალიტით და ფარჩეულით.

ღაუგვობრდით და დაედეთ პირობა —
ჩენი დევიზი იყოს სიმართლე,
იმას მოსდგამდეს მუდამ გმირობა,
ჩემს სტრაიქოსს — მეტი მზე და სინათლე.

ბახტრიონიდან სადაც გაგზედაფ —
— ალოობაა!.. მოგეცათ ლხენა...

და მე ქცეული მზერად და სმენად
შენი მშვენებით ვსტაბები კახეთი!

• • •

ყვარელში ვარ. ღია დაშვედა
ჭაგჭაგადის სახლის კარი,
შევედი და... უმაღ ადგა
ნაირ ფიქრთა ნიაჭქარო.

კრძალვით ვუცქერ მგოსნის სურათს,
მიხილავს თვალთა ბრძნული მზერა,
და მე ვით არ მომესურვოს
იმას ვუძღვნა ეს სიმღერა,

ვინც იბრძოდა მამაცურად
არა შუბით, არა ხნალით,

არა, კალმით ამზეურა
ერის დიდი მომავალი.

მნათობია თვალწარმტაცი,
სინათლის და სიბრძნის წყარო,
მან გვასწავლა კაცმა კაცი
როგორ უნდა შეიყვაროს.

და დღეს ყველგან — მთა და ბარად
ამას ვამბობთ დიდ-პატარა:
— მის ჩირაღდანს მოგიზვიუვს
ჩაუქრობლად ეზიდავთ მარად!



ემღერი. ბერძუხა ბანს მეუბნება,
 მზიბლავს ალაზნის ლალი დინება,
 ვლოცავ ბუნებას, რომ მეუფება
 აქ დიდებულმა ვაზმა ინება.

აბა, უკეთეს რას ნახავს თვალი —
 გინდ წყალგამოღმა,
 წყალგაღმა გინდაც,
 ზვრებს შეჭყენია კაცი და ქალი,
 დღეს უბარიათ, წუხელ რომ წვიმდა.

დოლი რომ შორჩა რაგინდრა ფერთა,
 ვხედავ საოცრად საყვარელ სურათს:
 ვაზი ყვავილობს, და მასთან ერთად
 მთელი გარემო ლაყვარდში ცურავს.

ესარობ, ყველანი რომ აქ არიან —
 ადამიანიც, ფრინველიც, მწერიც,



აღივსო ჩემი ტრფობის ფიალა
 და რაჭისაკენ მივფრინავ უკვე,
 სადაც მგეგულვის თვალეზბრიალა
 ჩემი ბავშვობა და სიჭაბუკე.

ნაირფერადი ხილვებით სავეს
 მომღვეს საამო მზიანი დარი,
 და კელაპტრებად ანთია გზაზე
 ტირიფების და ალვეების ქარი.

ცხინვალი. ვრწოს უღელტეხილი.
 ყველა იმღერის: ბილიაკიც, კორდიც,
 ო, თითქოს თვალი დღეს ამეხილა,
 ჯუჯორიც ჩემდა საღსენად შორბის.

ქუთაისა. ირი. მადლობზე მდგარი
 აღფრთოვანებით ვხედავ აი რას:
 მომტრედისფერო ნისლის ბაირაღს
 მოაფრიალებს შუადღის ქარი.



რადგანაც ასე კარგი დარია,
 ასე უხვია მზის სხივოსნება,
 სწორედ ამიტომ, გაეცხარია,
 ლაღობდეს ჩემი ფიქრი-ოცნება.

ყველა თავ-თავის კილოზე მღერის,
 მზე მათი მამა და ლოტბარია!

ამ ალავერდის გზა სიკეთეა,
 რაინდულად რომ მოსდევდა დრო-ვამს,
 დღეს გიგანტური თეთრი გეგია,
 შორით შეჭმწვანე ზღვაში რომ მონანს.

წინანადლის ცაო, შენს მთვარეს თუ მზეს
 აქ სხვა პეწი აქვს,
 სხვა ხატებს ანთებს,
 რამდენი ვინმე ღიმილით უმზერს
 პოეტის გვერდით ასულთა ლანდებს.

ბევრს ვფურე და ვესიყვარულე,
 რამდენ კაიკაცს,
 რა მარჯვენს, რა ხელს...
 და შთაგონებით გულშიარული
 დავემშვიდობე საყვარელ კახეთს.

ამ კავკასიონს როცა ვუცქერი,
 მესმის დიადი მზის სიმფონია
 და მოხიბლული შოვით, უწერით,
 დღეს ვიტან თავი, ასე მგონია.

ეს დღევც თავის ხეაშიაღს მიმწელს,
 ამ ბუნების დღეს გაგიგე ფასიც,
 გასწი ოცნება, ამ ხეს თუ იმ ხეს
 ო, ჩემი ყრმობის ბეჭედი აზის.

ცოტა კიდევ და... ჰა, მოვდანიც
 გამიღიმებს და სტუმრობას მიქებს,
 მუზობლებს ხონჩა გამოეტანათ,
 ბეუითაურით ფერავენ ტიქებს.

და კვლავ აღივსო ტრფობის ფიალა,
 მყუდრო სავანე აქ ვბოვე უკვე,
 მაგრამ არსად ჩანს თვალეზბრიალა
 ჩემი ბავშვობა და სიჭაბუკე.

მამ, გასწი გულო, ღირს გაჭროლება
 ხან ჟინვის, ხანაც არწივის დარად,
 გვერდით არაგინ არ მყოლება?
 ჩემთვის ბუნების სიმღერაც კმარა!

მთაში ვარ. ჩემი ჭკუთხარო მისმოხვს,
ვივლი, ვივლი და მწვერვალზე ავალ,
და არა მკერა, რომ სადმე იყოს
სიციცხლისა და სიკვდილის დავა.

რადგანაც ისე კარგი დარია,
რომ სიყვარულით ცაც იკოცნება,
ფიქრს და ოცნებას, გაგვიხარია,
არ მოენატროს მზის სხივოსნება.

აგუგუნა ტყემ ფანდურები,
მდელის ამშვენებს
ყვავილთ ლაშქარი,
რის წყვინება,
რის დამდურება,
რაც სიკეთა სულ მთლად აქ არი.

* * *

გადავიარე ნაქვრალა,
მივესალმე ცხრაწყაროს,
სანამ მივალ საჩხერემდის
ნეტავ რამ დამაწყნაროს.

აგერ ჯრუჭის მონასტერი
(აქ ვყოფილვარ წინათაც),
მონაზვნები ლოცულობდნენ,
თვალზე ცრემლი ბრწყინავდა.

* * *

სამშრობაა. ცა კაშკაშებს,
ალტაცებას ვინ დამალავს,
მთის წვეროზე „მოდინახეს“
მზე უვარცხნის ნისლის დალალს.

მგოსნის ძეგლთან თავს ეხრი ჩუმაღ,
მოკრძალებით ვდგავარ ასე,

* * *

ეს სოფელი სზეიტორია,
დაჰხარიან მთები მადლით,
აბა, ვის არ აამღერებს
სერზე რომ დგას ერთი ხასლი.

მუხა, ჩემს სულში გადმოსატლადი
რა სასოებით მიცქერს, მილიმის,
იქ ნაკადული, აქ ნაკადული,
ვის არ მოაღებენ მათი ღიღინი.

სალამი ნისლო ნაქვრალისა,
შუამავალო ცისა და მიწის,
რა შთაავონე, რა სიხალისე,
გული რომ ასე სიამით იწვის.

რადგანაც ასე კარგი დარია,
ასე უხვია მზის სხივოსნება,
სწორედ ამიტომ, გაგვიხარია,
კიდევ უფრო შორს ჰქროდე ოცნებავ!

აქეთ ტყუა, იქეთ ტყუა,
შუაში დის მდინარე,
ალაღ ტკბილად მოღიღინე,
ალაღ ჩუმაღ მდინარე.

მე ვარ მისი თანამგზავრი,
ვივლით რა გაგვაჩერებს,
ის ყვრილიას ჩაეხვევა,
მე კი წავალ საჩხერეს.

რად ღირს მარტო ეს ღიმილი
ღვთაებრივი ცეცხლით სავსე.

ერთდროს ის აქ დადიოდა
უგვირგვინო მეფის დარად,
და ჭართული სიტყვა იყო
მისი დაფი და ნაღარა.

მიგ შევდივარ. ყველა ნივთი
მის დიდებულ სახელს ამკობს,
და დიდ მგოსნის ცხოვრებაზე
რამდენ რამეს ლაპარაკობს!



მ ი ნ ი ა ტ უ რ ე ბ ი

შეგჩენკო და ჯარტიველი სტუდენტები

დიდი უკრაინელი მწერლის ტარას შეგჩენკოს დაბადების ასი წლის თავის აღნიშვნა მეფის მთავრობამ აკრძალა. ხარკოველმა ქართველმა სტუდენტებმა ეს თარიღი მაინც აღნიშნეს: გამოიტანეს ქუჩაში შეგჩენკოს დიდი სურათი და უნივერსიტეტის მთავარი კორპუსის წინ მიტინგი გამართეს. ეს მოაწყო სტუდენტმა ალექსანდრე წერეთელმა, წერეთელი შესანიშნავი ორატორი იყო, დიდი ერუდიციის პატრონი, სტუდენტთა საზოგადოებრივი ღონისძიებათა ერთ-ერთი მოთავე. ის დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა სტუდენტებში. პროფესორებიც დიდ მომავალს უქადავდნენ მას.

წერეთელმა ბრწყინვალე სიტყვა წარმოიტყვა უნივერსიტეტის წინ და დემონსტრაცია მთავარი ქუჩისაკენ გაემართა. შეგჩენკოს სურათი მიჰქონდათ ალექსანდრე წერეთელსა და ნიკოლოზ გურგენიძეს. უკრაინელი და რუსი სტუდენტები მცველ რაზმად შემოერთყნენ სურათს.

უნივერსიტეტის გვერდით მოთავსებული იყო პოლიციის სამმართველო — იოლი იყო პოლიციის მეთვალყურეობა. მართლაც და გამოუარდა პოლიცი-

ის რაზმი და ეცა დემონსტრაციას. გაისმა ტრადიციული:

— Разойдись!

სტუდენტები არ დაიშალნენ. პოლიციელებმა სცადეს სურათის წართმევა. სტუდენტებმა არ დაანებეს. შეიქნა ერთი დაკა-დაკა! უამრავმა ხალხმა მოიყარა თავი. „შეგჩენკო!“ „შეგჩენკო!“ „ბატკო!“, „ბატკო!“ გაისმოდა ხალხში.

მაშინ მოვარდა პოლიცემისტერი, მივარდა სურათს და შესძახა წერეთელს: — რად გინდათ ეს სურათი?.. ვინა ხართ თქვენ?..

— ქართველი სტუდენტები ვართ, ბატონო პოლიცემისტერო! ჩვენც გავიხსენეთ შეგჩენკო — უპასუხა წერეთელმა... ის ჩვენი ბატკოც იყო.

დემონსტრაცია მაინც დაშალეს...

აბაბი და უკრაინელები

1915 წლის თებერვალში აკაცი წერეთლის გარდაცვალების ამბავი მოვიდა ხარკოვეში. ხარკოველმა ქართველმა სტუდენტებმა მოსაგონარი საღამო გაემართათ. საღამოს ხელმძღვანელობდა ალექსანდრე წერეთელი. საღამოს ჩვენი პროფესორები, დიდძალი სტუდენტობა და ინტელიგენცია დაესწრო. აკაცის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე

დიდად შინაარსიანი მოხსენება წაიკითხა ალ. წერეთელმა. მან მოაგონა აუდიტორიას: შარშან მთელ იმპერიაში აიკრძალა ტარას შევჩენკოს დაბადების 100 წლისთავის აღნიშვნა. საქართველომ აღნიშნა ეს სახალხო თეატრში და აკაკიმ შევჩენკოს ბიუსტის წინ დაიხოქაო... ეს თქვა ბოლოს...

მთელი აუდიტორია წამოდგა ფეხზე. იმავე წამს უკრაინელთა დელეგაცია ამოვიდა სცენაზე. ამოიტანეს გვირგვინი, დასდეს აკაკის სურათის წინ. აკაკის სურათი ლამაზად იყო შესრულებული, ეკიდა კედელზე, იყო საკმაოდ დიდი და ყვავილებით შემკული. აკაკი თავისი შუქიანი სახით და ლამაზი ჭადარით ზღაპრულად გამოიყურებოდა სურათიდან.

დელეგაციაში იყვნენ არა მარტო ჩვენი უნივერსიტეტის, არამედ მთელი რუსეთის მეცნიერთა საამაყო წარმომადგენლები: დიმიტრი ბაგალეი, ვლადიმერ ბუზესკული, ნიკოლოზ სუმცოვი და სავა (სახელი არ მახსოვს). ამ დელეგაციამ დაიჩოქა აკაკის სურათის წინ... დაიჩოქა და... აღელდა აუდიტორია... ატირდნენ ქართველი სტუდენტები ქალბები... ნაციონალურ ტანისამოსში გამოიწყობილმა უკრაინელმა სტუდენტმა ქალბებმა ყვავილები იატანეს სცენაზე. აუდიტორიაში აფრიალდა თეთრი ცხვირსახოცები... ქართველმა სტუდენტებმა თავი დახარეს...

დელეგაცია აღდგა, დინჯად ჩამოვიდა სცენიდან, ხოლო მისმა მეთაურმა პროფესორმა მადლობა უთხრა ალექსანდრე წერეთელს, გადაეხვია და აკოცა...

ეს საღამო ამით არ დამთავრებულა. სცენაზე გამოვიდა რუსი, ქართველი და უკრაინელი სტუდენტების გუნდი. შეასრულეს ქართული სიმღერები, აკაკის ლექსებზე აწყობილი... მახსოვს. ბრწყინვალედ შეასრულეს „სამშობლო“.

ეს საღამო განა მარტო სტუდენტების საღამო იყო! ამჟამად იგრძნობოდა,

რომ ის იყო ხალხთა შეგობრობის საღამო...

ამ საღამოს ხელმძღვანელი იყო სტუდენტი ალექსანდრე წერეთელი.

თესვით ნარცვალნი სიკათისა

1914 წლის დეკემბერს ხარკოვის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის აუდიტორიაში დიდძალმა სტუდენტობამ მოიყარა თავი. სტუდენტთა დამხმარე სალაროს გამგეობა ინგარიშს აბარებდა კრებას. კრება საანგარიშო იყო და დიდი ინტერესი გამოიწვია.

მოვისმინეთ ჭერ გამგეობის საანგარიშო მოხსენება, მერე სარევიზოო კომისიისა, მერე გაიმართა კამათი. ჭერ დინჯი, თანდათანობით კი უფრო და უფრო მღელვარე.

მადლობის მეტი რა გვეთქმოდა სტუდენტებს? დამხმარე სალარო ხელმოკლეს სტუდენტებს დიდ დახმარებას უწევდა. ათი მანეთიც კი დიდი ფული იყო სტუდენტისათვის. სტუდენტთა სასადილოში სადილი თერთმეტი კაპიკი ღირდა პურთანად.

კამათში შესტოპეს ზოგიერთებმა, თავმჯდომარე ზშირად აწყარუნებდა ზარს. პოლიციიდან გამოგზავნილი ხელმძღვანელიც ზშირად ადგებოდა, დაჯდებოდა...

— სიტყვა ეკუთვნის სტუდენტ ნიკოლოზ აკირთავას, — გამოაცხადა თავმჯდომარემ.

ავიდა ტრიბუნაზე კოლია აკირთავა.

საქართველოში ძველი თაობის აღაშინებს კარგად ახსოვთ ეს სახელი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება რომ დამყარდა, კოლია აკირთავა აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი იყო.

აკირთავა იყო შესანიშნავი ორატორი, დიდად ნაკითხი და დიდად ვახათლებული სტუდენტი.

მას შემდეგ სამოცზე მეტი წელი ეავიდა. ბევრი რამ წაიშალა მესხიერებაში, დაახლოებით კი ასე მახსოვს ეს შორეული მშავე.

— მიკერის, დაიწყო აკირთავამ, — რას უსაყვედურებთო გამგეობას, მადლობის ნაცვლად?... უნდა დავაფასოთ მისი დახმარება, რადგან ეს დახმარება სუფთა გულიდან მოდის. სწორედ დღეს გვესაჭიროება ჩვენ, სტუდენტებსა, სუფთა გული, როცა ხალხის გული კნესის ამ საშინელი იმპერილისტურ-ი ომის დროს!.. როცა ეს უწყალო ომი ღუპავს ათი ათასობით შრომელ ხალხს. განუკითხავად იღვრება ხალხის სისხლი და დახოცილთა გვამებს მიწასაც კი არ აყრან.

იგრილა სტუდენტების ტაშმა. აწკრილდა თავმჯდომარის ზარი. წამოდგა პოლიციის კაცი. აკირთავა დგას დინჯად და თითქოს განაჩენი გამოაქვსო იმათ მიმართ, ვინც დაიწყო ეს იმპერი-ალისტური ომი.

— სტუდენტო აკირთავა! — ისმის თავმჯდომარის ხმა, — ილაპარაკეთ საქმეზე!

— დიახ, საქმეზე! — განაგრძო აკირთავამ. — დიდი მადლია ის მცირე დახმარება, რომელსაც გაიღებს ზოლმე დამხმარე სალარო. რასაკვირველია, საჭიროა მეტი დახმარება, დაძაბვა, მეტი დაძაბვა ძალებისა, რომ სალარო უკეთ გვემსახუროს... განა არ შეუძლია? შეუძლია, ამხანაგებო!.. თუ სანგრაჟში მშვიტ ჯარისკაცებს შეუძლიათ სისხლი დაღვარონ სხვისი ინტერესებისათვის, სალაროს გამგეობის წევრებს არ შეუძლიათ ოფლი მაინც დაღვარონ?!... თავის მოხსენებაში გამგეობის თავმჯდომარემ დაგვაყვებრა დახმარება... რას გვაყვებდრიან? თუ ჯარისკაცები უსაყვედუროდ იხოცებიან ფულიან-ღობიანებისთვის და არ გვაყვებდრიან თავის მწარე სიცოცხლეს და სდუმან ჯერ-ჯერობით...

აგრიალდა სტუდენტების ტაში. აწკრილდა თავმჯდომარის ზარი. წამოდგა პოლიციის კაცი. აკირთავამ წამსვე შეაბრუნა კეხი.

— რასაკვირველია, დიდსა და კეთილ საქმეს აკეთებს დამხმარე სალაროს გამგეობა! ჩვენ, სტუდენტები, მადლობე-

ლი ვართ მისი. ჩვენ გვახსოვს ნეტარ-სოვის სიტყვები:

Сейте разумное, доброе, вечное!
Сейте! Спасибо вам скажет
сердечное

Русский народ!

ზარი შეჩერდა. პოლიციის კაცი დაჭდა. აუდიტორია გაინაბა. აკირთავამ კი დამუჭრებით დაასკვნა:

— ხალხი... დიახ, ხალხი... ხალხში ჩვენც ვართ, სტუდენტები!.. და ჩვენ ვიცით როგორი იქნება ის მადლობა!..

აკირთავა ჩამოვიდა ტრიბუნიდან. აუდიტორია წამოიშალა და სანამ პოლიციის კაცი გაერკვეოდა რა „მადლობაზე“ იყო ლაპარაკი, აკირთავა წავიდა...

ასე აწარმოებდნენ იმდროინდელი სტუდენტები შენიღბულ აგიტაციასაც...

ინტელექტუალიზმი

ცნობილია, რომ მეფის დროს არალეგალურ რევოლუციურ მუშაობაში სიმღერასა და მუსიკასაც იყენებდნენ. იმართებოდა ვახშამი, დაუკრავდნენ მუსიკას, დაიწყებდნენ სიმღერას. იმავე დროს კი ან იქვე, ან მეზობელ ოთახში არალეგალური წრე მუშაობდა.

ლუდი ბაბილუა და მე 1915 წელს ხარკოვის უნივერსიტეტში ერთად ვსწავლობდით, ერთ ბინაში ვცხოვრობდით და ერთ არალეგალურ წრეშიც ერთად ვიყავით. ჩვენი წრე მეცადინეობდა შობათობით. წრის ხელმძღვანელი იყო გერგარდ ცეღერი, ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ რუსეთის სახკომსაბჭოს პასუხისმგებელი მუშაკი, ხანდახან კი — სტანისლავ კოსიორი, ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი.

შობათობით ჩვენი ბინის დიასახლისი ვახშამს მართავდა. ვიკრიბებოდით წრის წევრები და მოწვეული ქალიშვილები. ამათ არაფერი იცოდნენ წრის შესახებ. ყველაფერი იცოდნენ მხოლოდ დიასახლისმა და ლუდი ბაბილუამ; წრე ზემო სართულში მუშაობდა, კონცერტი დაბლა სართულში. წრის მუშაობის შესა-

ნიღბავად ლუდი სიმღერებს ასრულებდა.

განსაკუთრებით უყვარდათ რუსებს ლუდის ხალხური სიმღერები: „ბატა“ და „კოტიანეთი“; ლუდი ეუბნებოდა მათ — ეს იტალიური სიმღერებიაო. „იტალიური!“ „იტალიური!“ შესძახებდნენ ლუდის. მაშინ ერთი სტუდენტი ქალიშვილი, რომელმაც იცოდა ეს მოტივები, მიუჭდებოდა პიანინოს და ლუდი ეშხინანად მღეროდა ამ მეგრულ სიმღერებს.

ამ სახლის გვერდით პოლიციის პოსტი იყო და უღვამა გოროდოვოი იდგა გამოჭვიშული. ლუდის სიმღერას რომ გაიგონებდა, დადგებოდა ფანჯარასთან და სიამოვნებით უსმენდა. ლუდიც სიამოვნებით მღეროდა. წრის მუშაობა უზრუნველყოფილი იყო...

ასე მოახმარა ლუდი ბაბილუამ თავისი შესანიშნავი ნიჭი რევოლუციურ მუშაობას... რევოლუციის შემდეგ კი ლუდი ბაბილუა სახალხო სიმღერების მასწავლებელი და ცნობილი ლოტბარი გახდა. ეს ყველამ იცის საქართველოში და აქ ზე სიტყვას არ ვაგრძელებ.

მუხაკაბა წაიღოს სახელმძღვანელოები!

1915 წლის შემოდგომაზე ხარკოვში პოლიციამ სტუდენტთა მოძრაობის ხელმძღვანელი მუშაკების უმრავლესობა დააპატიმრა. ერთი ამხანაგის ბინაზე 300 ცალი არალეგალური ბროშურა დარჩა გადაშალული. საქირო იყო იმ წიგნაკების გადატანა უშიშარ ადგილას, რომ შემდეგ დაერიგებინათ. გარეთ დარჩენილმა ერთმა ხელმძღვანელმა იმ ბროშურების გადატანა ლუდი ბაბილუას დაავალა. ლუდი ამ ხელმძღვანელის არალეგალური წრის წევრი იყო. მტრად აქტიური.

ლუდი მაშინვე წავიდა წიგნაკების გადასატანად. მაგრამ, პოი, უბედურება! სწორედ იმ დღეს, კვირა დილას, იმ

უბანს პოლიციამ ალყა შემოარტყა. ჩხრეკდნენ საეპეოდ მინუტულ ტერორებს, იქვე, ქუჩაში გამველელ-გამომველუს. ცხადი იყო, ეჭებდნენ ვიდაცას.

ხალხი ქუჩაში ბევრი იყო. ზოგი სად მიდიოდა და ზოგი სად. უმრავლესობა ეკლესიაში მიდიოდა სალოცავად. ეკლესია კი სწორედ იმ სახლის გვერდით იყო, სადაც წიგნაკები ინახებოდა.

ლუდი დადგა საფრთხის წინაშე. წაიღოს წიგნაკები, ვაი თუ ქუჩაში დაიჭირონ, მაშინ ლუდიც ჩაეარდება და ბროშურებიც დაიკარგება, არ წაიღოს? პარტიული დავალება — უნდა შესრულდეს. ლუდიც დაბედა წაღება. შევიდა იმ სახლში და ყუთში ჩალაგებული ბროშურები გამოიტანა. ყუთზე კი ზემოდან სახელმძღვანელოები გადაათარა.

მიღის ლუდი ქუჩაში. ყუთი მხარზე აქვს გადაებული. მოისახრა: ეკლესიისკენ მიმავალ ხალხში გარეულოყო. გაპყვა მლოცველებს. მიუახლოვდა პოლიციის პიეტს.

— მივიდიოდი და ცეცხლი შეკიდებოდა, — მოთხრა შემდეგ ლუდომ. — ვაი თუ განხრიკეს? დამეკარგა უნივერსიტეტი და ხელში მაქვს ოთხი წლის ციხე.

პოლიციელებმა ყუთი ჩამოაღებინეს ლუდის დახედეს.

— Ученики! Все ученики! — მოახსენა პოლიციელმა უფროსს.

— К черту ученики.

თქვა უფროსმა და გაატარეს ლუდი. ლუდომ განაგრძო გზა და გადაარჩინა ბროშურები. მიიტანა დანიშნულ ადგილას.

ახლა იოლია ამაზე წერა და ამის წაკითხვა.

მაგრამ თუ წარმოიდგენთ მსოფლიო ომის სამხედრო წესებს, სტუდენტის მიერ უნივერსიტეტის დაკარგვას და ოთხი წლის მოულოდნელ ციხეს, ლუდი ბაბილუას ვაყვაცობა მართლა ვაყვაცობაა და პარტიის დავალებისათვის თავის განწირვა.

ობოლენსკის განკარგულება

1915 წლის 1 მაისს ხარკოვის სტუდენტებმა ომის საწინააღმდეგო დიდი დემონსტრაცია გაუმართო. გამოვიტანეთ წითელი დროშები და პლაკატები. პლაკატებზე იყო ლოზუნგები: „ძირს ომი!“ „ძირს თვითმპყრობელობა!“ იყო სხვა რევოლუციური ლოზუნგებიც; ყველა უმაღლეს სასწავლებლის — ხარკოვში მაშინ ხუთი უმაღლესი სასწავლებელი იყო — თავისი დროშები და პლაკატები ჰქონდათ. დემონსტრაციის მეთაური უნივერსიტეტი იყო. მე და სტუდენტ ნიკოლოზ გურგენიძეს პლაკატი გვეჭირა: „ძირს ომი!“

მთავარ ქუჩაზე რომ გამოვედით. უნივერსიტეტის ახლოს, დაგვიხვდნენ კაზაკები და პოლიციელები. ეცხენ დროშებს, პლაკატებს, დაგვიშინეს: მათხაზები — კაზაკებმა, ხმლის ყუა — პოლიციელებმა. არ დაინდეს სტუდენტი ქალებიც ერთ ადგილას პოლიციელებმა ორი რუსი სტუდენტი ქალი მოიგდეს ქვეშ, წაართვეს პლაკატები და სცემეს. მაგრად სცემეს.

დაინახა ქალების ცემა გურგენიძემ და ქართულად გასძახა სტუდენტებს.

— ბიჭებო! ქალებს სცემენ! — და ეცა პოლიციელებს.

ქალებს სცემენო?.. გაცეცხლდნენ ქართული სტუდენტები, ეცხენ პოლიციელებს. აბა, ცემა ასე უნდაო და მათხაბით დაეყვეს რამდენიმე პოლიციელები. ერთ გოროდოვოის გურგენიძემ ხმალი წაართვა და გადაუმტვრია.

დაიჭირეს გურგენიძე და მიჰგვარეს ხარკოვის გენერალ-გუბერნატორს. თავად ობოლენსკის, რომელიც შორი-ახლოს იდგა თავისი ამალით.

— აი, ამან სცემა უბნის ზედამხედველს და გადაუტეხა ხმალი, — მოახსენეს გენერალს.

— ხმალი რატომ გადაუტეხე? — ჰკითხა გენერალმა გურგენიძეს:

— ჩვენ ქართველები ვართ და ქალის ცემა ვერ ავიტანეთ, — უპასუხა გურგენიძემ, რომელიც თვითონაც მაგრად

ნაცემი იყო და ძლიერ იდგა ფეხზე. გენერალი მძიმედ ჩაფიქრდა. მერე ბრძანა: გაუშვითო. მერე გავიგეთ, რომ ობოლენსკი დედით ქართველების ნათესავი იყო.

ეს ფაქტი ქართველი სტუდენტების საქციელის ლიტერატურული შედეგებზე არ გახლავთ, მკითხველო! სიტყვა „ქართველი“ შორეულ რუსეთში დიდი შორალის სინონიმი იყო...

ორი კოლკოვნიკის დაპატიმრება

1917 წელს, თებერვლის ბოლოს, ხარკოვში ცნობა მოვიდა: პეტროგრადში რევოლუცია მოხდაო. დატრიალდნენ სტუდენტები, შეადგინეს რაზმები და მეფის ბობოლა მოხელეთა დაპატიმრება დაიწყო. კოლია გურგენიძე თავისი რაზმით ჟანდარმთა სამმართველოს ეცა. სწორედ დროზე მოუსწრო, რადგან ჟანდარმთა პოლკოვნიკს საიდუმლო დოკუმენტების მოსპობა დაეწყო. გურგენიძე რევოლუციონერებზე შეუვარდა პოლკოვნიკს კაბინეტში.

— ხელები მაღლა! — შესძახა გურგენიძემ პოლკოვნიკს.

პოლკოვნიკმა ვერ მოასწრო თავისი რევოლვერის ამოღება, ასწია ხელები და უთხრა:

— არ მესროლოთ! გნებდებით!

ამ დროს გურგენიძის რაზმმა პოლკოვნიკის თანამშრომლები დააპატიმრა და ღუმელში ეცხლი ჩააქრეს. ღუმელში იწვოდა საიდუმლო დოკუმენტები. დიდი ნაწილი მაინც გადაარჩინეს.

— სად არის ჯამუშთა სია? — ჰკითხა გურგენიძემ პოლკოვნიკს.

— ხელი დამაწვევინეთ და ყუთს გიჩვენებთ! — უპასუხა პოლკოვნიკმა.

— არა! ნომერი მითხარით!

თურმე კედელთან კარადა იდგა. კარადა სკას ვადდა: დაცხრილული იყო პატარ-პატარა დანომრილი უჭრებით. პოლკოვნიკმა თვალებით მიუთიფა.

— მოასწარით მოსპობა? — ჰკითხა გურგენიძემ.

— სამწუხაროდ, ვერა! — დააქნია თავი პოლკოვნიკმა. — ეხლა რას მიზამთ!

— ეხლა წაგიყვანთ ახალ მთავრობასთან! გაგვიძეხით წინ! — გაიციინა გურგენიძემ.

პოლკოვნიკის თანამშრომლები საბარგო მანქანაზე დასხეს. სამმართველოს კარები სამმართველოსვე ლუქით დააბეჭდვინეს თვითონ პოლკოვნიკს. მერე ყველანი ქალაქის ხელმძღვანელობას მიგვიარეს.

იმავ დღეს გურგენიძე თავისი რაზმით ხარკოვის გარნიზონის საევაკუაციო პუნქტს ეცა. პუნქტი ერქვა თორემ, ისე ძალზე დიდი სამხედრო დაწესებულება იყო. ის განაგებდა დაჭრილთა მოწყობა-მკურნალობას, ოფიცერთა განაწილებას. მისი უფროსი იყო პოლკოვნიკი გორბუნოვი, კაცი მეტად სასტიკი, გარნიზონშიც და ქალაქშიც ის ცნობილი იყო თავისი სიმკაცრით. იყო პირწავარდნილი მონარქისტი. შუაჩნის კაცი იყო, მაღალი, ტანადი, უწვერო, მოკლე უღვაშიანი. მის კაბინეტში ნიკოლოზ მეორის სურათი ეკიდა, მოოქროვილ ჩარჩოში ჩასმული. პოლკოვნიკი ამ სურათის ქვეშ იჯდა ყოველთვის.

შუადღე იყო, როცა გურგენიძე თავს დაესხა პოლკოვნიკს. კაბინეტის კარები დაკეტილი დახვდა. მორიგე ოფიცერმა უთხრა გურგენიძეს, — პოლკოვნიკი შიგაით თავისი შერჩეული ოფიცრებით. გაგიწევთო წინააღმდეგობას... მე თვითონ მონარქისტი არა ვარო...

გურგენიძემ კარებზე დააკაკუნა. ვასძახა პოლკოვნიკს: კარები გააღეთო.

პასუხად სიჩუმე იყო.

— ბატონო პოლკოვნიკო! — შესძახა გურგენიძემ — მდგომარეობა გეცოდინებათ! პეტროგრადში რევოლუციამ გაიმარჯვა. ჯარი გადავიდა რევოლუციის მხარეზე. ხარკოვშიც რევოლუციამ გაიმარჯვა. დაგვებდით!

პასუხად ისევ სიჩუმე იყო.

— მისი უღებულე უქნებით ძალას მივმართოთ. — დაემუქრა პოლკოვნიკს გურგენიძე.

ეხლა კი გაისმა პასუხი: **კონცუსლი**
— მიმართეთ! ტყვიას მძლეობას! მაშინ რაზმმა შეანგრიო კარები. კაბინეტიდან სროლა გაისმა. ბედზე არავინ დაჭრილა.

შევარდნენ სტუდენტები შემტვრეულ კარებში, დაუმინხეს რევოლვერები ოფიცრებს და დაუყვირეს:

— დაგვებდით, თორემ ამოგზოცავთ! და იმ წამსვე ორი რევოლვერი დაემიზნა ერთმანეთს: პოლკოვნიკისა და გურგენიძისა. გურგენიძემ უთხრა პოლკოვნიკს:

— ნაბრძანები მაქვს სისხლი არ დაიღვაროს! დადევით რევოლვერი!

ოფიცრები — ხუთი კაცი — მიაჩერდნენ პოლკოვნიკს: რას იზამსო?

პოლკოვნიკს ეყო გონიერება უშედეგოდ არ დაეღვარა სისხლი. დაუშვა რევოლვერი. მერე შეხედა მეფის სურათს და დალუნა თავი.

ოფიცრებმაც მაგიდაზე დაალაგეს რევოლვერები.

გურგენიძემ პოლკოვნიკი და მისი შტაბი დააპატიმრა და ქალაქის თვითმმართველობაში მიიყვანა საბარგო მანქანით.

ეს პოლკოვნიკი იმდენად საძულველი იყო, რომ თვითმმართველობის კარებთან კინალამ დაგლიჯა ხალხმა, მაგრამ სტუდენტები, აეფარნენ გორბუნოვს.

გურგენიძემ პოლკოვნიკი ქალაქის თავს, ცნობილ პროფესორს, დიმიტრი ბაგალეის ჩააბარა.

— პოლკოვნიკი ყველაზე დიდი ნადავლია დღეს, — გაიციინა ბაგალეიმ და მადლობა უთხრა გურგენიძეს...

ჩამაბარა მინი ბინანაზია

1918 წლის დასაწყისში, ხარკოვში საბჭოთა ხელისუფლებამ რომ გაიმარჯვა, ინტელიგენციის ერთმა ნაწილმა საბოტაჟი გამოაცხადა. დაიკეტა საშუალო სკოლების ერთი ნაწილი, დანარჩენებში სწავლება კიდევ იყო და კიდევ არ იყო.

მაშინ კოლია გურგენიძე უკვე მსახურობდა ერთ ქალთა გიმნაზიაში ლი-

ტერაქტურის მასწავლებლად. გამოცხადდა განათლების სახალხო კომისართან, ამხანაგ ზატონსკისთან და უთხრა:

— ჩამაბარეთ. ჩემი გიმნაზია და გავიღებ კარებს!

ზატონსკიმ ჩააბარა გიმნაზია. გურგენიძემ ჯერ მშობელთა კრება მოიწვია, ესაუბრა და გამოატანინა მიმართვა პედაგოგებისადმი. მერე პედაგოგებიც მოიწვია და ესაუბრა.

— ბავშვებს რას ვერჩითო? სამოსწავლო წელი მთავრდება და თქვენი ნამაგარი რატომ უნდა გადაჰყაროთ წყალში?..

დაარწმუნა პედაგოგები. გაიღო გიმნაზიის კარები.

ზატონსკიმ ეს რომ გაიგო, გურგენიძეს მეორე გიმნაზიაც ჩააბარა. ვაჟთა გიმნაზია. აქაც გაჩაჩხა საქმე გურგენიძემ. აქაც გაიღო კარები.

მერე ის იყო რომ გურგენიძის ორ გიმნაზიას სხვებმაც მიჰმაძეს და ხარკოვში პედაგოგიური მუშაობა ნორმალურ კალაპოტში ჩადგა.

რამდენიმე წლის შემდეგ საქართველოს სახალხო განათლების კომისარმა არტემ კვირიკაძემ (ისიც ხარკოველი სტუდენტი იყო, ჩვენი დროისა), გურგენიძე თბილისში გადმოიყვანა.

პური და ხახრჩობელა

დავით ჭოლოკიამ და მე ფოთის გიმნაზია ერთად დავამთავრეთ. ხარკოვშიც ერთად შევედით უნივერსიტეტში. არალეგალური წრის წევრიც იყო.

უკრაინაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისას, 1918 წლის დსაწყისში, დავითმა ახალ ხელისუფლებასთან თანამშრომლობა დაიწყო. სასურსათო კომისარიატის რევიზორ-ინსპექტორად დაინიშნა. მაშინ გუბერნიის სხვადასხვა მაზრებიდან სასურსათო რაზმებს ელაკებისაგან რეკვიზიციით ჩამორთვეული პური ჩამოჰქონდათ. ერთ-ერთი რაზმის ხელმძღვანელი დავითი იყო.

იმე წელს უკრაინაში სამოქალაქო ომი დაიწყო. დაიწყო კულაკების გა-

მოსვლები პურის რეკვიზიციის წინააღმდეგ.

ერთ მივლინებაში დავითი ჩაზხმა პურის ორი ეშელონი შეაგროვა და ქალაქ კუპიანსკის სადგურზე დააყენა ვასამგზავრებლად. მაგრამ სწორედ ამ დროს თეთრები მიადგნენ ქალაქის გარეუბანს. გაიმართა ბრძოლა ქალაქის მუშებსა და თეთრებს შორის, სადგურის უფროსმა სემაფორი გადაეცა. პურის გატანას საშიშროება დაემუქრა. დავითი გამოცხადდა სადგურის უფროსთან, წარუდგინა მანდატი და სემაფორის გახსნა მოსთხოვა. უფროსი დაიბნა. ერთის მხრით შეეშინდა მანდატის მანდატში ეწერა ბრძანება: „რესპუბლიკის ყველა თანამდებობის პირი ვალდებულია“... მეორეს მხრით მოვლენ თეთრები და პასუხს მოსთხოვენ — პური რატომ გაუშვით?

— რა ვქნა ამხანაგო რევიზორო? — უთხრა დავითს სადგურის უფროსმა — სემაფორი რომ გაცხსნა მოვლენ თეთრები და ჩამომაბრჩობენ. თქვენ კი ხარკოვში იქნებით არხეინად!

გარეუბანში კი ხარბაზნებმა დაიგრიანეს. დაიძაბა მომენტი. სადგური თანდათან დაცარიელდა. მაშინ დავითმა მტკიცედ უთხრა უფროსს:

— გახსენით სემაფორი! მე კი მომეცით თქვენი წითელი ქუდი. თქვენს მაგივრად დავცდები აქ და, დაე, მე ჩამომახრჩონ თეთრებმა!..

ამ საუბარს ესწრებოდნენ დავითის რაზმის წევრები, მათ გაუვირდით დავითის წინადადება და მოინდოქეს სადგურის უფროსის მოკვლა:

— ჯობია ერთი კაცი მოკვდეს, ვინემ მთელმა ხარკოვმა იშიშნოლოს!..

მაგრამ დავითმა შეინერა რაზმელები, სადგურის უფროსს კი გაუმეორა წინადადება, თან დაუმტა — შიშნოლებენ ბავშვები. ქალები. მუშები... რა კაცი ხართ თქვენ?.. გაუშვით პური! მე ავალ საბრჩობელახე!..

— ოჰ, რა კაცი ყოფილხართ? — წამოიძაბა სადგურის უფროსმა გავიკრეფებით. მერე თავისი წითელი ქუდი, სად-

გურის უფროსობის ემბლემა. მაგრად ჩამოიფხატა თავზე და გასცა განკარგულება.

დაიძრა პირველი ეშელონი. რაზმის წევრები ვაგონებში ავიდნენ.

ბაქანზე იდგნენ დავითი და სადგურის უფროსი. უყურებდნენ მიმავალ ეშელონს.

დაიძრა მეორე ეშელონი. დავითმა უთხრა სადგურის უფროსს:

— შაძღვეთ თუ არა ქუდს?

— არა, ამხანაგო!.. მე მომიეიდეს რაც მომივა!.. თქვენ კი ჩაუტანეთ პური ხალხს!.. — უბასუხა დავითს სადგურის უფროსმა და ხელი გაუწოდა. მერე მზრუნველობით უთხრა: — იჩქარეთ! უკანასკნელი ვაგონი მოდის!..

დავითი შეახტა უკანასკნელ ვაგონს.

დავითმა პური ჩამოიტანა ხარკოვში...

ეს ამბავი — პურისა და სახრჩობელის დამშობილებისა — არავის გაკვი-

რვებია ხარკოვში, არავის უთქვამს; დავით ჭოლოკავამ გმირობა გამოიჩინა.

ეპოქა იყო თავად გმირული. ადამიანები — საბჭოთა ადამიანები თავად იყვნენ გმირები...

ოღონდ — უბრალო გმირები...

მინაწერი

გასრულდა მათი ამბავი...

ამ მოგონებათა სტუდენტები ჩემი სტუდენტობის დროის ამხანაგები იყვნენ. კაბუკური გატაცებით ვმუშაობდი იატაკქვეშეთში. ვაკაცურად ვფრძობდი მეფის რეჟიმს. გაბედულად ამოვუდევით მხარში ოქტომბრის რევოლუციას!..

დღეს არცერთი მათგანი ცოცხალი აღარ არის... მხოლოდ მათი აჩრდილები დამტრიალებდნენ თავს იმ წუთებში. როცა ამ სტრიქონებს ვწერდი.

ეს იყო ჩემთვის სანეტარო წუთები...



გამოდითოდა სანგრიდან გარეთ

მარზა გელოვანს

როცა ქვეშეხთა ვრცვინვა, გუგუნე,
მიიძინებდა წუთითი,
სანგარში ღამე იდგა უკუნი
და ჯარისკაცის ქუდით
გამოდითოდა სანგრიდან გარეთ:
ძილგატეხილი, მკრთალი.
უფინებოდა პოეტის თვალებს,
საგსე ნათელი მთვარის.
და ჩურჩულებდა:
ძვირფასო დაო,
ნუ მწერ აყვავდა ნუში,
ნუ მწერ

თბილისში გაზაფხულდაო,
აქ ისევე თოვდა გუწინ.
უახასკენელი ვგავოა გუნდგბა,
ჭრან ნაილიან გსეცით,
„ქუ დაებრუნდებო“,
„ქო, დაებრუნდებო“,
თოლისმით, — „ქერა თეჯის“
გამოდითოდა სანგრიდან გარეთ
ძილგატეხილი, მკრთალი.
უფინებოდა პოეტის თვალებს,
საგსე ნათელი მთვარის.

გთხოვ, განმერიდო...

რა ბედნიერი ვიყავით მაშინ,
როცა შორს იყავ
და შემთხვევით მხედებოდი გზაში.
რა ბედნიერი ვიყავი მაშინ.
შთამაგონებდი ამ მინდფრებით,
ამ ზეცით,
ამ მთით...
ამ შთაგონებებს ათასფრად ვრთავდი.

ახლოს მოხველ და...
შომანატრე შენი სიმორე,
ახლოს ხარ ჩემთან
და გულის დარდს ვეღარ ვიშორებ.
გთხოვ, განმერიდო,
განმეკრძალო, —
ფიქრო ძლივრო,
რომ აგამაღლო,
გაგაღმერთო სამავიეროდ.

რომ მინდოდეს

ეროვნული
ზიზლირთისა

რომ მინდოდეს?

ბე, რას ვიზამ,
სულსაც დაგაღვიინებ.
ისე შემოგებარები,
ხულ არ გაგაგებინებ,
ფაცერსა და მახეს შენთვის
შენვე დაგაგებინებ,
ნატვრაბა და ოცნებაში
დღეებს გაგაღვიინებ.
წყაროს პირას ჩაგიფვან და
წყალს არ დაგაღვიინებ,
ლაშქრად იყო, ხანაჭებო
ფარ-ხმალს დაგაყრვეინებ,
ხან გატირებ, ხან გაცინებ,
დაგიფუნებ მაგ თვალებს,
უხი-უნო,

ფორე-ფორე

გატარებ და გაწვალებ.
დარდად გაჭევე დარდიმანდს და
დარდს არ გაგამწელინებ,
წუთისოფელს ნატვრაში და
დარდში გაგაღვიინებ,
რომ მინდოდეს?
ბე, რას ვიზამ!



სტრიქონები მერცხლისადმი

გაიხადე, გენაცვალე, შავები,
სიმბოლო ხარ ჩემი ძველი ურისა,
თვალს შორეულ ისტორიის მტკვრი წვავს,
ქაუ, რამდენ გრძელ ფერხულში ჩავებით!

გაიხადე, ღვთაებრივო, შავები,
ოქროსფერი შენი ტანი გუანახე,
ჭიკჭიკე დიად ფიჭურთა ხანახებს
ლალ აკაკი წერეთელის ტაყპით!..

შავად ნულარ იმოსები, ძვირფასო,
მოდი, ერთად მოვიგლიჯოთ შვავეები,
ერთურთისკენ მივაბრუნოთ თავები,
ვიოცნებოთ, ვიციხოთ და ვიბრაზოთ...

ამ დღეს მაინც გაიხადე შავები —
სიხარულის ყველა კარი ღიაა,
და უერცხვები გზები მოვაიაოთ
სიმღერებით!
მის უღელში გავებათ.

ერთი მეზღვაური მღერო და

„ვიცი, ძვირფასო, სულგრძელია წუთისოფელი,
ის ვულზე ჰყვავის, დარება სად და ავდრები,
ის წალკოტია, სადაც ვგალობ შენი მშობელი,
ნიკალასავით მედუქნესთან როცა დავთვრები.

„გამიჯნურებულს მეტი რა ჰკლავს: კაბის შრიალი
და თვალთა ლურჯი, ილოცებენ რაზეც მზატვრები,
ნარნარი — უცხო, საყურენი — ბადახშიანი...
მკლავს, ბესიკივით მედუქნესთან როცა დავთვრები.

„შენი თუ სხვისი, სიყვარული მოვა შმაგური...
შორს გაუიჭრები, ამეშლება მიჯნურს დავთვრები,
კამათულივით კლდე-ღრეში დიდ ლოდს გაგაგორებ
არსენასავით მედუქნესთან როცა დავთვრები.

„ო, შორს ყოველი! შეხე, თოვლის სისუფთავეში
თერთი ჩექმებით მიმოდიან დიდი ზამთრები,
დამესიზმრება: დოჭით ღვინო, კიტრი, ლავაში,
ტაბიძესავით მწუსარებით როცა დავთვრები...“

ჰქრიან ქარნი აქტიურნი
ანაკლიის მსარიდან,
და, ვით ქნარებს ნოქტიურნი,
ფიქრს სადამო წარიტანს...
სად ხარ ახლა, სად ელავენ
თვალნი წამწამთ ღობიდან,
გული დარდის სათელავი
გახდა უშენობითა...
სად მიკყვებით წეროებო,
ფრინველების გაფიცვებს ?
გადაეცით სატრფოს ლექსი,
ეს ლექსი, ცას გაფიცვით!
უთხარით, რომ თვალწინ მიდგას
ვთხინიდე თუ ვბარავდე,
უთხარით, რომ გულთანა მაქვს
ყველა მისი ბარათი;
რომ სიმინდის ყვითელ ყანებს
მთვარე უდგას მგველედ

და სხივების მარათო
შლაა აუმღვრეველი...
რომ დაღლილი გლეხი კაცის
შუკვებს ავსებს ღიღინი,
ვერცხლისფერი ციაგებით
დაცვარულან რიყენი,
რომ ტრაქტორის ხმა მოისმის
იქვე, რიონს გაღმიდან,
კერიაზე, ვარსკვლავით
ნაკვერცხალი გაღვივდა...
რომ კვლავ დაგტკბეთ ერთმანეთის
წრფელ თვალების ცქერიოთა,
საუკუნოდ, განუყრელად
ვიყოთ ამიერიდან!
სად ხარ ახლა, სად ელავენ
თვალნი წამწამთ ღობიდან?
გული — დარდის სათელავი
გახდა უშენობითა...

ეპილოგი წიგნისა „მოგზაურობა ევროპაში“

გარეშე — ზეობს, თუ სულს დაფავს. თუ რა ფერი აქვს,
მიიფურცლება ისტორიის მძიმე გვერდები,
მუხლით დაცემულ სულხან-საბას შენავედრები
ძგერს გულისაებრ, იცინის, ცრემლს ღვრის იბერიი.
სუსტი უდრევი, ეჭვიანი, მხნე იბერია.

ქრილობას სასტიკს, საღ გულბში მპორგავს, მოზავთეს
ფერა მოარჩენს, თრთოლებათა რაც იმედების...
მოვლენ და წავლენ ოცნებათა ლურჯი გედები,
ხოლო ნაღვაწნი აღჩნდებიან სამშობლოსათვის,
„ველე ჯენევიას... რომს და ფარისს“... სამშობლოსათვის.

ვამს მიაქვს თვისი ვერაგობა და ნახრიკალი
და თან ახალი, ეპა, მოაქვს ვაი ან ვიში...
ასე, აჩრდილთა ტალღამრავალ ოკეანეში
წავიდა ბერი გულმსურვალე, ვითარც კრიგალი.
უბედო, თავის საგაზრდილოს დარად, კრიგალი.

ბეი, ქარებო! თქვენი სული ახლა მდორეა,
ისეთი მდორე, ვედარა ვთქვა, ვაგლახ, მუნ ენით...
ნეტავ რა ახალს გვიმზადებენ საუკუნენი?
ნეტავ რა ახალ გადაფურცლავს გვერდს ისტორია?
ბრმა, მიშვებული, ხუმარა და მხნე ისტორია.

ჯავახულის ცხელი დღეები

რომანო

— გაგიწყრა ღმერთი!..

ფერმის გამგე კოტე ღონისძივლი — ლამაზი შესახედაობის, შავთვალწარბა, პირმწითური, ტანმალაღი და მხარ-ბეჭემოილი ორმოციოდე წლის კაცი ორსართულიანი სახლის ცისფრად შედგებულ აივანზე გამოვიდა. ტანთ ჯიბეებიანი თეთრი ტილოს ხალათი და ოფიცრულ ჩექმებში ჩაკეცილი დიაგონალის სწორი შარვალი ეცვა. ქუდი არ ეხურა, ოდნავ შეჭალარავებული სვეული თმა მწითურ შუბლზე კეჭა-კეჭა ჩამოშლოდა.

ჯერ აივანზე გაიარა, — მოვლილი ეზო-კარმიდამო მოათვალეირა, მერე სვეტთან საბოლოოდ ხელმარცხნივ, მომიჯნე ორღობის ბოლოს, უგანგავი თუნუქით გადახურულ ასეთსავე ფართოაივნიან, კარფანჯრებშედგებულ ქვიტკირის სახლზე შეაჩერა, გუნებაში თავისი ამჯობინა და ნასიამოვნებმა ნელა, გაგრძელებულად ჩაიციან:

— ხი-ხი-ხი, გაგიწყრა ღმერთი! დიახ, დიახ, პო!

ამ ორ სახლს შორის ერთი სხვაც იდგა. გასული საუკუნის სტილზე ნაგები აგურის სარტყლიანი, სადა, თაღებიანი, საკმაოდ

მოხერო, მორჩილი და ზომიერი. ოდებლაც ქართულად ნაწუქურთმევი მუხის სვეტ-მოაჯირი იმდენად ჩამოღობობდა, რომ აქა-იქ ფარღალღადღა ეკიდა, ფიცრებაყრილი დაბალი აივანიც ცალ მხარეს გადაფერდებულებო. ამ სახლს სოფელი „ნათავადარს“ ეძახდა, მასში ერთ-ერთი ძლიერი ქართველი ფეოდალის რამდენიმე თაობა უცხოვრია და თავის დროზე საკმაოდ გავლენიანი, გამხვეწებული და ერისა და ქვეყნის წინაშე დეაწლმოსილი გვარიც ყოფილა.

მაგრამ დრო შეიცვალა, ცხოვრებამ სხვა მხრით გაუხვია და დეაწლიც და გავლენაც თანდათან წაშალა. ბოლოს სულაც დაივიწყა. გვარის ბოლო ნაშეიქმა დანაკარგი ვერ მოინელა, დროთა უღმობულ დინებას აუხირდა და უშვილდობრო სიციცხლე სადღაც უცხოეთში დაასრულა. გვარის სახსოვრად და მოაგონრად დღევანდღამდე სოფელს ეს სახლიღა შემორჩა, მაგრამ ოდებლაც საშვილიშვილოდ ნაგები და ალბათ თავმოსაწონარიც, დღეს ამ ორ გაფიქვინებულ სახლსა და ეზო-კარმიდამოს შორის ისე გამოიყურება, რო-

გორც აახელდახლოდ მოხურბლული, უსარგებლო ბუდრუგანა.

ყოველთვის, როცა კი კოტე ღონიანდელი ამ მომცრო ზომის მოძველებულ სახლს დააკვირდება, გუნებაში უსათუოდ გაიმეორებს „ნათავადარი აახლი“, და კობტად დაყენებული შავი უღვაშის წამასველ ბოლოებს ირთინული ღიმილი შეურხევს. ეს უფრო მას შემდეგ დასწემდა, რაც თავისი ათოთახიანი სახლი დაასრულა, მაგრამ ახლა აღარ გაუღიმიოა, სახიდან ის ნეტარი თვითკამყოფილებაც მთლიანად გაუქრა. მიზეზი კი ის გახდა, რომ იმ მომიჯნე საქმეში სახლის ქვიტიკირის გაღვანში დაყოლებულ რკინის მწვანე ჭიშკარს ახალი მარკის რძისფერი „ვოლგა“ მიადგა და სამჯერ გაბმულად და გამაღიზიანებლად მიაყვირა. მანქანის სიგნალის ხმაზე ზემო სართულის ერთ-ერთი ოთახიდან ფარჩის ხალათიანი ახალგაზრდა ქალი გამოინდა — თვალადი, ტანადი, ნაპატიები და მკერდ-თქოსნრული. ქალმა მოზაიკური ფილაქნის კიბე ნული გოგმანით ჩამოიარა და რიკულებიანი ჭიშკარი ყუნწამდე გააღო. ავტომანქანამ ოდნავ უკან დაიწია, თითქოს მანძილი მოზომა და ზაზის ხეივანით დაჩრდილულ ეზოში უხმოდ და მუხუბუქად შესრიალდა.

კოტეს სწორედ ეს ორი რამ აკლდა, — მის სახლსა და ეზო-კარმიდამოში არც ქალი ტრიალებდა და არც ავტომანქანა იდგა.

„არაფერია, ვეცე მექნება, მალე მექნება, — გუნებაში თავი დაიმშვიდა კოტემ და გულიდან ჯავრიც გადაიყარა. — წელს წინ აღარაფერი დამიდგება, საქმე ისე მაქვს აწყობილი, რომ... მანქანას უსათუოდ მოვავარებ, მერე ლოლასაც შემოვიყვან და...“

ლოლას გახსენებაზე სახე კვლავ გაებადრა, ორლობის ბოლოს მდგარ სახლს ისევ ნიშნის მოგვებით გახვდა და ხმამაღლა ჩაილაპარაკა:

— დაგვალულო, ბელლის თავი! ცოტაც მაცაღე და, აბა უნახოთ, რომელი უფრო კარგად დაგვაპაპინებთ, მე თუ შენ, მაშინ უნახოთ, აი, მაშინ! შურით თვალ-

ბი რომ გადმოგვცევა და ყბაც გვერდზე მოგებრიცება. დიას, დიას, ^{საქმისწორედ} ასე!

„ბელლის თავი“ და „დაგვალულო“ კოლმეურნეობის საწყობის გამკვე ფირუზა იყო. კოტესი და ფირუზას წინაპრები ოდითგანვე მომიჯნე ცხოვრობდნენ. თაობათაობას ცვლიდა, თვალები მრავლდებოდა და იტოტებოდა, მაგრამ მამაპაპეულ კერაზე, როგორც წესი, ერთ-ერთი ფუძის შემნახავი უსათუოდ რჩებოდა, ახალ ბუდეს იკეთებდა და მომიჯნეობა და მეზობლობა დაუსრულებლად გრძელდებოდა.

ასე დამკვიდრდნენ კოტე და ფირუზაც წინაპართა ნაფუძარზე. ორივენი დედის ერთები იყვნენ, მამა ორივეს ფრონტზე დაღუპვოდა. ფუძე-სახლ-კარში შემცილებელი არავინ ჰყავდა და მათს გარდა არც წილდებული და გვარის გამგრძელებელი ვინმედა იყო.

წინაპართა მთელი ვარდასული თაობები და თვით მათი დედ-მამაც მშრომელი, მსვენულ-მთვებელი გლეხები იყვნენ და თავს ალალი შრომით იწონებდნენ, მიწის ყადრი იცოდნენ, შრომას პატივს ხდებდნენ, ერთიპეორან ნაოფლ-ნაღვაწს საკუთარივით უფრთხილდებოდნენ და ურთიერთშორის ტკბილ მეზობლობას არ არღვევდნენ.

კოტეს და ფირუზას კი თავიდანვე ხევა კვიატი შეუწნდათ. თავს იმ დროს მოყაწრნენ, როცა ზოგიერთათა მიზეზით შრომა გაუფასურდა, გამოძალვამ, ხელმრუდობამ, სისარბემ და მომწვეჭელობამ ასბარეზი, დაისაკუთრა, უფლენა-მოვალეობის საკაცობრიო გრძობა დააღლუნგა და მის ნაცვლად ადამიანთა გულგებში ურთიერთშური, კიშპი, ჩუმი მტრობა, უნდობლობა და უხანხი ანგარიშინაობა გააჩნდა, ხილო ნილაბი და საბურავად დასშული ყური, ბრმა თვალი, ტკბილი სიტყვა და განუკითხაობის ურცხვე ღიმილი აიფარა.

კოტე და ფირუზა სწორედ მაშინ ახელდნენ თვალს ცხოვრებაში და ეს ურადერთ ნუმი ჭიშკიც ხკოლის მერხიდანვე ავევიატათ. თუმცა მაშინ ჯერ ცნობიერად არ იცოდნენ და არც გარეგნულად რამით ამ-

ვლანებდნენ, მაგრამ მჯობინობის ჭია გულში ორივეს უწუნებდა და ყოველ წამსა და წუთს, ფარულად, იდუმალად თვალს ერთმანეთისაკენ ამწერინებდა.

სამუალო სკოლა რომ დაამთავრეს, კოტე მედალი ერგო და პირდაპირ უმაღლესს მიამურა — უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე ჩაირიცხა. ფირუზამ კი სკოლის კურსი გატვირებით გააჩინა და რაკი უმაღლესში შესასვლელი გზა მოჭრილი ჰქონდა, ცხოვრებასაც და თავის მოქმედებას სხვა მხრიდან უყვლა: სოფლად დარჩა. ხელში თონი აიღო და ხალხსა და ხელმძღვანელობას თავი სოფლისათვის თავდადებულ, მოჭირახულ და მოამაგე ახალგაზრდად დაანახა. შრომაში მოჩვენებითმა და დროებითმა გულმოდგინებამ ნაყოფიც სასურველი და ნალოდინევი გამოიღო: როგორც ახალგაზრდა და სამუალოდამთავრებული ჯერ კომკავშირული რგოლის უფროსად აირჩიეს, მერე, სავალდებულო სამხედრო სამსახური რომ მოიხადა, მგვენახეთა ბრიგადას ჩაუყენეს სათავეში, ხოლო საბოლოოდ საწყობის გამგედ დააწინაურეს და სოფლის მთელი დოვლათის ბატონ-პატრონობა მიანდეს.

იმ ხუთ წელიწადში, სანამ კოტე უნივერსიტეტის კურსს დაასრულებდა და მშობლიურ სოფელს მასწავლებლად დაუბრუნდებოდა, ფირუზას უკვე ყველაფერი მოესწრო, ცოლიც მოეყვანა, აგე, იმ საქმიანობის კედლებიც ამოყენებინა და თავკაცობაშიც წილი დაედო, როგორც მაშინ ამბობდნენ, „საქმეში გასულიყო“ და სოფლის ავ-კარგში ერთ-ერთი და საქირო კაცის სახელი დაემკვიდრებინა.

ამ დღიდან იდუმალმა ურთიერთ ჯიბრმა და მტრობამ ორივეს გულში ახალი ძალით იფეთქა: ერთს დიპლომი და ინტელიგენტის სახელი ენატრებოდა, მეორეს ხიმიდირისა და სათვალთ მდგომარეობის უქონლობა უწევდა სულს და ერთმანეთს უკვე ცნობიერად და ამკარად უთვალთვალდნენ. გარეგნულად, რა თქმა უნდა, არც რასმეს იმჩნევდნენ და ხალხის დასანახად ერთიმეორესთან ტრადიციულ კეთილმეზობლურ დამოკიდებუ-

ლებას ინარჩუნებდნენ. ოღონდ ვე იყო, რომ ერთმანეთს სახელები შეუგვალეს. მომცრო ტანისა და საწყობში მუშაობის გამო, კოტე ფირუზას „დაგვალულსა“ და „ბელის თავეს“ ეძახდა და ზურგსკან დაუზოგავად აქილიკებდა, ხოლო ფირუზამ კოტეს თიკუნად „გიეპოტა“ შეარქვა, რადგან სკოლაში კოტე მშობლიურ ენალიტერატურას ასწავლიდა და მოწაფეებს ხშირად ქუჩაშიც პოეზიასა და საერთოდ მწერლობაზე ესაუბრებოდა.

• • •

იმ წელიწადს, კოტე რომ სოფელში დაბრუნდა, ფირუზამ ახლად აშენებული სახლი უფანგავი თუნუქით გადახურა, ხოლო კოტემ სახლის ახაშენებელი ფულის შეგროვება დაიწყო. ჯერ მხოლოდ საკუთარი ხელფასიდან ზოგავდა, მერე ცოლი შეერთო — თავისივე კოლეგა, ახლად კურსდამთავრებული პედაგოგი ქალიშვილი, და თავის მცირე თანხას ცოლის ხელფასის მონარჩენიც შეაშველა.

წლის თავზე ცოლ-ქმარს გოგონა ეყოლათ. პირმშოს დანახვამ კოტე უსომოდ გაახარა, მაგრამ ხარჯიც რომ მოემატა და სალაროში ყოველთვიურად გამოთვლილი თანხა ვეღარ შეიტანა, კოტე ცოტას შეცბა, დაფიქრდა და მეორე და მესამე შვილის გაჩენაზე ცოლს სასტიკი უარი უთხრა:

— აპა-პა-პა-პა! არავითარ შემთხვევაში არ გამაგონო, სახლის აშენებამდე აღარ გამაგონო.

გაზრდილ ხარჯს ანაზღაურება უნდოდა და კოტეც საქმეს გაზრდილი ენერჯითა და გულმოდგინებით შეეჭიდა. არც დაღლა ახსოვდა, არც — დასვენება. ჯერ იყო და, ახლადგახსნილ პროფტექნიკურ სასწავლებელში აიღო საათები, მერე კერძო რეპეტიტორობაც დაიწყო, ამას გარდა, ხელგარჯილობაც ეხერხებოდა, ხის მცირე ზომის საოჯახო ნივთებს აკეთებდა — საწიგნე თაროებს, ტელეფონისა და სამშვენიისების დასადგამებს და ცოტაოდენ თანხას აქედანაც მოულობდა. დასახარჯებიც

ყარათიანად იქცეოდა, ბევრ საჭიროსა და აუცილებელს იკლებდა და ოჯახი თვიდან თვემდე ნამცვეცეებზე გადაჰყავდა. გროშს გროშზე ადებდა, მანეთს მანეთზე აწებებდა და სახლისათვის გამიზნულ თანხას, რომ იტყვიან, ცოდვიანივით დაჰკანკალებდა.

— ნეტა, რა თავს იკლავ, კოტე, — ეტყოდა ხშირად ცოლი, — რად გინდა?

— მაშ, როგორ, იმ ბედლის თავგვს ჰქონდეს და მე არა?

— მაინც, რა ასეთი აუცილებელია, აი, სახლი ხომ გვაქვს.

— მერე, ესა და ის ერთია?

— ერთი არ არის, მაგრამ... ჩვენ ხომ გვეყოფნის, ვეტყვი, ჰერი გვაფარია და წყალი არ ჩამოგვდის.

— ადამიანს მეტი არაფერი უნდა? თავშესაფარი ხომ ნადირსაც აქვს. ცხოვრება სადღაა?

— ცხოვრებაც ეს არის, კოტე, — ტანთ გვაცვია, მშვირები არა ვართ, შვილი გვყავს და საქმე გვაქვს.

— განა ცხოვრება მართლ ჭამა და ჩაცმა?

— დიხაც არ არის, და მაგას სხვა არც რაიმე გააჩნია — სვამს, ჭამს და აცვია ჩვენი კი. მე და შენ, ის სხვაიცა გვაქვს, რასაც ცხოვრება ჰქვია: ვზრდით თაობას, ვამზადებთ მომავალს, მამასაღამე, ვემსახურებით ხალხს, საზოგადოებას, და გვაქვს მიზანი, იდეალი... და სიცოცხლის ერთადერთი და უპირველესი დანიშნულებაც ხომ ეს არის?

— ჰო, მე და შენ ვემსახურებით, და ადგილი კი მაგას და მაგისთანებს უჭირავთ, იქ ეგენი არიან.

— არ დაიჯერო, კოტე, ეგ მხოლოდ გარჯად ჩანს ასე. მუხის ჭიაც არის, მაგრამ მხოლოდ ჰერკუს ღრღნის, გულამდე კი ვერასოდეს შეაღწევს.

— მე რომ ისიც არა ვარ?

— არც უნდა იყო, კოტე, შენ შენი სახელი გქვია, შენი ადგილი გაქვს, იციან, ღინა ხარ, რა ხარ. ეგ და მაგისთანები კი დღეს არიან და ხვალ აღარ იქნებიან. ჯანსაღ სხეულზე გაჩენილ პარაზიტებს ჰგვანან, რომლებიც თავის მოსასპობ

შსამს თვითონვე გამოყოფენ ხოლმე. აი, რანი არიან. ეგენი... ბოლოს და ბოლოს, შენ ინტელიგენტი ხარ კოტე, და ეგ არ უნდა გიზიდავდეს, გეჰსმის, ინტელიგენტი!

ცოლი რომ ამას ეტყოდა, კოტეს გულის ჭაველი უმაღ დაუამდებოდა, თავისი თავის რწმენა და პატივიც ისევე უბრუნდებოდა, მაგრამ ერთხელ, კოლმეურნეობამ მოსავლის აღება რომ მოათავა და ჭირნახული დააბინავა, სოფლის ყრილობა ჩაატარა. მთელი სოფელი უკლებილე შეიკრიბა, რაიონის თავაგობაც თითქმის სულ იქ იყო. ყრილობას, როგორც ჩვენებური წესია, სუფრაც წაება. სუფრაზე სოფლის ინტელიგენტთა წრიდან ერთ-ერთი წვეულ თავანი კოტცე იყო, თუმცა ასეთ მიწვევას არ მიწვევა ერჩია. ჯერ იყო და, ადგილი ვერ ირგუნა შესაფერი, ხელმძღვანელთაგან საგანგებოდ არაფერ შეეპატივა, თავაზიანობის გამო ვერც თვითონ გადაიჭრა წინ და დაჯდომამ სადღაც ბოლო კუთხეში უწია. ფირუზამ კი სწორედ რაიკომის მდივნის გვერდით ამოყო გამელოტებული თავი და რიგით კოლმეურნეებს შორის ჩაჭედო კოტეს ცბიერი დიმილით გამოსედა. მერე კიდევ, როცა სუფრა მორიგ სადღეგრძელოებზე გადავიდა, თამადამ კოტე კგუფურად ადღვეგრძელა, სოლო მდივანმა მისკენ არც კი გამოიხედა. ჭიჭა უხმოდ აიღო, ბირი ოღნე დააკარა და ისევ დალილიციებული ჩაილოცა. ფირუზას სადღვეგრძელოზე კი სიტყვა საგანგებოდ ითხოვა, ფეხზე წამოდგა და რაც თამადამ თქვა, ერთი იმდენი თვითონ დაუმატა. თანაც როგორ შეამკო: უმწიველო მუშაკი, სოფლის მოჭირნახულე, ნაცადი ამხანაგი, კაცური კაცი... და ბრძოლის სასამისი ძირამდე გამოცალა. სუფრის თავში მსხდომებმაც მდივანს მიბაძეს, რადგან რაიონში მხოლოდ ის ფასობს, ვისაც თავაკი შეხედავს და გამოარჩევს. ო, რა რიგ მწარედ მოხედა გულზე კოტეს ეს გამოარჩევა! მაშ თვითონ ვინდაა? რაღაა? სკოლა წარჩინებით დაამთავრა, უმაღლესიც ასევე, თანაც სოციერთებივით გარეთ არ გასულა და სოფლისთვის ზურგი არ შეუქცევია, აი აქ არის, აქ ცხოვრობს და ხალხსაც,

ბულა. ისტორიას ბევრი ასეთი მაგალითი ახსოვს, მაგრამ „ვეფხისტყაოსანში“ სხვა უფრო კარგი რაღაც წერია, აბა თუ გამოიძინებ?

— როგორ გითხრა... „ვეფხისტყაოსანში“ ყველაფერი კარგი წერია.

— მართალია, მაგრამ ის ერთი მაინც ყველას ჯობია.

— მაინც, რომელი?

— სწორედ სადღესისა, სანჯენო.

— ჰოდა, თქვი-ნეტქვი.

— გეტყვი, ოღონდ უნდა დაიხსოვო, და რთუა თავში ასეთი მაცდური ფიქრი შევიჯდება, ხმამაღლა გაიმეორა.

კოტე დადი მგოსნის შეგონება ჩამარცვლით გაიმეორა:

„მიმდინო საწუთროსანი მისთა ნივთთაგან რჩებიან, იშვებენ, მაგრამ უმუხთლოდ ბოლოდ ვერ მოურჩებიან“.

— მართლაც კარგად არის ნათქვამი, ძალიან კარგად.

— ხომ მოგწონს? — ქალმა უკვე ხალისით შესცინა და თითქმის დაეშუქრა, — ჰოდა, იცოდე, ამ ქვეყნად ჭეშმარიტი სიბარული მხოლოდ ალალ შრომას მოაქვს. კარგი ის არის, რაზეც ხელი და შესაძლებლობა მიგიწოდება, სხვა ყველაფერი ფუჭია, წარმავალია, მოჩვენებითა.

— კარგი გოგო მყავხარ, ჭკვიანი, გონიერი, — კოტე ცოლს ორივე ხელი მოხვია, აკოცა და გულზე მხურვალედ მიიხუტა.

• • •

მართალია, კოტე ცოლს საბოლოოდ შეპირდა და დაამშვიდა, მაგრამ ხარფიანი ადგილის ლოდინი გულიდან მთლიანად არ გადასვლია, არც ფულის დაგროვებაზე აუღია ხელი. ხუთი წლის თავზე დანახოები თანხა იმდენად გაზარდა, რომ უკვე შეუძლო მშენებლობის წამოწყება, აპირებდა კიდევ გაზაფხულისთვის რომ უცხად თავს მოულოდნელი უბედურება არ დასტეხიდა: ცოლი ხელოვნურ მშობიარობას გადააყვია.

საყვარელი ცოლის სიკვდილმა კოტეს თავზარი დასცა, მით უფრო, რომ ბრალი თვითონ მიუძღვოდა — ქალმა ეს ნაბიჯი

ქმრის დატინებული მოთხოვნით გადადგა. დანაშაულის გრძობა მკვლარი ცოლის წინაშე იმდენად დიდი იყო, რომ კოტე ვეღვაწე ლაფურზე ხელი ჩაიქნია, სახლიც, სარფიც, გამდიდრებაც და თავგამოწინაც სამუდამოდ დასწყველა, რაც ცოლის დასაფლავებიდან ფული გადარჩა, მთლიანად გოგონას — ლილის სახელზე გადააფორმა, ბავშვის მომვლელად და მეთვალყურედ უშვილიძიროდ ჩამობრუნებული და დაქვრივებული ბიძაშვილი ქალი მოიწვია, ცოლის შერთვაზეც უარი თქვა, თავის ერთადერთ მიზნად ბავშვის აღზრდა დაიტოვა, მთელი ზრუნვა და ყურადღება მასზე გადაიტანა და ცხოვრების ყოველდღიურ მდინარებას მინებდა.

ასე გავიდა ათიოდ წელიწადი.

ერთ ზაფხულს სოფელში ახალგაზრდა თბილისელი ექიმი ქალი მოაყვლინეს. მთელი სამი წელიწადი სოფელი უეჭიმოდ იყო და მის ჩამოსვლას ყველა სიხარულით შეეგება, მაგრამ, როგორც სოფლის ექსპერტი, ჩამოსვლის დღიდანვე ლამაზი ექიმის ირგვლივ ათასნაირი ჭორი და მოთქმამოთქმაც გაიბა: ერთი ამბობდნენ, ქვრივი ყოფილა, მეორენი — ქმარი უშვილობის გამო გააყრიათ. იყვნენ ისეთებიც, ვინც მის სოფლად ჩამოსვლას უნდობლად უყურებდნენ, — ერთი უფიცი და ხელმოცარული ვინმე იქნება, თორემ თბილისიდან აქ არ წამოვიდოდაო, სხვები კიდევ უარესსაც ამბობდნენ, მაგრამ მის სილამაზეს და მოხდენილობას ყველანი ერთნაირად აღიარებდნენ.

ეს ჭორი — ავიც და კარგიც — დროდადრო კოტესაც ესმოდა, მაგრამ კოტე არც ერთსა და არც მეორეს იოტისოდენა ყურადღებას არ აქცევდა, ხანამ ერთ დღეს ბიძაშვილმა არ უთხრა:

— კოტე, გენახა, რა ვქნა. ე ქალი? იქნებ მოვეწინოს და... გამოგადგეს კიდევცა?

ცოლის შერთვაზე კოტე ჩუმრუდ თვითონაც ოცნებობდა — დრო და ხანმა გულისტკივლი დააყუწა, მაგრამ გარდაცვლილი ცოლის წინაშე დანაშაულის გრძობა ისევ შემორჩა და ამ ფიქრს თავის თავსაც არ უშხელდა. ახლაც თითქოს უნ-

ბურად წამოსცდა.

— შენ ნახე?

— კი.

— როგორია?

ბიძაშვილმა ცერი თითი უჩვენა:

— აი, ქალი!

— რა პქვია?

— ლოლა.

— სახელს არა უშეხვ.

— სახელს რას უყურებ. შენ თვითონ ქალი ნახე და! ისეთია, რომა... მთვარესავით ანათებს.

— აღამიანი მარტო გარეგნობით ხომ არ ფასდება?

— არც სხვაფერიც არის დასაწუნი, მე ველაპარაკე. გავეცანი, მხნე და მარჯვე ქალი ჩანს. თანაც ქმარნაყოფი ყოფილა და ერთმანეთისათვის დასაყვედრებელი აღარაფერი გქვნებათ: ფერი-ფერსა, მადლი-ღმერთსა!

— ქმარს რაზე გაპყრია?

— უშვილობის გამო.

კოტემ გაიცინა:

— უშვილო ქალი მე რაღად მინდა?

— იქნებ ეყოლოს, რამდენი ასეთი შემთხვევაა, არადა. ერთი შვილი ხომ გყავს... ჰოდა, რა ვიცი, კოტე, გენახა, იქნებ... კარგი ქალი მაგით არ დაიწუნება.

— რა თქმა უნდა, არ დაიწუნება... მაგრამ...

— მაგრამ, რა

— ტყუილად ნახვას რა აზრი აქვს?

— რატომ ტყუილად? აბა ასე როდემდე უნდა იყო... ახალგაზრდა ხარ, გვეც არ იყოს, სახლს უქალოდ, უდიასახლი-სოდ მადლი და ბარაქა არა აქვს, თუ გინდა, მევე ვეტყვი, გაგაცნობ კიდევ.

კოტემ ხელი ჩაიქნია.

— რად გინდა, ხომ იცი, რა აღთქმა მაქვს, სანამ ლილის არ გავათხოვებ... მერვე ვინ იცის, ან ჰო, ან არა.

— ლილი თითქმის უკვე გახატოვარია, თოთხმეტი წლის გოგოა... მალე საშუალო-საც დამთავრებს, ცოტა შენც დაამქარე და... თუ ნებას დამრთავ, მითხოვნელსაც მოგინახავ.

— არა, სკოლის დამთავრებამდე ხომ არ გავათხოვებ?

— რაღა დიდი დრო დარჩა? სამი წელიცა და...

— მერე ეგ შენი მონღოლებული ქალი მანამდე დამიცდის? — გაიცინა კოტემ, — მით უფრო, თუ მართლა ასეთი ლამაზია.

— ჰოდა, ნახე-მეთქი, გვეუბნები, გაეცანი, ერთმანეთს გაეხაუბრეთ, ახედ-დახედეთ... თუ მონღოლები, მეტსაც დავიცდის, ქალი არ არის? ისე დავიცდის, რომა...

კოტეს ქალის დასაწუნი არაფერი სჭირდა და ლოლას მართლაც მონღონა. წვივთქოსრული, პირთეთრი, ცისფერთვალა და ტანაშოლტილი ლოლა კოტესაც პირველ დანახვისთანავე თვალში მოუვიდა. ერთმანეთით ორივენი კმაყოფილნი იყვნენ, მაგრამ კოტე უფრო უმაღლოდა ბედს და თავს მოგებულად თვლიდა. სილამაზესთან ერთად ლოლას სწორედ ხასიათის ის სეკეთე აღმოაჩინდა, რასაც ერთ დროს კოტე თვითონ ესწრაფოდა და რაზეც ახლა უკვე ხელი ჰქონდა ჩაქნეული — სიცოცხლის ხალისი, დრო-ჟამის შესაფერისი მოქნილობა. ცხოვრებისადმი ლტოლვა, სურვილი, დაუკმაყოფილებლობა და მოცადლობა. გაცნობისთანავე კოტეს ამ მხარეს გადაუგდო სიტყვა და პირუკუ შებრუნებული ისევ პირწაღმა მოაბრუნა. ეს მოსდა კოტესთან მეორე თუ შესამე სტუმრობაზე. ძველი ხასლის მორვეულ აივანზე ისხდნენ და დაბრეცილი მუხის მარჯვლებითა და ჩანახშირებული ძეძვით შემოღობილ, უალაყაფო ეზო-კარმიდამოს გადაკეულებდნენ. საუბარში ლოლამ მოხერხებულად შეაპარა:

— კოტე, ამ შენს სახლს-კარს რომ ვუყურებ, უპატრონო მგონია, რათა?

კოტემ თავისი წინანდელი სურვილები და თავსგადანახედი დაწერილებით უამბო.

— ახლა რაღას აპირებ? — უკვე პირდაპირ ჰკითხა ლოლამ და მოლოდინით ნიაშტერდა.

— ახლა? — კოტემ ქარაგმულად გაიცინა და გვერდიდან ცერად გამოხედა, — ახლა სახლი ისევ დამქირდება და ალბათ ეზო-კარმიდამოსაც მოგაწყობ.

ლოლამ ერთხანს იყურა და ხელასლა ჰკითხა:

— იმ თანხიდან, კოტე, რაც ხალაროში გაქვს დაწოვილი, ხალს რომ ააშენებ, რამდენილა დაგროვებ?

კოტეს სახეზე სიწითლემ გადაჰკრა.

— რაღა უნდა დამრჩებ... კედლების ამოყვანასაც არ ეყოფა.

— აბა, რა უნდა ჰქნა?

— კიდევ დავაგროვებ.

— ხელფასიდან?

— რა თქმა უნდა.

ლოლამ უკმაყოფილება ვერ დაფარა — წერილი წარაგები მოჰქუხნა, მხრები აინუნა და განსუ გაიხედა. კოტემ უფრო დაირცხვინა და თავისმართლებასავით ნელა თქვა:

— ხელფასიდან... აბა ხსევა რა მაქვს?

— საქმეც ეგ არის, კოტე. — ლოლა ფიცხლად შემობრუნდა, დიდი, ცისფერი თვალები პირდაპირ მიანათა და საკმაოდ მკვამლად ეუხრა, — შენ მთელი შენი სიცოცხლე ფულის გროვებას და ხალსის შენებას ვერ მოჩრები და როდისღა უნდა იტყვირო?

— ასეა და რა ვქნა? — მოგვიანებით უპასუხა კოტემ.

— ის ქენი, რასაც ქვეყანა შვრება, — მოკლედ მოუჭრა ლოლამ, — ეგ ფული ვერ საქმეში დაბანდვ, ხელში საქმე დიჭირე და ხალსზე და ასეთ წერილმანზე მერე იფიქრე. საქმე ფულს მოიტანს, ფული ისევ საქმეს გააკეთებს და... ასე, დაუსრულებლად. — ლოლამ გამომცდელად შეხედა და სმადაწვევით განაგრძო, — ადგილის შოვნა ახლა ძნელი არ არის, ხელმძღვანელობა შეიცვალა და ხალსს აქ, ადგილებზეც სცვლიან — კადრებს ახალისებენ... მიდექ-მოდექი, ნახე...

— მერე, გვიან არ არის? ჩემს ასაკში... როდისღა?

ლოლამ სმამალლა გადაიხარხარა:

— ჩემს ასაკში? მაგას ახლა სამოცი წლის კაცები აღარ ამბობენ და შენ რა გჭირს ისეთი, რომ... ჰი-ჰი, რა გულუბრველო ხარ კოტე.

კოტე მართლაც გულუბრველოდ მსჯელობდა, ახალი საქმიანობის დაწყება უკვე

დაგვიანებულად, დაკარგულად მიანდა და აღარაფრის იმედი და მოლოდინი აღარ ჰქონდა. ლოლასთან საუბარმა, მისმა რჩევამ თითქოს ბურანიდან გამოაფხიზლა და ძველი მიზნები და სურვილები გაუღვივა. ამ დღიდან კოტემ რაიონისა და სოფლის თავაკებთან მიმოსვლას მოუხშირა, მაგრამ ეს საქმე არც ისეთი ადვილი გამოდგა, როგორც ლოლა უსატავდა და თვითონაც ეგონა, საამისო ალღო არ ჰქონდა, გამოყვანილება აკლდა და საქმეს ზერხით თვითონაც ვერ უდგებოდა. სურვილს უმეტესად სმამალლა გამოთქვამდა, ან იქ ამჟღავნებდა, სადაც სწორედ არ უნდა გაემხილა. ეს კი გამოცდილ ხალსში ეჭვსა და უნდობლობას ბადებდა და კოტეს ყველა ცივი უარით, ან, უკეთეს შემთხვევაში, მხრების ორჭიფული აჩქვით ისტუმრებდა.

საბოლოოდ გზა აქაც ისევ ლოლამ გაატანინა. ერთხელ ამბავი გამოჰკითხა და ჩვეული პირდაპირობით უთხრა:

— კაცი უნდა გამოიხარო, კოტე. შუაკაცი, თავმდები, ვინც გიცნობს და „იმთავ“ გაგაცნობს, ასე ვთქვათ, წარგადგენს.

— ვიცი, მაგრამ რომ ვერც ვგეთი ვისმე ვნახე, ვერ მოვინახე.

— ფირუზას უთხარი, საწყობის გამგეს, — კვლავ მიუკბ-მოუკბიბავად უთხრა ლოლამ, — საქმეში გასული კაცია და... როგორც გავიგე, სოფლისა და რაიონის ყველა დიდსა და მცირე საქმეს ეგ ატახტავებს, ჰოდა, შენი გაგიყვანს.

კოტემ წარბი შეკრა და ხელები გაასავსავა:

— მაგას არ ვიზამ... არავითარ შემთხვევაში!

ახლაც კოტეს მორყეულ აივანზე ისხდნენ. ღილი სკოლაში იყო და საუბარში მოხარდი და ხელის შემწეული არავინ ჰყავდათ, მაგრამ ლოლამ მინი დაუწია ხმას, იდაყვით მოაჯირს დაეყრდნო, კოტეს გვერდიდან გამოხედა და საზვასით ჰკითხა:

— ვითომ რატომ არა, კოტე?

კოტე უარხად გაწერა:

— როგორ, ჰალო, იმ ბედლის თავის მურვეობაც ვიკადრო? აბა, რას ამბობ?

— კოტე, ფულს ემოციები და ასეთი...

უასრო სიმათია-ანტიპათიები არ უყვარს, — დამირებულურად უთხრა ლოლამ, — თავმოყვარეობას ხომ სულ ვერ გუობს... ყველაფერი უნდა დაივიწყო, უარყო, ჩამოინრეცხო, თვით სარწმუნეობა და წარმომავლობაც კი... ეს ერთადერთი გზაა და... შენც ამ გზით უნდა იარო, სხეანაირად არაფერი გამოვივა. ვაიკე? მიხვდი?

— ი, — შეუბა კოტე, — გაიფეკე კი, მაგრამ... მე შთაღად ვერე არ მიხდოდა, მამე, კაცს კაცი აღარ უნდა ერქვას?

ლოლამ შემწყნარებლურად ჩაიციხა.

— თბ, კოტე, რა შიამიტი ხარ, როგორ არ იცი, რომ ფული ყველაფერზე ზადლა დგას. ერთი ბრძენი კაცისა არ იყოს, ყველაფერს შეიციავს თავის თავში და ყველაფერს იძლევა სინამდვილეში. ფული თავმოყვარეობასაც საკუთარს ქმნის, უფრო სწორად, თვითონ არის ყველაზე დიდი თავმოყვარეობა, ჰატივი, ღირსება, განუზომელი ძალაუფლება, ხოლო ძალაუფლებასათვის არავითარი ვთიკური ნორმა არ არსებობს. ფული რომ გაგიჩნდება, ამას თვითონვე მიხვდები. ეგვეც არ იყოს, კოტე, განა რა მოგცა შენმა დავარცხნილ-დატკეპნილმა თავმოყვარეობამ? — ხელი ირგვლივ შემოატარა და სახლსა და ეზო-კარმიდაბოზე შეახედა. — აი, რა, მეტი არაფერი! ფული კი... კმ, სახლი რა ხათქმელია... სვლმწიფე ხარ, კოტე, ღმერთი ხარ. ღმერთზეც დიდი ხარ... რახაც ინატრებ, მიიხდომებ... სახლს კი არა, თუგინდ ღვთის ტაძარს დაიდუკამ და მამაზეციერს დიაკუნად იმსახურებ.

კოტე გააოგნა ლოლას მჭევრმეტყველებამ, როდის-როდის მოგვო გონს და სიცილით ჰკითხა:

— ქალო, შენ ექიმი ხარ, თუ კომერსანტი?

— ერთიც და მეორეც! — იმავე პათეტიკურ კილოზე მიუგო ლოლამ, — ჰოდა, ვერე, კოტე, — დაუმატა ბოლოს და წამოდგა, მეტის თქმა საჭიროდ არ ჩათვალა, დანარჩენი კოტეს თვითონ უნდა განესაჯა, თავისით, სხვათა ჩაურეგლად გარკვეულიყო, დარწმუნებულებიყო. გარდა ამისა, სკოლიდან ლილის დაბრუნების დრომ შოაწია

და არ უხდოდა, მანამისთნ მარტოც დახვედროდა.

ქაქულაძე
გეგმული

* * *

კოტემ განუსჯულადე კარგად იცოდა, რომ ლოლა მართალს ამბობდა, ამასი საკუთარმა გამოცდილებამაც დაარწმუნა — უმუამავლოდ ვერაფერს განდებოდა, ხოლო ფირუზასთანა ხაიმედოს სხვას ვერავის იშავიდა. მაგრამ მასთან სათხოვნელად მიხვლას სიკვდილი ერჩივნა და, იმ იმედით, ექნებ სხვა ვინმე ამიჩნდესო, ვერჯურობით ფეხს ითრევდა. საბედნიეროდ, ფირუზამ თავისი სამსახური თვითონვე შეტავაზა. ერთ ხალაშის სოფლის შარამი წამოქვია, ხელი გამოსდო და ლაპარაკი გაუბა. ფირუზასთვის, როგორც „საქმის კაცისთვის“, კოტეს სურვილი და მცდელობა გაუგებარი არ იყო, მაგრამ თავი ასე მოაჩვენა, თითქოს არაფერი იცოდა. ჯერ აქეთურ-იქეთურზე ესაუბრა და მერე ვითომ სხვათაშორის ჰკითხა:

— კოტე, ეს ხალხი რომ ამდენ მიეთმოეთუშია, შენ კი რატომ არაფერს ფიქრობ?

— რა ვიფიქრო, ან რაზე? — თავი მოიუშეცარა კოტემ.

— ადგილზე, საქმეზე... აბა როდემდე უნდა იყო სოფლის მასწავლებელი, ხომ ხედავ, რაები ხდება, ხალხს ხსნიან, ადგილები თავისუფლდება. ჰოდა... შენ რა, ამ ქვეყნის შვილი არა ხარ?

— რა ვიცი... — მხრები აიჩეჩა კოტემ და ახლა თავი მოისაწყლა, — კაცს რაზეც ხელი არ მიუწევდა, იმას არ უნდა წაეპოტინოს, მე ვინ, სოფლის უბრალო მასწავლებელი და საქმე — ვინ?

— რა გული გატეხია, ბიჭო? ვითომ რა გაკლია, უმაღლესი განათლება გაქვს, პარტიის წევრი ხარ, ახალგაზრდა ხარ, მე და შენ ხომ ორმოს ეს-ეს არის, გადავაბიჯეთ?..

— საქმეს მარტო ფე არ ჰყოფნის, — შეაწყვეტინა კოტემ. — ნაცნობობა უნდა, მე კი ვინ მიცნობს? არავინ.

რაკი კოტემ გულის ნადები ნაწილობრივ გაუმტავნა, აღარც ფირუზა მოფრიდა და ჰირდაპირ საქმეზე გადავიდა:



— ფერმის გამგედ არ წახვალ? მეძროხობის ფერმის გამგედ?

კოტემ უცბად ვერ უპასუხა, ეს კითხვა ისეთი მოულოდნელი იყო, რომ პირველად ვერც კი დაიჯერა. თავისი მომავალი საქმიანობა კოტეს უფრო სხვაგვარად ესახენოდა: დიდი კაბინეტი, ვრძელმისაღდგამიანი მაგიდა, ტელეფონები, მდივნები... ეს კი რას სთავაზობს? კმ, ფერმა! ინტელიგენტი კაცი და... ძროხის სუნი. — ნუხვი, წუნწუხი... ეს რა აკადრია ამ მართლა ბეულის თავგმა?!

ფირუზა ყოყმანის მიზღვს მიუხვდა, წყნად შეატყო და დაბლიდან ისე ასედა — მოწყალედ, შემწყნარებლურად — ბავშვს თავზე ხელს რომ გადაუსვამენ. — რა გეშველება ასეთ უვიცხო კოტემ ეს შეხედვა სწორედ ასე გაიგო და წყენას შეურაცხყოფაც დაერთო, მაგრამ ფირუზამ ხმის ამოღება არ აცალა, იდაყვით წაქიმუნჯა, ორღობის გასაყართან კაკლის მრდილში მიაყენა და წყრილი, მოძრავი თვალები დაბლიდან კვლავ დამცინავად მიაშტერა.

— არ გეწყინოს კი, კოტე და.. შენ სოფელს არ იცნობ, აღარ იცნობ, არც მიხი საქმე იცი. მესაქონლეობა ჩვენი კოლმეურნეობის ერთ-ერთი დიდი და, როგორც იტყვიან სოლმე, წამყვანი დარგია. სოფლის შემოსავლის თითქმის ნახევარს იძლევა. გარდა ამისა, ჩვეს ფერმაში იმდენი რამ არის დასახუსტებელი, გახარკვევი, გადასანაწილებელი, რომ.. მე ხომ ვიცი, ერთი სიტყვით, წყალი ამდერეულია და თვეზიც ბლომად არის... და ყველაფერი შენს ხელში გადმოვა... პირველ ხანებში მე გასწავლი, სად, რა და როგორ? მერე თვითონაც მიხვდები, აღდოს აუღებ და... გეწყინალი ფერმა მამინ წმინდა სამოთხედ მიგვეწვინება. — ფირუზამ თითხის წვერებზე აიწია და ტუჩები თითქმის ყურზე მიადო, — ფული არ ყარს, კოტე და არც ხუნის ხამუში იცის!

ფირუზა ჭარბად ფრთხილობდა და მალ-მალე აქეთ-იქით იყურებოდა, თუმცა ახლომასხლო, არც თემშარასა და არც ორლო-ბუბში კაცის ჭაჭანება არ ჩანდა. გვიანი საღამო იყო, ნავეიანევი მთვარის ნალევი

თითქოს შექყინვოდა ლილისფერ ცის კედურს და ღამეს მხოლოდ ოდნავ აფერხვლავ კრთალბდა.

— ესეც იცოდე, კოტე, — კვლავ ჩურჩულთ განაგრძობ ფირუზამ, — ფულის ამპარტანობა არ უყვარს... შენ ცოტა მოგდგამს და უნდა მოიშალო, — თითი ასწია და კვლავ საზგასმით წარმოთქვა, — არცერთი შავი საქმე არ უნდა ითაკილო. არცერთი! — კოტეს ხანგრძლივად შეაშტერდა და მცოდნე კაცის თავმოწონებით დაუმატა, — ჰოდა, ასე... იცოდე... ფული ადვილი მისაწვდომი არ არის, ის ახლა საკირემი დევს, გავარჯარებულ საკირემი და შიგ ტან-ფეხშიშველი უნდა შეხვიდე. საამისოდ კი ფერმა ყველაზე კარგი და მარჯვე სახუნდარია. ხალხის თვალი წარამარა ვერ ხედავს, წამთარ-წაფხულ მოშორებუღია, ხან — მთაში, ხან — ბარში. რა ხდება იქ, რა კეთდება, მხოლოდ რამდენიმე კაცმა ვიცით... და შენც ერთი ამ კაცთაგანი იქნები.

ფირუზას ნათქვამი კოტეს ჭკუაში დაუჯდა, გუნებაში აწონ-დაწონა და ფერმა სახურველ ადგილად წარმოუდგა, მაგრამ გარეგნულად კიდეც არ დაიმშინა და ფირუზას თითქოს ისევე სხვათაშორის კითხვა:

— კი, მაგრამ ფერმას გამე ხომ ჰყავს? — ხვალ აღარ ეყოლება... უკვე გავლაწვეტილია, მე ვიცი.

ფირუზამ დიხანც იცოდა, ყველაფერი თავისი ხელით ჰქონდა ჩაწყობილ-ჩალაგებული და როგორ არ ეცოდინებოდა. რესპუბლიკაში ყველა სიმრუდის გამონხრეკა-გამომხურება რომ დაიწყო, პრაღიანნიც აიზღარბნენ. მაღლიდან დაწოლას დაბლიდან შენიღბული წინააღმდეგობა შეაგებეს და თუ რამ დასანახი, სათვალის და გამოსაჩენი ჰქონდათ, ყველაფერი საგულდაგულოდ მიმალ-მიტუტკეს. ფერმაც ერთი ასეთთაგანი იყო, ბოლო შემოწმებაზე, რომელიც უფრო ვალის მოხდის გამო ჩატარდა, ფერმაში ბევრი რამ აღმოჩნდა ისეთი, რაც ეჭვს ბადებდა. მართალია, ამაზე ხმადალა არაფერი თქმულა — თავაკაცობა ფაქტს ყველაშიარად ფარავდა, მაგრამ სიმართლემ სოფელში მანინც გაჟონა და აქა-იქ, ჩუმი, მაცრამ საკმაოდ

საშიში მითქმა-მოთქმა გაიბა. ხალხის თვალის ასახვევად საჭირო გახდა ფერმის გამგის გადაყენება და ახლით შეცვლა. ფირუზა უფროსებს მოეთათბირა და ეს საქმე თვითონ ითავა. როგორც საწყობის გამგეს, ფერმის ბევრ საქმეში გარკვეული წილი ედო და იქიდან სულ მცირე რამის გამგედანაც საკმაოდ დამაფიქრებელ საშინაობებს უქმნიდა. და რომ ეს არ მომხდარიყო, ისეთი კაცი უნდა შეეჩინა, ვისაც სოფელიც ენდობოდა, უყაბულბა და საქმეშიც წილს დაიდებდა. ასეთი კი სწორედ კოტე იყო, — სოფლის თვალში პატიოხან კაცად ჩანდა, თვითონ საქმე სწყურბოდა და ფირუზას არჩევანიც საბოლოოდ მასზე შეჩერდა.

— პოდა, კოტე, რა ვიცი, — უთხრა ბოლოს, — თუ კინდა... თუ საქმე კინდა... ამ ადგილს კაციშვილი ხელიდან არ გაუშვებს.

— მაინც რა გენა, მე რა გენა? — ვედარ შეიკავა თავი კოტემ, — რა გავაკეთო?

— შენ არაფერი... მხოლოდ აი, ეს ნახე. — ხმას დაუწია ფირუზამ და ცერი და სალოკი თითი ერთმანეთს აუსვა.

— რამდენი უნდა?

— რამდენი გაქვს?

კოტემ თანხა დაუახსულა.

— გეყოფა! — მოკლედ მოსჭრა ფირუზამ,

— განა მაგდენიც უნდა? — შეიცხადა კოტემ.

— აბა, რა გგონია, ასეთ ადგილს მუქთად ვინ მოგცემს? მარტო შენ ზომ არა ხარ, ხალხი რიგში დგას.

— მაინც ბევრია... ნამეტანია.

— ჰმ, კოტე, — ფირუზამ ისევ შემწუნარბულურად ჩაიციხა, — შენ რომ იცოდე, რა ადგილს იგდებ ხელში, რა განძის პატრონი ხდები... ამ თანხას მალე ჯიბის ფულადაც აღარ იკადრებ.

სიმართლეს თუ ვიტყვით, ეს საწინდარი საქმისათვის სულაც აღარ იყო საჭირო, ფირუზას კოტე თვითონვე სჭირდებოდა და მისი ფერმის გამგედ დანიშნავს ხელმძღვანელობაში უკვე შეთანხმებული ჰქონდა, მაგრამ ზნეს და აღღოს მაინც ვერ უღალა-

ტა: თუკი არის, რატომ უნდა თქვას უარი? ფულმა შენ-ჩემობა არ იქნება ვერა უღვარი აქვს და ერთი ზედმეტი პურიწყამა არც უფროსებთან აწყვეს. გარდა ამისა, საკუთარ ჯიბედაც ზომ თავისი ხარკი უნდა?

— კარგი, — უთხრა კოტემ, — მოვეფიქრებ და ხვალ გადაწყვეტილ პასუხს გეტყვი.

„მოფიქრებაში“ კოტე ლოლას თანხმობას გულისხმობდა. „ენი იცის, მოეწონება კი? — ეჭვობდა გულში და ლოლახათვის გამხვდა ცოტა არ იყოს. უჭირდა: — დამთანხმდება? ექიმში ქალია და ფერმა... ფერმის გამგე...

მაგრამ მოხდა პირიქით, ლოლა არა თუ დათანხმდა, გაუხარდა კიდევ.

— მართლა, ბიჭო? — წამოიძახა დაუფარავი აღტაცებით და ტამი შემოჭრა, — ვაშა! მოგილოცავ!

— მართლა გიხარია? მე კი მეგონა... პირიქით მეგონა...

— რა გგონია, ადამიანო, პირიქით? შენ იცი, რა ქუდბედი დაგვეცა? არა, ჯერ ეს მითხარი, მთლიანად რამდენი სული გეყოლება?

— სულ შეიდასამდე ყოფილა

— აგაშენა ღმერთმა! აქედან მეწველი ოთხასი ზომ იქნება? ოთხასი არა, აბა, ორასი იყოს. კოტე, გვხმის, ეს რა არის? ჯერ მარტო ორასი ფურის ნაწველი თქვი! რძე, ყველი, კარაჭი... ახლა ნამატი? შებორცება? რაოდენობა? ხარჯი და ბუნებრივი დანაკლისის ანგარიში კიდევ სხვა... არა, თუ იცი, კოტე, ეს რა არის? არ იცი? აბა, მე გეტყვი — ეს მთელი სიმდიდრეა, ასებია, ათასებია!

კოტე ახლაც გაოგნებული უდგებდა ნურს ლოლას მჭევრმეტყველებას. მაგრამ ახლა სხვა რაღაც უჭირდა: საიდან იცოდა დედაქალაქში გაზრდილმა ქალმა ასე დაწვრილებით ფერმის ასაგალ-დასაგალი? ლოლა ერთხანს, დროებით, მომთაბარე ექიმად მუშაობდა, მწყემსებს ენახურბობდა და ფერმის საქმიანობის აგ-კარგში საკმაოდ გარკვეული იყო. კოტემ, რა თქმა უნდა, ეს არ იცოდა, არც ლოლამ გაუმიხილა, სიტყვა ბანზე აუგდო და სიცილით უთხრა:

— კოტე, დღეს კომპლექსური ცოდნაა საჭირო, გარდა მავისა, მე დროის პირმშო ვარ — მირბის, მივსდევ, დადგება და მეც დადგები.

* * *

რაკი ლოლას სურვილიც დავითზეა, ახლა საქმეს აღარაფერი დააბრკოლებდა. და მართლაც, კვირის თავზე სკოლის მასწავლებელი კოტე ღონისძიებითი ფერმის გამკვედ გადაიტყა და საკლასო ქურნალის ნაცვლად, ხელში ფურების აღრიცხვის დავითარი დაიჭირა.

თხის რქაში გაზრდილი არც თვითონ იყო. იგდო თუ არა ხელთ სასურველი ადგილი, წლების მანძილზე ნალოდინემა, იძულებით ჩახშობილმა ვენებამ პირველი დღეებიდანვე ვულკანივით ამოხეთქა და საქმეს მშვიერი მგელივით დაეძვრა. ნაჭარბს გზა მოუნახა, გასასაქმებელი გაასაქმა, შემოიტანა, გაიტანა, ერთი სარგებლით გასცა, მეორე დაიბევა, მესამე გაცვალა, გაწმინდა, მიაღაცა-მოაღაცა და ფერმიდან გამონადენი ყველა წყარო ერთ-კალაპოტში მოაქცია, წყაროს სათავეც საიმედოდ გაუმაგრა. საქმისათვის ერთი აუცილებელი თვისებაც აღმოაჩინა — ერთსა და იმავე დროს ფრთხილიც იყო და გაბედულიც, ძუნწი იყო, მაგრამ საჭიროებისას ხელგამაღობდაც იცოდა, რითაც სოფლისა და რაიონის თავაკებში მყარი ფესვადგამი მოიპოვა. ყოველივე ამას კი საბოლოო შედეგად ის მოჰყვა, რომ მეორე წელსავე ის ბუდურგანა დაშალა და მის ადგილზე აი ეს ათოთახიანი სახლი წამოჭიმა, რომლის აივანზეც ახლა დგას და სოფელს მეპატრონის გულმოწყალებით გადააყურებს. გადახურვითაც იმავე წელს გადახურა, ხოლო მეორე და მესამე წელს ორივე სართული გამართა და შიგ დგამ-ავეჯიც ყოფისა და მდგომარეობის შესაფერი შეიტანა.

ყოფამ და მდგომარეობამ სასიამოვნო საგანძობლად შეუცვალა, — გამედიდურდა, თითქოს გაყოფიდა კიდევ, ადრინდელი სიღინჯე, თავისიანობა და სიტყვა-პასუხი გაუქრა, ან განგებ დაივიწყა და მის ნაცვლად უფრო ორპირიანობა ქარამებითა და შირისდებულებით მტყვევლებას მიწვია.

ახლა თავი ყველაფრით გამართულ კაცად მიაჩნია და ის თავდაპირველად დაბანდებული თანხა მართლაც ჯიბეში ფულად აღარ უღირს. რაღა აკლია? რითღა უსწრებს ახლა დაგვალული ბედლის თავი? არაფრით: სახლი აქვს, საცოლე ხომ ისეთი ჰყავს, რომ... ერთი ავტომანქანაღა დარჩა და იმასაც წელს მოაგორებს, სესონის დამთავრებისთანავე მოაგორებს.

მაგრამ, ვინ იცის, მოაგორებს კი?

ამ აზრმა მწარედ გაკენწლა გულში და გაბადრული სახე ისევ მოედრებოდა. წელს იმდენი მოულოდნელი რამე მოხდა და შეიცვალა, რომ... ამაზე მეტი რაღა გინდა; — ოცი წლის ნამსახური თავმჯდომარე მოხსნეს და მის ნაცვლად რაიონიდან ერთი რიგითი სოფლისათვის სრულიად უცნობი ახალგაზრდა პარტიული მუშაკი გამოგზავნეს. ამბობენ, პატიოსანი ბიჭია და ხელმძღვანელობაც ენდობაო. სხვათა შორის, ხალხიც ემაღლიერება. მაგრამ თვითონ ვერც თავი გაუგო, ვერც ბოლო. ავე უკვე სამიოთხი თვეა, რაც აქ არის და ჯერაც კაცი იშვილმა არ იცის, გუნებაში რა უდევს. მხოლოდ ერთხელ შეკრიბა სოფლის ხელმძღვანელი მუშაკები — მოსვლის მეორე თუ მესამე დღეს, და მაშინაც ბევრი არაფერი უთქვამს. თათბირი რამდენიმე სიტყვით ჩაათავა და დასასრულს ყველანი მეგობრულად გააფრთხილა. არც ხმისთვის აუწვია, არც მჭევრმეტყველება დაუწყია, როგორც საყოველთაოდ სწევით ახლად დაწინაურებულ მარტო ახალგაზრდებს კი არა, ხშირად ჭარმაგებსა და ხანდაზმულებსაც კი. ლაპარაკობდა წყნარად, აუქმარებლად რა დალაგებით:

— მე მინდა, ჩვენ ერთად, შეთანხმებულად ვიმუშაოთ, გამოცდილი ხალხი ხართ და... ოღონდ ძველი ყველამ უნდა დავივიწყოთ და დროის სიხალეს თვალი პირდაპირ გავესწოროთ. ესე იგი, პატიოსნად ვიმუშაოთ...

ამის შემდეგ ობიექტების დათვლიერებასა და გაცნობას შეუდგა. რამდენჯერმე ფერმასივ იყო, ყველაფერი ნახა, გამოიკითხა, მაგრამ თვითონ არც ავი უთქვამს, არც — კარგი, და კოტემ ვერ გაიგო, უწონებდა რასმეს თუ უწუნებდა. არა, ასეთ

კაცთან მეტი სიფრთხილე და წინდახედულობაა საჭირო. ეშმაკმა არ იცის, გულში რა უდევს, რას გაიპირებს და როდის რა სათაბალაში გაგზავნის.

გარდა ამისა, კოტეშ დღეს ერთ უსიამო ამხანაგს მოჰკრა ყური, ყური მოჰკრა კი არა, დანამდვილებით გაიგო: მესაბული კოლმეურნეობის ფერმას მოულოდნელად სახალსო კონტროლის რევიზია დასძინა თავს და გამეც და ბრიგადირიყ პასუხისგებაში მიუციათ. ეს ამბავი დილიდანვე გულზე ლიდად დააწვა. ეკ, წასდა დროება, ყველგან რაღაც ხელანჯი, ხლართი, შლუდე და ჯებირი გაჩნდა, რომელსაც ვერც გვერდს აუელი და ვერც ზედ გადაასტები. ყველა მხრიდან უკმაყოფილო დრტყინვა და ჩივილი იხმის. დროდადრო თითქოს მიუწრდება, კაცს ის-ის არის, გულზე ეფონება, წელს გამართავს და საცა უნდა ამოისუნთქოს კიდევ, რომ უსიამო ხმა კვლავ კვლავ ახალი ძალით გავარდება და ისევ ხელ-ფეხს შეგიბორკავს. აუტომანქანა კი უნდა იყიდოს, უსათუოდ უნდა იყიდოს, ასე სურს ლოლას და ლოლას სურვილს კი წინ ვერ წაუვა. მაგრამ როგორ მიუდგეს საქმეს, რა კუთხე მოუნახოს ისეთი, რომ გულს შიში აღარ ბორკავდეს და ხელიც მთელი სიგრძე-სიგანით გაშალოს?

ისევ ლოლას უნდა ჰკითხოს, ლოლას მოეთათბიროს, და ყველა წერილმანი, ყველა ხერხი ერთხელ კიდევ საფუძვლიანად აწონ-დაწონოს, საბოლოოდ მოწხრიკოს, გაითვალისწინოს და დააზუსტოს. რაც ფერმაში გადავიდა, მას აქეთ. ლოლა მის ერთადერთ მრჩეულად და გაჭირვების ტალკვესად გადაიქცა. ყველა ჩახლართულ ნასკვს წვერს მოუნახავდა, უსათუოდ, რაღაც სასიკეთოს ურჩევდა, რაღაც გამამხნეველხაც დაურთავდა და იმედს, რწმენას და გამბედაობას დაურთუნებდა. და საქმეც წაღმართად მისდიოდა.

— ბარემ წავალ, ახლავ წავალ...

კოტეშ ხალათი გაისწორა. შარვალსა და ჩექმებზეც დაიხედა და კიბისაკენ წავიდა. ეს ტანსაცმელიც ფერმაში გადასვლისთანავე შეიცვალა და ძველ საქმესა და წრეს თითქოს ვარეგნულადაც ეგემიჯნა. და

ის იყო, ჩააბიჯა თუ არა მოსკოვერი კიბის პირველ საფეხურზე, რომელიც მისი ახალგაზრდების ხმაიალაი სიცილე-კისკისი და გაძახილ-გამომასილიც გაიხმა:

— სვალ არ დაიგვიანოთ, გოგოებო! დროსე შეიკრიბეთ და წაეიდეთ!

— ვიცით, ვიცით!

— ნაკვეთში მოკიდეთ, თუ ჯერ სკოლაში?

— პირდაპირ ნაკვეთში ჯობია.

— კარგი, ვერე იყო.

კოტეშ ლილის ხმა იცნო და კიბე აჩქარებით ჩაიბრინა. არ უნდოდა, რომ ლოლასთან მიმავალი, ქალიშვილს გადაპყროდა. მართალია, კოტესი და ლოლას ურთიერთობის ამბავი სოფელში უცხო აღარავისთვის იყო და ლილიმაც კარგად იცოდა, მაგრამ ერთმანეთს ზედმეტად არ ეტმანებოდნენ. როგორც ლოლა იტყოდა, მდარე ხალხის თვალში არ ითქვიფებოდნენ და ერთიმეორეს მხოლოდ ხალხში, საზოგადოებაში, თავმყრებსა და წვეულებებზე ხედავოდნენ. სხვათა დასანახად, სრული ღირსებითა და სიღარბაისლით ხანდახან ერთმანეთს შინაც ეწვეოდნენ. ამით სოფლის მსუბუქი ჭორისა და მითქმა-მოთქმისაგან თავს საიმედოდ ისლევდნენ და თავიანთ საიდუმლო შეხვედრებს ლილისთანაც მოხერხებულად ნიღბავდნენ. კოტე ახლაც სწორედ ამიტომ აჩქარდა, მაგრამ ვერ გაასწრო, ლილიმ თვითონვე შემოუსწრო კუტკარში. ლილის თავისი უერთგულესი მეგობარი და თანამგზავრი — ნისლისფერი, პირმურა, ფეხმალაი და მკერდახინური ძალი — მგელოც გვერდით მოაყვებოდა.

კოტე შეება, მაგრამ არ დაიმჩნია და ქალიშვილს ხელგამოლილი შეეგება.

— აა, ჩემი გვრიტი, ჩემი მერცხალი! როგორა ხარ, გენაცვალის მამა? დღესაც ზურგში იყავით?

— კი, დღეს თვითონ ავრონში წამოყვება, ვეასწავლა გასხვლა, გაფურჩქნა, სახუჭის შეტანა, ქართული ვახის ჯიშებსა და ისტორიაზეც გეგაუბრა, მერე თავმადლომარცხ მოვიდა, შეგვაქო, ყველაფერში დაგვხმარებითო, მომმართეთ...

ლილის ერთ ხელში ვახის სახსლავი მა-



კრატელი ეჭირა, მეორეში სიფრიფინა ქსოვილის ალისფერ თავსაფარს ატრიალებდა. შილიფად ეცვა საშინაო ტრელი ჩითის კაბა და სპორტული ჩუსტები. ჩუსტებსა და შიშველ წველებზე მსუბუქი მტვერი დასდებოდა. მწვანე, მოთაფლისფერო თვალები სიანციით უბრწყინავდა, ხოლო ნაშხურ ლოყებსა და ლაწვის თავებზე ძლიერსქსამაჩნვეი სიწითლე გადაჰკრავდა.

— დაღლილხარ კი აი, ცოტა დაღლილხარ, — უთხრა კოტემ.

— დაღლილვარ არა! — ლილიმ თავი მოხდენილად შეარხია და მხრებზე მიმოფენილი, აბრეშუმივით რბილი, ზორბლისფერი თმა ბეჭებზე გადაიყარა. — რა დამღლიდა!

— ასე რომ, უკვე კოლმეურნე ქალი ხარ, სრულუფლებიანი, დამოუკიდებელი?

— დიან, ვარ! მაგრამ არა, ჯერ კიდევ არა. აი სკოლას რომ დეკლამირებთ, მაშინ კი, ერთ მთლიან ბრიგადას ჩამოვაყალიბებთ და...

— უკვე საბოლოოდ გადაწყვიტეთ?

— კი.

— ჰოდა, ასეც უნდა, შეილო, შრიშა ადამიანის უპირველესი და უკეთილმოზილესი მოვალეობაა. ახალგაზრდობა, მით უფრო, სულ წინ და წინ უნდა მიიხწრაფოდეს, ასეთი ვარ მე, ასეთი უნდა იყო შენც.

კოტემ ეს სიტყვები სმაწევით. საზეიმო კილოზე წარმოთქვა და განასვლელსაკენ გაიწია. ლილი წინ გადაუდგა.

— საით?

— არსად... იხე, პო, კანტორაში ჩავირბენ და... რაღაც საქმე მაქვს.

— შენ სულ ასე იცი, მე რომ მოვალ, საქმე სწორედ მაშინ განიცხინდება, — გაბუტვით უთხრა ლილიმ და უცბად ფეხები ჭირვეული ბავშვივით ააბაკუნა, — არა, არ გაგიშვებ, არ გაგიშვებ!

— აბა, რა ექნა, ეგოვ, საქმე არ ვაუკუთო?

— მერე გააკეთე, ხვალ, ზეგ...

— არ შეიძლება, გენაცვალოს მამა, არ იქნება... საქმეა, სამსახურია, მოვალეობაა და... აბა როგორ?

— თუ მალე მოხვალ...

— კი, შეილო, კი, აი, მოვალ და სამი ვბრუნდები.

— მაშინ, მაკოცე, — ლილიმ ჯერ ერთი ლოყა მიუშვირა, მერე — მეორე, და ვასვლისას ერთხელ კიდევ გააფრთხილა, — ოღონდ იცოდე, მაშინდელივით არ მალოდინო.

— არა-მეთქი, გენაცვალოს მამა, სულ ცოტა საქმე მაქვს, სულ ერთი ბეწო.



ლილიმ ჯერ ძალდი გაატარა კუჭკარში, მერე თვითონ შევიდა და კიბე მსუბუქად აირბინა, ვახის მაკრატელი და თავსაფარი აიენის ხვეტზე მირჭობილ ლურსმანზე დაკიდა. სამზარეულოში შევიდა, გასჭურაზე ალუმინის ქვებით წყალი შემოდგა, შიგ ხმელი შოთი ჩაამტერია, დილანდელი წვნიანის ნარჩენიც შიგ მოაბირქვა, კარგად რომ შეიბა, ქვებითავე ჩაუტანა ძალღს და შუა ვსოში, ბებერი კაკლის ქვეშ დაუდგა. მოზვრისტოლა ძალღსა კუდი მორჩილად ააქციინა და საქმელს მოკრძალებით მიუახლოვდა.

— მოგშევა, მველო? შიდი, ქამე, შიდი!

რაკი პატრონმა ნება დართო, ძალღსაც თამამად მიხვდა. იგი ლილის ვაზრდილი იყო, მის პირად საკუთრებდა — სათავნოდ ითვლებოდა და დამორჩილებითაც მხოლოდ მას ემორჩილებოდა. ჯერ კოტე და ვერც მამიდა ელო მას ზედმეტ დატუქვას ვერ გაუბედავდნენ. ლილიმ იგი ოთხი წლის წინ იპოვა. სხვა თანატოლ გოგო-ბიჭებთან ერთად სოფლის დედაკაცებს ტინტორის საკრეფად გაქცა სოფლის ბოლოს და იქ, დამშრალ სვეში გადაგდებულს წააწვდა. თვალები ჯერ კიდევ არ შესილა, შიმშილით მისხავათებული სულს ძლივს და ითქვამდა და ქვებშუა თიფთიკის ცოცხალი ბურთივით დაეკრავდა. მკლის ლეკვივით მურა იყო და ეს სახელიც მგელთ ამიტომ დაარქვა.

მოკლე, მსხვილ დრუნჩხა და ფართე თათებზე ვიშინაობა თავიდანვე ეტყობოდა და მართლაც, ისეთი ძალდი დადგა, რომ არც სოფელში და არც ახლმამხლო ბადალი არ მოეპოვებოდა. ლილის ხომ პირდა-

პირ კაი ვაჯავიცივით პატრონობდა, სკოლა-შიც თან დაჰყვებოდა, ვნოს ჭიშკარამდე მიაცილებდა და გაკვეთილების ბოლოსაც ჭიშკარშივე დასვდებოდა. რაღაც ველური გუმანით გრძნობდა სწავლის დამთავრების დროს, ჭიშკართან სწორედ ბოლო წარის დარეკვისას გაჩნდებოდა და სახლამდე მიაცილებდა. მტრისას, თუ ვაგლახად ვინმე დაელაპარაკებოდა ან ხელით შეხებას მოინდომებდა. ერთ ზამთარს, — მაშინ წელი ჯერ კიდევ არ შესრულებოდა, — ლილი და მგელო ჩვეულებრივ სკოლიდან ბრუნდებოდნენ. ორღობეებსა და წარის პირებზე მარტის ჩალუსუმებული თოვლი იდო. ასეთ ამინდში სოფლის მოსრდილი ბიჭები გზაჯვარედინებზე ჩამოდგებოდნენ და წამოჩიტებულ გოგონებს გუნდებით მოსვენებას არ აძლევდნენ. ერთმა აყლაყუდა ბიჭმა ლილის წყალში ამოვლებული გუნდა მოახვედრა და ტირილი დააწყებინა. მგელომ ერთი ჯავრიანად დაიღრინა, ისარივით მოსწყდა ადგილს, იმ თავზედ ბიჭს სურჯზე დაახტა. თოვლით გადააყურავა და სანამ ეინმე მიეშველებოდა, ტანსაცმელი ნაფლეთებად უქცია.

მეორედ, — ეს შარშან მოხდა, — ლილი ელო მამიდამ საწერილმანოებზე მალაშიანი გაგზავნა, რა თქმა უნდა, მგელოც თან გაჰყვა. აქეთობას ვიწრო, უკაცრიელ ორღობეში მოულოდნელად მთვრალეებს გადაეყარა, სამნი იყვნენ, სამივენი დაღვინებული ბიჭები, ლილი რომ დაინახეს, საუბარს თავი ანებეს და ამღერეული თვალებით დააშტერდნენ.

— ჰე-ჰე, რომელმა ღმერთმა ჩამოგადო, ანგელოზო, დედამიწაზე? — უთხრა ერთმა ენის ბორძიკით.

მეორემ ვითომ სიმღერა წამოიწყო:

— რა თვალეზია, რა თვალეზია!..

მესამემ ხელები გაშალა და ვიწრო ორღობე თითქმის მთლიანად გადააკეტა.

— მოგვიახლოვდი, ლამაზო, მოგვიახლოვდი, ნუ გეშინია!

მგელო იმავე წაშს წამოიქოჩრა, თითქოს განსწავლავს მიუხედა და ყელში სამუქაოთ დავიღრინა. ლილიმ ჩაჩუმება, იცოდა, რასაც იწამდა და უდავიდარაბოდ ხცადა თავის დაღწევას.

— კარგით ახლა, გეყოფათ, — უთხრა თხოვნით, — თავი დამაშტერებენ, უკანა-რეტ.

— რა გეყოფა, ანგელოზო, რას გეპირდები, ჯერ სომ არაფერი გეინახავს?

თანდათან სულ უფრო ხარბად და უტიფრად ათვალეირებდნენ თავით ფეხამდე და ტუჩებს აწკლამუნებდნენ:

— ჰა, კარგი ნაჭერია, აი... კარგი...

— გამიშვით-მეთქი, არ გესმით? რა გინდათ ჩემგან? — უკვე წყნით უთხრა ლილიმ, მაგრამ ლილის წყრომა მთვრალეებს სიცილიად არ ეყოთ, რთყოფდ გადაიხარხარეს და უფრო მიუახლოვდნენ.

— არა, გერიტუნი, არა, ვერე ვერ გაგიშვებთ, უკოცნელად ვერ გაგიშვებთ, ვერა...

უცხად ერთერთმა მარლაც მიიწია საკოცნელად და მკერდზე ხელიც კი მოუთათუნა. აბა, ხელით შეეხეთ! — მგელომ ახლა კი აღარც ლილის გაფრთხილებას უგდო ყური, ადგილიდანვე ისკუპა და სანამ ბიჭი ხელის უკან გაწევას მოასწრებდა, კბილებით უკვე მკლავში ჩააფრინდა. და, ვინ იცის, რა მოხდებოდა, რომ ამ ამბავს ბედად მალაზიისაკენ მიმავალი ხალხი არ წამოსწრებოდა.

ეს ორი შემთხვევა სოფელში ყველამ იცოდა და მგელოს შიშით ლილის არა თუ დალაპარაკებას, ურიგოდ შეხედვასაც ვერაინ უბედავდა. ელო მამიდა მისი იმედით ზოგჯერ ღამითაც კი ტოვებდა მარტოს და მგელოს გვერდით არც თვითონ ლილის ეშინოდა.

ძალდი მორჩა ჭამას, ლილიმ წყალიც იმავე ქვებით დაალევინა, მერე მარნიდან სურები გამოიტანა, კაბაზე სიფრიფანა ქათობი შემოიცვია და წყალზე წავიდა. მგელოც თან გაჰყვა.

და ის იყო, გახცდა კი ჭიშკარს, რომ შემოდან კოლმეურნეობის ახალი თავმჯდომარის — არჩილის შავი „კოლგაც“ გამოჩნდა. არჩილი მანქანას უმეტესწილად თვითონ მართავდა, ახლაც მარტო იჯდა, მანქანა ოდნავ წინ გააჩერა, ჩამოვიდა და ლილის ღმობლითა და ჭარბი თავაზიანობით მიეხალმა, თან თავი ისე მოაჩვენა, თითქოს ახლალა შეამჩნია.

— თუ არ ვედები, თქვენ, მგონი, ჩვე-

ნი კოლმეურნეობის ახალი წვერი ხართ, არა? უფრო სწორად კოლმეურნე... მომავალი კოლმეურნე... ხომ?

— დიას, ვარ, — თამამად მიუგო ლილიმ.

— კარგია, ძალიან კარგია... ხომ არ დაიღალეთ?

— არჩილს ენა ებმებოდა და რომ არ დამჩნვოდა, სიტყვებს განგებ ატვირთებდა. ლილი ამას გრძნობდა, მამის ტოლი კაცის ამ შეუფერებელ დაბნევაზე გუნებაში ეცინებოდა და პასუხს აყვავებდა.

— ჰა, ხომ არ დაიღალეთ?
 — არა, სულაც არ დავეღლივარ.
 — მოგწონთ სამუშაო?
 — მომწონს.

— მდა... კარგია, ძალიან კარგია... მასხადამე, კოლმეურნეობაც მოგწონთ?

— კი, კოლმეურნეობაც მომწონს.

— მდა... კარგია, ძალიან კარგია... ჩემს... ჩვენს კოლმეურნეობაში ახლა მართლაც ღირს მუშაობა. რაიონში მალე პირველი იქნება, რესპუბლიკაშიც გაიცნობენ... სულ ქება და დიდება... ახლა საით?

— წყალზე მივდივარ, აი, — უთხრა ლილიმ და სურები დაანახა.

— საიდან მოგაქვთ წყალი?.. ესე იგი, რომელი წყაროდან?

— სამმილიანიდან, ხვეის პირას რომ არის.

— სამმილიანი წყარო... ვიცი, დიდებული წყალია, ძველი, ისტორიული, ახლა წყალი მალე ეზოებში გექნებათ, ყველას საკუთრად გექნებათ. უკვე დავსუი საკითხი... სამმილიანი წყარო კი დარჩება როგორც ისტორიული ძეგლი... თქვენ გიყვართ ისტორია?

— ძალიან.

— კარგია, ძალიან კარგია. თავისი ქვეყნის, ხალხის ისტორია, ყველას უნდა უყვარდეს, ქალს — მით უფრო, ქალი, უპირველეს ყოვლისა, დედა, თაობის აღმშრდელია და, მასხადამე... თუმცა სამმილიანი წყარომდე აქედან კაი მანძილია... და თუ ისურვებთ, ბარემ აი მანქანით მიგიყვანთ. ასე, შარაში დგომა იქნებ უხერ-

ხულიც იყოს... მიგიყვანთ და უკანაც მოგიყვანთ.

— რატომ შეგაწუხოთ, ასე ჩავალე... მოგაწუხოთ... და უფრო ჩქარაც მივალ-მოვალ.

— რა გექჩარებათ, ცოტას გავივლით, ვისაუბრებთ... მშვენიერი საღამოა. აჯერ — არჩილმა ხელი ირგვლივ შემოატარა, — მწუხრის ჩრდილები, ნედლი ფოთლის შარი-შური, ყვავილთა სურნელი... ვარდი ეს-ეს არის, იფურჩუნება და ბუბუბუბიც სამიჯნურო პანავს სტვენენ. მიყვარს მაისი, იგი ერთ-ერთი უღამაზესი თვეა, ბუნების გვირგვინია... ჰოდა, გავივლით, ვისაუბრებთ, ერთმანეთს გავეცნობით... მე და თქვენ ახლა ერთ საქმეზე ვმუშაობთ, ასე ვთქვათ, კოლეგები ვართ და... ერთმანეთს კარგადაც უნდა ვიცნობდეთ. ასე არ არის?

ლილი უშალ მიუხედავ, რაგვარ ნაცნობობასაც გულისხმობდა თავმჯდომარე და ქალურმა სიცელქემ წამოუარა, — მე, მაგალითად, ვიცნობთ, — უთხრა ჩამარცვლით, თავი გამომწვევად შეარხია და დაბლიდან მაცდური თვალებით ასედა.

— მიცნობთ? — არჩილს სახე გაებადრა. — მასხადამე... მიცნობთ?

— დიას... ვიცი, რომ ჩვენი კოლმეურნეობის თავმჯდომარე ხართ.

— კარგია, ძალიან კარგია... მაგრამ ეც არ კმარა, მარტო მაგის ცოდნა არ კმარა.

— კიდევ რაღა საჭირო?

— ბევრი რამ, ძალიან ბევრი.

— მაგალითად?

— მაგალითად... თუნდაც აი ასევე კარგად უნდა გიცნობდეთ მეც. ცალმხრივი ნაცნობობა... ხომ იცით?

ლილის მოთათლისფერო-მიმწვანო თვალებს უფრო დავტყო სიანცე. — მაშ ამის შემდეგ მიცნობდეთ, — უთხრა წედანდელი მაცდური ღიმილით და ნათქვამი ერთგვარ ქარაგმაში გახვია, რომლის პირდაპირი მნიშვნელობით გაგებაც შეიძლებოდა და უფრო კი ამას ნიშნავდა, ამის შემდეგ იცოდეთ, საქმე ვისთანაც გაქვსო. თავიც ასევე მრავალმნიშვნელოვნად დაუკრა და სრულიად უბოდიშოდ შეტრიალდა.

არჩილი სახტად დარჩა. ქალიშვილისაგან ასეთი თამამი, უცერემონიო მოქცე-

ვა ცოტა არ იყოს, ეწყინა, მაგრამ არ დაიმჩნია და ვიწრო წელს, მრვეალ თეოფებსა და სწორ, ჩამოქნელ ფეხებს თვალი მაინც მოწინებთ გააყოლა.

„ეჰ, რა ტანია, რა წელი, რა ფეხი!“ — სიამოვნებისაგან ენაც კი გააწყვლავუნა და თავის თავზე გულმოსულმა ხმაშიღა თქვა, — ფუჰ, რა უშნოდ დაძვება ენა. მაინც რა ღამეშართა ამ თითისტოლა ბავშვთან „ა?“ მართლა ხომ არ მიყვარს? — გაიფიქრა ისევ ჩუბად, — ნუთუ? თუშეცა, რა, — ასეთი მაგალითები ხაყმოდ ბევრია. არ ღირს თუ? ჰე, როგორ მიღის, როგორ მიღის, თითქოს მიცურავს, მიფრინავს... ჩემი ხნის კაცს სწორედ ასეთი ცოლი უნდა ჰყავდეს... ნორჩი ცოლი, ლამაზი... ხალისს მატებს, აახალგაზრდადებს და სახლს ხომ პირდაპირ ძვირფასი სამკაულივით დაამშვენებს... უკვე მიფარა თვალს, მაგრამ ღანდი თითქოს ორღობეში დატოვა. აი თითქოს ისევ ვებრავ, ცხადად ვებრავ... მე მგონი, კეთილშობილების ერთადერთი და თავდაპირველი საწყისი სწორედ გარვეანი სილამაზე უნდა ყოფილიყო... — მანქანაში ჩაჯდა, მოტორი ნართთ და ხმამაღლა წარმოხტება, — კიდევ უნდა ვუთხრა ლოლას, ერთხელ კიდევ... და დავაჩქარებინო. უკვე დროა და... საჭიროც არის,

* * *

ღილი წყაროდან შეებინდებულზედა დაბრუნდა. ჯერ სურები აიტანა მადლა, და აიენის ჭადი ჩართო, მერე სამშვეზე ხმელი ფინიხი და ნაფორები წამოკრიფა, ბუხრის წინ, ჩამოდგმული თუნუქის დუმელი აანთო და ზედ დიღანდელი სადილის ქებაი შემოღვა. დილით კოტემ ბატკნის ფეშხო მოუტანა და ღილის ჩაქაფულის გაკეთება დააფალა, მაგრამ საჭმელად ვეღარ მოიხალა — კანტორიდან რაღაც ხანჭარო საქმეზე დაურგებს. ღილიმ მარტო ისაუშმა და სკოლაში გაიქცა. იქიდან, მეცადინეობის შემდეგ, თავის კლასელებთან ერთად ეენახებში წავიდა. ახლა თვითონაც შიოდა და ალბათ აღარც მამა დაიგვიანებდა.

ველაფერს რომ მორჩა, მარმარალოს

პირსამანზე ხელები გადაიბანა და აიენის ჭადი ისევ გამართო. ჭადს უკამოხავს. ბორბუხანკალი და ღამის პეპელა უხეჯოდ, მათი ჩრდილები ჭერზე მომაბეზრებლად ფარფატებდა; ხოლო ეზოს განათებას ქუჩის ფარნების შუქიც კეთონიდა. თავისთვის დუმელის გვერდით, მაგიდაზე, ღამის ღამეა დაიდგა და ქიმიის სახელმძღვანელო გადაშალა.

არ გასულა ათი წუთი, რომ ეზოში უცბად მკვლო აყვოდა, კიშკართან უცბადვე ჩაჩუმდა და წამუტუნე გააბა. ღილის ჯერ მამა ეკონა და ყურადღება არ მიუცევია, მაგრამ ძაღლის გაუთავებელმა წამუტუნმა თანდათან დააქვავა, წიგნი გვერდზე გასწია, წამოდგა და კიბისაგან აჩქარებული ნაბიჯით გაემართა. და ღართლაც, ღია კუტარაში სამხედრო გიმნასტურიაში, მოხდენილი ტანის, შავულავაშა და შეთმიანი ბიჭი იდგა. ერთ ხელში სამხედრო კეპი და ყვავიფერი ჭირხის ჩემოდანი გვირა, მეორე ხელით მკერდზე ატატებულ ძაღლს ეფერებოდა.

— უი, ნოშრევან! — ღილიმ კიბე თითქმის ფრენით ჩაათვა და ბიჭს კისერზე ჩამოეკიდა.

ღილისათვის ნოშრევანის მოსვლა მთლად უცაბედი და მოულოდნელი არ იყო. მიმოწერით იცოდა, რომ ყველი ამ თვეში უთავდებოდა და მის ჩამოსვლას დღე-დღეზეც მოელოდა. მაგრამ ორი წლის უნახავი გულისწორის პირისპირ შეყრამ, და თანაც ასე პიპარად, ხელბარკით, როგორღაც ზედმეტად დააბნია და ააფორიაქა. კითხვას კითხვაზე აძლევდა, — მოუფიქრებლად, დაულაგებლად — და პასუხის გაცემას კი არ აცდიდა.

— მართლა შენა ხარ? როგორა ხარ? მკვლომ ისევ გიციო? რა საკვირველია, მე კი კინალამ ვერ გიცანი, მომიკვდეს თავი! მაინც საიდან გაჩნდი, ბიჭო, ასე უცებ, „ა“ როგორ?..

— დაიცა, გეტყვი, ვველაფერს გეტყვი, — როგორც იქნა ჩაურთო ნოშრევანმა და ჩემოდანი ძირს დაღვა.

— ახლავა მოდიხარ? პირდაპირ? რატომ წინასწარვე არ შემატყობინე?

— დაიცა-მეთქი, დამაცადე.



— პო, მართლა, რა სულელი ვარ, გაგანერე ჭიშკარში და... წამოდი, წამოდი, მალლა ავიდეთ.

ნოსრევანმა ჩემოდანი ისე აიღო, ლილი წაეტანა.

— მომეცი, მე ავიტან.

— არა, მძიმეა.

— გიშველი მაინც.

— არ გინდა, არ გინდა, მე თვითონ...

ნოსრევანმა გრძელი აივანი ნელა გაიარა, სახლი შეათვალიერა, — გახედ-გამოხედა და თქვა:

— მართლაც დიდებული სახლი გამოსულა!

— რა დროს სახლია, მოდი ჩქარა, მოდი. აი აქ დავსდეთ, ჩემოდანიც აქ დავდო და... მითხარი, მომიყვივი. ლილიმ ნოსრევანი ჯეჯიშვილად აღარებულ პატარა ტახტზე დასვა და თვითონაც გვერდით მოუკადა.

— მაშ ახლა ჩამოხვედი? ამ წუთის?

— აი, როგორც მსუდავ, ეს ეს არის ჩამოღვრინდი და პირდაპირ შენთან მოვედი. ვერ გავტყდი.

— როგორ, ჯერ შინ არ მისულსარ? დედა არ გინახავს?

— ჯერ არა, — დარცხვენით გაიღიმა ნოსრევანმა.

— სირცხვილია, ბიჭო, ეწყინება!

— არ ეწყინება... მე ვიცი.

გამორჩევა და უპირატესობა ლილის კიდევ გაუპარდა და კიდევ შერცხვა, და რომ ან ერთი არ დამჩნევოდა, ან მეორე, ნოსრევანს ნაძალადევი გულგრილობით უსაყვედურა:

— არა, ჯერ მაინც დედა უნდა გენახა... უბერხულია.

ერთხანს ორივენი გაჩუმდნენ. ვარჯთაყ სიჩუმე სუფევდა. აქა-იქ ციციანთალები ანათებდნენ. დროდადრო ნილი ნიავი გამოიჭროლებოდა, ხეთა რტოებს შეარსებდა და ნაბურღულ-ჩალურკებულ ვსო-კარმიდამით გამოათვლიძებდა; ხადღაც მაყაყობი ყიფინებდნენ გაბმით, ბაღის გადღამა მუზობლის ძროხა ზმუოდა, ხოლო ბაღის ბოლოდან დროდადრო კენტი ბულბულის ჩქრობანი სტავენა მოისმოდა.

— შეველილხარ, თითქმის დაკაცებულხარ — უთხრა ლილიმ ლიმილით და უც-

ხად აკითხა, — ძალიან მოგებურდა ჯარში ყოფნა?

— სულაც არა, აი შენი ნახვა მინდოდა, თორემ მოსაბეზრებელი იქ არაფერია.

— რა ვიცი, მე კი მგონია... რაღაც სულ სხვა მგონია, შენს ნებაზე ვერც დაკლები, ვერც ადგები, სულ სარივით გაჭიმული უნდა იყო და სულ ზრძანება, ზრძანება!

ნოსრევანს გაეცინა, გაახსენდა, რომ წასვლამდე თვითონაც ასე ფიქრობდა და არმიამი სამსახური საშინელებად მიაჩნდა.

— რა, განა ასე არ არის? — აკითხა ლილიმ ხელახლა.

— სულაც არა, ასე მხოლოდ ვარდენ ჩანს, სინამდვილეში პირიქით არის. ვარი

— ეს უზარმაზარი სკოლაა, უფრო მეტიც — მთელი ცხოვრებაა. იმდენ რამეს ახწავლის კაცს, რომ... წერთვის, აყალიბებს, აკაყვებს. სიმკაცრე... არის, მართალია, მაგრამ წესრიგიანი სიმკაცრეა. უფლება და მოვალეობა — აი რა არის! ყველას თავისი ადგილი აქვს, უფროსსაც და უმცროსსაც და უწესოდ ერთ ზემოტე სიტყვასაც არაფერს გაკადრებს. ისე კი არა, როგორც...

მარტო ის რად ღირს, რომ ქვეყნის მასშტაბის პასუხისმგებლობა გაიხარა და დაფასებაც ამდენივე გაქვს... და წესრიგი, ყველგან და ყველაფერში — გარკვეული, საჭირო და გასაგები. საქმე დროზე. ვართობა დროზე...

— აბა, რომ არ მიდიოდი? არ გინდოდა?

— არ ვიცოდი და იმიტომ, მაშინ მეც შენსავე მგონია, თორემ სკოლის დამთავრების პირველ წელსვე წავიდოდი და იმ ერთ წელიწადს ტყუილად აღარ დაგვარებდი.

— რუსული მაინც თუ ისწავლე?

— აბა რა, იქ სულ რუსულად ვლაპარაკობდი, ვწერდი, ვკითხოვლობდი.

— რა კარგია, მე კი ძალიან მცუდად ვიცი.

— შენც ისწავლი. ასლა რუსულიც ვმალა უნდა იცოდეს.

— მოდი, აბა, რამე მითხარი.

— რა გითხრა?

— რამე, მინდა გავიგო, როგორი რუსული იცი.

— კარგი ერთი, რად გინდა.

— მითხარი, რა მითხარი, — შეესვენა ლილი:

— მაშ, გითხრა?

— ჰო.

— Я тебя люблю, — ჩამარცვლით თქვა ნოსტრევანმა.

— ი, ეგ ხომ მეც ვიცო, — გაიციხა ლილი და წამოწითლდა.

— პოდა, ჯერჯერობით მეტი არც გჭირდება, — სიცილითვე უთხრა ნოსტრევანმა, — დანარჩენს მერე გასწავლი.

პირველმა მღვღანებამ გაიარა და ქალ-ვაჟი უკვე დინჯად და გასაგებად საუბრობდნენ, ირგვლივ კვლავ სიწყინარე ხუფხუდა. მხოლოდ ლილის გაჰკრავდა დროდადრო მოუსვენრობა — წუთი-წუთს მოელოდა მამის დაბრუნებას და თვალი და ყური სულერთავედ ჭიშკრისაკენ გაურობდა.

* * *

მაგრამ, მათდა საბედნიეროდ, კოტე ჯერ იგვიანებდა — ჯერ შინ წამოსასვლელად არ ეცალა, საცაა ფერმა მთისკენ, სასაფსულთ საძირებინაკენ უნდა დაძრულიყო და, მამასადამე, სასეზონო აღებმიცემობაც დაწყებულიყო. ზამთარში ფერმას იმდენს ვერაფერს გამოჩენები, თუ რამ მოსაცემი აქვს, ზაფხულში უნდა მოგვეს, როცა თავნი და ნამატი ვეღად გავა, წველა-დღევმა გახშირდება, ტყე გაიფოთლება და დასამალი და მოსაფარებელი ადგილიც გაჩნდება. მოკლედ რომ ვთქვათ, ფერმა სეზონური საქმეა, ხოლო კოტე დონიანური ყველაზე მეტ იმედს სწორედ ამ ზაფხულინდელ სეზონზე ამყარებდა, ბევრი რამ ჰქონდა წამოწყებული და ბევრსაც გამოელოდა. მაგრამ მიზანი ერთია და გაკეთება — მეორე. ისე კი აღარ იყო, როგორც წინათ, როგორც შეგალითად, შარშან და შარშანწინ, როცა სარბიელი დაგვიღ მინდორს ჰგავდა და წინ ერთი პაწია ჩრდილიც არ გადაეღობებოდა. დრო შეიცვალა და ის გულ მინდორი ათასნაირი უჩინარი ჯებირით, თხრილით, ხნაცვითა და ხლართით დაიფარა. განსაკუთრებით გაჭირდა ნაწუმარი საქონლის გასაღება, რაც საკმაოდ ჰყავდა კოტეს ფერმანში და რომელთა უდავიდარაბოდ ად-

გილზე შენახვაც ასევე გაჭირდა. ამას წინათაც ვიღაც ოხერმა უმეტეს და თავს რაინის რევიზია დაატენა, კბდეც კარგი, „სევიდან“ დროზე აცნობეს და გადაჩნა. მართალია, „ცოტა რაღაც“ დაეხარჯა, მაგრამ, სამაგიეროდ, „საქმიდან მშრალად გამოვიდა“ და საქონელიც უკლებლივ შეინარჩუნა. ეს საქონელი სწორედ ამ ზაფხულს უნდა გაახადოს, ასე ჰქონდა თავიდანვე გადაწყვეტილი და რევიზორმაც იგივე ურჩია:

— კარგი ვაჭაკი ჩანსარ, კოტე... და ძმურად გირჩევ, — უთხრა, როცა სუფრიდან წამოდგა, პორტფელში ჩასალაგებელი ჩაალაგა და სელები ერთმანეთს გააკრა, — ჰო, კოტე... დროზე იმასქენი, ძალიან ბევრნი დადიან და... ემანდ უღვთო ვინმე არ წამოგაწყვედეს, თორემ ამდენი საქონელი.. ხომ იცი?

კოტემ დიხხაც იცოდა, მაგრამ ძალით რა ექნა, სამი წლის ნაღვაწა და ნალოლიაგებს მუქთად ხომ ვერ გადაყრიდა? არადა, ყველა ფრთხილობდა და ღირებულ საფასურს აღარავინ იძლეოდა.

ხიფათი კი სულ უფრო მატულობდა, თანდათან ახლოს მოიწვედა და კარს მოუჭრიდებლად აკაკუნებდა. დღე თუ არა, კერა შინაც ისე არ გავიდოდა, რომ კოტეს ყურს რაღაც ამბავი არ მოსწვდნოდა: მავანს დანაკლისი აღმოაჩნდა, მავანს ჯალამალული საქონელი უპოვეს. ერთს საქმიზე წაასწრეს. მეორე გააკონტროლეს... მოსანეს, დაიჭირეს, მიუსაჯეს, ჩამოართვეს.

კოტემ კარგად იცოდა, რომ ეს ხმები სიცარიელიდან არ მოდიოდა და ადრე თუ გვიან, მასაც მოაკითხავდა. და თავს რომ უფერად არაფერი დასტეხოდა ან თვითონვე უფიარსად ჩაგარდნოდა და შუბლით უჩინარ კედელს არ დასტაკებოდა, ასი თვალი და ყური უნდა გამოემა და ყველა ეს ხლართი, ხვეული, ლაბირინთი და კუთხეკუნუული წინასწარვე განუჭკობოდა: გამოხაცნობი გამოეცნო, დასანახი დაენახა, გასაგები გაეგო, გეჭი და საყელი შეუმცდარად მიეგვლია და ჩასაფრებულს თვითონაც საიდუმლოდ აღჭურვილი დახვედრო-

და — თვალი თვალისა წილ, ყური ყურისა წილ!

მაგრამ ეს ადვილი საქმე არ იყო — კოტემ ესეც კარგად იცოდა, — აქ ყველაფერს, თვით მფათე და მეოცნებარისხოვან უუმცირეს წვრილმანსაც კი მსხვილმანის ტოლფარდი განსჯა, გარკვევა, გაგარადება და გათვალსაზიროება ჭირდებოდა, და აი კოტეც ლოლასთან ერთად ახლა სწორედ ამ მსხვილმან-წვრილმანს ახუსტებდა და აანალიზებდა.

ლოლას სოფლის მედპერსონალის კუთვნილ ერთსართულიან სახლში ერთი აივნისანი მოზრდილი ოთახი ეჭირა. აივანს ზედა მხარეს შუშაბანდი ჰქონდა მიდგმული, რომელსაც ლოლა სამზარეულოდ და ხაკუჭნაოდაც ხმარობდა. ოთახი უბრალოდ იყო შეღებილი და არც მორთულობითა და დგამ-ავეჯის სიმდიდრით გამოირჩეოდა. ლოლას, როგორც დროებით მდგმურს, მხოლოდ პირველი საჭიროების ნივთები ელაგა: ჭრელსუფრაგადაფარებული თვალური სახადილო მაგიდა, რამდენიმე მოდური სკამი, სამკარედი ხარკე, ხის მაწოლი, და სარკიანი ტანსაცმლის კარადა. კედლებზე ნარეკურთმევი საყვავილეები, ფერწერული ტილოების ჩარჩოიანი ფოტობრები და პაწაწინა საოჯახო სააფთიაქო კარადა. ფეფუნების საგზად ერთადერთი წითელი ხის პიანინო თუ ჩაითვლებოდა, რომელიც ყრუ კედელთან იდგა და რომელიც შარშან კოტემ დაბადების დღეზე მიართვა. პიანინოს გვერდით გასასულელი ტახტი იდგა.

კოტე და ლოლა ახლა სწორედ ამ ტახტზე ისხდნენ. ოთახში მუქი არ ენთო, სინათლე შუშაბანდიდან შემოდისოდა და ნახურად ბნელოდა. ლოლა იდაყვით ნაქარგ ბალიშზე მიყრდნობოდა, ხალათის კალთა წამოსწყოდა და გლუ. მრგვალი და ბროლივით პრიალა მუხლის თავები გაშიშვლებოდა. კოტეს სხვა დროს უსათუოდ თვალი წაუვიდოდა და ალბათ ხელსაც გადაუხებამდა, მაგრამ ახლა თითქოს ვერც ამჩნევდა, ორივე იდაყვი მუხლებზე დაყრდნო, სახე ხელისგულში მოექცია, გამტანარებული მწერა მოპირდაპირე კედ-

ლისათვის გაემტერებინა და ნელა, გაგრძელებულად ფშვინავდა.

დუმილი პირველად ლოლამ დაარღვია:

— ერთი სიტყვით, კოტე, — უთბრა და გასწორდა, ხალათის კალთაც ჩამოიწია, — თუ შენი მწყემსები გარეუდებიან, არ გიღალატებენ.. ცხებ, ხომ იცი, შვინიდან ტყდება.

— საქმეც სწორედ ეგ არის. — ყრუდ თქვა კოტემ.

— ვერაფრით დაიყოლიებ?
— იმ ბებერ მგელს მაინც ვერაფრით.
— რომ დაპირდე რამეს?
— უარეს იზამს.
— სხვები?
— იმის შიშით ვერც სხვები გაბედავენ.
— ბრიგადირი?
— ბრიგადირი ნივარია, ტყლაპი, ძინძი. საითაც ჭარი დაუბერავს...

— მაშინ ასე ქენი, კოტე, — შეაწყვეტინა ლოლამ, — ახლავე თუ ვერ მოასწრებ, მთაში ასვლისთანავე გამოიწახე მუშტარი და ეგ საქონელი მოიცილე, ფაქტი წაშალე.

— ოღონდაც, მაგრამ, რომ არავინ არის მუქთად ხომ ვერ გადავყრი?

— რას იზამ, როგორც გიჭირდეს, ისე გიღირდესო.

— მერე, ავტომანქანა? წილსაც გადავდოთ?

— აჰ, არავითარ შემთხვევაში, — ზეღუბი გაასავსავა ლოლამ, — მანქანა — უპირველეს ყოვლისა!

— ჰოდა, რომ არ ჰყოფნის? ხომ იცი...

„ყოლგა“ რამდენი ჯდება. გარდა მაგისა, ჩვენი ძირითადი წყარო ეს საქონელია და ასე ერთბაშად და ჩალის ფასად რომ მოვსპო, ხვალე რაღა გქნათ?

— შენ მართალი ხარ, — ჩაფიქრებით თქვა ლოლამ, — რაღაც სხვა გზა უნდა გამოიწახოთ... მოვიფიქროთ. — ისეც ბალიშზე მიყრდნო, ცისფერი თვალები მოქუტა და ფეხიც ისე ფეხზე გადაიდო.

კოტემ ხალათის ჯიბიდან „ყოლგეთის“ კოლოფი ამოიღო, სიგარეტს მოუკიდა და ასანთი და კოლოფი მაგიდაზე ისროლა. ის თვითონ უკვე აღარ ფიქრობდა, საკმაოდ ბევრი იფიქრა და ბევრგვარად აწონ-

დაწინა, მაგრამ ყოველმხრივ სასიკეთო ვერაფერი გამოხატა, თითქმის უკვე ხელი აჭონდა ჩაქნეული და მხოლოდ ლოლას მოხერხებისა და გამჭირავების იმედითა იყო.

— ჯა, ქალო, თქვი რამე, — შესძახა მოუთმენლად.

— დამაცა, ვეჩქრობ. — ლოლამ ხელი აუკრა და ისევ გაირინდა. — იცი, კოტე, რა ვქნათ? — უთხრა კარგა ხნის დუმლის შემდეგ. — ხანამ უკეთესი საშუალება არ გამოჩნდილა, უარებს უნდა დავჯერდეთ: ვსაქონელი მოიცილე და საქმეს სხვა მხრიდან მიუღებ: ისტატებს გაურვივლო, საქონლის ისტატებს და გაშაღებულებს.

— ეისა, ქალო, ქურდებს შეუბნები? — შევიხილა კოტემ.

— დამაცა-მეთქი კოტე! — ისევ ხელი ახწია ლოლამ. — აბა, რა უნდა ქნა, სად არის გზა, სახსარი? ან წმინდა ხევა ეილა? ახლა ისეთი დროა, ვისაც რით ეცხოვრება, იმით ცხოვრობს. შენ, მით უფრო, უბრალოდ შეამავალი იქნები, განა რა არის აქ ისეთი, რომ?..

კოტე ცოტა ხანს ჩაფიქრდა და მოკლედ თქვა:

— არა, ვე მაინც ქურდობაა.

— რა შეამია, კოტე, ქურდობა? — გაიოცა ლოლამ.

— აბა, რა არის?

— საქმეა, თავისებური საქმეა. შენ რა... ავი გვეუბნები, უბრალოდ შეამავალი იქნები-მეთქი, წილში გახვალ, საქმით კი კაციშეილი ბრალს ვერ დავდებ. შენ ხომ არ იცი, ვისია და რა არის, კაცი მოვიდა, რაღაც გათხოვა და ხელი გაუმართე, მორჩა და გათავდა.

— ზეძლება, მაგრამ... ხარისკოა, — კვლავ ფიქრის შემდეგ თქვა კოტემ.

— საქმეს სწორედ რისკი აკეთებს, კოტე, ხოლო დიდ ზღუდებს, ნახტომიც დიდი უნდა.

— მერე, რომ გამიგონ? ჩემსას მხოლოდ ჩამომართმევენ და მომსწინან, ვე კი ამ-კარა ციხეა, კმ, — გაიყინა კოტემ. — თქმა ადვილია, — წამოღგა, სიგარეტს მოუკიდა და ოთახში გაიარ-გამოიარა, — ახ, რა დრო იყო, რა ხალხი, — გააგრძე-

ლა ფიქრში წასულმა, რაიონში, იკინ-და, თუ აქ, კოლმუხნეობაში ყველამ თავისი წილ-ხვედრი ვიცოდით და ერთმანეთს მხარში ბურჯებივით ვედგეთ... და საქმეც კეთდებოდა. სამ წელიწადში მილიონად ღირებული სახლი წამოვჭიმე, ახლა კი აგე, ერთი აეტომანქანაც მიჭირს... ეპ, კურთხეული დრო იყო, კურთხეული...

— იქნება, კოტე, ეგეც ისევ იქნება. — გაამხნევა ლოლამ.

— როდისღა? მე ახლა მინდა, ხანამ კიდევ ასალგაზრდა ვარ, ხანამ ეცხოვრობ, თორემ მერე? რომ დაგებრდები? იი-იი!

— გული ნუ გაგტეხია, კოტე, — კვლავ მხნედ შეეპასუხა ლოლა, — დამიჯერე, შალე ყველაფერი ისევ ძველი გზით წავა, ძალად ნაგებარი მდინარე ან ჯებირის გახეთქს, ან ახალ კალაპოტს გაიტანს.

— ეინა? რომელი? ვისი იმედი გაქვს? — ჩაგვიტოხა კოტე და ისევ გვერდით მიუჯდა. — ყველა ისეთი მფრთხალი გახდა, ლანარი, ცვედანი, დაკოდილი... კაცი არ არის, რომ მიუდგე, სიტყვა უთხრა, და შენც იმედი იქონიო, მარტომ კი რა ვქნა? ხომ იცი, შურგესკან თუ საიმედო კაცი არ გიღვას, მწიფე ხილივით ხარ და არ იცი, ჭარი ძირს როდის დაგანარცხებს.

— მაგის შიში ნუ გაქვს, კოტე, კიდევ რომ მოხდეს რამე, შენ არჩილი არ გაგემეტებს.

— პირიქით, ქალო, სწორედ არჩილია რაც არის.

— რატომ გგონია ვითომ?

— იმიტომ, რომ... ვიცი, ვხედავ, დღე და დამე გველივით მოთვალთვალებს.

— ისიც თუ იცი, რატომ გითვალთვალებს?

— რა დიდი ცოდნა მაგას უნდა?

— არა, კოტე შენ სცდები, არჩილს მხოლოდ შენთან დაახლოება უნდა.

— ჩემთან დაახლოება უნდა?! — კოტე გაოცდა, არჩილისათვის თვითონ საამისო არასოდეს არაფერი შეუმწივებია, მხრები აინქნა, — არ ვიცი, არ მესმის, საიდან სადაო? — თქვა და ლოლას უნდობლად შეხედა.

ლოლამ დაბლიდან აღმაცერი მზერა შეაგება, წარბები აზიდა და ცისფერი

თვალეები ვმშაკურად ააციმციმა. კოტემ კითხვა გაუმეორა:

— პა, რაო, რა მიწდაო?

— მოდი, ერთ საიდუმლოს გეტყვი, — ლოლამ ასლოს მიიწია, ხელი მხარსე ჩამოადო და რატომღაც წერწულთი უთხრა, — არჩილს თვალი უჭირავს შენს გოგონეში!

— არჩილს თვალი უჭირავს? არჩილს? გაგიწყრა ღმერთი! — წამოიძახა კოტემ ამრეზით და განსე გაიწია. მართალია, კოტეს, ზოგიერთი დედისერთა შვილის მშობელივით ლილის გათხოვება ძალიან შორეულ ან შუუძლებელ ამბად არ მიაჩნდა, მაგრამ არჩილსაგან, თითქმის თავისი ტოლი კაცისაგან ამას არ მოელოდა და თავი შეურაცხყოფილად იგრძნო, დააპირა კიდევ ამის თქმა, მაგრამ ლოლამ ხმის ამოდება არ აცალა:

— რა, ცული სახიძოა? რას დაუწუნებ?

— მიაყარა ზედიზედ, — თჯახი კარგი, თანამდებობა კარგი, თვალადი, ატნადი, არც დიდია, ოცდათხუთმეტისა ყოფილა. პა, ცული სახიძოა? გოგოსაც ბედნიერად დაახინავებ და შენც... ამბოშენ, უფროსები კარგი თვალთ უკურებენო. მალე იქნებ რაიონშიც დააწინაურონ, იქნებ პირველ კაცადაც დასვან? და მაშინ... ხომ იცი, თავმჯდომარის სავარძლამდე დიდი მანძილი აღარ გრჩება — თავის ადგილზე ყველა თავის კაცს ტოვებს. აბადა, ფერმა ხომ საკუთარივით გვექნება, საკონულსაც ისევე იყოლიებ და... ვინ გავეშხ ხმას? პირიქით, როცა ღმერთი გწყალობს, ეშმაკებიც შენზე ლოცულობენ, პა, კოტე, აბა დაფიქრდი, ურიგო ვარიანტია?

ურიგო ვარიანტი მართლაც არ იყო, პირიქით. ზედმეტად გონიერული, სასარგებლო და სელსაყრელიც კი იყო. მერე რა, რომ არჩილი ლილის მამად შეტყერის, საჭირწინთ ასაკს გადაცილებული მაინც არ არის. გოგოს მართლაც ბედნიერად დაახინავებს და თვითონაც... სხვა თუ არაფერი, ყველაზე დიდ წადილს მაინც აისრულებს — რაკი გოგოს გაათხოვებს, ლოლას იმავე დღეს გადაიყვანს ხახლში და უქალობას, უდიასახლისობას საბოლოოდ მორჩება. ამ კუყუმალურ მისვლა-მისვლა-

საც მორჩება. კოტემ ვეღვაფერი ეს ერთ წაშში გაიხარა, მაგრამ გარეგნულად არ დაიმჩნია და ლოლას კვლავ კუმბად აკითხა:

— შენ ვინ გითხრა?

— რა?

— რომ არჩილი... არჩილს...

— რად გინდა, სულ ერთი არ არის, ვინ მეტყვოდა? მთავარია, რომ — არის, სინამდვილეა

— იქნება გორია?

— აბა-მუჟი, არა!

— გაგიწყრა ღმერთი! საიდან იცი, ასე დაბეჯითებო?

— ვიცი, გაგიგვ, მაგრამ მაგას არა აქვს მნიშვნელობა, შენ ის მითხარი, თანახმა ხარ, თუ არა?

— თანახმა?... როგორ? მე ხომ არ შევთავაზებ? იქნებ ის კაცი... თვითონ არაფერი უთქვამს არაფერს ამბობს და...

— არ უთქვამს და იტყვის, ან თვითონ გეტყვის ან კაცს მოგიგზავნის, ერთი სიტყვით, რაღაცნაირად გაგაგებინებს, მაგრამ შენ გადაწყვეტილად ნურც პოს ეტყვი, ნურც — არას. მხოლოდ მიახვედრე, რომ საერთოდ გოგოს გათხოვებაზე წინააღმდეგი არა ხარ, დრომდე ორჭოფულად ამყოფე, ასე ჯობია, უფრო ხელში გეყოლება და... რამე რომ მოხდეს, ხომ იცი...

— ისე კი არ გამოვიდეს, რომ...

— ეე მე მომანდეს! მე, ხომ გჯერა, შენთვის და შენი შვილისათვის ხააუგოს არაფერს ვიზამ. ოღონდ გოგოსაც ასევე აგრძნობინე, რომ არჩილზე უარს არ იტყვი. პირიქით, თანახმაც კი ხარ... და დანარჩენი მე ვიცი.

კოტე წაფიქრდა და მსურა ისევე მოპირდაპირე კედელს გაუმტერა.

— ვინ იცის, როგორ გაიკვებს ამას ხალხი... რას იტყვის...

— ვინ რა უნდა თქვას, მაგალითად?

— რა ვიცი, განა ცოტა საბაბს იძლევა თავმჯდომარისა და ფერმის გაშვებს დამოყვრება.

— კარგი ერთი, ღმერთი ვიშველის, ვინც რა უნდა, თქვას, შენ შენი საჭმე მოაწესრიგე და...

— არა, ხალხის ყბა... ხომ იცი... მით-
ქმა-მითქმა.

— აუტს მაინც ვერაინ იტყვის. შენ
ზედ გადაქცევი ერთადერთ შეიღს, მარ-
ტომ, უდუდოდ გასარდე, ყველაფერი ანა-
ცვალე და ახლა რომ დააბინაო კიდევ,
ვინ დაგძრახავს. დრო უწყვეს და ხანი! ბო-
ლის და ბოლოს, შენს თავზეც ხომ უნდა
იფიქრო. ჯერ კი, სრულიად ახალგაზრდა
ხარ... კმ, ხალხი! ხალხს ვინ რასა ჰკით-
ხავს!

— კარგი, აბა, — უთხრა საბოლოოდ
კოტემ, — შენთვის მომინდვია და... შენ
იცი.

— ისე ჩათვალე, ვითომც... ოღონდ,
გოგოს უსათუოდ სიტყვა გადაუკარი, მია-
ხვედრე, რომ არწილის დამოყვრებაზე თვი-
თონ შენც მოწადინებელი ხარ. პირდაპირ,
პაიპარად კი არ აჯახო, გადაკვრით უთ-
ხარი, მოფერებით, დაუყვავე კიდევ, ურ-
ჩიე... გოგოს შენი სჯურა. მაგ თქვენს თა-
ემჯდომარეს კი... ისეთ ცეცხლს შევეუნთებ,
რომ სულ მუხლის ჩოქზე გეჯდეს და
გემუდარებოდეს, მამ!

— გაგიწყრა ღმერთი! — გაიცინა კო-
ტემ, — ქალი კი არა, ჭკვი ხარ, ჭინკა.

— არა, ხომ კარგი გოგო ვარ? — ლო-
ლამ ახლოს მიიწია და მხრით მხარზე მიე-
ყრდნო, — ხომ ჭკვიანი ცოლი გეყოლები?

— კარგი გოგო ხარ, რაც მართალია,
მართალია.

— ახლა ხომ მეკუთვნის ერთი პატარა
სამუქარი?

— კი, გეკუთვნის.

— ჰოდა, — ლოლა კალთაში გადა-
უწიოდა და გრძელი, მოვლილი თითები
ზომიერად შევერცხლილ, ტალღოვან
თმაში გაუტარა, — ჩვენს უნივერსიტეტში
საზღვარგარეთული ქურქები მიუღიათ, გუ-
შინ გამგემ საიდუმლოდ დამირეკა და მა-
ჩვენა. იცი, რა არის? მთლად ჩემი თვა-
ლების ფერია და... არც ძვირი ღირს.

— როგორ ვყიდიო, რა თქვა?

— აი, სულ ამდენი უნდაო, — ლოლამ
'ამი თითი გამოშალა.

— სამი ათასი?

— ჰო.

— გაიწყრა ღმერთი! სად ვიწყოთ, ქა-
ლო, მაგდენი ფული? ^{ერთი ნახევარი}
ლოლა დახარა და ნელი ^{ხმით უფრო}
ჩაუმიღერა:

— ფერმა მდიდარიაა!...

— მერე ფერმა ჩემი ხომ არ არის, ხა-
ლხისაა.

— ჰე-ჰე, ხალხისა! — გაიცინა ლოლამ,
— ხალხისა მარტო შრომა — ბარი, თო-
ხი, წერაქვი. ღალა კი... მე ხომ ვიცი.

— მეც ვიცი და... გიყიდი კიდევც, აბა,
სხვა ვისთვის მინდა, რისთვის მინდა? —
კოტემ ხელი წელზე მოხვია, მეორე ხელით
თავი გადაუწია და ტურნებში ენებიანად
აკოცა. ჰკოცნიდა და თან დუღღუნით ვუბ-
ნებოდა, — გიყიდი ყველაფერს გიყიდი...
რასაც მოისურვებ... მოინდომებ... მოიწო-
ნებ. — ნელ-ნელა, კოცნა-კოცნით გადააწ-
ვინა ტაბატზე და ოქრომკვდით ნაქარგი
ქოსებში გახადა.

— დაიცა, კარს დავეკტავ.

— არ გინდა, იცოს.

— შეუქს მაინც, შეუქს... შეუქს...

— მერე... მერე...

...კოტემ ხალათის ღილები რომ შეიკრა,
და წასახელებლად წამოდგა, ლოლა ისევ
სამკარგედი სარკის წინ იდგა და ჩაღის-
ფრად შეღებულ თმა იფარცხნიდა. კოტემ
სიგარეტს მოუკიდა და კოლოფი ხალათის
ჯიბეში წაიღო.

— არ ვეგახშმით? — სარკიდან გა-
მოსძახა ლოლამ. მერე შემობრუნდა, წელის
ნელი რხევით მივიდა კოტესთან და მრგვა-
ლი შიშველი მკლავები მხრებზე დუნედ
წამოაწყო, — ჰა? კარგი არტალა მაქვს
ნივრით, ორი ბოთლი საფერავიც მაქვს.

— კარგი იქნებოდა, მაგრამ ბავშვი რომ
მელოდებ? ისედაც დავგივიანე.

— მამ წადი, მერე იყოს. — ლოლამ
კარი თვითონვე გამოაღო, მაგრამ გასვლა-
მდე ისევ შეაჩერა, შუშაბანდში შუქი გა-
შორით და ჩურჩულით უთხრა, — ჰო, მა-
რთლა, კინალამ დამავიწყდა: შენ ერთი
კაცი იქაც უნდა გყავდეს, ადგილზე, ვინმე
სანდო... საქონელს, ხომ იცი, გადარეკვა-
გადმორეკვა უნდა, შეიძლება ერთ-ორ დღეს
ადგილზე შენახავაც დაგვირდეს. მარტო
რას გახლები. ეგეც არ იყოს, წერილმან

საქმეებზე თვითონ ხომ არ ირბენ, გამგე ხარ... არის ვინმე ასეთი, რომ ენდო და... ცოტა რამ წილადაც არგუნო?

- ჯერჯერობით, არაგინ.
- აბა რა უნდა ჰქონდეს?
- მწვემის მკვლელობა და...
- და ისეთი ვინმე გამონახე, ვინც... ვისაც... ხომ გესმის?
- კი, რა თქმა უნდა, ვეძებ, ვარჩევ... ერთ სანდო კაცსაც დავაგაღე.

— ოღონდ ფრთხილად, კოტე, ძალიან ფრთხილად. ახალი კაცის შერჩევა და აყვანა, ისეთი რამ არის, რომ... კარგად გაიკითხე, გაიგე, შეამოწმე, არ შეცდე და... ხომ გესმის?

— კარგი ერთი, რა ბაღღივით მარბობ.

— ჰოდა, ვგრ. ლოლამ მუშაბანდის კარიც თვითონ გაუღო. ოთხსაფეხურიანი ფიცრის კიბეზე კოტემ უხმაუროდ ჩააბიჯა და ვიწრო, საცალაფეხო ორღობით განათებულ თემშიაჩნდა.

— სანამ კოტე თვალს მიეფარებოდა, ლოლაც მუშაბანდის კარში იდგა. ჩაფიქრებული, უძრავად იდგა, ხელები კარის წირთხელებზე ჰქონდა მიბჯნეილი, გაღვილი მკერდისა და შეფაკულ დაწვებზე თემშიანის ლამპიონების მკრთალი შუქი სცემდა და ერთი შეხედვით ჩარჩოში ჩასმულ ცოცხალ ფრესკას წაგაგდა. სახე და თვალითა გამოიმეტებოდა წამით-წამს ვეცდებოდა — ხან მოეღუშებოდა, ხან ანცად წამოეშებოდა. ბოლოს ხმამაღლა ჩაიკისკისა:

— ჰი-ჰი! რა იცის, კოტემ, რომ მაგისი გოგო არჩილს პირველად მე დაგანახვე და გულშიც მე ჩაგუგდე, თუმცა რა, ცუდი რა გაგაკეთე? არჩილზე უკეთეს სიძეს ვის იმოვის! მერე რა, ჩემი ანგარიშიცა მაქვს, პირადულის გარეშე როდის რა გაკეთებულა? ან რა არის ამში ცუდი, რომ ადამიანმა თავის თავზე იზრუნოს, თავისი ცხოვრება მოაწყოს? პირიქით, საჭეხარიც კია, მით უფრო, თუკი სხვასაც ასარგებლებს. გოგო ჰალბატონივით იცხოვრებს, და მეც მოზიარე და მოცილე აღარავინ მყოლებს. ფერმა მართლაც მდიდარია. ერთ-ორ წელიწადში საკმარს დაგაგრო-

ვებ, მერე აქაურობასაც მიფიქვამოფიქვი, დავტაცებ კოტეს ხელს და ანდამ... ლისში! ჯერ დედაჩემთან დავტაცებ... მერე საკუთარ ბინასაც შევიძინებ. სამსახურშიც მოვეწყობით. ბინისა და სამუშაო ადგილების შეიწინაა რა უნდა? ფული იყოს, თორემ... მარტო ის რად ღირს, საკუთარი „ვოლგით“ რომ ჩავალ და თვას, ნაზიგოს და ელპიტვას გულეზე დაგხეტიაფ. ჰე-ჰე, რა იქნება! მერე იქნებ შევიღოც მეყოლოს... ო, ღმერთო, ნუთუ მართლა? აი, თითქოს ცხადად ვხედავ ყველაფერს, ვხედავ საკუთარ თავს... არა, არა, ამდენ რამეს ერთად ვერ დავაჯერებ! ამდენ ბედნიერებას... კარგად უნდა დავფიქრდე, უნდა დავრწმუნდე, დავმშვიდდე, თორემ გული ლამის ამომიხტვს ბუდიდან...

გულზე ხელი იტაცა, კარი გადარაზა და აცეტებული შინ შევიარდა.



ლილი და ნოსრეგანი ისევ უკანა კიბის მოჯირთან ისხდნენ და საუბრობდნენ. ორი წლის მანძილზე ერთსაც და მეორესაც საკმაოდ ბევრი სათქმელი დაუგროვდა, მაგრამ, როგორც ასეთ დროს ხდება ხოლმე, საუბარს თავსა და ბოლოს ვერ ამაძღნენ. ყველაფერი ერთად უნდოდათ ეთქვათ, დაწყებულს მერა ადგილზე წყვეტდნენ და მეორეზე გადადიოდნენ, შოკაჯერ ნათქვამი სულაც ავიწყლებოდათ და ამბავს ასეე თავიდან იწყებდნენ.

ცა ჩამუქდა და ვარსკვლავებით მოიჭედა: ბაღი და ეშოც ჩაიბურა, ბულბული აღარ სტყუნდა აღარც ძროხა ზმუოდა, ნიავმა იმატა და მოგვლავე ციციანათელებიც ხადლაც მიფანტ-მოფანტა. მხოლოდ ფოთოლი შარბიშრობდა ისევ გაბმით და სოფლის ბოლოდან ბაყაყების შეწყობილი ვიყინი ისმოდა.

— ახლა რას აპირებ? — ჰკითხა ბოლოს ლილიმ.

— უნდა ვიმუშაო, რალაც საქმე უნდა გამოვინახო და... ერთ წელიწადს მაინც.

— რომ ჩაგებებინა, არ ჯობდა?

— კი ჯობდა, მაგრამ გამიჭირდება, პროგრამიდან ბევრი აღარაფერი მასსოფ.

— ხატვაც ხომ არ დაგავიწყდა, ბიჭო?
— გაიცინა ლილიმ.

— ხატვა, პირიქით, იმდენს ვხატავდი, რომ — ნაწილში ერთი მხატვარი ვიყავი და ვველაფერს მე მაკეთებინებდნენ — ლოსუნგი იქნებოდა, თუ რეკლამა, ერთ-ხელ ჩვენი კომისარიც დავხატე... მაგრამ აგადემიაში სხვა საგნებიც ხომ უნდა ჩავაბარო? ისინი კი აღარ მახსოვს. გარდა ამისა, დღესაც მინდა მივეხმარო, ამხელა კაცი გავიზარდე და... მრცხვენია.

— მაინც სად გინდა, სად აპირებ?

— ჯერ არც თვითონ ვიცი, გამოვანახვ რამეს, ან არხის მშენებლობაზე წავალ, ან... რა ვიცი.

— კოლმეურნობაში არ გინდა? მართლა, კინდამ დამაფიწყდა: ჩვენმა კლასმა სოფლად დარჩენა გადავწყვიტეთ. მოლიანად, უკლებლივ მვევანახეთა ცალკე ბრიგადა ჩამოვყალიბეთ და... ჯერ ვსწავლობთ, დღესაც სწავლებაში ვიყავით. გამოცდებს რომ მოვრჩებით, საკუთარ ნაკვეთს გავიფორმებთ. თავმჯდომარე გეპირდება, ყველაფერში მხარს დაგიჭერთ, მოგუხმარებითო. ასალი თავმჯდომარე გუყავს, შენ არ იცნობ.

— ეინ არის, რა კაცია?

— არის რა, ერთი კასრივით კაცია. აი, ასეთია, — ლილი მხრებში აიჭიმა და თვალები ოდნავ მოჭუტა. — სულ გაჭიმული დადის... ჰოდა, შენც ჩვენთან იქნები, არ გინდა?

— თქვენთან ფოფნა... რა ვიცი... უკვე დიდი ვარ და... შევუსრულდება. თანაც სოფლის ვეღვა საკმე ვიცი. უფრო ისეთი რაღაც მინდოდა — უცხო, უცნობი, რომ რაღაც ახალიც გამეგო, მესწავლა...

— მაშინ წადი მთაში, მაშასთან, ფერმას ხომ არ იცნობ? მაშას სწორედ ერთი მწყემსი აკლია, ამას წინათ ამბობდა.

— ფერმაში? — ნოსრევანი ჩაფიქრდა და მცირე ხნის შემდეგ მოწონებით განავრძობ. — ფერმაში მართლაც შეიძლება... მთა, იალალი, მწყემსის ნაბადი! სწორედ საქმით საქმეა. პირუტყვს ჩვენ თითქმის აღარ ვიციანობთ, ბუნებას ხომ მთლიანად მოვწყვლით. ბუნებაში კი იმდენი ტყნაური რამ ხდება, რომ... დაგაკვირდები შენიმინდს, ღარ-აღლარის ცვალებადობას, მშეს,

მთვარეს, ვარსკვლავებს, ფრინველთა, ზნეს, ხასიათს, მცენარეულობას და... ჩაფიქრ.

კიდევ — პეისავეებსაც დავხატავ...
— ჰოდა, წადი... ასევე იქნება, ყოველ კვირას ჩამოხვალ, თუ გინდა ორჯერაც.

— იქნებ ყოველდღე ჩამოვსულიყავი?

— შემპარავად ჰკითხა ნოსრევანმა.

ლილი გაწითლდა

— რა საძაგელი ხარ, განა მაგიტომ გითხარი.

— რა გრცხვენია, გოგო, — სიცილით უთხრა ნოსრევანმა. — დიხსაც უნდა მოვიდე და განახო. ამა როგორ? არ გვეყო, რაც შორიშორს ვიყავით?

— მამ წახვალ?

— წავალ, მთაში რა ჯობია, მაგრამ მიმიღებს მამამენი?

— აკი გეუბნები, მწყემსი აკლია და თვითონვე დაეძებს-მეთქი.

— გაანია, ეის დაეძებს.

— სულერთი არ არის?

— სულაც არა, უფროსები ხალხს თავისებურად არჩევენ.

— ასლა ასე აღარ არის, შეიცვალა, თუმცა მამა არც წინათ იყო ასეთი, ისეთი კეთილია, რომ... ოღონდ ზანტა და უქნარას ვერ იტანს, არც სიჯიუტე უყვარს. შენც ნუ გაჯიუტდები, გაუგონე და...

— გაგონებით კი გავეგონებ... ჯერ ერთი, მამამენს როგორ არ გავეგონებ, მეორეც, ამ ორ წელიწადში მაგის მეტი რა ვისწავლე: უფროსის ბრძანება უმცროსისათვის კანონია! მაგრამ ეინ დამიღვება წინასწარ თავლებად?

— მე აქ არა ვარ?

— მეტე, დაგიკურებს?

— ეინა, მამა? — ლილიმ გადაიკისკისა, — რა უნდა ეთხოვო ისეთი. რომ... იცი, როგორ ვუყვარვარ?

— ჩემსაგით? — ისევ შეპარვით ჰკითხა ნოსრევანმა.

— შენსე უფრო მეტად.

— ტყუილია, ჩემსაგით ვერ ვყვარები, — უკვე ხუმრობაგაშვებით უთხრა ნოსრევანმა.

— რატომ გგონია ვითომ?

— იმიტომ, რომ ვიცი, წამიკითხავს, გამიგონია... ადამიანი შეიძლება ბევრს

უყვარდეს, მაგრამ იმ ბევრში ერთი ვინმე უსათუოდ გამოირჩევა... და ეს ერთი მე ვარ.

ლილიმ გაიცინა.

— მართლა გეუბნები, — იმავე კილოზე შეაკება ნოზრევანმა. — აი, მომიხმინე: ქვეყნად ხომ ყველაფერს ზღვარი აქვს, სიყვარულსაც — ასევე, რომლის იქით რაღაც სხეაც იწყება — ფიქრი, საზრუნავი, მოვალეობა... ერთი სიტყვით, ბევრი რამ, მაგრამ ჩემთვის ყველაფრის ზღვარი შენა ხარ, და თუ რამ კიდევ გამაჩნია, მსოფლიოდ და მშობლივდ შენამდევ და შენთვის, შენს იქით ყველაფერი თავდება, წყდება... და თითქოს აღარც სიცოცხლედ არსებობს.

ლილის სახიდან ღიმილი მოლიანად გაუქრა და ოცნებაში წასვლმა თავისთვის ჩაილაპარაკა:

— რა კარგია, რომ მოხვედრი, რომ ერთად ვართ, აი ასე... და იცი, კიდევ რა მინდა?

— რა?

— რა და, ისა, რომ... მე მინდა... არ ვიცი, არ ვიცი, რაღაც კი მინდა და... ნოზრევანს გაეცინა.

— მაშინ მე გეტყვი:

— არა, არა, დაიცე, — ლილიმ პირზე ხელი მიაფარა, — მე თვითონ... ჰო, აი მოვიგონე! იცი შენ რომ აქ არ იყავი, ჩემი თავი მეც სადღაც შორს მეგონა, სადღაც სხვაგან, უცხო მხარეში, და სულ მეშინოდა... რატომ არის, ნოზრე, ასე, ჰა? რატომ მეშინოდა?

— იმიტომ რომ... ძალიან კარგი ხარ.

— მოგვიანებით უთხრა ნოზრევანმა და ნდობითა და მაღლიფრებით შესხვდა.

— არა, არა, ეგ არ მინდა, მითხარი... ის მითხარი.

— როგორ ვითხრა... — ნოზრევანმა გულის თრთოლვა დაიოკა და ნელა ჩაფიქრებით განაგრძო. — მე ასე მგონია: ადამიანის გულში ბევრი რამ იყრის თავს — სურვილი, მიზანი, ოცნება, წყენა, სიხარული... ეს ვრძნობები, ხშირად იცულებიან ან ერთმანეთს ავსებენ, მაგრამ არის ერთი საწყაული, ალბათ ყველაზე დიდი, რომელსაც სიყვარულის მეტი ვერც

რაიმე ავსებს და ვერც ენაცვლება... უშეწოდ მეც ასე ვიყავი, რაღაც მიყვარდეს მყოფნიდა... და გული სულ მჭივრქვნი მისი წვედა, სულ შენსკენ... — ნოზრევანმა პაწაწინა თეთრი ხელები დაუქირა და ნელ-ნელა თავისკენ მიიხიდა, გოგოც დააყვა, მაგრამ ამ დროს უსოში ძალღმა წამოიყვავა და იმავე წამს ორღობიდან კოტეს წყნარი ღიღინიც გაისმა.

— მამა მოდის! — თქვა ჩურჩულით ლილიმ და წამოდგა, ნოზრევანიც წამოდგა.

კოტე ლოლასაგან უსოშიდ კმაყოფილი ბრუნდებოდა. ყველაფერი რაც იქ ითქვა, გზა და გზა ვიწრობაში რამდენჯერმე კიდევ კარგად აწონ-დაწონა, გაითვალისწინა და ყველაფერი იოლად და საიმედოდ მიიგენა. ლილის ბედნიერი გათხოვებაც და თავისი შემდგომი საქმიანობაც უკვე ახღობელ სინამდვილედ ეხატებოდა და გული სიხარულით უმღეროდა. ხოლო როცა თემში-რიდან ორღობეში შემოუსვია და საკუთარ სახლკარსა და უსო-კარმიდამოს შეხვდა, თავისი უახლოესი მომავალი თვალწინ უკვე ცხადად დაუდგა, ჯანდაბას, თუ აღარ ეყოლება საქონელი, ხვალ ხუთმაგად მეტს შეიძენს და ფასიც იმდენივე დაეუება! და გულში რაღად ნამღერი უნებურად სიტყვებშიც გახშიანდა:

„— არ მომიპარავს, მიპოვნია, ახლა ჩემიაა...“

ნოზრევანმა ქუდი და ჩემოდანი აიღო, ლილიმ უკანა კიბეზე გასასვლელი მოაჯირის კარი გამოაღო.

— ასე ჩადი და ბაღზე გადადი, ბილიკი ხომ გახსოვს?

— კი, როგორ არა.

— ჩქარა, წარა! ჰო, მართლა, — დაადევნა უკან ჩურჩულით, — წახვალ მთაში? უუთხრა მამას?

— კი, კი, უთხარი, წავალ!

• • •

ლილიმ მიმჭრალ ღუმელს საჩქაროდ ნაფოტები შეაკარა. ახლალა მიხვდა, რომ ქვაბით საქმული ფდგა და ნოზრევანთან კი ერთხელაც არ გახსენებია. შერცხვა და გულიც დასწყდა. — ხვალ... ზგ, უკეთესად

გავემასპინძლდები,“ — გული ამით დაიშვიდა და მაგიდაზე წელან გადაშლილ წიგნს მიუჯდა.

— კოტემ აივანიც ღიღინით გამოიარა, — ესლა ჩემია, ესლა ჩემია! — და მხოლოდ მაშინდა შეწყვიტა, როცა ლილის შეხვდა.

— აა, ჩემი გვრიტი! ჩემი მერცხალი! — წავიდა ლილისკენ ხელგაშლილი, — ჩემი ჯღურტულა გოგო!

ლილიმ გაბუტვით ასედა:

— აკი მაღე მოვალო? დამტოვე მარტოკა და...

— ო, ცუდი მამა ვარ, ძალიან ცუდი! — შეივსადა ნაძალადევი სინანულით კოტემ, — მაგრამ უნდა მაპატიო. ხომ იცი, სამსახურის საქმე, ეს გამგეობაო, ეს ბუღალტერიას და... ათასი ჯანდაბა და დოზანა. ჰოდა, უნდა მაპატიო, — კოტე გვერდით მიუჯდა და ხელი მოხვია, — მოდი, შევრიგდეთ და სხვა დროს აღარ ვიზამ, აპაპა-პა, აღარ!

— არა, არა, არ მინდა, აღარ მინდა, გამიშვი! შენ სულ ასე მატყუებ, დამტოვებ მარტოკას და... აი, საჭმელიც, რაზანია, გაეხელდა.

— გაეხელდა და ვივასშმოთ, აი ხელებს გადავიბან და ერთი გემრიელად ვივასშმოთ. — ჩვენებურად, მამაშვილურად.

— აქ გავემალო, თუ შიგნით შევიტანო?

— აქ ჯობია, გენაცვალოს მამა. მშვენიერი საღამოა, ნაზი, მოწურნულე, ვარსკვლავიანი... თითო ჭიქა კახურიც გადაგვრათ, ერთმანეთი ვადღეგრძელოთ და ეს... ბუდნიერი, ლამაზი საღამოც დაგლოცოთ.

კოტემ ხელები ვადიბანა და მაგიდას მიუჯდა. ლილი ჯერ ისევ ფუსფუსებდა, სუფრის შუაში თავმოხდილი ჭვახი იდგა, ქინძა და ტყემაღში ჩათუთქული ბატკნის ზორცი ნელა ორთქლავდა და აივანს მადიანი ხუნით ავსებდა. კოტემ საჭმელი თვეშვე გადაიღო.

— აბა, ენახოთ რა დიასაპლისი ხარ. თუ ივარგებ... საპატარძლოდ თუ ივარგებ, — თქვა ტკეპნით, საჭმელს გემო გაუსინჯატუნები გააწკაპუნა და უკვე მოწონებით დააყოლა, — ოო, დაუფასებელი საპატარძლო ხარ, დაუფასებელი!

ლილი ღვინის ჭიქას ამწრალებდა, რაო, რაო? საპატარძლოო? ხელი უწინურად გაუწერდა და მამას გაკვირვებითა და თითქმის წყენითაც კი შეხვდა. დღევანდლამდე მამისაგან ასეთი რამ არ გავეგონა.

— რა ძალიან გაიოცე, გოგო, — იმევე კილოზე უთხრა კოტემ, — ქალი საპატარძლოა, აბა რა არი? შენ ახლა უკვე დიდი გოგო ხარ, აგე, საშუალო სკოლას ამთავრებ და... ხალხსაც უკვე თვალი სჭერია შენზე...

ლილი შეეხა: ვის სჭერია თვალი? ხომ არაფერს მიუხვდა მამა? ან ხომ არ უწყურება? ქურდული მზერა გააპარა და სახეზე დაკვირვებით დაამტკერდა. არა, მამას საეჭვო არაფერი ემჩნევა — მადიანად ილუკმება, ჩანგალს სწრაფად ამოშავებს და ღიმჩამდგარ, თაფლისფერ თვალებში თითქოს რაღაც იდუმალი სიხარულიც გერთობს.

კოტემ ლუკმა გადაყლაპა და დაასრულა:

— მამ, ასე ყოფილა!

— კარგი რა, მამა, აბა რას ამზობ? — ლილიმ ჭიქა ღვინით დაფერილი ხელადის გვერდით დადგა და თვითონაც სუფრას მიუჯდა.

— ჰო, შვილო, ჰო, მართლა გეუნებო. — ხითხითით განაგრძო კოტემ, — თორემ ნუ იტყვი და, ეს ჩვენი ახალი თავმჯდომარეც შენ გითვალთვალეხს...

ლილის ახლა კი მართლა ეწყინა, თავი შეურაცხყოფილად იგრძნო და მამას უკვე დაუფარავი საყვედურით შეხვდა, მაგრამ კოტემ იხტიბარი არ გაიტყსა და ერთხელ კიდევ გაუმერა:

— დიას, დიას, სწორედ ასე! თურმე გითვალთვალეხს.

— თვალი იმასაც დაუდგეს! — ჩაიბუნუნა ლილიმ და ისევ თვეშვე დაიხარა.

კოტემ ღვინო დაისხა, ლილი ადღეგრძელა და ჭიქა ერთი აწვევით გადაკპრა. ღვინოს ლუკმაც მიაყოლა. მერე ჩანგალი თვეშვე ჩამოიღო, თვეში ოუნავ განზე გასწვია, წაახველა და უკვე სუმროზაგაშვებით უთხრა:

— რათა გენაცვალოს მამა, არჩილი არ არის დასაწუნი ვაჭყაცი.

— ფუჰ, რას ჰვავს, ბლენძია!

— არა, შეილო, ასე ნუ იტყვი. რა შე-
ამია... აბა ბიჭებუკასავით ღლაბუცს ხომ
არ დაიწყებს? თავდაპირა მართებს, თავ-
მჯდომარეა, უფროსია, დიდი კაცია და...

— სულ არ მჭირდება, ვინ არის და
როგორია, — უცხად შეაწყვეტინა ლილიმ,
— თუნდ უფლისწულიც იყოს... მე ერთი
სათსოვარი მაქვს შენთან.

ორი იყოს, რაში, თქვი, რა გინდა?
— ერთ ჩემს... ამხანაგს უნდა შენთან
მთაში წამოსვლა.

— მთაში წამოსვლა უნდა? რისთვის?
— ფერმაში, სამუშაოდ.

— უნდა და, წავიყვან. ვინ არის? რო-
მელია? რა ჰქვია?

— ნოსრევეანი ჰქვია. ჯარში იყო... ჩა-
მოსულა, წყლან ჩუენს ორდობეზე ჩაიარა
და... თუ მიმიღებს?

— ვისი შეილია?

— მამა არა ჰყავს, დედას ქეთო ჰქვია.
ქვევით, რიყის უბანში ცხოვრობენ.

— ა, ვიცი, ქვრივი ქეთოს შვილი ყო-
ფილა! დედას ვცნობ, მაგრამ თვითონ რას
წარმოადგენს? — დიდ სოფელში თაბე-
ბი ერთმანეთს ნაკლებად იცნობენ და ბო-
ლოდროინდელი ნამოწაფარების გარდა,
ყველას არც კოტე იცნობდა. — ჰოდა, რა
არის, რის მაქნისია? ფერმა ისეთია, რომ...
უნდელი და უქნარა იქ არ გამოდგება,
წყევლისობა მამაცთა ხეედრია... საქმე
უნდა უყვარდეს და ამხანაგის გატანაც
შეეძლოს, ერთი სიტყვით. კაცად ვარგო-
დეს. არის კი ასეთი? იქნებ ერთი ენაჭარ-
ტალა და ქარქვეტა ვინმეა?

ლილიმ ამასე უცხად ვერ უპასუხა, ვერც
ჰო თქვა, ვერც — არა. ასე იყო კარგა
ხანს, — რა ვიცი. ძალიან კარგია, — წა-
შობინროლა ბოლოს როგორღაც თავისდაუ-
ნებურად და შესამჩნევად წამოწითლდა,
კიდევ კარგი, მამა ფიქრში იყო გართული
და არ შეუხედავს.

— ვნახოთ... შეიძლება. — თავისთვის
ჩაილაპარაკა კოტემ. თავი გვერდზე გადა-
ხარა და მშერა ბნელ სიარტეს გაუსტეკრა.

— ვინ იცის, იქნებ კიდევ ჯობდეს, ჰა?
ასეთებს, გამოუცდელებს უფრო ადვილად
დაიყოლიებს კაცი; ნელდ თიხას ჰგვანან
და რასაც გინდა, იმას გამოძერწავ. აქ

მთავარია ოსტატის ხელი... ცდუნების შესა-
მი ისე უნდა შეაპარო — ნაწრის ნაწრულ
წვეთ-წვეთად... და როცა ტურტული მი-
რთამდე აივსება, სარწმუნოებრივი ერთგუ-
ლება და სიბეჯითე ახასიათებთ. გარდა
ამისა, ჯარგავლილია და მორჩილებას სა-
კმარისად მიჩვეული იქნება... არც წილში
იხარბებს, — სიკაბუკეს სახელი და ქველ-
მოქმედება უფრო ძვირად უღირს. დიას,
ჰო!... მგონი, ამ არჩევანს ლოლაც მომი-
წონებს...“

— რაზე ფიქრობ: მამა? — კეთისა ლი-
ლიმ მოუთმენლად.

კოტე გამოფრეკა და უხერხულად შეიშ-
მუნა:

— არაფერზე, ისე... ჰო, შენზე, ჩემო
გოგონა, შენს მომავალზე ვფიქრობ.

— ჯერ ადრეა მაგაზე ფიქრი, მამა!

— აღარ არის, შეილო, ადრე, ყველა-
ფერს თავისი დრო აქვს... ცოლ-ქმრობა
საბოლოო რამეა და რაც ადრე იქნება,
ის ჯობია. პატარა აღარა ხარ, სამუ-
შალო სკოლას ამთავრებ, ჰოდა... მე, ხომ
ხედავ, ხან მთაში ვარ, ხან — ბარში,
ყურადღებას ვერ გაქცევ, ქალს კი პატრო-
ნი უნდა, რიგიანი პატრონი, — ტკუადამ-
ჯდარი, დადინჯებული. სწორედ ასეთია
არჩილი და მეც მოწადინებული ვარ...
ოჯახი კარგი აქვს, თანამდებობა... ახლა
ხმები დადის, რაიონში დაწინაურებას უპი-
რებენო. შეიძლება მალე თბილისშიც გადა-
იყვანონ. მაშინ ხომ... ერთი სიტყვით, დე-
დოფალივით იქნები. უმაღლესსაც დაამ-
თავრებ და... დაფიქრდი, შეილო, კარგად
დაფიქრდი.

ლილი მართლაც ფიქრობდა, მაგრამ
იმასე კი არა, რასაც მამა ეუბნებოდა —
თავისი შეკითხვის პასუხს მოელოდა,
ერთი სული ჰქონდა, რას გადაწყვეტდა
მამა, — მიიღებდა ნოსრევეანს ფერმაში
თუ არა, და მოლოდინით გაბეზრებული
ადგილზე მოუსვენრად ცქმუტავდა. ბო-
ლოს ველარ მოითმინა და პირდაპირ
ჰკითხა:

— მამა, წაიყვან ნოსრევეანს?

კოტემ უყურადღებობა შეატყო და არ
მოეწონა. მაგრამ ლილის არაფერი შეა-
მჩნევინა.

— წავიყვან. რატომაც არა, — შესძახა ბიცილიო. — რაკი შენ ვინდა, წავიყვან!
— რა კარგი ხარ, მამა, რა კეთილი

ხარ! — ლილიმ ტანში შემოქრუნუნებულად შემოურბინა, მამას მოესტებოდა და მისთვის მაგრად აკოცა.

II

ნოსრევეანს გაღვიძებისთანავე ძელური კედელი ეცა თვალში, მერე ყავრითა და ტოლით გადახურული ჭერიც დაინახა და მიხვდა სადაც იყო. გვერდი იცვალა, ეინიანად გაიწმორა, დაამთქნარა და ირგვლივ მღებარე ადგილები მოათვალიერა.

ნოსრევეანი ლატუნების ტახტზე იწვა. სარძვევე პოსლის დერეფანში, ეს დერეფანი მან და კოტემ გუშინ გადახურეს, ეს ტახტიც გუშინ გაიკეთა, თავისი ხელით დათალა ბოძებიტეში და ჩახსა მიწაში, თავ-ბოლოსა და გვერდებზე სწორი ლატუნები შემოაკრა, უბე თხილის წნელით გამოუწნა, შიგ სოფლიდან წამოღებული ხმელი ჩალა ჩააგო და ზედ ცალირიად მოთელილი თეკა გაშალა. სახთუმლად მსხვილი ხის შუაგანჩხილი ნამორი მიიღო, ხოლო ნამორზე ისევ თეკა გადაფინა.

საოცრად ტკბილი ძილი სვლდნია ასეთ ლოგინს, მთელ დამეს ფეხი არ გაუტოკებია — რომელ გვერდზეც დაწვა წუბულ, ახლაც იმავე გვერდზე გაღვიძდა.

დერეფნის ზედა მხარეს, საცეცხლურში მინაელები მუცულები ხრნილადღუნენ. ცოტა იქით, ყავრით გადახურულ ბაკში სპოები ფშვინავდნენ კიდევ იქით ხარისხებით შვილობილი, თავდია ბაკში მშრალი საქინელი — მოზურები, კოჭყ-დგვეულები და ქედაბურცული ბულები იცოხნებოდნენ — რიგი ისევ ვყარა, რიგი უკვე ფეხზე იდგა, რიგი კი ახლა დგებოდა და ადგომისთანავე ნებებრად იხმოტებოდა. მწველები საქონლის ბაკი ცარიელი იყო. მწველებს ნოსრევეანის გაღვიძებამდე გავლთ კარი ფურებისათვის და გაუდილაურებინათ. ბოსელში არც მწვემთაგანდა ეინმე დარჩენილიყო. ნეტა რა კოტე მინც რა იქნა? ალბათ, მერე ბინაში გადავიდა, პო, იმისი თე-

თრი ცხენი აღარხად ჩანს, მაგრამ თავის ადგილზე — დერეფნის ზედა დირზე — რომ აღარც ნაბალ-უნაგირი აწევია? ფერმა ორ ბინად არის გაყოფილი, მერე ბინას აგე იმ შიშველ სერგადამა უდგას ბოსელი და იქამდე ერთნახევარი ან ორი კილომეტრი თუ იქნება. ცხადია, ასე მოკლე მანძილზე კოტე ცხენს არ წაიყვანდა, მით უფრო, არ შეკახავდა. მამ, სად უნდა წასულიყო?

მინც, რა ადრე და ერთობრად გაკრეფილან ყველანი, განგაში ხომ არ იყო?

ნოსრევეანმა ისევ იცვალა მხარი — პირქვე გადაბრუნდა, იდაყვებზე დაეფრდნო და ძირს დაცემულ, კარგა მისრდილ ბუქნარიან ტაფობს — „გრძელ ველს“ გადახედა. ახლად ამოწვერილ ბალახსა და გაიშორებულ ბუქნარს დილის ხშირი თქორი დახდებოდა და მთელი ვაკე მოლურჯო-მონანგრისფრად თამთამებდა. „გრძელ ველი“ სწორედ იმ ვაკე ტაფობს ერქვა. მაგრამ მწვემსები მთელ თავიანთ კუთხილ სამთო იალალსაც ამ სახელით იხსენიებდნენ. ნოსრევეანს აქ ფეხი არახოდეს დაეღგა როგორც ყველა მის თანატოლს — ჭაბუკსაც და ქალიშვილსაც — მთელი თავისუფალი დრო ბურთის თამაშსა და ტელევიზორის ცქცინაში გაატარებინა და ბუნებისა ბუკრი არაფერი გაეგებოდა. რამდენიმე შორეულ აგარაკზეც იყო ნამყოფი და თავის სოფლის ირავლივი კი ერთბელაც არ გაველო. თვით არსებობაც გრძელველისა დღევანდლამდე ყურმოკერით თუ იყოდა. დღეს კი აგე რამდენი რამ მოისმინა და გაიგო, გუშინ, აქეთობას, რამდენჯერაც კი შეისვენეს, მწვემსებმა იმდენჯერც ახალი რაღაც გაიხსენეს და უამბებს. ხოლო ამბავს ყოველთვის ასე იწყებდნენ:

— გრძელველში პირველად რომ დავი-
დეთ ბინა...

— ერთხელ გრძელველში ვართ და...

— მაშინაც ახალი ასულები ვიყავით
გრძელველში...

რადღა არ მომხდარა აქ და რა არ გადა-
ხდენიათ მწყემსებს თავს. პაპა ქორია
დათვის ორჯერ ხელდახელ შებმია. ჩოფურ-
საც კეოლია დათვი მოკლული. მკლებს
ხომ ნულა იტყვიო. უამბებს, როგორ მოუს-
წრო ერთხელ მძიმე თოვლმა და როგორ
გადაარჩინეს საქონელი დაღუპვას, როგორ
მიუნგრ-მოუნგრია ერთხელ ქარიშხალმა
ბაგბოსლები და როგორ დაეძებდნენ მერე
ტყე-ღრეში გადაკარგულ საქონელს. ომის
დროს მწყემსებს აქ გერმანულთა დესანტიც
შეუპყრიათ... ბევრი რამ მომხდარა, ძალიან
ბევრი.

ნოსრვეანი იხმენდა მწყემსების მონახ-
რობს და გრძელველი რაღაც ზღაპრულ,
მითიურ მხარედ ესახებოდა. ვინ იცის,
მსგავსი რამ იქნება მასაც გადასდებს, და
მერე თვითონაც ისე მოუყვებს სხვებს, რო-
გორც ეს ჭაღარა კაცები ჰყვებიან:

— პირველად რომ ავედით გრძელველ-
ში...

ამ ოცნებით შეპყრობილი გუშინ აქეთ-
კენ მოუთმენლად მოისწრაფოდა, რაც უფ-
რო მოკლდებოდა მანძილი და უახლოვდე-
ბოდნენ გრძელველს, იმდენად ნახვისა და
დათვლიერების სურვილიც ეზრდებოდა,
მაგრამ როცა ამოვიდნენ, ისე იყო დაღ-
ლილი, რომ არაფრის თავი აღარ ჰქონდა.
მართალია, სოფლიდან აქამდე დიდი მან-
ძილი არ არის — ხალთა კაცისათვის სულ
ოთხი-ხუთი საათის ხავალი თუ იქნება,
მაგრამ გზა თავით ბოლომდე ერთი დაუ-
დებელი აღმართია, თანაც ტყე-ტყე მო-
დის, თბილი ნახამთრი მიწა გამშრალი არ
იყო, დაჯანდაგებულ საქონელს სიარული
უჭირდა და ხელის შეშვება სჭირდებოდა,
ხოლო ჩვილი ხმობები ხევებსა და დღელებ-
ზე ხულ ატატებული გადაჰყავდათ.

სულის მოთქმა არც აქ დასცალდა. მარ-
ალია, კოტემ თავმჯდომარეს ბინების შე-
საკეთებლად ხალხი წინა კვირასვე გა-
აგზავნიდა. მაგრამ უმეტესად უფროდ წამო-
სულ ხალხს ბევრი არაფერი გაუცეთებია —

სახურავები ისევ ფარღალალა დახვდათ,
ბაკის ხარხებში მიყრილ-მოყრილ საჭმე-
ამას გარდაც უამრავი ჰქონდათ, ჯერ მარ-
ტო ამდენი მარგი-მარხანის დაბინავება
თქვით: საგებ-სახური, რძის ბიღონები,
ქვაბები, ხაწველები, ყველის კასრები და
აოასი წვრილმანი ხარახურა. მურმეგ-
მა მარგი ბინებამდე მოიტანეს, თავიანთი
ვალი მოიხადეს და წაფიდნენ. თვითონ ბი-
ნაც მოსაწესრიგებელი იყო. ბოსელში ამ-
მორებული ნაგავი ეყარა, ბოსელსა და
ბაკებს შორის მიმოსასვლელ ბილიკებს
შაშბი და ბუჩო-ნემომპალა მოსდებოდა და
სიდამპლის მურალი სუნი უდიოდა. ყვე-
ლაფერს გაწმენდა, დახვეტა-დასუფთავება,
მოწესრიგება და მილაგ-მოლაგება უნდო-
და და ყველაფერი კი საღამომდე უნდა
მოესწროთ.

კოტემ მეორე ბინის მწყემსები გაისტუ-
მრა და თვითონაც მთავარ ბოსელს დაუტ-
რიალდა. ქორია, როგორც უბუცესი, ბინის
ირველიც, სამივარზე გამოიღო საქონელ-
თან დატოვა, ილოს და ჩოფურს შემის მო-
ტანა დაავალა, თედო და იოთამი საწოლე-
ბისათვის ბოძების, ხარხებისა და წნელის
მოსაჭრელად გაგზავნა. თვითონ ნოსრვეანი
მოიხმარია, ქამარში ტარმოკლე ნაჯახი გა-
იყარა, სარძვევ ბოსლის სახურავზე ავიდა
და ფარღალალა ადგილებზე გაუფისული
ქაღალდის — ტოლის გადაკვრა დაიწყო.
კოტეს ყველაფერი წინასწარვე გაეთვალის-
წინებინა და ტოლიც, ლურსმანიც და სხვა
საჭირო მასალაც ბლომად წამოიღო.

ნოსრვეანი დაბლიდან ზომავე დაჭრილ
ტოლსა და ლარტყებს აწვდიდა. კოტე ცალ
მუღლზე დაჩოქილიყო, პირში ლურსმნები
ეჭირა და ლულულული ბინების შესაკე-
თებლად ნამყოფ ხალხს აგინებდა, თან
ნოსრვეანს ელაპარაკებოდა:

— დათვმა თქვა. რასაც ჩემი ტორი ვერ
მოვდე, გემო ვერ ჩავატანო. დიას, პო!
თავის საქმეს ტორი თვითონ უნდა მოს-
დო, სოლო მთა ისეთი რაშე არის, რომ...
იცო, რა არის? კმ... მთელი მადანია. შენ
თუ... აქ ყოველი ბალახის ღერი, ციდან
დაცემული თვითველი წვეთი. ნაღდი
ოქროა, ნაღდი! — თვალი ჩაუკრა და ჩა-
მარცვლით გაიმეორა: — მამ, ნაღდი ოქ-

როა! — ტოლის ნაპირებს ლარტყა მთარგო, დაჰქუდა და უფრო დაუწია ხმას, — შენ ჯერ არ იცი, სკოლის მერხის გარდა არაფერი გინახავს სკოლა კი რაა, ანაბანა და... მეტი არაფერი. ჯარიც იგივეა, — მარჯვნივ, მარცხნივ, წინ, უკან. დაწეჭი, ადექი... არა, მე იმას კი არ ვამბობ, ვგვინც საჭიროა, თავის დროზე საჭიროა, ეს მაინც... ცხოვრება — ეს მე ვიცი და შენც... — მზურა ბაკებს ზევითკენ გააპარა, სადაც ჯოხზე დაყრდნობილი ქორია იდგა და თითქმის ჩურჩულით განაგრძო, — კაცს ახალგაზრდობაში უნდა ყველაფერი — ჩაცმაც, გავლაც და... ცხოვრებაც. დიას, ჰო, ყველაფერი, — ისევ გაიხედა ქორიასკენ და თითის აწევით დაასრულა, — ოღონდ, ერთი რამ: ენას კბილი! საქმეს ზედმეტი ტარტალი არ უყვარს, ასეთი ვარ მე, ასეთი უნდა იყო შენც!

მთელი იმ ხნის მანძილზე, რაც სახურავს აკეთებდნენ, კოტეს ენა არ გაუჩერებია, მაგრამ ნოსრევენამა ამ რჩევა-შეგონებისა ვერც თავი გაიგო, ვერც — ბოლო არც ცდილა. ის უფრო აკვირდებოდა კოტეს, მისი სიმარჯვე მოსწონდა, მოსიბლული იყო ამ ორმოც წელს გადაცილებული, ზორბა კაცის ტაბუკური სიმკვირცხლით, საზრიანობითა და მუშაობაში ძალდატანებელი მიზრა-მოსრით, დღეს მწყემსებზე ნაკლებად როდი მოერეკებოდა საქონელს, აქაც სხვებზე მეტი გააკეთა, აი, ამ ბოსლის ორმაგად გადახურვაც თავისით ითავა. ზოგიერთი ხელმძღვანელივით ჩივილს და თავის მართლებას კი არ მოჰყვა, არც სახელითად გადადო, საქმე გასაკეთებელი დასდგა და გააკეთა. თანაც რა სიბუკითით, მოწადინებით და სისწრაფით — ისე მოარგებდა ტოლის ნაპირებსა და ლარტყას ერთმანეთს, რომ წამითაც არ შეეყოვნებოდა. წინ დახრილს ხანდახან ხშირი, ხვეული თმა წარბებზე ჩამოეშლებოდა, თმას თავის გადაკვრით გადაიწვედა, გაოფლილ მწითურ შუბლს ბაღიანა მკლავით გადაიწმენდა, ლურსმანს ორი დარტყმით ჩაასობდა და ზედ „ეგზ“ დაყოლებდა. ნაჯახის დარტყმის ხმა მშუღლით გადადიოდა გორიდან გორაზე და მათ შორის ჩაფარდნილ ხეობაში იმტყებოდა.

რაც სახელდახელო და აუცილებელი იყო, მზის ჩასვლამდე ყველაფერი მოასწრეს: ბაკები შეაკეთეს, საწოლები გამართეს, ყველის კასრები შიგნით შეუიღეს და თავთავიანთ სადგომ დირეებზე ჩამოადგეს. ჯამები, კოვზები, ქვაბები და სხვა წერილმანი სახმარი ნივთები თაროებზე ჩამოარიგეს, ხმოები დედებს დაამორეს, ახლიტეს და მათთვის განკუთვნილ, ყავრით გადახურულ ბაკში შერკვეს. მოზრდილი საქონელი თვითონ შეიკრიფა ბაკებში, ფურებმა და ტიქუ-დეკულებმა თავიანთი ნასადგომარი იცნეს და გამოზარ, გაფუებული მიწაზე ფშვენითა და ხმორებით დაეყარნენ.

და ჩამოხეულა კიდევ. მთას დაღამებაც თავისებური, უცნაური სცოდნია. მწვერვალებიდან მზის ლაქები ჯერ სრულიად არ გაკრეფილიყო, რომ ხეობებში უკვე მკვირივი ბინდი შემოწვა და მახლობელი ფერდობებიც ლილისფერ პირსაბურავში გახვია. ცის კიდურაზე პირველი ვარსკვლავი რომ აკიაფდა, მწყემსთა ბანაკშიც იფთქა კოცონმა. კოცონის პირას სუფრა გაიშალა, მწყემსებმა თავთავიანთ ხურჯინებს მოსხნეს პირი, ამოაწყვიტეს დანივრული დედლები, შემწვარი ვარიები. მოხარშული ლორი, ხაჭაპურები, მწვანილი, გუდის ყველი და სუფრას უმცროს-უფროსობის კვლობაზე შემოუსხდნენ. თავში, რა თქმა უნდა, კოტე დაჯდა — ნაბადზე თათრულად მიორთხა, ტრელი ხურჯინიდან მოზრდილ ტიკტორას ამოაყოფინა პირი, თავი ივე ხელით შეავსო ალუმინის მომცრო ჯამი და თითები მოხდენილად შეათამამა.

— ეს ჩვენს წლებადელ ზაფხულს გაუმარჯოს, ბიჭებო, ჩვენს ამზაფხულინდელ შრომას, ამხანაგობას, გამტანობას... — უცბად შეჩერდა, თითქოს თავისსავე ნათქვამმა შეაკრთო, წამით დაფიქრდა და თავის მართლებასავით განაგრძო. — რა გნათ. ასეთია ჩვენი ვოფა — ტყე დრეწიმა აფდარი... არც ოქანის ბითბო, არც დასვენება... ჰოდა, უნებურად იწებე კიდევ ვაწვენინოთ ერთმანეთს, მაგრამ ერთმანეთის გამტანნი და მშველელნიც თვითონვე უნდა ვიყოთ. — წამით ისევ

დაფიქრდა და მოკლედ მოსჭრა, — მაშ გავუმარჯოს მწყემსის ოფელს, ფურის ძეძუს და მთის ბარაქა! — ღვინოს ხარბად დაეწაფა, ჯამი ერთი აწყვეით მოაპირქვა და ტურნები მადიანად გააწყვლაპუნა:

— მიზონია, რა, მიზონი, იკურთხოს ქართული წმინს მადლი!

— შენი ვენახისა? — ჰკითხა იოსამმა.

— არა, ჯორჯაძიანთ ნაზერეისაა. მარშან ორი ტონა გადავუცვალე და საგანგებოდ დავეყენე, ძველქართულად.

— ჰო, მაგისტანა ღვინო არცერთმა ვენახმა არ იცის.

— მიწა თავი და თავია!

— დაყენებაც უნდა.

— რასაკვირველია.

— რაც არის, უგ არის, კარგი კია და, — თქვა თავმომწონედ კოტემ, ჯამი ხელახლა შეავსო და, როგორც ყველაზე უხსუსა, პაპა ქორიას გადააწოდა.

პაპა ქორიამ სადღეგრძელო გაიმეორა და ნულა, აურქარებლად და ჩაჭიქრებით დაუმატა:

— კი, ერთმანეთის გამტანნი უნდა ეყოსთ, ეს ადამიანის უპირველესი ვალია. სულერთია მწყემსი იქნება ის თუ სხვა ვინმე, მაგრამ საქმით და სიმართლით, მხოლოდ საქმით და სიმართლით.

ჯამმა წრე მოხაზა, ხელიდან ხელში ტრიალ-ტრიალით გადაინაცვლა და ბოლოში გამოვიდა. ფურის ძეძუ, მწყემსის ამაგი და მთის ბარაქა ყველამ თავისებურად დალოცა — ზოგმა ვრცლად, ზოგმა მოკლედ. მხოლოდ იოსამმა გამოიძოდ თავი და სადღეგრძელოს ოდნავ გადაუხვია, როგორც ბრიგადირი, ის მარტო გამოეორებით არ დაკმაყოფილდა და თავისი საკუთარი აზრის გამოთქმაც საჭიროდ ჩათვალა. თუმცა უფრო პაპა ქორიას წედანდელ ნათქვამს უპასუხა.

— კონსტანტინე ექვთიმოზის სავსებით მართალია, — თქვა ვითომ სხვათაშორის და გვერდზე გაიხედა, — საქმე და სიმართლე — თავისთავად, ხოლო ჩვენ კუმშარიტად ერთმანეთის გამტანნი უნდა ვიყოსთ.

პირველი სადღეგრძელოს მეორე მოყვა, მეორე — მესამე და მესოთხე. თავ-

ანკარა რქაწითელმაც არ დააყოვნა, მინახეთ პირველ სახმისზე შედრე მტკიცე მეთოდზე — თვალები აუცილებლად მტკიცეზე — ლოყები შეუფაცლა, ძალით მეთიბეზე გულები აურუცა და საუბრის წარბოში აუმალა. გაიხსენეს ამ მთისა, იმ მთისა. იმ ბარისა, ზოგი ძველი, ზოგი ახალი, ნანახი, გაგონილი, თუ საკუთარ თავს გადანახედი, ახმაურდნენ, გახალისდნენ, თითქოს გაახალგაზრდადენენ და სუფრასაც და ერთმანეთსაც დიდი ხნის უნახავებივით დაუტკბნენ.

— რა გინდა რა თქვით, ბიჭებო, და, ენენი მწყემსური ყოფა ზოგიერთებისა მანც ჯობია, — თქვა ჩოფურამ ქარბი გულაჩუყებით, პატარა, მელოტი თავი შეარბია და ირგვლივ მსხდომები მოაღერსე მზერით ჩამოთვლივინა, წყრილი, ოდნავ ირიბი და სიღრმეიდან გამჭოლად მომზირალი შავი თვალები ბოლოს პაპა ქორიასზე შეაჩერა და კითხვითაც მას მიმართა, — რას იტყვი, პაპავ, ხო ჯობია?

ჩოფურს პაპა ქორიას გარდა ყველამ მხარი აუბა.

— ჯობია, მაშა, ზაფხულობით — მთაში, სუფთა ქაერზე, სამთრობით — ბარში, როგორ არ ჯობია.

— ესე იგი, მინისტრულად, რალა?

— დიახ, დიახ, სწორედაც — მინისტრულად!

— მარტო ის რად ღირს, რომ სოფლის ქორსა და ყაყანს მოცილებულნი ვართ.

— აბა, აბა, შენ ვეა თქვი და! ინფარქტს თუ რალაც ჯანდაბას სწორედ ეგ აჩენს, აი!

— არა, არა, მე ქორიას ვეკითხები, ქორიამ უნდა მიპასუხოს, — გაჟიუტდა ჩოფურა, ისევ ქორიას შეხედა და კითხვა გაუმეორა, — რას განუმებულხარ, ბიჭო, ხმა ამოიღე, ჯობია თუ არა?

— ჯობია... რატომაც არა, — როგორღაც დაბნეულად გაიღიმა პაპა ქორიამ და თავი დალუნა, — კაცი სადაც საქმეს აკეთებს და ხელს არაფერი უშლის, ყველაგან კარგია.

— შენ კი რა გიშლის ვითომ ხელს, პა? განა რამე გიშლის?

— აბა რა, ჯანი მე აღარ მომდევს და..

— აბა-აბა-აბა, ვე არ გამაგონო! — შეაწყვეტინა ჩოფურმა, გადაიხარა, მხარზე მისწვდა და თავისკენ მოახედა, — ვერა სთქვი, ბიჭო? ჯანიც მოგდევს და.. განა ბებერი მგელი ჯეილ ტურას აღარა ჯობია? ჰაი, მოგივლეს ჩემი თავი! — ხელი ბრტყელ ბეჭებზე მოუთათუნა და ბებრული, ხრინწიანი ხმით სიმღერაც მიაცოლა, — ბერიკაცი ვარ, ნუ მამკლავთ...

— ჰე-ჰე... ნუ მამკლავთ... — აპყვნებს სხვებიც, თანდათან შეწყვეტენ, შესმატბილდნენ, გაიმართნენ და ტყვეს და გორებსაც გუგუნის დააწყებინეს.

— ვერ, ბიჭებო, ვერ! — შესძახა კოტემ. — იმღერეთ, უფრო ხმამაღლა და ძლიერად იმღერეთ, მტერს ეწყინება, მოყვარეს გაუხარდება, არადა, ნადირი ხომ მაინც ვაფრთხება, — გავიწყრათ ღმერთი! — დააცოლა სიცილით და თვითონაც მომღერლებს აპყვა.

ნომრვეანი სიმღერაში არ ჩარეულა — თავისდასამარცხებოდ, ტრადიციული ქართული სიმღერებისა სრულიად არაფერი გაეგებოდა, არც ტექსტი იცოდა, არც — მოტივი, მაგრამ ის არც საუბარში მონაწილეობდა. აქ თანატოლი არავინ ჰყავდა, პირველად უსდებოდა ასეთ ხნირ კაცებთან ყოფნა, საქმევ და ადგილიც უცხო იყო და თავს თვითონაც უცხოდ და განმარტოებულად გრძნობდა. ვახშამს უჩუმრად შეეკუთვლა, ღვინოსაც ცოტ-ცოტას წრუბავდა და სულ განაბული უფრო გარს შემომღვარი დამის იდუმალ ჩურჩოლს ისმენდა. გაზაფხულის მსუბუქი, ვარსკვლავიანი, ბნელი ღამე ხან შფოთიანად ბუტბუტებდა, ხან მარტოსულივით ოსრავდა ხან სულ გაყვებდებოდა და ხან ციებიანივით შეაძვკავებდა. არ იცვლებოდა მხოლოდ ბოსლის მარცხენა მხარეს ჩამდინარი უსახელო ნაკადულის უწყვეტი, თანაზომიერი ჩუხჩუბი და ქვევით, ვაკე ტაფობში ბაყაყების გაბმული ყიყინი. სადღაც იკვე, ხის წვერებში ციყვი ღატკოდა და თავისი მჭახე ჭყიტინით ოროდაღრო მობანეთა ხმამაღალ მოძახილსაც ფარავდა. ცეცხლის შუქზე და შე მერთაღდებოდა, სინათლეში ასლად გაღვებულნი სიკეთები და ღამურები ფარ-

ფატებდნენ. ხანდახან კოტენს კოლონიც გადაუფრენდა და თვალგაუმტარ ხრინწილს ეყენისისმაგვარი ხმით გახმახებდა:

— ვერ იპოვნე, თვეღორო!

მაგრამ შეწყვეტებმა ბოლოს ნომრვეანიც გაიხსენეს. პირველად კოტემ გაიხსენა. სიმღერას რომ შორინენ, კოტემ შემწვარ ვარიკას ბარკალი ააგლიჯა და კბილის ერთი გაკვრით გალოპრა, მერე შევანილს გადასწვდა, ბალნიანი, კოტიკა თითებით ტარხუნის ნარჩენები მთლიანად მოფოცხა და ლუკმას კარგა მოხრდილი კონა მიაცოლა. სწორედ ამ დროს ჰკიდა მზერა ნომრვეანს, მოჭნეული ყბა გააჩერა და თვალები დააჭყიტა.

— ერთა, სულ არ დაგვაფიწყდა ე ბიჭი, — წამოიძახა ლულულვით, ლუკმა საჩქაროდ მიღებ-მოღებკა, გადაულაპა და ნომრვეანს სახეში ჩააშტერდა, — რას განუმებულხარ, ბიჭო, გავიწყრა ღმერთი! ნაწყენი ხარ, თუ რა არის? — კოტემ სიმთვრალე უკვე დამწნეოდა, სახე სიხლისფრად უღულღუღებდა. წყალჩამგვარი, მღვრიე თვალები აქეთ-იქით გაურბოდა, მსხვილი წარბები ჩვეულებრივზე მეტად შორკალოდა და ერთი — მარცხენა ოდნავ მაღლაც წახვლოდა. ნომრვეანს მხარზე ბლუჯავდა, თავისკენ ეწეოდა. ჰა, ბიჭო, ნაწყენი ხომ არა ხარ?

— არა, ძია კოტე, აი ყურს გოვდებთ და...

— ჰო, ეს კარგია, ასე უნდა, უფროსებს ყური უნდა დაუვდო და... გაუგონოო. დიახ. დიახ. ჰო! — კოტემ ნომრვეანს ხელი უშვა. ტიკს გადასწვდა, ალუმიინის ჯამი პირთამდე გააღიცილია და მიაწოდა, — აბა, ერთი დაგვლოცე... ჩვენებურადა, ძველებურადა... და ცა დანახე.

ნომრვეანმა ჯამი ჩამოართვა.

— დალოცვით დაგლოცავთ. მაგრამ ვერ დაგვლე, აზდენს ვერ დაგვლე.

— რაო, ვერ დაგვლეო? — აბა, არა, არ გამაგონო. — ხმას აუწია კოტემ და წარბი შეიკრა, — მარტო დალოცვა რა, დიკვანი კი არა ხარ. ღვინო უნდა დალიო. აბა, შემომწიფე, უფროსის სიტყვა... ხომ იცი... ვიუტობა... ჰა, აბა, გაუბედე, — დროს ნუ გვაკარგვინებ, ისედაც მცირეა.



კოტე კვლავ ენის ბორძიკით ლაპარაკობდა, წარბებიც წვდნადღვლივით უხტოდა, მაგრამ აღარ იცინოდა და ნომრევეანი ვერ იგებდა, ხუმრობდა თუ გულისთ ეუბნებოდა უფროსი კაცების თანაბრად დღინის დაღე-ვა უხერხულად მიამნდა და აღარც კოტემ გაწიხლვება უნდოდა. კიდევ კარგი, გასაქო-რი ქორია პაპამ შვატყო და წამოემველა:

— დალიე, შვილო, დალიე, ცოტა შენც უნდა დალიო, მთლიანად არ დაღვვა კი... ახლა შენც ჩვენი თანატოლი ხარ, და... ნუ გრცხვნი, დალიე.

— პო, — მხარი აუბა თედომ, — მწყე-მსობაში ასეა, დიდ-პატარა არ არაგობს, ხოლო ქართულ სუფრას დაღევა უბდება: სმა უმღერალი არ ვარგა, კაბუკი დაუთრო-ბელიო.

— დაღევა — კი, მაგრამ დათრობა — არა, — გაუსწორა პაპა ქორიამ თედოს ნათქვამი და ისევ ნომრევეანს შეხვდა, — დალიე.

ნომრევეანმა უფროსი ამხანაგები ადღე-გრძელა, კოტემ გამოცლილი ჯამი ჩამოარ-თვა:

— აი, ასე, პო, ასე უნდა. — თქვა მო-წონებით და ისევ საჭმელს მიეძალა.

— აბა, როგორ მოგწონს ე ჩვენი მწყე-მაური ყოფა, — ჰკითხა თედომ, ნაბდის ქუდი მუხლზე დაიდო და სუფრის იქიდან ემშაკურად მოჭეტული თვალებით გამო-ხვდა, — ვარგა რამედა თუ... არ მოგწყინ-დეს კია და შუა ზაფხულშივე თავი დაგვა-ნებო?

— პო, მართლა, სიტყვა ჩამოართვა კოტემ, — დალატხ ხომ არ გვიპირებ ბიჭო?

— არა, ნომრევეანი ეკეთი ბიჭი რილია, რო... მე ვიციბობ, — პატარა ტანის გამს-დარი კაცი — ჩოფურა მუხლებზე წამოი-მართა და ხელი მოშეცო, — უთხრა ნომ-რევეანს. ნომრევეანი უცბად ვერ შიუხვდა, — ხელი შაუ, ბაჭო, რო გულები, — ზეუ-ძახა ხმამაღლა, თვითონ გადასწვდა ნომ-რევეანის მარჯვენას, ძარღვიანი თითებით მაგრა ჩაბღუჯა და მინახეთ თაემომწონედ გადახვდა, — პო, აი ვიციბობ, ვიცი რა ბიჭიც არის, აბა ერთი ამ ორი წლის წინ გენახათ, კლუბში, რაიონულ შეჯიბრებზე, ქართულ ტიდაობაში...

— რა, ავთრავა გაღმაური ბიჭებიმ
— ავთრავა რომელია, სულს მჭირს
არ ატრიალა? და პირველი პირველი ვა-
ირტყა.

— მართლა, ბიჭო?
— რატო არაფერს გუუბნებნი?
— თქმა რად უნდა, მე ჩემი თვალის ვუყურე.

— პოთ, ეს მართლაც საქებარი საქევა.
— გავრძელებულად თქვა კოტემ, ნომრე-ვეანს გახვდა და დაუმატა, — აი, აქაც თუ მაგრე იყოხადებს, მწყემსობაშიც... ჯილ-დოს და საჩუქარს არც მე დაგაკლებ.

საუბარში იოთამიც ჩაერია:
— აქ რაღაა ეთომი, კაცი როცა ვარგა, ყველგან ვარგა.

— აქ... რა ვიცი... დიდი, ბობორა მგლე-ბია და... დათვებიც არის. — კვლავ გაგ-რძელებულად და ჭარბი ხერითულობით თქვა კოტემ და სხვემძაც მხარი ასეთსავე კილოზე აუბეს:

— პო... ეს კი მართლაც... დათვები, მგლები... — ხომ არ გემინია, ბიჭო?

— შიშით კი არა, მაგრამ...

— მაგრამ რა?

— გვითხარი, ბარემ ვეცე გვითხარი.

— პო, ნუ გრცხვნი.

— ეგ არის რომა... აი თოფი რომ არა მაქვს, ცარიელი ხელით, აბა...

მწყემსებმა სიცილი დაიწყეს:

— ჰე-ჰე, თოფი რად გინდა, ბიჭო გა-ნა ოში ხარ?

— თოფეა არ ჩვერა გვაქვს.

— მწყემსს თოფი კი არა, გული უნდა ჰქონდეს.

— არა, დაიცათ, — ხელი ასწია კოტემ და ყველანი გაანუშა, — ნომრევეანი არა ტყუის, ხაოების მწყემსი მართლაც უნდა ჰქონდეს თოფი. მონადილში ისე საჭირო არ არის, წვრილფეხობა კი... ნადირო წვრილფეხობას უფრო ეტანება... და უნდა, უსათოდ უნდა... ახლა ჩავალ თუ არა პირველ რიგში ამას ვეტყვი თაემჯდომარეს. ან თაემჯდომარე რად მინდა, თვითონ ვერ გიყიდი თუ?.. მაშინ მოგიკედეს ძია კო-ტე, მაამ, ეგრე ვიცი მე. — ჯამი შეავსო, იოთამს გადააწოდა და ზედ სიმღერაც ისევ მიაყოლა...

მეტისმეტად მზიარული საღამო ჰქონდათ წუსულ. ძია კოტე მართლაც ძალიან ამხანაგური და გამტანი კაცი ჩანს, პაპა ჭორიას კი როგორი ტკბილი და გონივრული საუბარი სცოდნია.

მზე თითქოს ჯანგებ იგვიანებდა, ნომრეგანიც კვლავ გაუნძრევლად იწვა ლატნების ტახტზე, გადაკეურებდა ბოსლის ქვევით დაცემულ ტყე-ველობიან-თქორდაყრილ ტაფობს და პირზე დიმიორქული დაწერილებით იგონებდა წუხანდელ საღამოს, იგონებდა უფროსი ამხანაგების ნაღაპარაკებს, ყოველ ნათქვამს, საგულისხმს თუ სახუმაროს, თვითველის ხმას, სახეს, გამოსხედვას, მიმოხრას და თან ბუნების ცოცხალი სურათების ცქერით ტკებობდა. როგორ მოხდა, რომ ნომრეგანი დღევანდლამდე ერთხელაც არ ამისულა აქ, არ გაუვლია ბუნებაში და არ უნახავს ერთმანეთზე უსწორმასწოროდ მიყრდნობილი, მაგრამ რაღაც იდუმალი კანონზომიერებით დალაგებული მთა-გორები. მკერდშიშველი ქედები და უკვე ხიმწვანეშეპარული, გლუ ფერდობები? ირგვლივ ყველაფერს პირველყოფილი სიდიადის ბეჭედი აზის, თითქოს ვიღაც უჩინარ ბუმბერაზს ეს ადგილები საგანგებოდ მოურთავს და მოუხატია. — გამოუწვევია ტაფობი განზე და გუშაგებად აწვლოვანი მუხები, წიფლები, თელეები და კობიტები დაუყენებია. ასევე ძლიერი ხელის ერთი დაკვრით ჩამოუკვეთია მთის ფერდობებიც. ჩაუტანია ფრიალოები ბოლომდე ტინებზე რაღაც ჯადოსნური ფერები მოუფრქვევია და მეტი სისრულიათვის აქა-იქ ღვინისა და სფიარის მწვანე გირლიანდებიც მოუბამს.

ტაფობს ერთ მხარეს გლუ სერი ჩასდევდა, მეორე მხრიდან აფვავებული ხილ-კენკრის ჭრელი არშია შემორტყვია, ხოლო მაღლიდან მოლურჯო ნიღბი თავშერგული უნაგირა მთის ორადგაყოფილი მწვერვალს დაკეურებდა. მთის ძირებში ალაგ-ალაგ გაუფოთლავი ტყის კორომები მოჩანდა, ქვევით კი, ხეობებშიც და ტაფობის ირგვლივაც კვირტი უკვე დაშვადარიყო და

ნახევრად გაფოთილი ტყის სუბუბი ქორიორი მუქ-მწვანე ფერის შრიონ ხალოჩას ჰკავდა. ოთხივე მხარეს უმღერდრქენი და ულამაზესი თვალსაწიერი იშლებოდა. მამ ნომრეგანი არ შემცდარა, როცა აქეთ წამოსვლისას სახატე ფანქრები და ალბომები ბლომად მოიმარაგა. რას არ დახატავს აქ, აგე, იმ ცალკე მდგარ განსვასულ ხეებს, ღვებითა და ხავსით მოზარნიშულ ფრიალოებს, მკერდგანიერ, ჩამოსხლული ფერდობებს, სადაც ხიმწვანე ეს-ეს არის ემიჯნება ზამთრის რუს ფერს, ასეთ ფერს დიდი ბიფრთხილითა და ზომიერებით უნდა შერჩევა. ახლა თავისებური მწუხრი და გარიტრაქი! დახატავს ყველაფერს, რასაც ლამაზს ნახავს, რაც მოეწონება და მთელ ციკლს ლილის მიუძღენის. თვითონ ლილისაც დახატავს, აქაურ ფონზე დახატავს, წარმოსახვით, როგორც ჯარში ყოფნისას ხატავდა.. აგე, თვითონ ისიც! ლილის სახე უცბად თვალწინ ცოცხლად წარმოუდგა და დიმილი უფრო მოეძალა, თვლები გაუბრწყინდა. იმავე წუთს ბეჭებზე სიციფეც იგრძნო — ნაბადი გადაუცურდა და მხრები გაუშისვლდა, მაგრამ იმის შიშით, ნანატრი ჩვენება არ გამოქრეს და თვალთაგან არ წამივიდესო, განძრევა და ნაბდის მოხურვა ვერ გაბედა. წარმოსახვის სიცხადეს ბუნების მდუმარებაც აძლიერებდა, არცერთი პაწია ბგერა, არც ოდნავი ჩქამი! დროდარო სადღაც უჩინრად მუდარი გულწითელა ჩიტი თუ გაუბტყენდა ჩქროდ, ან ფოთლიდან ფოთოლზე დაცემული კენტი ნაში გაიტკაცუნებდა — მგ იყო და ეც. მაგრამ აი ამოვიდა მზე, როგორღაც ძალიან უცბად ამოვიარდა მთის იქიდან. შემოადა ქედზე — უნაკლო, უზადო, უცნაურად ძლიერი და ნამდვილ ფერდობებს უთვალავი ფერადი მძივ-ღინჭილა დააფრქვია. ბუნებაც თითქოს ამ წამს ელ-ოდა. მზის ამოსვლისთანავე ძლიერად ამოისუნთქა — ნიაგმა ფრთა გაშალა, ტოროლა წკრიალ-წკრიალით აიჭრა ცაში, სის კენწეროზე შამშამაც ყელი მოიღვრა... ყველა სულდგმული საფარიდან გამოვიდა, ყველა მზეს შეეგება და ნიაღვარივით მომსკდარმა მუსიკამ უძრავი მდუმარება ერთბაშად წალკა.

ახლა ნოსრევანიც უნდა ამდგარიყო. მაგრამ ცთუნებას თავი ვერ წარიტოვა, თვალები დახუჭა და წვის პირველი სხეივის ხელ-თბილი არილით გაბრუნებული სიცოცხლისა და განასხვების ამ მარადიულ საგალობელს ერთხანს კვლავ სულჯანბული ისმენდა. მერე წელსწელა ასწია ქუთუთოები, ნაბადი გადაიძრო, საწოლში წამოჯდა და მიმოიხედა: ყველგან მზე იყო, ყოველ ფოთოლსა და ბაღახის ღეროზე რამდენავე ლალი და ზურმუხტი ბრწყინავდა, ყოველ კვირტს თითო მსხვილი მარგალიტი ჳკიდა. ტაფობს გადადმა მწყობრები ხმაურბდნენ — გადილაურებულ საქონელს უკვე ბინისაკენ მოერეკებოდნენ. ტყიან გორებს შორის ჩაფარდნილი ხეობის სიღრმიდან წისლი დაძრულიყო. მკერივი ფაფუკი ქუდები მსუბუქად მიარწყობდნენ ზევით, მაგრამ მუსესთან შეყრისთანავე ქრებოდნენ და ლაჭვარდ სივრცეში უკვალოდ იკარგებოდნენ.

— აი, სურათი, რომელიც უნდა დასატო. დახატო თავისი განუმეორებელი ფერებით. მოძრავი შუქ-რდილებითა და ატეტივე ხმებით. ბეგრებით. — ხმაბალა თქვა ნოსრევანმა და უხეში ხაკის სწორი მარგალი ჭრელი წინდები და ახალთახალი ჭირისი ჩექმები ჩაიცვა. წინდები დედამ გამოატანა, მარგალი და ჩექმები კი წამოსვლის წინა დღეს კოლმეურნილობიდან გამოუწერეს მარგალთან ერთად თბილი კურტაკი, ბრეწენტის საწვიმარი და ი ეს ნაბადიც მისცეს. საწყობის გამეფ ფირუზამ კუთხეში მიყრილი ტანსაცმლიდან მოსარგო ზომები ამოურჩია და გახუმრებასავით უთხრა:

— აქაც ისეა, როგორც ჯარში, მაგრამ აქ ფასიანია, წლის ბოლოს ნატურით გიანგარიშებთ.

ნოსრევანმა ნაბადი გაბერყა, მერე ზურგანათიდან წიგნებსა და სახატავ ალბომებზე დაწყობილი პირსახოცი, საპონი, კბილის ჯაგრისი, პასტა ამოიღო და პირი დასაბანად ნაკადულზე ჩაირბინა ხეფში სახამოვნოდ გრილოდა, სივრილეს თვითონ ყინულივით ცივი, პაწია მდინარე ქმნიდა. სათავეს სად იღებდა, არ ჩანდა, ზევიდან ხავსმოდებულ ლოდზე გადმოთქ-

რიალებდა და მსხვილი მურყნებით დანრდილულ ქვალორდინ კალაპატის წყლის ბაღლივით მოღურტულებდა.

„მშის სბივი ახლაც ვერ ატანს. ზაფხულში კი, როცა ფოთოლი მთლიანად გაიშლება, ალბათ სინათლევ ვეღარ ჩამოაღწევს.“

პირის ბანას რომ მორჩა, წელზევით ტანიც იღვი წყლით დაიწილა და შემცივნულმა აღმართი ბტუნვა-ბტუნვით ამოირბინა. მწყვლავს უკვე მოესწროთ საწველის ბაკში შერევა, კოლნის პირას ბუნსოზე ბრეწენტის საწვიმრები გაეფინათ და ხიგარეტებს აბოლებდნენ. ნოსრევანმა თმა დაიგარუნა ამხანაგებს „დილამშვიდობით“ მიესალმა და საწვიმარი ლბადა თვითონაც მათ გვერდით გაიფინა. მწყვლავსაც იხეთივე ხაკის მარგალ-ხალათები და სალდათური ჩექმიბი ეცვათ. ხნოვანებითაც თანატოლები ჩანდნენ — სამოც წელზე ქვევით არცერთი არ იყო — და შესახედავდაც იოთქმის ერთმანეთს ქგავდნენ. თვითონ ბრივადირი ითთამიც კი, რომელიც კოტეს შემდეგ ყველაზე ახალაზრდა იყო, სხევისსაგან ბვერით არაფრით განსხვავებოდა. — ისეთივე გაცრეცილი სახე, კილარა უღვაშები, საკმაოდ შემელოტებული თმა და მიშველ კეფაზე ჩამოწული თუშური ნაბღის ქუდი. მხოლოდ პაპა ქარია არ ჰგავდა სხვებს, მწყვესებს შორის იგი ყველაზე უხეში იყო, მაგრამ სიჭარბიანა და ჯანშენახულობით უმცროსებს თუ არ სჭარბობდა, არც ჩამორჩებოდა. სსკეპისაგან გარეგნობითაც გამოირჩეოდა, მაღალი, მხარ-ბტებრტყელი. ძვალმსხვილი და ძარღვიან-იოვიანი კაცი იყო. მწითური, ვერიმალეზიანი სახე ქქონდა, ღრმა ნოტებით დაღარული მაღალი შუბლი, მსხვილი, წინ წამოყრილი წარბები და წარბებქვეშიდან პირდაპირ მომზირალი ცისფერი, შუქიანი თვალები. საქმეს დინჯად, დაკვირვებით აკეთებდა. საუბარიც ასეთივე იყო და — ძუნწი ლა აურჩარებული, მაგრამ რასაც იტყოდა, ლამაზად და აზრიანად იტყოდა, სათქმელს თითქოს საჭრეთელით გამოძერწვდა და ხმავე შესაფერი ქქონდა — მტკიცე, მოღუღუნე და ხვეწრდოვანი. ერთ დროს სოფლის თავაკობამივე წილი ხდე-

ბია, მერე ოცი წელიწადი ვადასახლებაში ჰქონდა ვატარებული ბევრის მომხსრე და მნახველი იყო და უბირ მწვეყმსებათან ესეც ვარკვეულ უპირატესობას ანიჭებდა. თვითონ კოტეც ერთგვარი რიდიითა და კრძალვით ეკიდებოდა.

— აბა, როგორ გეძინა წუხელ, მწვემისო — ჩობანო? — ჩოფური საწვიმარზე გულადმა გადაწვა. ნაბდის ქუდი წარბებზე ჩამოიწია და ნოსრევეან გვერდიდან გამოხედა.

— უკ, დიდებულად! მთელ ღამეს ფეხი არ გამინძრევიდა.

— პო, მთამ იცის, მთამ და ნაბადმა, მაგრამ მწვემის ძილის გაყინება არ არგებს, კურდღელივით უნდა იყოს, უფრო ფხიზლადაც. შენც უნდა მიეჩვიო. რაკი ხელში ჯოხი აიღე და აქ წამოსხვიდი... ამთავითვე უნდა მიეჩვიო.

— მიეგვედა, საქმე თვითონ დააჩვევს, — თქვა ილომ, ხოლო თედომ იავე წუხანდელი ჰქითხა, იგი კოცონის გვერდით მხარეთეოზე იწვა და ჩექმის წვერით ბალახს ჩიჩქნიდა.

— მაშ, მოგწონს მთა? ხომ არ ნანობ, რომ წამოსხვიდი?

— არა, პირიქით, მე იმას ვნანობ, რომ მთა დღევანდლამდე არ მენახა, მარტო ეს დილა რად დირს, აბი წელიც რომ ვიცოცხლო, არ დამავიწყდება, პირდაპირ საოცრება იყო.

— რა აქვს სანანებელი, ძალიანაც კარგი ქნა, რომ წამოვიდა, — ისე თქვა პაპა ქორიამ, რომ ნოსრევეანისაკენ არ გაუსვდავს. არც ვანძრეულა, პირთაქვე იჯდა და მუსლებზე იდაფდაყრდნობილი მზიას აფერადებულ ტაფობს ჩაქურებდა. — კაცმა, მამაკაცმა, ყველაფერი უნდა ნახოს, გამოსცადოს, ისწავლოს. კერაზე გარდელი კაცი კი არა, ხმაც არ ვარგა.

— რა ვიცო. ახლანდელი ასალგაზრდობა კი საქმეს სათოფზე აღარ ევარება და...

— მერე, სად არის ეგ საქმე, რომ მიუკაროს? — ქორია პაპა ნელა შემობრუნდა და ცისფერი თვალები თედოს გამომწვევად მიამტკრა. — აა, სად არის?

— როგორ სად? მინდორში, მთაში, ბარში... ყველგან.

ქორია პაპამ ძლივსმესამინევედ გაიღიმა და თედოს ერთხანს უსტყვლად უყურა. მერე როგორღაც ტკეპნით და გაგრძელბულად ჰქითხა:

— მაშ, შენ ამბობ, რომ საქმე ყველგან არისო, არა?

თედომ თავი დაუქნია, პაპა ქორიამ იმავე ხმით განაგრძო:

— ახლა ერთი ესეც მითხარი: ალაზნის ველს წელიწადში რამდენი კაცი ჰყოფნის?

— წელიწადში რამდენი კაცი ჰყოფნის? — გაოცდა თედო, — როგორ რამდენი?

— როგორ და ისე, რომ მთელს ალაზნის ველს პანკისიდან ვიდრე საინგილომდე, დღეს, სულ მეტი რომ ავილოთ, ათასი კაცი ამუშავებს — ხნავს, თეხავს, თიბავს, მკის და ღეწავს.

— ათასი კაცი?! — უფრო გაოცდა თედო, — დანარჩენი ხალხი?

— აი, სწორედ მეც მანდა ვარ და უფრო გასაგები რომ იყოს, ჩვენი სოფლის მაგალითზე გეტყვი: რამდენი კომლი ვართ სულ?

— რა ვიცი, — მხრები აიჩქა თედომ, — როგორც ამბობენ, ოთხიათასი თუ კიდევ მეტიც.

— ავამუნა ღმერთმა! ოთხიათას კომლში ამდენივე მუშახელი ხომ იქნება?

— მაგდენივე რათა, — ჩაურთო ილომ, — ზოგიერთ ოჯახში ოთხი და ხუთიც კია, ორი ხომ არის ღა არის.

— დავანებოთ ზელმეტს თავი და კომლზე თითო მუშახელი ავილოთ ახლა ვნახოთ, როგორ არის ეს საღისე განაწილებული და რას აკეთებს. დავიწყოთ მსვენლმთხველებიდან: აბი კაცი ტრაქტორისტი და კომბაინერი ვიანეარაიშოთ. — პაპა ქორიამ ნუკა თითი მიხარა, — ერთი ამდენი მოფრები და მათი თანაშემწეები, ეგ ორასი, — ნუკს უსახელო თითიც მიაშველა. — მეხილეობა-მეზოსტნეობაში რამდენი იქნება? აბა, ხუთასი იყოს...

— მაგდენი არ იქნება, — ისევ ჩაურთო ილომ და ჩოფურიც დავთანხმა.

— ეტკვათ ამდენია, ეგ შევიდასი, — პაპა ქორიამ შუა თითიც მოღუნა. — ერთი ოცი-ოთ კაცი მეფუტკრეობა-მეფრინველეობაში იქნება, ოცამდე ჩვენა ვართ, ორმოცამდე

მეცხვარეა, სულ რამდენი გამოდის?

— ოთხმოცდაათი, მიახველა ჩოფურმა.

— დავამრგვალოთ და ასი ჩავთვალოთ, ეგ რვაასი კაცი. — პაპა ქორიამ ხალკი თითოც მოხარა. — დავგრა მვეწახებომა. ეს არის ჩვენი თავი საქმე და ხალხის უმეტესი ნაწილიც იჭა გვაქვს დასაქმებული, მაგრამ რამდენი კაცი იქნება სულ? ორიათასზე მეტი ხომ არა?

— არც მაგდენი იქნება. — თქვა თედომ.

— კი. ვერ იქნება, — დაუმატა ჩოფურმა, — ორი ათასი ძალიან ბევრია.

— იყოს ორიათასი, მამასადამე სულ დასაქმებული ყოფილა ორიათას რვაასი კაცი, ესე იგი, ნახევარზე ცოტა მეტი. ახლა თუ იმ ზედმეტ მუშახელსაც ვიანგარიშებთ, ზოგიერთ ოჯახში რომ არის, მეტი კი არა, ნახევარიც აღარ გამოვა. პოდა, გვკითხებით რა ქნას ამ ხალხმა, რა გააკეთოს?

— პოო, — დარცხვენით გაიღიმა თედომ და თავი ჩაღუნა, — ეს კი... მართლაც მგონი...

— პო, აი რა ხდება, — ნიშნოვებით უთხრა ქორიამ, — ესეც იცოდე, რომ ეს რიცხვი, მთლიანად თუ არა, ძირითადად მაინც ახალგაზრდობაზე მოდის. მე თუ ვკითხავთ, ახალგაზრდობის მითიური გაზარმაცება ხელმძღვანელების მოვინილი ქორია და მეტი არაფერი. როცა გაუჭირდებათ. ფარად ახალგაზრდობას იყენებენ, ყველაფერს მათ გადააბრალებენ და ძლითან კი ოტკისოდენადაც არ ზრუნავენ.

— ხელმძღვანელობამ რაღა ქნას?

— რა უნდა ქნას და... როგორ რა? ისე უნდა გაანაწილოს საქმე... შეწყობით შეწონასწორებით... ხალხიც, მანქანა-იარაღიც და სამუშაოც, რომ არც ერთი მოხცდება, არც მეორე და არც მესამე. აი, ეს უნდა ქნას.

— რა გაანაწილოს, თვითონაც არ ამბობ, არ პყოფნითო?

— ახლა არ პყოფნის, მაშინ ეყოფა. მაგრამ თვალის ახელა და თავის გამოდება რომ არ უნდათ, ვე არის. უშინათ... რასაც მალლიდან არ მიუთითებენ... კი, ბატონო, ბრძანება, დადგენილება უნდა შეხრულდეს, მე ამას არ უარყოფო, მაგრამ შედეგზე ხომ უნდა ვიფიქროთ. აი, საკარ-

მიდამო ნაკვეთები გავიშვა, სწორია, მეც ყველას თანაბრად უნდა მივცეს. ფაქტობრივად თუ ერთმა მაინც ამოიღო ხმამაღალი მხარე, მერებს რაღა ვუყოთ? რაც ჩვენს სოფელში ასეთი ჩამონაკვეთები და მცირე ზომის გაუქმებული მამულებია, როგორც თვითონ ამბობენ, არარენტაბელური. მარტო ეს მიწა ერთ საშუალო სიდიდის სოფელს. დასაქმებდა და აცხოვრებდა.

— მე და ჩემმა ღმერთმა, მაგას კი მართალს ამბობ, — დაუმოწმა ჩოფურმა და თავი სინანულით გაიქნია, — ამ გადაყრილ მიწებს რომ ვუყურებ, პირდაპირ გული მიკვდება, მრცხვენია კიდევ აი ძალიან მრცხვენია. თითქოს ჩემი ბრალიც არის, თითქოს...

— და განა არა, — შეაწყვეტინა პაპა ქორიამ, — შენი ბრალიც არის, წენიც, სხვისიც, ყველასი

— აბა, ენახოთ, — თქვა ილომ და გეფა მოიფსანა, — ახალი თავმჯდომარე რას იხამს, ფართიფურთობს კია და...

— ახალი ყველა ფართიფურთობს... თუმცა, რატომ არა. — პაპა ქორიამ უცხად კილო შეიცვალა და ხმაც დაურბილდა, — ახალგაზრდა კაცია, ჯანი და ენერჯია ვინის... ენახოთ, მთავარი დასაწყისი კი არ არის, ბოლოა და ბოლოს კი საქმე გამოაჩენს — სიჯარეცს მოუკიდა, თავი ზევით იბრუნა, ორთავიან მწვერვალს გახედა და ჩაფიქრებით დაუმატა — საქმის გაძლოა ძნელი არ არის, თუ ალღო აუღო და გულიც წმინდა აქვს.

მწვერვალს თხელი ნისლიან დოღბანდი ეხვია და მკრთალადლა მომანდა ნისლი გაუმერებლად ტოკავდა, ბოჭირობდა, ნელი რწვევით ზიგრაგნებოდა ზევით და ვინრო ჭრილში ფთილებად ლაგდებოდა. ერთი მომცრო ფთილა თითქოს მუხეს დაჰმალავდა. ჩრდილის მხარეს მიჰკეროდა მთას და შიშნულად განაბულიყო. ნამი სანახვეროდ მოშრა, პაქრში უწინარ ორთქლად გაინაბა და მოსარკული ცის გამჭვირვალე ლაქვარდი რძისფრად დაამდოვრა. სითბოზე ღამის სიგრილით დაბუსული ბორა-ბუნანკალი გამოიშალა და ზაკებში დაყრილ საქონელს მიესია. დამადლარი ფურები ვურებს ხელა აპარტუნებდნენ და

ნებეზრად იცოხნებოდნენ. საბალახოდ ჯერ არც მშრალი საქონელი იწვედა, მარტო ახლად ძუძუსასხლეტილი ხმობები მოუსვენრობდნენ, წრიალებდნენ ბაკში, ირფოდნენ, სარისებში თავგამოყოფილები დედებხაკენ იყურებოდნენ და გაბმით და მუდარით ბლადნენ.

— რა ვენათ, არ დაეწველოთ? — იკითხა თედომ, საწვიმარზე წამოჯდა და ამხანაგებს მიხედ-მოხედდა.

— რა გვექვარება, — უთხრა ჩოფურმა, — იყვნენ კიდევ, დაისვენონ, ამოიციოხნიან და რძეს უფრო მოიყენებენ.

— ჰო, ჯობია, ბარემ იოთამიც მოვიდეს.

— მაშ, თითოც გაგებოლოთ, — თედომ უბის ჯიბიდან წამოსვლის წინ საგანგებოდ ნაყიდი „საქართველოს“ ორნამენტიანი კოლოფი ამოიღო, დახორკლილ-დაღრევილი თითებით ცელოფანის გარსაცმს წითელი ზოლი წვალეებით შემოხსნა, კოლოფს თავი მოხადა და სიგარეტი ყველას ჩამოურიგა. მწყემსებმა გაიკვირვეს:

— ბიჭოს, ასეთი იჯრა და არჩივი! საიდან, უფროსობაში სიამ არ დავიდგვია წილი?

— მე შენ გეტყვი და, ვერ შევიშენებ, ტელეფონში ყვირილს და ქაღალდზე ხელის მოწერას რა უნდა?

— ან „პახმელიაზე“ ბორჯომის დალევას.

— ან მდივან გოგოსთან გაარწყობას.

— აბა, იმის შნო კი აქვს ამ ჩვენს თედოსა, აი!

— რატომ არა მაქ, რა, შენ ეგრე გგონია.

— არა აქ და, ექნება, იქ დასვან და...

პაპა ქორიას გარდა სიგარეტი ყველამ ამოიღო, პაპა ქორიამ იჯრა, მაგას აი ჩემი „პრიმა“ მირჩვენიაო და დიმილით დაუმატა, — მეშინია, ამ სიბერისას სხვა რა მეც არ მომანდომოსო, — მაგრამ თედო არ მოეშვა, სიგარეტი თავისი ხელით ამოუღო და სხვებზე დაუგინეს, — აიღე, აიღე, მაგან კარგი ნაფერდალი იცი!

— აბა, რაკი არ იშლით, — პაპა ქორიამ ნახევრამდე ჩამწვარი „პრიმა“ ფურთხით ჩააქრო, ისევე კოლოფში ჩადო და ფილტრიან სიგარეტს მოუკიდა.

იოთამი იგვიანებდა. ნეტა სად წავიდა? ალბათ. გვერდით ბინაში გადავედოე... მაგრამ ძია კოტე სადღა? შიგლიც მოხსნა ნოსრევანის კითხვაზე მწყემსებმა მამანვე არ უბასუხეს, ჯერ ერთმანეთს გადახედეს და საეჭვოდ გაიღიმეს, მერე ჩოფურმ. როჯორღაც ტკეპნით და გაგრძელებულად მიუღო:

— ძია კოტე... საქმეზეა წასული.

— საქმეზე? სად? — კვლავ გულუბრყვილოდ იკითხა ნოსრევანმა.

მწყემსებმა ისევ გადახედეს ერთმანეთს და უფრო საეჭვოდ ჩაიციინეს, ხოლო ნოსრევანს ამჯერად ილომ უბასუხა:

— აი გე კი აღარ არის შენი საქმე. უფროსზე ასე არ უნდა ილაპარაკო, მით უფრო, კითხვებში: სად? როჯორ? რისთვის?... რაკ: გაიგე, რომ წასულა, თუ გინდა, გსადაულოცე და... გაჩუმდი.

ნოსრევანმა ვერ გაიგო, დასცინოდნენ მწყემსები თუ ისე, უბრალოდ ესუბრებოდნენ, ან ვის დასცინოდნენ — თვითონ მას თუ ფურმის გამგეს. იმას კი მიხვდა, რომ აქ ქარაგმულ, ნაწყვეტ-ნაწყვეტ სიტყვებმა და ღიმილში მისთვის რაღაც უცნობა საიდუმლო იმალებოდა, უსიამო საიდუმლო, ამას პაპა ქორიას გამტკნარებული სახეც იხადად ამხელდა, პაპა ქორია საუბარში: არ ჩარეულა, სხვების მსგავსად არც გულისმა, კუშტად შეკრულ თვალ-წარბზე წყნის მრდილი გადაჰკრავდა და ერთ წესტალს მიშტერებული თავისთვის რაღაცას ეტუბუტებდა.

— რათ, ნეტა, — მცირე ხნის დუმილი შემდეგ იკითხა თედომ, — წელსაც მარშანდილეჯით იმას იხამს, თუ... რას აპირებს?

პაპა ქორია ისე შეტოკდა, თითქოს ნემსი უჩხელიტესო, მხრებში აიძირათა და მთელი ტანი შემოხრუნდა.

— არაფითარი შარშანდელი და შარშანწინდელი! სამი წელიწადი გავიდა... პოდა, ჯილი, საემარისია.

— სწორია, — ერთხმად დაეთანხმნენ ყველანი, — როდემდე?

— ან რადა? რისთვისა?

— ჰო, ჩვენ რა გვრჩება.

— რა დაგრჩება, თუ გვემას არ შეპარუ-



ლებ. — ყველა მაგიერ თქვა ჩოფურმა. — ვინ რა? მოგვეცემა? აბე სამი წელი გავიდა და... ვერა და ვერა, თავი თავს ვერ მოფლობით: ხან ნამატი გვაკლდება, ხან ნაწველი, ხან შესორცება. მართლაც და, როდემდე?

— ჰო, აღარ უნდა დასრულდეს? ბოლო მოედოს?

— ცოტა მაინც იყოს.

— აბა, აბა, ან მშრალი, კიდევ უნდა-ბას, თუ არა და... მეწველი და ისიც ამდენი?!

— ყველაფერი მეო და სხვას აღარაღუერიო?

— შიტისმეტია!

— არა, მე კი არ მშურს! — უცბად ხმას დაწვია პაპა ქორიამ, — ისე არ გამოვიოთ, სხანაირად, თითქოს... მაშინ აი, მიწა გამისკდეს და ცრემლი არ მეღირსოს. ბევრია თუ ცოტა... ღმერთმა მეტი მისცეს და მშვიდობაში მოახმაროს, მაგრამ მე რაღა ყნა? ის ხომ მაინც უნდა ვიცოდე, რას ვაკეთებ: ხად რა წავიმატე, რა დავიკვლი, ხვალ ზევ რა მიწა, რა გავითვალსაზრისო და რას დავეშურო? ახლა ვიცით? არ ვიცით. ვისია, რა არის, საიდან მოდის, ხად მიდის, რას ხმარდება... კერძო, საერთო, არეული, დარეული... ნაწველი ნამატი, მოზარდი, მოზარდილი... ბრმა არა ვარ და ყრუ, ვხედავ, მესმის, ე ხალხი რა ყოფამოდ არის, — რა თაემოწინება, წამხედურობა, სახელი, პატივი... ჩვენა?

— ჩვენ არაფერი.

— რატომ არაფერი: ლანძღვა, გინება, გვიღვა, საყვედური, განა ეს არაფერი? სხვა არა იყოს რა, ხალხისა მრცხუნია, ხალხსაც და ჩემი თავისაც. ბოლოა და ბოლოს აღარ ავდგეთ ფეხზე, არ მოვრედე-პოუხედოთ? გავწმინდოთ, გავასუფთავოთ, საქმეც საქმეს დავამსგავსოთ და თვითონაც, სუფთანი და პირნათელი ვიყოთ. პა, არ არის დრო?

— არის, მაშა, როგორ არ არის?

— დაგვიანებულად კია!

— მართალია, სწორია, ასე მუშაობა უკვე აღარ შეიძლება, უნდა ვუთხრათ...

— ვუთხრათ და მოვთხოვოთ კიდევაც!

— ნამდვილად! ყველა გასწორდა, გაინართა, ჩვენ კი...

— იოთამმა უნდა უთხრას, იოთამმა, ბრავადირია და ევალემა. — ილომ წველი იოთამისაკენ გადაგრისა და თედო და ჩოფურაც უმაღ დაეთანხმნენ.

პა, ჰო, ეს უფრო იოთამის საქმეა.

— რა თქმა უნდა!

— რასაკვირველია!

— იოთამისა არ ვიცი და მე კი ვეტყვი, — გადაქრით თქვა პაპა ქორიამ და პაპის ისე აღწია, — ჰო, აი, ამოვა და ვეტყვი. ყველაწერს რომ თავი დავანებო, კაცი მჭვია, ვაიე ვარ და სადაც ვარ და ხაჰმეს ვაკეთებ, რა აღარ უნდა მრცხვენოდეს წინც. აი, საკითხავი რა არის.

— მართლ შენ რათა, ჩვენც ვეტყვიოთ, ყველანი ვეტყვიოთ.

— ჰო, ერთხმად, ერთხმად, განა ასე არ ჯობია?

პაპა ქორიამ აღარ უპასუხა, წამოდგა. ჩამქრალ სიგარეტს ნავეერჩხალზე მოუკიდა და ისევ თავის ადგილზე გადაჯდა, სხვების გაიწმინდნენ, ჩამოვარდა უსიამო სიჩუმე, რომელსაც ყველაზე მეტად ნომრეგანა განიცდიდა. მართალია, ეს კამათი მას არ შეეხებოდა და აქ არც მისი საიდუმლო ვინმემ იცოდა, მაგრამ კოტეზე ნათქვამი საყვედურის ყოველი სიტყვა თავისდაუნებურად გულთან ახლოს მიჰქონდა და უხერხულობის გაურკვეველ გრძობას აღუძრავდა. მოლიანად ვერც ნათქვამის აზრს ჩასწვდა, ვერ გაიგო მწყემსები კოტეს რაზე ემდურებოდნენ და იმ იმედით იქნებ კიდევ რამე თქვასო, პაპა ქორიას მოლოქინით მიაშტერდა, მაგრამ პაპა ქორიას ბევრი ლაპარაკი არ უყვარდა, აღარც ახლა ამირებდა ზედმეტის თქმას — თქვა და გაათავა. ძვალმსხვილი, მზრებდაკუთსული და სახსრიანი-იოგანი, ერთი შეხედვით დახვედრულ, უტყვე ლოდს ჰგავდა, ცვეხლის პირას კი არ იჯდა, თითქოს უძრავად იდო, თვალ-წარბატკრეცილი მიმქრალ ნავეერჩხალს კუშტად ჩასცქეროდა და ნაჯაფი ხარბით მძიმედ ქმინავდა.

* * *

იოთამი მართლაც გვერდით ბინაში გასულიყო.

— აბა ბიჭებო, ნუღა დაგაგვიანებთ, დავწველოთ და გავუშვათ, — თქვა მოსვლისთანავე და საწველელს ხელი პირველმა თვითონ დასტაცა. აღარც სხვებმა დააყოვნეს, კურტაკები გაიძრეს, ხალათის სახელოები დაიკაპიწყეს და ვედროები ააქლარუნეს. ნოსრევანმაც გაიძრო კურტაკი, სახელოებიც მათებურად გადაიკეცა, მაგრამ ვედრო აღარ შეხვდა და დარცხვენით-გაწბილებული განზე გადაგა. იოთამი წადილს მიუხვდა და ღიმილით ჰკითხა:

— გინდა მოწველო?

— ჰო, მინდოდა.

— მოგიწველია როდისმე ფური?

— არა, მაგრამ... ვედი, ვისწავლი.

— მაშ აი ჩემს საწველელს დაგიბოძებ, მე მაინც რძე უნდა ავლრიცხო. აბა, შენ იცი, მართალია, წესით არ გვეალბება, მაგრამ არცოდნას ისევ ცოდნა ჯობია, — ვედრო ნოსრევანს ვადასცა და თვითონ რძის საზომი ბიდონი გადმოიღვია.

ნოსრევანმა კარებში გახილულ ხარბებს გადააბოტა და სხვებთან ერთად ბაკში შევიდა. მწვემიებმა ცურ-ჭუძუნგილი, დედრო ფური შეურჩიეს.

— ფურს მარჯვენა მხრიდან მიუჯექი, ცაცია ხომ არა ხარ?

— არა.

— ჰოდა, ჯერ მარჯვნიდან მიეჩვიე, მე რე ცაციაზეც ისწავლი.

— ძუძუ ცერსა და სალოჯ თითებს შუა მოიქციე და მაგრა დაქაჩე.

ნოსრევანმა დაქაჩა, ძუძუს წვეთ-წვეთად გამოსდინდა რძე.

— უფრო მაგრად მოქაჩე, უფრო.

— კიდევ, კიდევ.

— ჰო, აი, ეგრე.

ნოსრევანმა თითები თანდათან მაგრად მოუჭირა, რძემ მართლაც შადრევანივით გამოხეთქა, მაგრამ ჭავლი ვედროს ასცდა და მიწაზე გაიღვარა.

— საწველელი სწორად დაუდგი და შენც ახლოს მიიწიე, ჰო, ეგრე, ახლა კარგია, აბა, არ ჩამოგვრე, თორემ მოვიდა ჭაფი კისერში.

მწვემიებმა ნოსრევანი გაწაფეს და თვითონაც ფურს მიუხდნენ. მძიმე პირველმა ჭავლებმა საწველელის ძირებზე გაიკრიალა, ჯერ კანტიკურტად, ნაწვეტ-ნაწვეტტად, მერე ძირები რძით დაიფარა, მწველავის ხელი და ფურის ცურ-ჭუძუნც ერთმანეთს შეეწყო, გაიშართა და საწველელები ერთ თანაბარ, გაბმულ ხმაზე ამხვილდა, — შხიი, — შხუუ, შხიი — შხუუ...

ამ ხმამ ყველა ხმა დაფარა, დამორჩილა და ნოსრევანსაც სხვა აღარაფერი ესმოდა. ჩაცუტკულს თავი ფურისთვის ჰქონდა ფერდში მიბჯენილი, თითებში მალ-მალე ინაცვლებდა ძუძუებს და თან თავი საწველელისაკენ ეჭირა. საწველელში ჩამდგარი ჭაფი თანდათან გაფუფდა და ხახუზე თბილი, მოტკბო სურნელი შეაფრქვია...

ნოსრევანის საწველელიც სხვათა თანაბრად შხივის, მაგრამ რიტმს ხანდახან ფური აწვეტინებს: ხამოხს, ადგილზე არ უჩერდება, წარამარა მიღვ-მოდგება და ძუძუს ხელიდან ამუხებინებს.

— დიდო, ფურო, დადექ, შე ვერანაე! თითები დაეღალა, მაგებიც, სველი ძუძუები სულ უფრო ხშირად უსხლტება ხელიდან, შუბლსა და საულეაშეზე ოფლი დაასცდა. ოფლმა იღლიებშიც გაეონა და მერე ზურგზე გადაინაცვლა. დაცუტკულს მუხლებმაც ტეხვა დაუწყო. დაღლა თანდათან მთელ სხეულს მოედო, თავი გაუბრუნვდა, სმენა დაეხშო, რძის ერთობლივი შხივილი თითქოს საიდანღაც შორიდან ესმის, რომელშიც დროდადრო მწყემსების სამუქარო შეძახილიც გამოერევა:

— ნოსრევან, ბიჭო, სადა ხარ?

— არ ჩამორჩე, ბიჭო არ შერცხვე!

„რომელია? მეონი ძია თედო იყო?“

— იქქარე, თორემ მოდის ჭაფი კისერში, მოდის!

„ეს კი პაპა ქორიას ხმაა“.

შხიი-შხუ, შხიი-შხუუ...

რა, უკვე მორჩნენ თითო ფურს? არაფერი, აი ნოსრევანიც მორჩა. დაჩვილებულ ძუძუებს თითები უკანასკნელად ჩამოუსვა, უკანასკნელი წვეთები ჩამოწყენტა და მერე ფურს მიუჯდა.

საწველელებს ხმა შეეცვალა, რძის



შვილი სულ ოდნავდა ისმის, თანდათან დარბილდა, დამდოვრდა — ჩშიი-ჩშიუ, ჩშიი-ჩშიუ! მუქარამ კი უფრო იმატა:

— ნოსრევან, ბაჰო, რას შვრები? მოადგა ჭაფი ნაპირს, მოადგა!

ეს ისევ პაპა ქორია დაჰკვივის. ავე ილო-სი და ჩოფურის ხრინწიანი ხმავე გაი-სმა:

— ნოსრევან, ფრთხილად, ჭაფი უკვე ველშია მოსული!

— ჰაიტ-ტა-ტა-ტა-ტა! ივსება ხაწველე-ლი, ივსება!

ხმა კიდევ უფრო დარბილდა, — შიი-შიუ, შიი-შიუ! ნოსრევანის საწველელები ივსება. ავე, რაღა დარჩა, ჭაფი აქც ხალ-ტეს არის მომდგარი. ცოტაც, სულ ცო-ტაც და... მაჯები მთლად დაუდუნდა, თი-თებმაც საძრაობა დაკარგეს. მაგრამ გაუძ-ლებს, ბოლომდე გაუძლებს. აი, ჭაფმა უკ-ვე ხალტე დაფარა, თანდათან შალდა მთი-წვეს, მოდის, მოფურის, აჰა, ნაპირსაც მო-ადგა, კიდევ წამიც, ერთი წამიცა და...

უცხად კისერზე თბილი და ფაფუკი რა-ღაც დაედო, ხელი ანგარიშმიუცემლად მო-ისვა, ხელში რძის მოყვითალო, სქელი ჭა-ფი შერჩა. წველას თავი მიანება და ფეხ-ზე წამოხტა. შურგუსუკან პაპა ქორია ედ-გა, თავისებურად, ყინვად სითხითებდა, თვთრ კბილებს აჩენდა და დაყვავებით ეუბნებოდა:

— არ გეწყინოს, შვილო, წესია, — ჩა-მორჩენილს კისერში ჭაფს მოვცხებთ ხო-ლმე, არ გეწყინოს.

ნოსრევანს არ სწყენია, ოღონდ შერ-ცხვა კი და პაპა ქორიას უპროტოლად და-ემუქრა:

— არა, პაპა ქორია, წყენით არ მწყე-ნია, მაგრამ იცოდეთ, როდისმე სამაგვიროს კი გადაგინდით, უნათუოდ გადაგინდით.



ფრები დაწველეს, რძე ფელის შესა-დგენელ ქვაბებში ჩაწურეს, საწველელებს წყალი გამოაღლეს და ბაჰის მარგილებზე პირქვე წამოაშეს. ყველაღერს რომ მო-ჩნდნენ, ილომ, ჩოფურმა და პაპა ქორიამ გუდებში საგზალი ჩაიღეს და საჭონელი

სამოვარზე გაირკვეს. თელო ბინაში და-ჩა.

ნოსრევანმა შეიცადა, სანამ მოწყურებულა თვალს არ მიეფარნენ, რომ ხბოები დე-დებს არ გაჰკიდებოდნენ, და თვითონაც საგზალის სამზადისს შეუდგა.

თედომ მოხარშული ლორი შესთავაზა, ემანდ, ჩემს გუდაში დეეს და მოიჭერიო, მაგრამ ნოსრევანმა იუარა — მაქუს, ძია თედო, ყველაფერი მაქუს! — სპორტსმენის სამხრე ჩანთაში ორად მოყვებილი შოთი ჩააყუდა, შერე ისე, რომ თედოსა და იოთამს არ დაენახათ, შურგანთიდან ცელოფანის პარკში საგულდაგულად შეხვეული რაღაც ამოიღო და ისიც შოთის მიაყოლა. საგზალ-თან ერთად მომწრო შოთის სახატავი ალ-ბომი და ფერადი ფანქრების კოლოფიც ჩაალავა ჩანთაში და სახბორე ბაჰის ლას-ტის კარს ურდული მოხსნა.

ხბოები კარებშივე გამოთვალა, — სულ ასორშიცდაშვიდი სული იყო. ტანითაც და ფერითაც ერთმანეთისაგან განსხვავებულ-ნენ: ზოგი ლეგა იყო, ზოგი წითელი, ზოგი ჭრელი, ერთს თეთრი ფერი სჭარბობდა, მე-ორე გლუვად შავი იყო და სახელებიც შე-ფერილობის კვალიბაზე ჰქონდათ შერჩეუ-ლი: ნისლა, ვარსკვლავა, წიქარა, შვინდა, მთვარია, კუმეტა, ნიკორა, მირემა... მაგ-რამ ნოსრევანი თავის სამწყოს ჯერ კარ-გად არ იცნობდა და არც ყველას სახელი იცოდა.

ხბოებმა გამოშვებისთანავე დედების კვა-ლი დაუნახეს და ზევით შეემართნენ. ნო-სრევანსაც გული მალალი ჰედებისაკენ მიუწვედა, მაგრამ იოთამმა ხელმარჯვნივ დააბრუნებინა, და ხბორებისათვის განკუთ-ვნილი სასამოვრე ადგილები რომ ეჩვენე-ბინა და ესწავლებინა, თვითონაც გაუ-ყვა.

იოთამიც ჩოფურივით პატარა ტანის კა-ცი იყო, სახეც პატარა ჰქონდა — შავგ-რემანი, მოგრძო და მზით გარუჯული, ღრმად ჩამსხდარ, უპარივით შავ, პაწაწკი-ნტვლა თვლებს გაუჩერებლად ამოძრავებ-და, თითქმის რაღაცას უფრთხობდა ან თვი-თონზე დაეძინდა. უყვარდა გარჯანი სიკო-ხტაცე და მოჩვენებითი ამპარტავნობა, ნო-სრევანს მწყემსობის დიდ პატივსა და...

რადაც განწყობულ უფლება-მოვალეობაზე ელაპარაკებოდა. იგი ერთი იმათაგანი იყო, მთელს თავიანთ სიცოცხლეს უფროსობას რომ ზემოთხედნი, თითქოს რადაც აბარიათ კიდევ, მაგრამ სინამდვილეში კაცისფილი არ ემორჩილება და არც ვინმე სამსეს უკითხება. ზოლო უფროსობის მუდმივი ნატურა-ძიება იმდენად აცინებთ, აჩივებთ, რომ თვითონვე ხდებიან სხვათა მონა-მორჩილნი. სწორედ ასე ექცეოდა მას კოტე გუშინ, გზაზეც, აჭეთობასა და აქ, ბინების შეკეთებისასაც, სელის ბიჭივით დაარბენინებდა წინ და უკან, მაგრამ ახლა, ნოსრეგანთან საუბარში, თავი ისე ეჭირა, თითქოს თვითონ იყო ერთადერთი ბატონ-პატრონი და განმკარგულებელი, თითქოს ფერმაში ყველაფერი ბრიგადირის, ესე იგი, მისი უნართა და გერგილიანობის წყალობით კეთდებოდა, ის რომ არა, არც ფერმა იქნებოდა. ფერმის გამგე რა არის? მართალია, უფროსი ჰქვია, მაგრამ სინამდვილეში უფრო გარე საქმეები აბარია, ასე ვთქვათ, გარე კაცია, ბრიგადირი კი საქმის შუაგულში ტრიალებს და, მასთანადამე, ფერმაც წყაით მთლიანად მას ემორჩილება.

— აი, ესეც შენი საილაღე-საძოვარი, — უთხრა ბოლოს, როცა ტყის პირას გავიდნენ და ტყეში შეჭრილი მიწდგრის ვაკე ზოლი დაანახა, — ამ ველს გაპყვები და დასასრულს ერთი კუთხით აზიდული გორაკი დაგხვდება, გორაკზე უძველესი ციხე-გალავანი დგას და სახელადაც ციხეგორი ჰქვია, ამ ველს შარაულს ვეძახით, ადგილების სახელებიც კარგად უნდა იცოდეთ. მთელი ის გორა, მის ირგვლივ მდებარე ადგილები და თვით ეს ვაკე ზოლიც მთლიანად შენი სამფლობელოა. ძალიან კარგი საბალახოა, კოტეს საგანგებოდ გამოვაცოფინე შენთვის, თვითონ მე შევარჩიე და... ყველაფრით ხელსაყრელია — მყუდრო, უხედრი, ღალიანი და წყლიანი, ბინებთანაც ახლოს არის, ერთი სიტყვით, კარგია. დანარჩენი შენზე ჰკიდება, — როგორ გამოიყენებ და მოუმარჯუებ საქონელს, ეს არის შენი თავდაპირველი მოვალეობა და კიდევ — სიფრთხილე! მით უფრო, ახლა,

პირველ ხანებში, ნაშამორი, ნადირი, დამეუღლია და თუ ერთი დღე იმყოფებოდა — აი, სწორედ მაგისტრაც მინდა თოფი, — შეაწყვეტინა ნოსრეგანმა.

— თოფი? აჰ, კო, — გაასხენდა წუსანდელი, — თოფი იგივე ჯოსია...

— რატომ?

— დამაცა! ნადირი სათოფედ არ მოგივა, არც წინ ჩამოგიდგება. ერთი რამ იცოდე, — გაჩერდა, თითი მალა ასწია და შავი თვალები გიშრის წერტილებივით მიამუქა, — მწყემსის ყველაზე დიდი იარაღი სიფრთხილება, სიფრთხილე და მსოლოდ სიფრთხილე! აი, ეს არის. — მოსკრა ბოლოს მოკლედ და უკან გაბრუნდა.

დღეს იოთამიც ბინაში რჩება, თედომ და იმან რძე უნდა შეადედონ და ყველი ამოწურონ. საქმე სხვაც ბევრია: ტყიდან ტანსაცმლის დასაკიდი კირჩხების მოტანა და მიწაში ჩაყრა, ნაბდებისა და ქვეშაგების გასამწურებელი ლატნების დაჭრა და გამართვა. გუშინ ყველაფერი ვერ მოასწრეს, ბოსელი და ეზო-კარმიდამოც ჯერ სანახევროდ ისევ მოსაწყესრიგებელია, ზოგან დასაგველია, ზოგან გასათხრელი, გასასწორებელი, ან წასადობი. ადგილ-ადგილ ბაკებსაც ძველი ხარხები ჯერ ისევ დასამარებელი ან გამოსაცვლელი აქვს, და თვითონ ბაკებსაც სომ დახვეტა და დასუფთავება უნდა.

ბოები დღეს პირველად გავიდნენ უდლოდ ილაღე და ამ დანაკლისს ერთხანობას კიდევაც იმწივედნენ, მაგრამ მალე შეეგუნენ, საძოვარს თანდათან გული დაუდეს და ტყეში ზოლად შეჭრილ ველობს ძოვა-ძოვით გაუყვნენ. დღეიდან ნოსრეგანისათვისაც ნამდვილი მწყემსური ცხოვრება დაიწყო — დღეს პირველად აიღო ჯობი ხელში — მწყემსის ეს უსსოვარდროიდან შესრდილი მეგობარი, პირველად გაირეკა სამწყსო მარტომ და ეზიარა ამ ფათერაკებითა და მოულოდნელობით აღსაქვრომანტიკულ ყოფას. აქ ყველაფერი თავისებურია, — საქმეც და ადგილიც, და ყველაფერი კარგია, ყველაფერი ერთმანეთს მწყობრად შეზრდია, შესისხლსორცებია და ყველგნიდან სიცოცხლის ჯანსაღი სული გილიმის. სიმწყანეშეპარულ ფერდობებზე

ყვლთავე დაკიდული ბროლისფერი წყარო — ჩქერალები გინდა, თუ ახლად გამოჩინებული ლურჯმწვანე ქორიანი ტყის კორომები, ან ღელეებში ჩარჩენილი ფერნაცვალი თოვლის ხორდები, მსუს შუქსა და სინათლეს რომ მატებენ, ან კიდევ ანცი ნიაგი, მოუსვენრად რომ მიმოჭრის აქეთ-იქით და აბრეშუმით ღებდა მდგელოზე ჭავლოვან ტალღებს დააგორებს. და მთები — ერთერთს მიყრდნობილი ქედები, საყინვრე მწვერვალები და ჯაგრით მზირალი ჭიუხთა ტინები — წამით-წამს რომ იცვლიან სახეს და შენს გუნება-განწყობასაც თავისი ცვალებადობის კვალობაზე წარმართავენ, ხან ისე გიგრავენ, რომ თავს არა-რად მოგარწვენებენ, ხან კი უხედავ გიძღვნიან თავიანთ სიდიადეს, გაგიტოლებენ და თითქოს შენც ბუმბერაზად გაქცევენ. ასეთ წუთებში თვითონაც იზრდები, მალღებები, თავი ცისა და მიწის ბატონ-ბატონი გგონია და გინდა, მთელი სიყვარულე ერთიანად ჩაისუნთქო.

— ო, გენი, სამგლევე, სად ჯანდაბას მიძვრები!

მართლაც, რა შეედრება აქ ყოფნას: თვალის ხარობს, გული სიამით თრთის, სულში ხალისი ისადგურებს და თავიც ფერადი ოცნებებით გიბრუნის, მაგრამ საიდუმლოებით მოცული და გაუგებარიც საკმაოდ ბევრი რამ არის. აი, თუნდაც მწვემსების ამდილანდელი საუბარი, რა მოხდა შარშან და შარშანწინ? რატომ ჯაგრობდა პაპა ქორია? ან ის კოტეს გუშინდელი ნათქვამი რა იყო, ბოსლის გადასურვისას რომ უთხრა: „აქ ყოველი ბალახის ღერი და ციდან დაცემული თვითველი წვეთი ნაღდი ოქროსა და თუ გონივრულად მოიტყვევი, ბლომა ფულს გაგაკეთებინებო“. რა შუაშია ფული? კოლმეურნობაში შრომადღებებს დაუწერენ და, როგორც ჩვეულებრივ ხდება ხოლმე, წლის ბოლოს, განაწილებაზე, ფული იქნება თუ სხვა რამე, თავის წილს ალბათ მასაც მისცემენ. კოტემ კი რა უნდა გააკეთებინოს და ამოეწინოს? ან თვითონ რა შუაშია?

აქვე დედის ნათქვამიც გაახსენდა. ებათრებოდა და დედას კარგა ხანს ვერ უმხელდა, მთავი წახელას რომ აპირებდა. მხო-

ლოდ წამოსვლის წინა დღეებში გამოუტყა-და, როცა რაიონსა და სოფსაბჭოში ნაღ-რიცხვები მთლიანად მოათავსებდა და კომიტეტიდან შრომითი საგზურიც მიიღო. დედა უკმაყოფილოდ შეიქმუნსა.

- რა, დედი, თუ არ გინდა, არ წავალ.
- არა, რატომ, წადი, რაკი სურვილი გაქვს, წადი, მაგრამ ფრთხილად იყავი.
- ფრთხილად? რაზე?
- რა ვიცი, — ჭოჭმანით თქვა დედამ,
- კოტეს რაღაც... არ ემაღლიერებთან, ნაძრახი კაცია.

ახლა თვითონაც ნახა, რომ არ ემაღლიერებთან, მაგრამ რაზე? ეს ჯერ არ იცის. სასაყვადუროს ჯერჯერობით თვითონ ვერაფერს ამჩნევს. მართალია, პაპა ქორია ისეთი კაცი არა ჩანს, რომ ვისმეს ტყუილ-უბრალოდ დამედუროს, მაგრამ ბრმად დაჯერება მაინც არ შეიძლება — მეტ-ნაკლები ოდენობით შური ყველა კაცის გულში ბუდობს და ვინ იცის, იქნებ პაპა ქორიასაც ეს წყველი შური ალაპარაკებს.

ამან საკმაოდ ხანგრძლივად დააფიქრა. კაცი სადაც არის და საქმეს აკეთებს, იქ ამბებს და მოვლენებს მთლიანად განზე ვერ გაუდგება, ძალიანაც რომ არ ეწადოს, საქმე თვითონ მოსთხოვს და ჩაითრევს. ნოშრევანი ქვემყვანულად გრძნობდა ამ გარდუვალობას და უნდოდა თავისი ადგილი და დამოკიდებულება ამთავითვე განესაზღვრა. კიდევ რაო, რა თქვებს? პო, რაღაც საჭონელს ახსენებდნენ — ფერმა თავის საკუთრებად გადააქციო. ეს, რა თქმა უნდა, ტყუილია, ფერმა ხალხისა და ხალხის დოვლათს კი თავის საკუთრებად ვერაგინ გაიხდის, ხალხს არც სძინავს და არც თვალის უხუჭია. ალბათ, როგორც ყველა ფერმის გამგე, რამდენსამე სულს ფერმაში საკუთრად კოტეც აფარებს და მწვემსებიც ამ ამბავს აზვიადებენ. არა, სწორი, რა თქმა უნდა, არც ესაა, პირიქით, დანაშაულია, და ისინი ამ შემთხვევაში მართლები არიან. მაგრამ ეს მისი — ნოშრევანის საქმე მაინც არ არის, ამისი არაფერი იცის, ახალია, მის დროს არ მომხდარა და, მასხადაამე, არც შეეხება. ვეცდები არ იყო, სამწვემუნად ყველაფერს თავიანთ მსაჯული

და გამკითხავი ჰყავს და თავიც იმათ იტეხონ, მორჩა და გათავდა.

— ვარსკვლავა, მობრუნდი აქეთ!

პაპა ქორია დიანაც კარგი კაცი ჩანს — მართალი, უმწიკვლო, უანგარო, და პატივსაც დიდს სცემს, მაგრამ უფროსი აქ კოტეა და არა ის. ვარდა ამისა, — და უმთავრესიც სწორედ ეს არის — კოტე ლილის მამაა და მასთან გარკვეული რიდი, მოკრძალება და კეთილგანწყობილება მართებენ.

ველი საბოლოოდ ამაზე დააჯერა და ფიქრიც უკუაგდო. ხმოებს გახედა. ვარსკვლავა ისევ განზე გახულიყო, დაიღუნა, ნაზამთრ ბალახში ჩახლართული რიკი აიღო და ესროლა:

— მობრუნდი-მეთქი, არ გესმის? მანდ მგელია, სულელო, შეგეამს!

ახლად ამოწვერილ ბალახზე, ჩრდილებში, დილის ნამი ჯერ ისევ ბრწყინავდა. ხმოები ხარბად ლოწინიდან თოთო ღეროებს და საძოვარს წელი ნაბიჯით მიუყვებოდნენ. ველის ირრევე მხარეს ხშირი წიფლნარის სწორი კედელი აღმართულიყო, გვეგონებოდათ, განგებ ვილაცას გაუკაფთა ხეები და გაუყვია ტყე ორ ნაწილად. სინამდვილეში ასეც იყო: მიწდერის ეს ვიწრო ზოლი ერთი იმ უძველესი საეპროსაქარაგნო გზათაგანი იყო, რომელთა ნაკვალევი დღესაც მრავლად ატყვია ჩვენს პაწაწინა მთა-გორიან მიწა-წყალს.

გსის ნაპირებზე, ერთმანეთში გახლართულ შეინდის, ზღმარტლის, კუნელისა და ასკილის ძირებში იები და თვალცქნაფა ყოჩიფარდები ილიმებოდნენ, ჭენჭყო ადგილებში წალიკა ღუოდა წითლად, აქა-იქ ნარს, შლანს და კურმუხოსაც ამოყინათ თავიანთი ხაიიანი დაცქვეტილი ფოთლები, მიწიდან ათას სხვა ყვავილს, ბალახს, მცენარეს ამოეყო თავი, ნომრევენა არც მათი სახელები იყოდა და დღევანდლამდე არც თვალით ხადმე ენახა.

ტყე გაუზრებლად ფუთფუთებდა, სტყენდა, ბზუოდა, ეღურტულებდა, არხედა განედლებულ რტოებს და თვითონაც აკვანივით ირწოდა. მზე ზომიერად ათბობდა, ოდნავ აცხუნებდა კიდევ. ნომრევენი თითქონ ცხადად ხედავდა, როგორ ფუფუნებო-

და დედამიწა სითბოზე, როგორ შლიდა ნაზამთრ სახსრებს, იზმოვნილდა, გორებთან-ღელეგებინად და თითქოს მისი დევეური ფშვინავაც ესმოდა.

აი ცინეფორიცი.

ველის კლავნილი ზოლი როგორღაც უცბად ვათავდა და ნომრევენს თვალწინ მიშვლად ანიდული გორა ჩამოუდგა. გორაზე მოქარავენთა ღამის სათვეი ქონგურებ-მორღვეული ცინე-დარბაზი იდგა. ციხის გასწვრივ სივრძივ წაწვდილი ტყიანი ხერი მოჩანდა, ქვევიდანაც, მარჯვენა მხრიდან, გაფოთლილი ტყის ფაფუკი არშია შემოსდგომოდა, მარცხნივ კოხტად დამდგარი, ბურქნარიანი ფერდობი ჩასდევდა, ხოლო აქეთ, მისასვლელისაკენ, დაღმართი თანდათან ვაკლებოდა და ცინთვალა ყვავილებით ღურჯად მოჩითულ ველს უერთებოდა. ველზე რამდენიმე ძირი ახლად დაყვავილებული ტყეშალი და ჯგუფ-ჯგუფად ამოსული ტირიფები იდგა, რომელთა იქით-აქეთ შვეიდან დაგორებული დუღამის ნამუსრეგები ეყარა. გორას ამთავრებდა კანდამსკდარი ძელქვებისა და ბერმუხების ხშირი ტყერი, ხეთა გრუბილ ტოტებს ისე შეგვრათ თავი და შემოსლართოდნენ ცინე-დარბაზს ირგვლივ, თითქოს უშინიათ, ემანდ უცხომ არავინ დაინახოს და არ მოგვტაცოსო.

ხმოები სტუნვა-კუნტრუშით გაიკრიფნენ გაშლილ ველზე და ტყემლებსა და ტირიფებს შორის მიმოიფანტნენ. ნომრევენს კი თითქოს ნაბიჯის გადადგმა დავიწყებოდა, მონუსხულივით იდგა ტყის პირას, გამოსაჩენში და უცხო სანახაობას თვალს ვეღარ უსწევტდა. ხშირი ტყით გარშემორტყმული ეს მომცრო გორა, ათასწლოვანი მუხებიოდა და კიდევ უფრო ხნიერი ცინე-გალავნით დაგვირგვინებული, ყოველმხრივ ზომიერად დაქანებული მიშველი ფერდობებით და ღურჯი ცის ფონით, რაღაც ზღაპრულ სურათს აგონებდა, გოლიათი მხატვრის ხელით შექმნილსა და უზარმაზარ მწვანე ჩარჩოებში ჩასმულს.

— აქ მართლაც უნდა ხატო... მხოლოდ ხატო... — იმეორებდა ჩურჩულით პირზე დიშმომდგარი და განბრევენს კიდევ ვერ ბედავდა, აქ სხვაც ყველაფერი — ცინე-გა-



ლაუნის სანახები, შემოგარენი და მთელი მიდამო — ხელით შექმნილს ჰგავდა. ნომრევანს ამან უცხოთა თუ შინაურთა საყოველთაოდ აკვიტებული მსუბუქი გამოთქმა გაახსენა — საქართველო ლამაზიაო, და გონებაში გაეყინა: „ღიასაც ლამაზია, მაგრამ ვინ გაალამაზა? ხალხმა, ხალხის ხელმა... ქართველი არა მარტო აშენებს, ალამაზებს კიდევც, — მიწას ათასნაირი ხერხით ამკობს, თხრის, ასწორებს, ხინჯს აცლის, აკოსტავებს, ხეს რგავს და სადგომ — სამყოფელს თვალისათვისაც საამურს ხდის, — ხოლო ხალხი ისე არაფერს გააკეთებს, რომ მასში თავისი სულიც ცხოვლად არ აღბეჭდოს...“

ცქერით რომ გული იჯერა, ვაფანტულ ნახშირს თავი ერთად მოუყარა და ქვედა შხარქს, დაბლობში მდგარ ტირიფუბთან გადმოაქურა. ტირიფუბის ირგვლივ, ნაჭანჭან ხარში ამრეშუმივით რბილ მდელოს ხბოები ხარხად და მადიანად მიეძალნენ. თვითონაც შიოდა — წუხელს აქვთ პირში ლუკმა არ ჩაედო, მაგრამ სძლია თავს და ჩანთიდან ჯერ სახატავი ალბომი და ფერადი ფანქრების კოლოფი ამოიღო. მოხერხებულ ადგილზე მოიხრთა, ჯიბის დანით ფანქრებს წვერი წათალა და ციხე-დარბაზის მთლიანი ხედი ჩახატა. ნახატს „უკვდავი სული“ დაარქვა. მერე თვითონაც ხბოებთან გავიდა, ღელის დასაწყისში შემალღებულ ბორცვზე ჩამოჯდა და ჩანთიდან საგზალი ამოალაგა — შუა მოცეცილი შოთი და ცვლოფანის პარკში გამოკრული ის ამანათი, დილით ჩანთაში სხვათა დაუნახავად რომ ჩადო.

ეს შვერულა გუმინ საღამოს ლილიმ მოუტანა. ახალი დაბნულებული იყო. საჩინში, ბუხარის წინ, ფიცრის სკამლოგინზე იჯდა და ზურგჩანთაში მთაში წასადებ ნივთებს ალაგებდა. მიშკარზე ნელი კაკუნის გაისმა, გუმინით მიხვდა, ვისი ხელიც აგაკუნებდა და ფართო ეზო ერთი ნახტომით გადაჭრა.

ლილის მხრებზე ზრელი, ფუნჯიანი თავშალი ეხვია, ეტყობოდა. ჩქარა ევლო, აჩქარებით სუნთქავდა და თან მიტო ხიფრთხილსათვის აქეთ-იქით იყურებოდა, ეს

ფუთაც თავშალის შიგნით ჰქონდა ამოფარებული.

— რა არის? — ჰკითხა ნომრევანმა.

— სსუ, — პირზე ხელი მიაფარა ლილიმ, — გახსნი და ნახავ.

ნომრევანმა იქვე დააპირა გახსნა, მაგრამ ლილიმ არ დაანება, ხელეში მიყარდა და კვლავ ჩურჩულით უთხრა:

— არა, ახლა არა, იქ, მთაში გახსენი.

ნომრევანს გადაწყვეტილი ჰქონდა: ბარგის ჩალაგებას რომ მოირჩებოდა, ლილისთან წასულიყო და გამომშვიდობებოდა. ის კი აი, თვითონვე მოვიდა და საჩუქარიც მოუტანა. ცალკვრამ უნაროდა, გულისწირმა რომ დაასწრო, ცალკვრამ სეხენოდა და დაბნეული უხერხულად იღიმებოდა.

— ეს მაინც როგორ მოიფიქრე? — ჰკითხა ბოლოს.

— აბა, შენთან ხელცარიელი მოვსულიყავი? — კითხვივთუ უპასუხა ლილიმ და დაბლიდან მორცხვი ღიმილით ასედა.

ისეთი კარგი იყო იმ წუთში, ისეთი თბილი, საყვარელი, რომ ნომრევანმა ვერც კი გაიგო, ხელი როგორ მოხვია, ლილიმ ისევე შეერთხალად მიმოიხედა და გაიწია, — გაშიშვი, ვინმემ არ დაგვიანახოს... სირცხვილია, — მაგრამ ეტყობოდა, გაშვება არც თვითონ უნდოდა. ნომრევანმა შვერულა ძინს დადო, მეორე ხელიც მოხვია და ტურქებში ხანგრძლივად აკოცა. გოგოს თვითონ არ უკოცნია, მაგრამ არც გახმლიანობია და სანამ ნომრევანი ჰკოცნიდა, სუნთქვაშვერული მკერდზე მჭიდროდ გვეროდა. მერე ერთბაშად გაიბრძოლა, — კარგი... ნუ დამასჩრე, — უთხრა ჩუმი კისკისით და ხელიდან კალმანივით გაუსხლტა.

— მოიდა, ჯერ ნუ... კიდევ, ერთი წუთი.. მხოლოდ ერთი, — ნომრევანმა ხელეში გაიწოდა, მაგრამ გოგო აღარ დანებდა, — არა, არა, ვინმე დაგვიანახავს, — თქვა შიშით, შეტრიალდა და გაიქცა, ცოტაზე რომ გაიბრძინა, ისევე მობრუნდა და სწადაბლა გამოხმძახა, — როცა კი მოიცული, ჩამოდი... მალ-მალე ჩამოდი!

ლილი თრღობის ჩრდილში გაუჩინარდა, თვითონ კი იმავე ადგილზე იდგა, გული გამაღვებით უყვინდა, ტურქებზე უჩვეულო სიტკბოს გრძნობდა, და თავბრუ ეშვეოდა.

მერე დაგდებული ფუთა აიღო და გადაჯვარედინებული წითელი ლენტის შემოსხნა. რაღა არ აღმოჩნდა შიგ: შემწვარი ვარცა, ორი ხაჭაპური, ქართული ნაზუქები, „ამის გამოცხოვა მაინც საიდანა იცის?“ აი, ნედლი ყველიც, თითო ტარსუნა, მოხარშული კვერცხები... ეს რაღაა? კმ, რამდენიმე ცალი „დათუნია“ მოკოლადიც რომ ჩაუდგია...

— ვიშ, რა გოგოა, რა გოგო! — თავისდაუნებურად ხმაშალა წამოსცდა, შემკრთალმა მიმოიხედა, — ხომ არაგინ მისმენსო, და ნაზუქი შუაზე გადატეხა.

ნოშრევანს პური ასე გემრიელად არასოდეს უჭამია — საუმელი ლილის ნახელაგი და გამზადებული იყო, ხოლო მადახ და სასიამოვნო გუნება-განწყობას ადგილმდებარეობა და ნედლი ბალახის სურნელით ვაუღვნილი მითის გრილი ჰაერი აღვიძებდა. წყალი მოსწყურდება და ავე, აქვე მურყინანებში ნაკადული ჩარაკრაკებს, მისი ხმა უფრო ეღურტულს ჰგავს და ჩიტების ვნებიან ჟივჯავში ბევრად არ გამოირჩევა... ჩაირბენს და დაღვეს... მერე გორაზეც ავა, ციხე-გალავანს ახლოდან დაათვალიერებს და იქითაც გადაიხედავს. ხბოები მაინც აღარსად წაუღენ, უკვე დამაძრეები არიან, ყურებს ზანტად აპარტყუნებენ და ბალახსაც მოთენილადალა წიწკნიან. მალე ალბათ დაეყრებიან კიდეც, უკვე დროც არის — მზე თითქმის შუა ცას მიჯრილა, ციხის აქეთა კედელს სიციხის ხშირი ოხშივარი ასდის და დედამიწაც მოცახცახე არილში გახვეულა. გორას დროდადრო ნიავის მსუბუქი ტალღა გადაურბენს, ან კუდიანი ქარი მოიქნევს ფრთას, მიწიდან მტვერში არეულ ბუჩონეშომპალს აიტაცებს და მუხა-ძელქების ხუჭუჭე ჭოჩორს ძლიერად შეარხვეს. ციხის ირგვლივ ფრთაშალი მერცხლებისა და ნამგალების შავი გუნდი ირევა, ხოლო მათ ვასწვრივ, ლავარდ ცაში წყვილი არწივი დაბოინობს — მონაცვლეობით უშლიან წრეს ზვინად წამომართული თეთრი ღრუბლის თავზე და შორიდან ისე ჩანან, თითქმის მის ფაფუკ ტალღებში დაცურავენ.

ნოშრევანი

მწყემსობის ეს პირველი დღე ნოშრევანმა ყოველმხრივ საქმიანად, ნაყოფიერად და შინაარსიანად გაატარა: ლამაზი ხედების მთელი კოლექცია შექმნა, ძირი-ძირობამდე შემოიარა თავისი კუთვნილი სასაძოვრე ადგილები და ციხე-დარბაზიც საფუძვლიანად დაათვალიერა — გასომა, ჩაიხატა და ჩაიწერა.

ციხე-გალავანი ქვევიდან ასეთი დიდი არ ჩანდა, მარტო ერთი, წინა კედელი მოუჩანდა და ისეთსავე ჩვეულებრივ ნანგრევს ჰგავდა, როგორსაც ყოველ ნაბიჯზე შეხედვებით საქართველოში. ასლოდან კი სულ სხვა სურათი წარმოუდგინა: ნოშრევანი განაცვიფრა დრო-ჟამისაგან შეუმსრული, მაგრამ ჯერ ისევე მყარად მდგარი კამაროვანი ტალანების, ლაბირინთებისა და ისრულად შეკრული თაღების სიმრავლემ, მათმა პარმონიულმა განლაგებამ, რომელშიც თვალნათლივ მოჩანდა წინაპართა დიდი ხუროთმოძღვრული ნებისყოფა, სრულყოფისადმი დაუოკებელი ლტოლვა, უტეხი მამულიშვილური სიჯიუტე, და გულში უდიდესი სიამაყე იგრძნო.

თავი და მთავარი მაინც ის იყო, რომ დღეს საფუძვლიანად აწონ-დაწონა თავისი მომავალი საქმიანობა, ვაივარაუდა ყველა წვრილმანი, ყველა მოსალოდნელი შემთხვევა — ავიც და კარგიც, გაითვალისწინა საკუთარი უფლება-მოვალეობა, საკუთარი ადგილი ფერმაში და მწყემსებთან ურთიერთობა - დამოკიდებულებაც საბოლოოდ გაარკვია. და საღამოს, როცა მზე გორისპირს მისჯარდა და მიწდორზე ხეთა ჩრდილები წამოგრძელდა, სრულიად კმაყოფილმა, დამშვიდებულმა და ფერადი შთაბეჭდილებებით დატვირთულმა შემობრუნა სამწყსო და გაიჩქაა ბინისაკენ.

დამაძლარი ჭრელი ფარა რამდენიმე მწკრივად მიიწვია და ძველ ნაბილიკრებზე ნოშრევანი უწუმრად მიყვებოდა, დილანდელივით აღარ მიჰკიოდა და არც უჯავრდებოდა — ხბოები თვითონვე ჩქარობდნენ, საღამომ დედები მოაგონა და თბილ რძეს დანატრებულები ბინისაკენ დაწალიკებით მიამბეჯებდნენ. საქონლის ფეხით გაჭრილი ბილიკები დამშრალ ნარულებს

ქვედა და ტანსაცმელს წიფლებს შორის დახლართულად მიიკლავებოდა. აქეთ-იქით კედლად ჩამოწმობდა ტყე ახლა საძილპიროდ ხმაურობდა: შაშვი ჭახჭახით გადადიოდა ტოტიდან ტოტზე, ჩხიკვი კატასავით კნაოდა, ხშირ ტოტებში წვრილი ფრთოსნები დაფუთფუთებდნენ, ხოლო მიწაზე, გამხმარ ფოთლებში, თავგები და ახლად გაღვიძებული ხვლიკები მიმობრუნდნენ.

შთაბეჭდილებების სიმრავლემ ნოსრევანს სიფრთხილედ გადაევიწყა, სამწყსოს თითქმის ვერ ამჩნევდა, თავაწეული არხეინად მიაბიჯებდა და ტყის წვერებში გახლართულ ჩამავალი წვის მოალერსე ხსივებს უღიმოდა. გონს მხოლოდ მაშინ მოგო, როცა დაწინაურებული ხბოები შემოფრთხნენ. ეს ძალიან სწრაფად და მოულოდნელად მოხდა — წინები უკანებს მოაწყდნენ და დაფუთებულები ერთმანეთში აირივნენ. ვიდრე რამეს მოიფიქრებდა და იღონებდა, გზის ქვემოდან ხბოს განწირული ბლავილიც გაისმა.

— მგელი! — დაიძახა ანგარიშმიუცემლად, ჩანთა მოისროლა, ჯოხი შეწართა და გზიდან ყვირილით გადასტა, — ქეპე! ქეი-ქეი!

ყვირილზე წვრილიანში რაღაცამ გაილაწუნა, დაიღრინა, გაიშლივინა, რაღაც მძიმედ დაეცა მიწაზე, მერე ხველი ფოთლის გაგრძელებული შრიალი გაისმა და უცხად ყვლაფერი მიწყანარდა.

ნოსრევანმა უცხად ვერ გაიგო, რა მოხდა, სანამ ჯოხმომარჯვებული ბუჩქებში არ შევიდა და მიწაზე გახლართული ხბო არ დაინახა, ხბო შურით რცხილის ნაზარდს წიყრდნობდა, ფეხები მალა აეშვირა და თვალდასუკული ოდნავდა სროტივებდა. შვირდისფერი, სახარე, ყელთეთრი ხბო იყო, მგელს სწორედ თვით კისერში ეტაცუნა პირი, უჩინარი ნაკბილარებიდან სისხლის მსხვილი წვეთები მოგორავდა და დაღორბილ ბალანში ეწინავდა.

„როგორ წამოშვებარა ასე უწუმრად? ეპ, ყურადღებით რომ ვუფილიყავი... ნეტა ძალიან მაინც არ იყოს დაგლეჯილი“. — ხბოს კისერი წამოუწია და ნაკბილარები მოუსინჯა: სულ ოთხი ნაკბილარი სტირ-

და — ორი მარცხნიდან, ორი მარჯვნიდან, მაგრამ კბილები ფართი-ფართ იყო ეტაული და სისხლიც ორივე მხრიდან თანაბრად სდიოდა. ეტყობოდა, მხოლოდ ერთხელ ეტაცუნა პირი და კბილის მონაცვლება ვეღარ მოესწრო.

„წყეული... წყეული!“

ხელი ბეჭქვემ გაუტარა და წამოყენება სცადა, მაგრამ ამოად. ხბოს კისერი მოჭრილივით ჩამოუვარდა, ფეხებმაც უმტყუნა — დაბარბაცდა, დარეტრეტდა და მიწაზე ზღართანი მოადინა. ნოსრევანი მხოლოდ ახლა მიხვდა, რომ საქმე სახუმაროდ არ იყო და გული მტკივნეულად შეეკუმშა. მარცხი და ასეთი? ნეტა პირველ დღევსე მაინც არ მოსვლოდა. რაღა ქნას ახლა? რას ეტყვიან უფროსი ამხანაგები და ან თვითონ რა უპასუხოს?

მაგრამ ახლა ფიქრის დრო არ არის, პირუტყვი სულს ღაფავს და შველა, პატრონობა ჭირდება. რა ქნას, როგორ მოიქცეს? რომ გაიქცეს და უფროსებს შეატყობინოს? მაგრამ ხბოებს უპატრონოდ ხომ ვერ დატოვებს? ვინ იცის, ის მგელი აქვდ სადმეა ჩასაფრებული და მფორე და მფუთუე ზედ მიაყოლოს? ან თვითონ ეს კი გასძლებს მანამდე? აგერ, თვალებს სიღრმისკენ ატრიალებს და განძრევაც სულ უფრო უჭირს, იქნებ ვეღარც გადაარებს და ყველა ცდა ამათა, ხომ არ აჯობებს, რომ ჯერ ხბოები მირკვოს, დააბნაოს და უფროსების დახმარებით მერე რამე იღონოს? არა, არა, ეს წილად უარესია, სანამ ცოცხალია და სუნთქავს, ასე უსულგულოდ ვერ დააგდებს, ისიც ეყო, რაც თავისი უყურადღებობით, დაუდევრობით და დოყლაპობით მარცხი ნახა და სირცხვილში ჩავარდა.

ო, რა ცუდად დაიბალითა იმ ოხერმა, რა მოულოდნელად უყველა... მაინც რას აკეთებენ მწყემსები ასეთ დროს, როგორ იტყვიან?

უცხად ერთი სიყრმისდროინდელი ამბავი გაახსენდა: მეზობლის ძროხას მინდორში ხბო მოეგო, მენახირე ბიჭს ახალშობილი ხბო კისერზე შეესვა და პატრონს ისე მოუყვანა. ნაზარდი ხბო, რა თქმა უნდა, ახალშობილზე სანამაგად მძიმე იქნებოდა, მაგრამ ეს რა სათქმელი იყო, ოღონდ რო-

გორმე გულის ქინჯა დაოკებინა, ცოტათი მიანიც მოეხოცა სირცხვილი და კისურზე თუნდა მოსვერს შეისვამდა.

ხბოს სისხლი აღარ სდიოდა, მაგრამ მოძრაობა ტკივილს უძლიერებდა და დროდადრო უღონოდ ზმოუდა. იმის შიშით, გზაშივე არ მომიკვდესო, ნოსრევანი ნაბიჯს უმატებდა და ხბოებსაც მიაჩქარებდა. დაიღალა, დაიჭანცა, ოფლი დაასკდა და მუხლებზე ტეხვა დაუწყა. სიარულს მხარზე უხერხულად გადავარდნილი ჩაბო და იღლიაში ამორჩილი ჯიხვი უშლიდა, მაგრამ ისე გაიარა მინდვრის ვაკე ზოლი, ისე აათავა აღმართი და ახედა კიდურზე წამოდგომულ ფერმას, რომ ერთხელაც არ შეუსვენია.

მწყემსებს საქონელი უკვე ბაკებში შეერეკათ, თვითონ დერეფანში ჩანდნენ, ნოსრევანს გვიან შეასწრეს თვალი და ყველანი კიდურზე გადმოდგნენ.

მწყემსებიდან ილი და ჩოფური ჩანოვებდნენ, ნოსრევანს მეტი აღარ შეეძლო, ხბო კისრიდან თავზე ფრთხილად გადმოიცურა და ძირს დააწვინა. გამლილი ფეხები შემოუხარა, თავიც ზედ დაუდო და დარცხვენილი და აქომინებული ოდნავ განზე გადავა.

— რა მოუვიდა, ბიჭო, ხბოს? — შორიდანვე გამოსძახა ილიმ და ნაბიჯი ააჩქარა.

— აჯე, — ნოსრევანმა სისხლიან კისურზე მიუთითა და მოკლედ უამბო, რაც მოხდა. არც ის დამალა, რომ ხბო თავისი გაუფრთხილებლობით დააგლეჯინა მგელს. — ჰოდა ახლა აი, რაც გინდათ, ის მიყავით, ისე დამსაჯეთ, — დაუნატა ბოლოს გაბრაზებით, — გამლანძღეთ... თუნდა მცემთ კიდევ, გამაგდეთ, ყველაფრის ღირსი ვარ. — და თვალზე მომდგარი ჯაფრის, სირცხვილის, შურააცხყოფისა და სიბრალულის ცრემლი მალულად მოიწმინდა.

ჩოფურმა ხბოს კისური გადაუწია, ნაკბილარები მოუსინჯა და ნოსრევანს გაუწყრა:

— რას იცრემლები, ბიჭო, ხბო ხომ ცოცხალია, სული უდგას, სუნთქავს?

— ახლა კი, მაგრამ... წერე?

— მერე, ვითომ რაო? (განუხრდა უჭიკირისეთი, რომ... ბევრჯერ უცვლელად მოხერხებულა მოგვირჩენია.

— მართლა? — ეკვით იკითხა ნოსრევანმა და ხან ერთს შეხედა, ხან — მეორეს.

— სად დაგეტანა? — ჰკითხა ჩოფურმა.

— სადღაც, შუა გზაში.

— დიანახე?

— ვერა.

— ის იქნებოდა, ის წყეული, — თქვა ილიმ ღიმილით.

— ჰო, ალბათ, აბა, ნულა ვაგვიანებთ.

ნოსრევანს უნდოდა, ხბო ისევ თვითონ აეყვანა, მაგრამ ილიმ არ დაანება, დაღლილი ხარო, ხბო ბავშვივით აიტაცა და ბოსლისაკენ განიერად გააბიჯა.

მწყემსებმა ხბოს დერეფანში თქვა გაუფინეს და დააწვინეს, თვითონ მკურნალობის სამზადისს შეუდგნენ: ილიმ ვედრით ცეცხლზე წყალი შემოაკიდა, იოთამმა სახვევები მოაწვალა, ხოლო თედომ ალუმინის ჯამში დამდნარი ძროხის ქონი ჩადო და ნაკვერჩხალზე შემოდგა.

— რა ჩვევა აქვს ამ ოხერს, — თქვა სიცილით, — პირდაპირ კისერში უნდა სტაცოს პირი.

— იცის ლეგროზა ბიჭმა!

— ძალიან კი გაიგემა ეგ პირმურა, ეგ!

— თქვა ჩოფურმა და ნოსრევანს შეხედა, — ეს მგელი, ჩემო ნოსრევან, ჩვენთვის უცხო არ არი, ყოველ ამოსვლაზე გვეწყვეა ხოლმე, შარშანაც გაგვეკრა კბილი, — ერთი ხბო მოგეტაცა, ერთი დაგვიგლიჯა. მერე „რქაწითელის“ ფერმას შეეჩვია და ხბოები კინალამ გაუნახვერა. დიდი გაგეშილი და გაცუღლუტებულია, ეგ მამაძალი.

— აბა, რა ქნას, მაგას კი ცხოვრება არ უნდა? — გამოსძახა დერეფნიდან ბაბა ჭორიამ, — თავისას ცდილობს, გამოგრჩება რასმეს, კარგია, არა და, არ გასაყვედურობს მიანიც, უმადური არ გრჩება.

— ახ, ერთი დაშენახა, თვალთ დაწე-ნახა და... — ჯავრით და მუქარით თქვა ნოსრევანმა და მუხტი მკერდში ჩაიკრა.

— საქმეც ეგ არის, რომ არ დაგენახვე-

ბა, — უთხრა იოთამმა, — დილით ტყუილად კი არ გითხარი... თუმცა ერთგვარად კარგად კია, რომ მარცხი პირველ დღესვე შეგემთხვა, ამთავითვე სიფრთხილეს, ვურადღებას დაგანგევს და... კარგია.

ამასობაში ქონი დადნა, ამიწინდა და პაერში მძალე სუნი აუშვა, წყალიც გათბა. ხბოს კისერი თბილი წყლით მობანეს და ნაკბილარებში მდუღარე ქონი ჩაასხეს. ხბომ წამოიწმულა და გაიფხანკალა. პაპა ქორიამ ხბო ახლა მეორე მუხლზე გადაიწვინა, იოთამს ერთხელ კიდევ აადუღებინა ქონი და მეორე მხრიდანაც ჩაასხა. ხბო სიმწრისაგან აფართხალდა და უფრო ხმამაღლა დაიბღავლა. ნოსრევანი ხელებში მივარდა:

— ეყოფა, პაპა ქორია, ეყოფა, ცოდოა.

— გამიშვი ბიჭო, რა ცოდოა, ვშველით, ვარჩენთ, განა ვკლავთ.

— რა სტკივა, ვწევბა?

— მერე რა? აბა სხვანაირად როგორ იქნება, მგელს შხამიანი კბილი აქვს და თუ ის შხამი არ ამოიწვია, არ ამოიდაღა, რა მოარჩენს? აი ახლა კი ეყოფა, — თქვა ბოლოს, როცა ჭრილობები მეორედაც დაუდაღა და ცარიელი ჯამი ისევ იოთამს მიაწოდა, — ნამდვილად ეყოფა. ახლა ცოტა ბლომაც წაგაცხოთ, სტრეპტოციდი მოვაყაროთ და ხვალვე ისე შეიკუნტრუშებს, რომა... შენი მოწონებულა.

ხბოს კისერი ბანდით შეუხვიეს, დერეფნის ზედა კუთხეში გადააწვინეს და მადლიდანაც თქვა დაახურეს, თვითონ ისევ

ნამორებზე ჩამოსხდნენ. სანამ საქონელი ამოიციხნინდა, სიგარეტები გაბოლოეს და ლაპარაკი იმ დაგემილ მგელსა და საერთოდ წგლებზე ჩამოაგდეს. მომაკვდავი ხბო თითქოს გადაავიწყდათ, არც ასხენებდნენ და არც ზედ უყურებდნენ. უცნაური იყო ისიც, რომ იხინი მგლებზე კი არ ჯავრობდნენ, პირიქით, თითქოს ერთგვარი ალერსითა და სიყვარულითაც კი ლაპარაკობდნენ, თითქოს საქციელსაც უწონებდნენ. განსაკუთრებით ქებით იხსენებდნენ იმ დაგემილ მგელს, რომელმაც ნოსრევანს ეს-ეს არის ხბო სასიკვდილოდ დაუკლიჯა, თვითონ რომ ენახა, ალბათ კბილით დაგლეჯდა, ისინი კი საალერსო სახელებს უწოდებდნენ: „ლეჩასას“, „მურაბიჭს“, „ტოჩას“, „ტოტისას“, და მასზე ისე ლაპარაკობდნენ, როგორც რაღაც საკუთარზე, თავისიანზე, უახლოეს მეზობელსა და მეგობარზე. ნოსრევანს ეს ისე ძალიან უკვირდა, რომ ზოგჯერ ყურსაც არ უჯერებდა. მან ჯერ კიდევ არ იცოდა, რომ მწყემსები უკვე ბუნებას შეზრდილი კაცები იყვნენ, ხოლო ბუნებაში მტრობა არ არსებობს, წილოდ გარდუვალი და აუცილებელი არსებობს და ეს კი მტრობად და ბოროტებად აღარ ითვლება.

— აბა, ბიჭებო, საქონელმა უკვე ამოიციხნა, — იოთამმა პაპირისის ნამწვავი ცეცხლში მოისროლა, სარზე წამოცმული საწველელი აიღო და ფურების ბაკისაკენ წავიდა.

სხვებიც უკან მოჰყვნენ.

კოტე ზუსტად გვირის სწორზე, გვიან დამით დაბრუნდა სოფლიდან. ნოსრევანს მისი მოსვლა არ გაუგია — უკვე ეჩინა. მხოლოდ მაშინდა გაიგო, როცა გაეღვიძა და ბოსლის ზემოდან კოტეს შმა გაიგონა. ნოსრევანი წკერდით გადაწვა სასთუმალზე, კისერი წაიწოდა და ბოლოს საგვერდულიდან გაიხვდა. დიდი წიფლის ქვეშ კოტე ვიღაც უცხო კაცს ვლაპარაკობდა. ქერა

კაცი ჩანდა, უბრალოდ ეცვა, გლესურად, — ქამარმეშოქერილი შავი სალაითი და ასეთივე ფერის გალიფე. ფეხზე ველეგადაკეცილი მსუბუქი ქირსის ჩექმა ეცვა, თავზე მოთელილი კეპი ესურა და იდლიაში ხაკის საწვიმარი ჭქონდა ამოჩრილი. ეტყობოდა, ნოსრევანი სწორედ მათმა საუბარმა გაადვილა, რადგან ბინაში სხვა აღარავინ ჩანდა. — მწყემსებს საქონელი გაედი-

ლაურებინათ. კოტე და ის კაცი ანჭარებით და საქმიანად საუბრობდნენ, მაგრამ სიტყვებს ნაკადულის ჩხრიალი ახშობდა და არ ისმოდა. მერე კაცმა განოხამშვიდობებლად ხელი გაუწოდა და ნოშრევანმა მხოლოდ ბოლო ნათქვამი გააჩნია:

— მაშ, აბა, იმედი მექნება, — უთხრა კაცმა.

— კი, კი, როგორც გითხარი.

კაცი წავიდა. კოტე ერთხანს იდგა, მერე ნულა შემობრუნდა და ქვევით ჩამოემამართა. ნოშრევანმა საჩქაროდ გადაიძრო ნაბადი და ჩაცმას შეუდგა.

— აბა, მწყემსო — ხარქალო, როგორ შენ და შენი ხარწყოსო? — ღიმილით მოიკითხა კოტემ, მხარზე წამოსხმული პიჯაკის ჯიბიდან „კოლხეთის“ კოლოფი ამოიღო და ცეცხლის პირას, კუნძზე ჩამოკვდა, — გავიგე, მგელი დაგცემია.

— ჰო... ერთი ხბო დამიგლიჯა, — დარცხენით გამოუტყდა ნოშრევანი. ეგონა გამიწყრებო, მაგრამ მისდაგასაოცრად, კოტეს უბრალო საყვედურიც არ უთქვამს, კითხვითაც თითქოს უფრო სხვათაშორის ჰკითხა და ნულა, თავითვის თქვა, — რას იზამ, ხდებდა, — სიგარეტს მოუკიდა და ჩადიანი ნაფაზი დაარტყა, — მწყემსობაში უმაგისობა არ იქნება, ხანდახან კარგიც კია, სამწყვადე გაჩნდება, — დაუმატა სიცილით, და კიდევ ზომ არხად დაგეტანაო, ჰკითხა.

— როგორ არა, მერე და მესამე დღესაც სცადა, — ხბოები დააფრთხო, მაგრამ ვეღარაფერს გამოშრია. მერე, რა ვიცი, აღარსად გამოშინილა.

— ჰო, ასე იცის, თავიდანვე თუ მაგრა დაუდექი და კბილი არ დააგეშინე, თვითონვე ჩამოგებსხნება. — ნოშრევანს გვერდიდან გამოსხდა და შეცვლილი ხმით დაუნატა, — თუმცა დღეიდან უმაგისოდაც ვეღარ მოგკვარება, ისეთი თოფი ამოვიტანე, რომ...

— თოფი? მართლა? სად არის?

კოტემ თვალი ჩაუკრა და ბოსლისკენ ანიშნა, — შედი, ნახავ.

ნოშრევანს იმაზე მეტად აღარაფერი გაუხარდებოდა, ჩასაცმულად გამზადებული ხალათი ისევ გვერდზე გადადო, მაისურის

ამარა შევარდა ბოსელში და ახალთახალი თქვესმეტყალიბიანი „იფის“ ჰატეტმეხლელულა გამოიტანა, როგორც სვეტნიშვილი ნოშრევანსაც ბავშვობიდან იზიდავდა, ჩაგრამ იარაღის ნამდვილი სიყვარული მხოლოდ ჯარში ყოფნისას გაიგო. ის სიყვარული აქაც ჩამოკვდა და ხელში რომ თოფი აღარ გჭირა, რაღაც უკმარობას გრძნობდა. ახლა კი აი... შიგნით-გარეთ მართლაც სარკესავით ბრიალებს, ან როგორ ხასიათივინოდ ტყლამუნობს გახსნა-დაკეტვისას და სუნთქვით უკვე დამახასიათებელი უდის — ერთმანეთში შეზავებული დენთისა და საპოხისა.

— ვაზნები და ტყვია-წამალი სურჯინში აწყვილა, — უთხრა კოტემ, — კიდევაც ამოვიტან.

— რა მიეცით? — ჰკითხა ნოშრევანმა.

— მაგას რა მნიშვნელობა აქვს.

— აბა, ისე როგორ. უფასოდ?..

— ეს საჩუქარია, ჩერი საჩუქარია.

— მერე, გაფორმებაც ხომ უნდა, — ნებართვა?

— ეგვეც გავაკეთე. კოლმურნობას ინვენტარზე აღვარიცხვინე, შენ მხოლოდ გაწერი. მოხმარება და წესი, მე მგონი, გეცოდინება.

— რა თქმა უნდა.

— ჰოდა, მშვიდობაში.

ნოშრევანი იმდენად დავალებულად გრძნობდა თავს, რომ მადლობაც ვერ უთხრა: ერთხანს კოტეც ჩუმად იჯდა, — ხბო რას შერება, შორია? — ჰკითხა მერე.

— კი, როგორ არა.

— საძოვარზე დაგყავს?

— კი, უკვე ჩესამე დღეა.

— მაინც ფრთხილად იყავი, მგელი ნამგლევს ეტანება.

— ერთი გაბედოს, გამოჩნდეს სადმე და..

— თქვა მუქარით ნოშრევანმა და თოფი მაგრად ჩაბლუჯა.

— ჰო, თოფთან, რა თქმა უნდა, ისე ვაგლახად ვეღარ გაბედავს, ახლა ერთი ძაღლიცა და...

— უკვე მყავს, ძია კოტე, აღმასა, დავიჩვიე და სულ თან დამყავს.

— აბა გამართულხარ და ეგ არის, გაგიწყრა ღმერთი? — გაიცინა კოტემ, — ძაღ-

ლი გყავს, თოფი გაქვს... და მწყვერსას მეტი არაფერი უნდა. — წამოდგა, დერეფნის წინ გაიარ-გამოიარა, ცხენს ახედა, ქვევით, ტაფობისკენაც გადაიხედა და ისევ თავის ადგილზე დაჯდა.

— ვინ იყო წეღან, ვინ გელაპარაკებოდა? — ჰკითხა ნოსტრეგანმა.

— დაინახე? პო... ნათლიმამა იყო, ამოვიდა, მომიკითხა, — როგორღაც დაბნეულად თქვა კოტემ და ისევ გაწყვეტილ საუბარს დაუბრუნდა. — ახლა აღარაფერი გიჭირს, მართლაც, ყველაფერით გამართული ხარ... თანდათანობით საქმესაც მიგზვევი, ალღოს აუღებ...

— საქმეც ვიცი, ძია კოტე, ყველაფერი ვიცი, გავიგე.

— ჰოდა, ასეც უნდა... უნდა გაიგო, მამა, რიხვედ... ასეთი ვარ მე, ასეთი უნდა იყო შენც... ხელმძღვანელობაში გაქე, დედამენტანაც...

— ნახეთ დედაჩემი?

— ვნახე.

— სად შეგხვდა?

— შინ ვნახე, ჩავედი და...

— თქვენ თვითონ?!

— რა გიკვირს, ბიჭო, აბა ამბავი არ ჩამეტანა? რას იფიქრებდა ის ქალი, ან შენ... ჰოდა, ვუთხარი, ყოჩაღი ბიჭი ყოფილა-მეთქი, საქმეს უკვე შეეწყო და კარგადაც არის-მეთქი. სწორედ ასე ვუთხარი.

— თვითონ... როგორა ვარო?

— ოღონდ ბიჭი მყავდეს კარგადა და მე სხვა არაფერი მინდაო, თავს გაუფრთხილდესო, მოუაროსო... დედა... ხომ იცი. ხილის გამოტანება უნდოდა, ან ქათამს დაგვლაგო, მაგრამ ვეღარ დავუცადე. ახლა რომ ჩავალ, ამოგიტან, უსათუოდ ამოგიტან.

— ოჰ, ნუღა შეწუხდებით, ძია კოტე. ისედაც... განა აქ რამე მაკლია?

— არ გაკლია, მაგრამ დედის გამოტანებული მანც სხვაა, დედის ნახელავი... ან შეწუხება რა სათქმელია? უნდა შეგწუხდეთ, მამ, ერთმანეთისათვის უნდა შეგწუხდეთ. დიას, დიას, პო!

ნოსტრეგანი ანდენ ყურადღებას და გულისხმიერებას არ მოკლავდა და გული სიხარულითა და მადლიერებით აუთრთოლდა. ნოსტრეგანისათვის ამ წუთში კოტესთან სა-

ყვარელი, კეთილი და ახლობელი კაცი ქვეყნად არ არსებობდა. აი, თურმე რატომ არის ლილი ასეთი კარგი და საყვარელი, აი თურმე ვის ჰგვანებია! კოტე და ლილი უცბად ერთ არსებად იქნენ, ერთ სახედ შეინოვდნენ, თითქოს სიყვარულიც შეერთდა და გულს გაორმაგებული ძალით შემოერთო. ახ, როგორ უნდოდა, რაღაცნაირად გამოესატა ეს უცაბედად მოზღვავებული სიხარული და კოტესთვის თავისი დიდი მადლიერება ეგრძნობინებინა, მაგრამ სათქმელს თავი ვერაფრით ვერ მოუყარა, როგორც ასეთ დროს ხდება ხოლნე, ენაც დაება და აზრიც, ბოლოს, რაკი შესაფერი სიტყვა ვერ მოიფიქრა, თოფი საწოლზე დადო, შიშველ მხრებზე ბრეწენტის მოკლე საწივმარი წამოსისხა და კოცონთან, კოტეს გვერდით დაჯდა.

კოტეს ფეხი ფეხზე შემოედო და ტყიანი სურის გასწვრივ წითლად აგონიჭებულ მზის ამოსახედს გააყურებდა. ნოსტრეგანი მალულად უქვრეტდა და ესიყვარულებოდა.

— ხულ რამდენი ხბო გყავს? — არ გაძმრეულა, ისე ჰკითხა კოტემ.

— ასორმოდამაშვიდი.

— ორასი რომ იყოს, მოუვლი?

— როგორ არა, ძია კოტე, თუნდა სამასიც იყოს.

— მამ, აი რას გეტყვი, — კოტე ნოსტრეგანისაკენ შენობრუნდა და ხმას დაუწია, — აქ, ქვემოთ ხეგუბრები ცხოვრობენ...

— ვიცი, სოფელი ცინეგორიდან ჩანს.

— პო, იქ... ხბოების გაბარება უნდათ. ამას წინათ მელაპარაკენ... არც მწყემსი ჰყავთ და არც სამყოფად საძოვარი აქვთ. ჰოდა... შემოდგომამდე თითოზე ორ ცალ თუშნიანს იძლევიან. ერთი სამოცი — სამოცდაათი სული რომ მოვარევირო... ჰა, რას იტყვი, ცუდი ფულია? ნახევარი მე ნახევარი — შენ.

ნოსტრეგანი უფოემანოდ დათანხმდა, რაკი კოტესთვის მცირედ მანც სიკეთის გადახდის საშუალება მიეცა... ამას ნატრობდა და აი, აუხდა კიდევ.

— ძია კოტე... მე არაფერიც არ მინ-



და. სულ არაფერი... მე... რასაც თქვენ მეტყვი, დამავალბეთ...

— არა, რატომ, ფული ყველასთვის საჭიროა. შენთვისაც... ებუკი ხარ, ჩაცმა გინდა, გაელა, გამოიწინა და... ყველაფერი. ოღონდ დიდი სიფრთხილე კი გმართებს, ორასი სული ხბო ერთად, ერთი კაცისათვის... ეს ზემორბა საქმე არაა და.. საზღაური არ გაგიხდეს.

— ნაცისი არ შემინია, — მტკიცედ მიუგო ნომრევანმა, — მაგრამ აი, — საძოვარი თუ გვეყოფა?

— საძოვარი? კი-კი, — ნაციან კოტემ და მხრებში ამყვად ამართა, — საძოვრის მეტი რა მიქვს, ბიჭო, წელს იმდენი გამოვაყოფინე, რომ ბარემ ორ ფერმას ეყოფა, მააშ! და ეს იცი, რისთვის გაგაკეთე? — დაუმატა წაწიერი დემილის შერდევ. — შენთვის, შენი გულისათვის! ახალგაზრდა კაცი ხარ, ცხოვრებას ახლა იწყებ და... მიხნდა რალაციტ გასარგებლო, ხელი შეგიწყო... ხელმძღვანელი, რომელიც ხელქვეითის სიკეთეზე არ ზრუნავს, ხელმძღვანელად არ მიმაჩნია.

საძოვრებზე რომ დიდი გაჭირვება იყო, ნომრევანმა ეს იცოდა — გაგონილი ქონდა: ფერმის გამგეები და ბრიგადირები ყველ წელიწადს ერთ გამამაწიში იკვანენ, იალაღებს ერთმანეთს ხელიდან სტაცებდნენ და მეტისას კი არა, სამყოფის დასაკუთრებასაც ძლივს ახერხებდნენ. წამძია კოტემ როგორღა მოახერხა?

კოტე თითქოს ფიქრს მიუხედა, ისე გაიცინა და ასე, სიცილ-სიცილით განაგრძო:

— ვისაც რაიონში საძოვრები აბარია, მთა თვალითაც არ უნახავს, არც ფერმა უნახავს, შეიძლება ისიც არ იცის, ძროხა ბალახს რანაირად ჭამს, იქნებ დანა-ჩანგლითაც ეკონოს...

— აბა, მაშ, როგორ ანაწილებს? — შეაწყვეტინა ნომრევანმა.

— რკით. რკა უღვეს წინა და... თუმცა ეს მისი ბრალი არ არის. რა ქნას, აგტომანქანით აქ ვერ მოვა, ცხენები აღარ არის, რომ შეჯდეს, პოდა, რა ქნას, უღვეს

რკა წინა და.. ვინც ცოტა მეტს იწას იწას, ჭარბადაც იწას ჩამოუჭრის. ასეა,

ახლა ცარიელ ქაშიმ ხელს აღარავინ ყოფს.

— მერე, ასე რომ არ შეიძლება?

— არ შეიძლება, მაგრამ... — კოტე მცირე ხნით განუმა, — ექ, აბა, რა გითხრა, — უთხრა მერე, — ჯერ ბალღი ხარ, ფული, ძიაშვილო, ფული! ისეთი მამაძალღი რამ არის, რომ... შეუძლებელს შეგაძლებინებს, წააშ, ასეთია.

— ისინი რაღას შერებთან?

— ვინ ისინი?

— ფერმის გამგეები, სხვები, ვინც... ესე იგი, დაზარალებულები.

— პო, რა უნდა ქნას, წვალობენ, ჯახრობენ და... წუწუნებენ.

— არ ჩივიან?

— როგორ არა, მაგრამ რას გახდებიან? საჩივარზე, ჯერ ერთი, თავს დიდად არავინ აიტყვიებს. თუ კაცს ახლა რაღაც... აკი გეუბნები, ცარიელ ქაშიმ ხელს აღარავინ ყოფს-მეთქი. მეორეც, სანამ საჩივარი დანიშნულ ადგილზე მივა, იქ განიხილება, მერე უკან დაბრუნდება, კომისია გამოიყოფა და სარჩელი ადგილზე შემოწმდება, ზაფხულიც გავა. მერმის სესონზე კი რა იქნება, ვინ იცის, წოლასი არ იყოს, ან ვირი მოკვდება, ან ვირის ბატრონი.

ფილტრზე მისული ნაწივი ცეცხლში ისროლა, ახალს მოუკიდა, მოგებს გახედა და საქმიან კილოზე, გულისტკივილით დაურთო:

— ეს საძოვრები წესიერად რომ ნაწილდებოდეს, კანონიერად, როგორც წესდებაში გვიწერია, ან წესიერად ხმარობდნენ, ათმაგად მეტს გამოკვებავდა, კიდევაც დარჩებოდა. მე ვიცი, ცხვარ-ძროხის სულადობის შემცირების ერთ-ერთი მიზეზი საძოვრების ეს არასწორი განაწილება და გამოყვებაც არის, მაგრამ... ექ, ვისა აქვს ამის ჯავრი, ოღონდ თავისი საქმე გაიკეთოს, დააწინაუროს და... — ხელი ჩაიჭნია და სიგარეტი ისე მოქაჩა — მაღიანად, ნებიერად და ყინად, და თვალბიც ისე მილულა, რომ კარგად ჩანდა, საქმის ჯავრი ყველაზე ნაკლებად თვითონ აწუხებდა.

ეს მოწვევებითი გულშემატკივრობა ნომრევანს შეუმჩნეველი არ დარჩენია. დი-

დად მიანიც და მიანიც არც ის სიმარჯვე და ზედმეტის მითავისება მოსწონებია, რითაც კოტე ერთი წუთის წინ ტრამპაზობდა, ანა-ნი თავისებურ წამკლავობას, სიხარბეს და სხვათა განუკითხაობას, დაჩავერას ხედავ-და და პირველ წამს გულში ცუდადაც გაკენ-წლა მაგრამ მაღლიერებას და სიყვარულს ამაზე დიდი შეცოდების პატივბაც ახსოვთ, წყნის დავიწყება და გამართლების მონა-ხვაც მალე იციან. ერთი წუთის შემდეგ ნო-შრევანს კოტესგან სიკეთის მეტი არაფერი ახსოვდა, ისევე მაღლიერებით ხავეთ თვალე-ბით შესცივინებდა და ვილაც უჩინარს გუ-ნებაში აკოტად ეკამათებოდა:

„დახ, ხელმძღვანელი სწორედ ასეთი უნდა იყოს! აბა, როგორ? განა სხვები კი ამასვე არ ცდილობენ? პირადად თავისთ-ვის ხომ არ უნდა, საჭინსათვის უნდა... და კიდევ, ჩვენთვის, მწყემსებისათვის. „უფ-რო შენთვის გაგაკეთო“, აი როგორია, მა-მა რომ თვისხალი აყოლოდა, ამაზე მეტს ალბათ ვეღარც ის იზრუნებდა“.

როგორც თავისი თავის კმაყოფილ კაცს სჩვევია, კოტე მადრისხად გაიზმორა, წა-მოდგა და ნოშრევანს ამასწინანდელი და-პირება გაახსენა:

— გახსოვს, შეგპირდი, კაი ფულს გაგა-კეთებინებ-მეთქი? ჰოდა, აი, გაგაკეთები-ნებ.

— არა, ძია კოტე, — წელანდელივით მხურვალედ შეაგება ნოშრევანსაც, — მე ერთი გროშიც არ წინდა. თქვენ მარტო საქმე დამაველეთ, საქმე მომთხოვეთ და... მეტი არაფერი არ მინდა.

* * *

ბაკებს გადაღმა გადილაურებული საქო-ნელი მოჩქამდა. კოტემ საგვერდულის დი-რზე დაკიდებული სამხარაილიე ტყავის ჩანთა ჩამოიღო, რაღაც ქაღალდები ამო-ალაგა, ბოსელში შევიდა და გვერდითი ხარკმლის გაურანდავ თაროს მიუჯდა. ეს კოტეს სამუშაო ადგილი იყო, ფერმის დო-კუმენტაციას სულ აქ აწესრიგებდა — წე-რდა, შლიდა, რაღაცას მუტებუტებდა, ჩხი-რებდაცენილ ხაანგარისოს ამხაკუნებდა. ხარჯს, მოგებას, შემოსავალ-გახაველს აზუ-სტებდა და ჩასწორებულ-დაანგარიშებული

ციფრები ჯვარედინად დასაზულად ეწვეოდა

ყდიან დაეთარში გადაჰქონდა. ნოშრევანმა ლოგინი გაასწორა, ახლო-ახალი თოფი სათუთად დადო ნაბადზე, გა-ნზე გადაგა და ღიმორეულმა კარგა ხანს უცქირა. მერე თეთრი მაისური და ბრეზენ-ტის საწვიმარიც საწოლზე მიყარა, პირსა-ხოცი ქამარივით შემოიჭირა წელზე და პირის დასაბანად ხევისაკენ დაემგა.

ტანში სიხარულის სიმსუბუქეს გრძობდა და კლაკნილ ბილიკზე ხტუნვა-ხტუნვით ჩაღოდა. ასე მოვიდა პირსაბან ჩქერალთა-ნაც, „ჩაჩხრილაასთან“. წყლის მოლილის-ფრო ნაკადი ჩვეულებრივ მღეროდა, კისკი-სებდა, ანცად, გამომწვევად გადმორბოდა თავისივე დაკალაპოტებულ ლოდის ჭრი-ლში და ირგვლივ ყინულის მძივებით პაწაწყინტვლა, მკვირი შხეფებს ისრო-და. ნოშრევანი ბეშოთ ისახმდა წყლის სა-ხეზე, ზედაზედ ისახმდა და სუნთქვაშეგუ-ბებული ხმამალა ფრუტუნებდა. მერე ბე-ტებიც წყალს შეუშვარა, მანამდე იხეხა ზედა ტანი სველი პირსახოციით, სანამ მთლად არ დაიწითლა და აღმართს მსუბუ-ქი ნაბიჯებით შემოჰყვა. როგორც ყოველ-თვის, მარტოდ ყოფნისას, ახლაც, ლილი გაახსენდა, გახარებულ გულზე ძალიან მო-უნდა მისი ნახვა. ახ, ახლა რომ შეეძლოს — ეცალოს, დრო ჰქონდეს... რა იქნება, რომ მივიღეს კოტესთან და სთხოვოს? სულ ფრენით ჩავა და საღამოზე უკანვე დაბრუ-ნდება... ვითომ დედის სანახავად წასვლა უნდა...

ეს მართლაც შეიძლებოდა, მაგრამ დე-დის მომიზეზება და მისი სახელით ტყუ-ილის თქმა გულს მეტისმეტად ტლანქად ესამუშა.

არა, სირცხვილია, — უარყო გაფიქრე-ბისთანავე. — უბერსულიც არის: ამდენი სიკეთის, ზრუნვის შემდეგ... შეიძლება არც გაუშვას. დაიცდის კიდევ ცოტა ხანს, ერთ-ორ კვირას, მერე დროს შეურჩევს და... აღარც ტყუილის თქმა დასჭირდება. გარ-და ამისა, დრო მოლოდინს გაზრდის, სუ-რვილს გაამძაფრებს და შეხვედრაც უურო ლამაზი და შინაარსიანი ექნებათ.

ხევის ზედა კიდურზე რომ ამოვიდა, უც-ბად დერეფნიდან მწყემსების ხმამალაი,

მქისტ საუბარი გაიგონა და შეჩერდა: პაპა ქორია რაღაცაზე ჯავრობდა, მერე კოტტეს ხმაც გაისმა:

— მაგაზე როგორ გაწყენინებთ, თქვეუკაი ხალხსო, — უთხრა კოტემ, — აკი გეუბნებით, ახლა თვითონაც ვაპირებდი-მეთქი... სადავიდარაბო არაფერი მინდა, აღარც ღირს, ისეთი დრო დადგა, რომ... აი, ცოტაც წაცალეთ, ერთი-ორი დღეცა და... მოგასორებთ, მოგაცილებთ. აბა, აი, სამხუბარი რა გვაქვს?

ნოსრევანს უმაღლე მწყვეთების ამასწინანდელი საუბარი გახსენდა და ხმენა უფრო დაძაბა. კოტტეს ისევ პაპა ქორიამ უპასუხა:

— არა, კოტე, საწყენად არც მე მითქვამს, რა შეაშია, მაგრამ როდემდე? აგე, რამდენი წელია, ეწვალობთ, ვცდილობთ, ვებჯათობთ, ვეჭვილებთ, მაგრამ ვერას გაგხდით. იქნებ როგორც შედასრულთ ე სატიალო გეგმა და ჩვენც გამოეჩნდეთ კაცებში, ხალხში... და ვიცხოვროთ... პო, დიას, ვიცხოვროთ, თორემ რა?... აბა, აი, რას დავემგვანე, ხეზე რომ ავიდე, ძირს აღარაფერი დამრჩება.

— შენ გგონია, გეგმის შესრულებას ჩემი სამი-ოთხი ქეციანი ქლიტბმული გიმშლის? — კოტტეს ხმაში დაუფარავი ირონია გაისმა.

— მართლა სამი-ოთხი რომ იყოს, ვინ თავმკვდარი ხმას აწოდებდა, — მოკლედ და გულწრფელად შეაგება ქორია პაპამ.

— თუნდ ამდენი, რამდენიც არის, — ჩააცვივდა კოტე, — მართლ ეს გიმშლის?

— არ ვიცი, კოტე, — უპასუხა ნაგვია-ნეუად პაპა ქორიამ ყრუ, გაუბედავი ხმით, — მე თვითონაც აღარ ვიცი. იქნებ ეგვე იყოს, იქნებ არ იყოს. რაღაც კი მიშლის და... იქნებ ვცდები, გაჭირვებამ ეჭვიც იცის, მაგრამ ვცდი, ერთხელ ამასაც ვცდი, და თუ მაინც ვერას გაგხდით...

— მაშინ რას იზამ?

— საბოლოოდ ვირწინებ, რომ საშველდი არ ყოფილა და... გაეწუმდები, ან რაღაც გზას მოვნახავ. აბა რა ვქნა?

— კარგი, ქორია, კარგი, — სიცილით უთხრა კოტემ, — ჩემი ნატვრაც ეგ არის, შენ რღონდ, მაგონ მომასწარი, შეგ საწა-

დელს მაწიე, გეგმა შემისრულე და... კოტე იტყვი, ფერმაში მეც აღარ გამოეჩნდები.

კოტტეს ხუმრობაზე ყველამ გაიცინა და დაძაბულობაც განიშუსტა. ნოსრევანსა დარჩენილი აღმართი რამდენიმე ნახტომით აათავა, მწყვეთები კუნძებსა და საწოლებზე ისხდნენ დერეფანში, ნოსრევანი ხმამაღლა მიესალმა, და შიგნით შევიდა, ზურგანითიდან მსხვილი ნემსი, სადგისი და გასანთლული ნართის ძაფის პაწია გორგალი ამოიღო, საგზლის ჩანთა და ბრუნეტის მოკლე საწვიმარი ბოსლის გვერდით გაიტანა, სახბორე ბაკის წინ ჩამოუჯდა და გარდევული ადგილების გაკერვა დაიწყო.

რზე ფარსაგად არ იყო ამოსული და საქონელიც ჯერ ისევ ბაკებში ნებივრობდა. მწყვეთები და მათთან ერთად კოტტეც ერთმანეთში უკვე ხმადებლა საუბრობდნენ აქეთურ-იქითურზე. სანამ დაწვევლის დრო მოვიდოდა, თითო სიგარეტის გამოლებაც მოასწრეს, მერე კი, როცა მზემ ტაფობშიც ჩაამუქა, ბაკებში საქონელი აიშალა და დამაძლარმა, დასვენებულმა და ნაცობარნოთაებულმა ფურებმაც ადგომა და ზმორება იწყეს, მწყვეთებმაც გადაიძრეს ბეჭებზე წამოსხმული თექები და საწვიმრები, ხალათის სახელოები აიკეცეს და მკლავზე ვედრობწამომეშლები თავიანთ ჩვეულებრივ საქმიანობას შეუდგნენ.

ჩვეულება მხოლოდ იოთამნა დაარღვია. რძის საზომი ბიდონი კოტტეს დაუდგა წინ და შიგნიდან ფურების წველადობის ყოველდღიური აღრიცხვის ქურნალიც გამოუტანა. იოთამი კოტტეს იქ ყოფნაშიც და არ ყოფნაშიც რძეს მუდამ თვითონ აღრიცხავდა ხოლმე, წესითაც ასე იყო: ბინის მთელი საქმიანობის აღრიცხვა, სულერთია, წველადობა იქნებოდა, თუ ხსვა რამ სამუშაო, როგორც ბრიგადირს, მას ვეალეობოდა, მაგრამ ახლა თავისი მოვალეობა რატომღაც კოტტეს დაუთმო და თვითონ საწველელი ვედრო აიღო. ნოსრევანს ამ ცვლილებისათვის თავდაპირველად დიდი ყურადღება არ მიუქცევია, — მერე რა მოხდა, მოესასათა და უფროსს დაუთმო, მაგრამ როცა იოთამმა დამწერიით წიმიოხედა და საეჭვოდ თვალბდაცეცებული კოტტესაგან დაიხარა, ნოსრევანმაც ძალაუ-

ნებურად ყურები ცქციტა. საკერავი წუთით შეაჩერა, თავდახრილმა კისერი წაიგრძელა და იოთამის ნათქვამი სიტყვა-სიტყვით გაიგონა:

— ჩემზე არაფერი იფიქრო, კოტე, მე... შეილებს გეფიცები... შენ... აბა-ბა-ბა, არასოდეს!

კოტე მუხლებზე გადაშლილ დაეთარს ათვლიერებდა, — კარგი ერთი, — ხელი აუქნია და დაეთარი გადაფურცლა, — ვთქვით და გაეთავით.

— არა, კოტე, შენ იქნება... მე... აბეზარი და ატანელი კაცია, შენც სო იცი, თვითონ იცი.

— ვიცი, მამ, როგორ არ ვიცი, — ისე უპასუხა კოტე, როგორღაც სხვათაშორის, რომ ეტყობოდა, იოთამს ყურს დიდად არ უგდებდა, დაფთრისათვის თვალი არ მოუცილებია და არც თავი აუწვევია, — მამ, ვე ვინ არ იცის.

— ჰოდა, ვგრე, კოტე, ჩემგან არაფერი გეწყინოს... არ გეწყინოს... ჰო.

— როგორ გეკადრება, რა სათქმელია! — ჭარბი სერიოზულობით თქვა კოტემ და იოთამს პირდაპირ შეხედა, — არც კი იფიქრო.

პასუხიც და შეხედვაც აშკარა დაცინვას გამოსატავდა, — ჯერ შენ რა ხარ, რომ კაცს შენგან რამე ეწყინოს, მაგრამ იოთამმა ან ვერ გაიგო, ან არ დაიმჩნია, და ორივე ისე მიიღო, როგორც დაწახურების კუთვნილი სასულური, სახის მოძრავი, აწრიალებული ნაკვთები უმაღლე დაულაგდა, წელში გასწორდა და კმაყოფილმა, რომ თავი ასე მარჯვედ დაიძვრინა და უფროსის გულიც მოიგო, ბაკისაკენ ერთგვარი თავმოწონებითაც კი გააბიჯა.

იოთამის საქციელი ნოსრევანს უსომოდ ეუცხოვა, მაგრამ სანამ მთლიანად აღიქვამდა, გაიზარებდა და პასუხს მოუნახავდა, ბაკიდან იღო გაჩოვიდა, ჩქარი ნაბიჯით შევიდა დერეფანში, ისიც იოთამივით დაიმზინა, იმგვარივე სიფრთხილით მიმოიხედა, იმგვარადვე მიუცუნესულდა კოტეს და თქმითაც იგივე უთხრა:

— მე, აბა... სო იცი, კოტე, ასეთ საქმეში... შენზე... რაღა თქმა უნდა... სო იცი...

იღოს თედო და ჩოფური მოკყვნენ და იმათაც სიტყვა-სიტყვით იგივე განმეორეს, გეგონებოდით, შეთქმულები არიან და სათქმელს ერთმანეთს გადასცენენო. თან მეგრულე მკილებს იბაგუნებდნენ და დედამისის საფლავისა და ცოლ-შვილის დამოწმებით კოტეს ერთგულებას ეფიცებოდნენ.

ნოსრევანს ისევ გაახსენდა კოტეს სათავნო საქონელზე მწყემსების ამასწინანდელი საუბარი, გაახსენდა, რა რიხით ჰპირდებოდნენ მამის ყველანი პაპა ქორიას, — ჩვენც შენთანა ვართ, ჩვენც ვეტყვითო, — და გულში ცივად გაეცინა. საწყენი აქ უფრო ის იყო, რომ იოთამმა ის მაინც იცოდა, რა უნდოდა, ამით კი არავითარი წინაინი და დაინტერესება არ გაჩნდათ, არც საამისო საფუძველი ჰქონდათ. ისინი ამას აკეთებდნენ მხოლოდ და მხოლოდ სხვათა წინაძეით, ბრმა წამხედურობით, თთქობს რაღაც ყურმოკრულს იმეორებდნენ განუსჯელად. უმეცრად, გაუთვითნობიერებლად და ერთ და იმავე დროს. საბრალონიც იყვნენ და სასაცილონიც. ჩანდა, ამას კოტე თვითონაც კარგად ხედებოდა და მათს ლაქუცს იოტისოდენა ყურადღებას არ აქცევდა.

— ვიცი, ვიცი, რა ფიცი გინდათ! — პასუხობდა ხშირადლა საქმეზე თავდახრილი და როგორც აბეზარ ბუზებს ხელის აწნევით ისე იგერიებდა.

აგე, ბაკიდან პაპა ქორიაც გაჩოვიდა. ის ყველაზე გვიან გამოვიდა, ჩვეული, გამართული ნაბიჯებით მივიდა კოტესთან და ქაფმოდებული საწველელი საწონ ბიდონში მოაპირქვავა. კოტე თვითონ გამოელაპარაკა:

— ჰა, ქორია, მამ გეგმა გინდა შეასრულო, განა? — ტიტტივა დანა ხაზზე გააჩერა და განაგრძო, — ოღონდ შენ ვე მომიხერხე. და აკი გეუნებები, ჯილდოზე წარგადგენ-მეთქი, პრემიაზე.

— მარტო ვერც მე მოვახერხებ და ვერც — შენ, ყველა ერთად — კი! — დინჯად მიუგო პაპა ქორიამ. — რაღდენია? — ჰკითხა მერე და ისევ ბაკისაკენ გაბრუნდა. ნოსრევანს არაერთხელ გაეგონა მლიქვნელობა, ქლესობა. პირფერობა, მამამებლობა. მისი არსებობაც სჯეროდა, მაგრამ იგი

ხაღდაც შორს, ცხოვრების მიღმა ვეულებოდა, სულ სხვა სამყაროს, სხვაგვარი ხალხის კუთვნილებად მიანნდა და არც ის ეგონა, თუ ასეთი ურცხვი და მახინჯი იქნებოდა. ახლა ნაბა პირველად, ნაბა დაუფარავად, დღისით-წილისით და მთელი მისი არსება რაღაც გაურკვეველმა გრძნობამ მოიცვა. ეს არც წყენა იყო, არც ზიზღი, არც აღმოფხვრება, თუმცა მწყემსების საქციელი, ერთსა და იმავე დროს, საწყენიც იყო და საწუხარიც, მაგრამ თავისთავად იმდენად შეუსაბამო რაღაც იყო, იმდენად უცნაური, უგვანი, უტიფარი, რომ ყველაფრის ზღვარს გადიოდა და არცერთ ამ ადამიანურ განცდას არ იმსახურებდა. უცხად თავის ირგვლივ შემაწუხებელი, უსასრულო სიცარიელე იგრძნო და ყველაფერი არარობად მოეჩვენა — საკუთარი თავიც, მწყემსებიც, საქმეც და ის მიზანი და მოლოდინიც, რამაც აქ წამოსვლა გადააწყვეტინა. მაგრამ აქვე იყო პაპა ქორიაც, თავისი მაღალი შუბლითა და ცისფერი, შუქიანი თვალებიანი პირდაპირი გამოსხედვით, რომელიც არაფერზე არ კრთებოდა, სხვებივით უკან არ ისევდა, არ თრჭოფობდა, რომელსაც სწამდა რაღაც, სწამდა ურყევად, განუყოფლად და ამ უტყბი რწმენით, შეუვალლობით, ყველა ადამიანურ ნაკლსა და უკეთურობას ერთიანად ფარავდა, ანაზღაურებდა.

ამ ერთმა შემთხვევამ ნოსრეგანს საკმაოდ ბევრი რამ უთხრა, ბევრად იმაზე მეტა გააგებინა, ასწავლა, რაც თვალით ნაბა ან ყურიით მოისმინა. დაანახა ადამიანები შიშვლად, თავიანთი ნაკლით და ღირებვით. დაანახა მათ შორის გამავალი ზღვარაც, რომლის ერთ მხარეს იდგა სიმართლე — მარტოდმარტო, ნაღალატყვი, გაყიდული, ხოლო მეორე მხარეს — პირშეკრული და სელი-შელნაკადებული სიყალბე. დაპირისპირება საკმაოდ მეკეთრი და განმეორებელი იყო, მაგრამ ნოსრეგანს არც განვაში აუტყბია, და არც საწინააღმდეგო რამე მოუწადინია. შეიძლება გარემოცველი სინამდვილე, როგორც დღეს პირშეკრულების, ქვეშეცნეულად მისთვისაც გასაგები იყო, ან იქნებ იმიტომ, რომ პირადად არ შეეხებოდა და მიწა-ფაფხუბს და ურთიერთობაში

არაფერს ცვლიდა ერთი ეგ იყო, რომ ხსოვნაში უსიამო ამბად ჩაჩნდა და წყვეტებზე გარკვეული შთაბეჭდილება შეეძინა — რაღაცნაირად გულგრილი, თითქმის ატლებული და იმავდროულად — შემწყნარებლური და ოდნავ სიბრალულუნარევიც.

ასევე კარგად შეიგნო პაპა ქორიაც. მისდამი იმთავითვე აღბრული პატივისცემით რწმომად გაეზარდა, გაუძლიერდა, მთელი ჭაბუკური სისბუტაკით მიემშრო და ეს ხანდაზმული, მაგრამ ჯერ ისევ ჭარმაგი, მძლე და დაუმორჩილებელი ბურიაკი რაღაცნაირი რომანტიკული უშუალობითა და თანაგრძნობით შეუყვარდა.

* * *

ისევ ციხეგორი დალოცოს ღმერთმა! ადამიანებთან, მათ გვერდით, ყოველთვის რაღაც განოტყვერება ხოლმე უსიამო და შემაწუხებელი. აქ კი... ამ კურთხეულ ადგილს რაღაც ჯადოთილისმა აქვს. ციხეგალავნისა და ბერძუხების გვირგვინით თავდადებული გორა, ვარს შემომდგარი მომრიალე ტყე და ეს ხავერდის მწვანე ველი, უზომო სიმაღლეზე აზიდული ცის კამაკი. ლავეარდი, ყველა ხაწუხს, საზრუნავს, უსიამო ფიქრს თითქოს შლის, აქრობს, ისრუტავს და გულს უღვეი ხალისით, აღტაცებით და კიდევ რაღაცნაირი გამაბრუნებელი ნელსურნელებით ავსებს. აქ ყველა და ყველაფერი სიყვარულსა და სილამაზეზე მეტყველებს — ჩღერის, დადაღებს, ყვარის და ყველა მზრიდან ღილის სახე გამოსტვირს: ნამდაფრქვეული ყვავილები მისი ღიმილით იღიმებიან, ფოთლებში მოფარფატე ნიაფი მისებურად ხუნტაქვს, თითონ ფოთოლიც ისე ჩურჩულებს და ჩიტების გაბმულ სტეგნა-იკტიკშიც მისი ელურტულა ხმა და კისკისი ისმის. ფიქრი ფიქრს მოსდევს, სურათი — სურათს, ჩვენება-ჩვენებას. ყველა მეტყველი, ცოცხალი, ცხადი და ხორცშესხმული, თითქოს გვერდით უდგას და ყოველ გახსენებას თავისი ცხადი ჩვენებით უდასტურებს. აი, მურყნებით დაჩრდილულ დეღეში ჩამდინარი ნაკადული! ჩქერალს პეშვს შეუშვებს და ბროლიხეურ ქაფიდან მისი თეთრი კბილების სწორი მწკრივი შემოიან-

თებს, წყალში ჩაკლებული ბალახის და-
ვარცხნილ ქოთრსაც თითქოს მისი თმის
სურნელი უღის. აქედან გორაზე აირბენს,
ხბოებს ველში დატოვებს, ასლა შიში
აღარაფრისა აქვს — ხელში თოფი უვი-
რავს ღა შივ სამკლე კარტენით გატენილი
ვაზნა უღვეს. ავა ღარბაზის ქონგურებიან
გალავანზე და ყველა მხარეს გაიხედავს
ზვეით, ქვევით, მარჯვნივ, მარცხნივ. ჩე
შენ გეტყვი, თვალსაწიერი არ ეყოფა, ან
სულ-გულს არაფერი მისტაცებს, თუნდაც
მარტო ჭიანახულით ნაჭარგი ალაზნის
ველის ნახვა რად ღირს, — თავისი უთვა-
ლავი ნაცობარ-ნაქალაქრებით, — ალავე-
რდით, შუამთით, ბასტრიონით და უახლესი
უმიდრეს-ულამაშესი სოფლებით. ან
ნისლში თავშერგული მწვერვალების გრე-
ხილი და მის გახწვრივ პორიზონტის ლუ-
რჯი ზოლი, რომლის სიღრმიდან ისევ
ლილის თვლების მომწვანო შეუქი გამოკ-
რთის...

— ქე-ქეი, ნოსრევან!

„ძია კოტეს ხმაა!..“

— ბიჭო, ნოსრევან!

— აქა ვარ, აქა, როვდივარ!

საჩქაროდ ამოიბრინა მურყინიანი ღელი-
დან, სადღაც წყლის დასალევად იყო ჩასუ-
ლი და ღელის თავში, პატარა ბორცვზე
შეღდა. იმავე წამს ძველი ნაზუვიდან
კოტეს თეთრი ცხენიც გამოჩნდა. კოტეს
ცხენი თამამ-თამამით მოჰყავდა. თვითო-
ნაც წელში გამართული, ყველმოდრებით
იჯდა, შებღზე ჩამოშლილ ხვეულ თმას
ნიავე უწყავდა, მწითური სახე ღიმილით
გაბადროდა, ეტყობოდა, ბუნების მოხატუ-
ლობა ჩასაც თვალს სტაცებდა. აკი უთხრა
კიდევ, როცა მოახლოვდა და ჟინაღძრუ-
ლი ცხენი ლავის ერთი მოზიდვით შეაჩე-
რა:

— პა, რას იტყვი, ხომ ლამაზი ადგი-
ლია?

— შეუდარებელი!

— განგებ შეგირჩიე, აი! მარტოობაში
აღარ მოიწყენს-მეთქი. ბუნების სილამაზე
ოცნებას ბადებს, ოცნება კი სიჭაბუკის
ყველაზე ერთგული და განუყრელი თანა-
მგზავრია: გახალისებს, გართობს. — ცი-
ხე-გალავანს თვალი ერთხელ კიდევ ხან-

გრძლივად გაუშტერა. მერე ცხენიდან
გადმოიხარა და ნოსრევანს ოღმე [ხმაღამ
წვეით ქეითხა, — აბა, პირობაზე რიგობა
ხარ, ხომ არ მილაღატე?

— როგორ გეკადრებათ, ძია კოტე.

— სწორია, ვგრე უნდა: პირი, პირი უნდა
იყოს, კაცი — კაცი! ასე რომ, ვუთხრა
და წოვარევიანო?

— კი, მე მზადა ვარ.

— კარგად მიითვალე, არ მოგატყუნო.
ხალხი, ხომ იცი... პაპარად არავის არ
უნდა ენდო. რუსებისა არ იყოს — ენდე,
მაგრამ შეამოწმე. დიახ, დიახ, პო.

— არა, ძია კოტე, განა ბრმა ვარ, — გა-
იცინა ნოსრევანმა და ცოტა ხნის შემდეგ
ყოყმანით დაუმატა. — მაგრამ აი ჩვენი
მწყენსებისა კი... ცოტა არ იყოს... რას იტ-
ყვიან, რას იზამენ?

— რა უნდა თქვან, ბიჭო, იმათ სამწყ-
სოში ხომ არ ურევ? საძოვარც ცალკე
გაქვს და... პატრონიც თვითონვე ხარ.
მამასადამე, სათქმელიც აღარაფერი აქვთ.
— კმ, მწყენსები, ვგლა მაკლია! — თქვა
აღრუნით, ისევ გადმოიხარა ცხენიდან და
ნოსრევანს ჩამარცვლით უთხრა, — ერთი
რამ იცოდე: ახლა ისეთი ღროა, თუ თვი-
თონ არაფერი უფუჭდება, კაციშვილი
კრინტს არ დამრავს.

— კარგი, აბა, მორგონ და...

— ბარემ ახლავე ჩვეული და ვეტყვი,
გზაც იქითა მაქვს... პო, ასე ჯობია, —
დაუმატა თვითონვე, — ემანდ არავინ და-
გვასწროს და ეს კარგი საქმე ხელიდან არ
გამოგვტაცოს. აბა, შენ იცი, საქმეს შენს
იმედზე ვტოვებ და... — ცხენი შეაბრუნა
და გამოსძახა, — რამე ხომ არ გინდა,
რომ ამოგიტანო?

— არა, არაფერი.

— დედაშენთან რას მზარებ?

— მოკითხვა, და — კარგად არის-თქო!
კოტე წავიდა, ნოსრევანმა სამწყსო
ღელის დასაწყისთან გადმოაქურა, თვითო-
ნაც იქვე მოირთხა და ჩანთიდან საგზალი
ამოიღო: ღაღარში გამომცხვარი წუხანდე-
ლი ხშიადი და ნედლი ყველი. ხშიადი
შუაზე გადატეხა, ნახევარი ძალღს გადა-
უგდო, ნახევარი თვითონ დაიტოვა და მო-
მწეულმა გემრიელად ჩაკბინა.

ხბობებმა ძოვით გაიარეს ვაკე-ველი და ციხის აქეთა დაფერდებამე ჭრულად შვეფინინენ. ძალიან ლამაზი სურათი შეიქმნა, და რომ არ წაშლილიყო და გადმოხატება მოეწყო, ნოსრეგანმა საუზმე სანქაროდ მოათავა. სურათს „იალალი“ დაარქვა. მერე ციხე-გალაფანისა და მუხების ფონზე ლილის მსუბუქი, ქალწულური ტანი მოხაზა: ლილი ზედ კინწუხზე იდგა — ამოღტილი და წელაწურული, ხშირს, ტვერად გაშლილი თმას და სიფრიფანა კაბის ბოლოს ქარი უფრიალებდა, თავი უკან გადაეწია, თვალებში მზე უბრწყინავდა და ხელებმწვდილი თითქოს თვითონაც მზისაკენ გაფრენას ლამობდა. სურათი სრულად მოერგო ხედს და კომპოზიციაშიც ქარმონიულად ჩაჯდა, ნახატი თვითონაც ძალიან მოეწონა. „როდისმე ამოვიყვან და სწორედ ასე დაეხატავ, როცა ერთად ვიქნებით... დაეკონწინდებით“, — გაიფიქრა გულში და სურათს „ოცნება“ დაარქვა.

მუმე რომ აიწია და ცოტა ჩამოესხა, სამწყისოს სათავე დაუარა და ტყემლის ჩრდილებში გადმოაქურა, ჩანთაც ტყემლის ტოტზე ჩაწოკდა, თან მხოლოდ თოფი და ხასატავი ალბომი წაიღო, გორაზე ავიდა და ციხის აქეთ, მუხის ჩრდილში ჩამოჯდა. ერთხელ კიდევ დახატა ტყემლების ქვეშ თავმოყრილი ხბოები, გვერდით კულზე წამოყუნცული და ენაგადმოვადებული ალმასა მიუხატა და ქვეშ „უხინველი გუმავი“ მიაწერა.

არ გასულა დიდი დრო, რომ ქვევიდან, ტყიდან, დაპირებული ხბოების ჯოგიც გამოინდა. ნოსრეგანს გაუკვირდა: როდის მოასწრო ძია კოტე მსოფელში ჩასვლა? ან ამორეგვა როგორ წოასწრეს? მართალია, მთისძირა საავარაკო სოფელი — მშისპირი, საიდანაც ხბოები უნდა ამოერგათ, შორს არ იყო, მაგრამ ნოსრეგანი ასე მალე მინც არ მოვლოდა, სხვა თუ არაფერი, ერთად თავმოყრა და დაქუნებმა ხომ უნდოდა?

ნახირს მარტო ერთი კაცი მოჰყვებოდა, ნოსრეგანმა შეიცადა, სანამ მწყემსი და საქონელი დღეს გამოვიდოდნენ, მერე წამოდგა და ქვევით, ვაკის დასაწყისთან ჩაეგება.

კაცი შორიდანვე იცნო. სწორედ ის იყო, დილით, დიდი წიფლის ქვეშ კოტე რომ ელაპარაკებოდა. ქერა, ჭორფლიანი სახე ქონდა, მოკლედ შეკრებილი უღვაში, ნიკაპზე ალმა-დაღმა უხეშად შეხორცებული ნიარევი აინდა და უფერულ, ჭროლა თვალეხს მოხუცენად ატრიალებდა.

— გამარჯობა, ვაჟავ! — ნოსრეგანს გაშინაურებულად, ხმამაღლა მიესალმა და ხელი როგორც მალღიდან გადააწოდა, — შენა ხარ ის კვილი, კოტე რომ... ჰა?

ნოსრეგანმა მხრები აიჩინა:

— ალბათ.

— მაშ აი, ჩაიბარე და... კოტე ხომ გითხრა?

— კი, როგორ არა.

ჰოდა, მიითვალე, სამოცდაათი სულია, არც მეტი, არც ნაკლები. ნოსრეგანმა ნახირი თვალეხით ორჯერ გადათვალა, ორჯერვე ზუსტად გამოვიდა. — სწორია, — თქვა თავისთვის და კაცს ჰკითხა:

— სულ ეს არის თქვენი სოფლის ნახირი?

— სოფლისა?! — გაიკვირვა კაცმა, — სოფელი... რა შუამია?

— როგორ, — გაუკვირდა ნოსრეგანსაც, — განა ეს ხბოები სოფლისა არ არის?

კაცმა უცხად ხმამაღლა გაიცინა:

— საქონელი ყველა სოფლისაა, ბიჭო, აბა ქალაქში რა უნდა? — სიცილი უცხადვე შეწყვიტა, გაქუნული წარბები მოტყმუნა და ძალიან საქმიანად დაურთო, — რაც არის, ეგ არის, შენ დრომდე კარგად შეინახე, უდანაკარგოდ და... გასამრჯელო... გასამრჯელოზე... მე ვიცი და ჩემმა კაცობამ. — და თითქოს იმის შიშით, კიდევ არაფერი მკითხოსო, საჩქაროდ გამოემშვიდობა და მხრებში ოდნავ წაღუნული დელის ნაპირ-ნაპირ თავქვე დაეშვა.

ნოსრეგანმა ეს აბარებული ხბოებიც ტყემლებთან მირევა და ნახირში შეურია, ცოტა ხანს თვითონაც იქვე შეიცადა, სანამ პირუტყვი ერთმანეთს შეეგუებოდა, მერე ისევ გორაზე ავიდა და ძველ ადგილზე ჩამოჯდა. ალბომი და ფანქერების კოლოფი აიღო, წაგრამ ხატვა აღარ გაუგრძელებია.

გუნება წაუხდა: ცალკერძ უხაროდა, რომ კოტეს საწადელი აუსრულა, თვითონაც რაღაცაში ხელი გამოიღო და მისი ესოდენ დიდი, მამამწვილური ზრუნვა და გულისხმიერება ვალად არ შეირჩინა. ცალკერძ გულში ერთგვარ უკმაყოფილებასაც გრძნობდა, კარგად იცოდა, რომ კოლმეურნეობის ნახირში უცხო საქონლის შერევის უფლება არ ჰქონდა, რომ ამის ჩადენა კანონით დანაშაულად იყო აღიარებული და მკაცრადაც ისჯებოდა. ამაზე აქამდე რატომღაც არ დაფიქრებულა, არც გახსენებია, მხოლოდ ახლა გახდა საცნაური, როცა ფაქტი გაჩნდა და თვითონაც წილი დაიდო.

გარდა ამისა, ამით მწყემსებსაც უპირისპირდებოდა, ემიჯნებოდა, საერთო აზრს უარყოფდა, ამხანაგობას პირს უტეხდა და სიმართლესაც დალატობდა. თანდათან ხულ უფრო მეტად ცხვეწნობდა მწყემსებთან მისელისა და მათთან პირისპირ შეყრისა. რა თქმა უნდა, ერთბაშად სამოცდაათი ხულის შემატება შეუძნეველი არ დარჩებოდათ. მერედა, მოუწონებენ, რას იტყვიან, როგორ შეხედებიათ? ან თვითონ რა თქვას, რა უპასუხოს? განსაკუთრებით აკრთობდა პაპა ქორიას ნახვა, ყველაზე მეტად თავს დამნაშავედ მის წინაშე გრძნობდა და არა თუ წყენა ან საყვედური, წინა ერთი უთქმელი, უკმაყოფილო შემოხედვის მოლოდინიც კი თავზარს სცემდა.

მაგრამ ჩადენილი საქმი იმდენად არ აწუხებდა, რამდენადაც აოცებდა. მაინც რატომ ხდება ასე? — ჩურჩულებდა ფიქრში წასული — რისგან არის, რომ ზოგჯერ ჩვენს თავს ჩვენვე ვერჩებოდა და ისეთ რამეს ვაკეთებთ, რაზეც არასოდეს გვიფიქრია, არც გულით გეწადია. ან, პირიქით, თვითონვე ვაგვიხდებდა ხოლმე საწუხარი და თავში სახლელი? აი, თუნდაც მე, რატომ დავთანხმდი ძია კოტეს, რა მიხდოდა? ვითომ სიკეთე? მაგრამ სიკეთის გადახდა ხომ სხვანაირადაც შეიძლებოდა. ან იქნებ ფული? მაგრამ რომ არც ის მიხდა? ვოქვით და, არც უმაგისობა იყოს, მერე ღირს კი ვე იმად, რასაც მე ახლა განვიცდი? ან რა მადლი აქვს სარგებელს, თუ-

კი, პაპა ქორიასი არ იყოს, შენი თავისა შენვე შეგრცხვება?

ყველაფერი ეს თავიდანვე რომ გამოეზრებინა, გამეთვალისწინებინა, რას ვიზამდი, დავთანხმდებოდი? — რამდენჯერმე დაუსვა ეს კითხვა თავის თავს და პასუხიც იმდენჯერვე ერთი და იგივე მიაყოლა, — უყოყმანოდ! რატომ? არ ვიცი. ჩანს, არის რაღაც მიზეზი, თილისმა, უჩინარი, უსახლო, მაგრამ ადათივით ძლიერი და რჯულზე უმტიციესი, რომელსაც ბრმად, განუზრახველად, როგორღაც გაუთვითცნობიერებლად ვემორჩილებით და საწუხაროდ თუ საბედნიეროდ, ზოგჯერ ვგვებით კიდევ.

იქნებ სიკეთე საბოლოო ჯამში თვითონვეა ყალბის ქნა? — გაიფიქრებდა ხანდახან და იმავე წამს თავის მართლებასე გადადიოდა, — მაშ, მე რაღა ბრალი მიმიძღვის? ვეცე არ იყოს, მე ხომ ჩემით არ ჩავიდინე და არც რაიმე გუშანი და განზრახვა მაქვს. უფროსის, ხელმძღვანელის დავალება შევასრულე, ეგ არის და ეგ.

მაგრამ ეს განსჯა ცალმხრივი იყო და გულს მთლიანად ვერ ავსებდა. იქ, მის შორეულ სიღრმეში, კიდევ რჩებოდა ცარიელი ადგილი, სადაც სიყალბე გველის წიწილივით იგლაცნებოდა და ჯიუტად და კუმტად ჩამოსძახოდა:

— არა ხარ. მართალი! არა ხარ, არა ხარ!

მთელი დღე ამ ფიქრსა და ურთიერთსაწინააღმდეგო აზრების ჭიდილში გალია. ამასვე ფიქრობდა საღამოს, როცა არხივით გაჭრილ ნაბილიკარზე დაწალიკებულ ნახირს ბინისაკენ მიერგებოდა. რაც უფრო უახლოვდებოდა ბოსელს, საკუთარ სიყალბეს მით უფრო ცხადად გრძნობდა და ფეხი უკან რჩებოდა. იცოდა, საწველი და მოზრდილი საქონელი საძოვრიდან წვრილფეხობაზე ადრე ბრუნდებოდა და მწყემსები უკვე ბინაში იქნებოდნენ.

რას ეტყვიან? როგორ შეხედებიათ? რა უთხრას თვითონ?

მწყემსები მართლაც ბინაში დახვდნენ, — დერეფანში ისხდნენ და, როგორც ყოველთვის, ფურების დაწველამდე ერთმანეთში საუბრობდნენ. ნოსრევანსაც ჩვეულებ-

ბათ, ძველი წიგნები? — პაპა ქორიამ ნაფაზი დაარტყა და კვამლი სწორ ნაკადად გამოუშვა.

— რატომ მიინც და მიინც ძველი, ახლებსაც კვითხულობ.

— მოგწონთ?

— კი, მომწონს, მაგრამ ყველა არა. ზოგიერთი წიგნი რატომღაც სულ-გულს არ მოდის. არ ვიცი, შეიძლება მე დაუბერდი და ჩანოვრი... კითხულობ, კითხულობ და... თითქოს ცარიელდები. ნამდვილი არც კაცი ჩანს, არც საქმე. ზოგჯერ ძალიად გაუკუღმართებულად არის. ერთი ასეთი სწორედ ამას წინათ წავიკითხე, აქ წამოსვლამდე ახლად გამოსული წიგნია — ლამაზად, კარგად, მაგრამ რა გინდა, შიგ ისეთი რამეები წერია, რომ... ღმერთო დაგიფაროს. ასეთი წიგნის დაწერა, მე, მაგალითად... ღმერთო ნუ მიწყევნ და დანაშაულად მიმაჩნია, ნამდვილად მიმაჩნია.

— მიინც რა წერია ასეთი... საშინელი?

— აი, ვერ გავიგე, ერთი ოჯახის ცხოვრებაა, მაგრამ რა ოჯახია, ან რა ხალხია... თითქმის ჩვენია, სახელებიც ჩვენებურია, ადგილიც, მაგრამ... დედა დედას არ ჰგავს, შვილი — შვილს, ცოლი ცოლს... ყველა დაბლადაცემული, ნახევრად გიჟი, მახინჯი, გარყვნილი, უხნო... სად ნახა, მწერალმა, საიდან მორეკა, რისთვის შეყარა ერთად... წიგნი საერთოდ, საზოგადოა, და განა შეიძლება, რომ ყველა და ყველაფერი ერთ ტაფაში მოექცეს? რა უნდა მისცეს ასეთმა წიგნმა მკითხველს, რა ასწავლოს? აი, ესენი ვართო? ასეთები ვართ? არ ვიცი, ღმერთმანი, არ მესმის, — მხრები აიჩუჩა და ეჭვით დაუმატა. — ჰო, ალბათ, ახეა, დაუბერდი და ჩამოვრჩი.

— თქვენ უფრო როგორი წიგნები გიყვართ? — ჰკითხა ნოსრევეანმა.

— კარგი — ყველა, ცუდი — არცერთი! ისე კი, უფრო ისტორიული. ისტორია ჰაბუკობიდანვე მიტაცებდა. სუეოროვი, ნაპოლეონი, ერეკლე, დიდი მოურავი, დიდოსტატი, დავით აღმაშენებელი, მერე სამოქალაქო და სამამულო ომები... ბევრი კარგი წიგნი მახსოვს, ახლაც ბევრი იწერე-

ბა, მაგრამ ამ ბოლო დროს რაღაც შეიცვალა, ზოგიერთ წიგნში იმეორეობა ვხედავ, რაც იყო, ან უნდა იყოს ისტორიული წიგნი ყველგან და ყოველთვის ერთი მიზნით იწერებოდა, რომ თანამედროვეთათვის და აგრეთვე მომავალი თაობისათვისაც წინაპართა სასახელო საქმენი დაენახებინათ და კეთილი რჩევა წიგნით — აი, რანი ხართ, ვისი ნაშთი ხართ... და ნუ დაძაბუნდებით, გამხნედით, გაისარჯეთ და მამა-პაპათა ნაანდერძევი სიკეთე — მამული, სინდის-ნამუსი თუ სხვა რამ — შეინახეთ, დაიცავით, ამრავლეთ და შთამომავლობას გაუცუდებლად და შეურყენელად გადაეცითო. ყველა მწერალი ამას ცდილობდა და ცდილობს დღესაც, რომ თავისი ისტორიის სასახელო დრო და ამბავი წარმოაჩინოს და ახალგაზრდობას გზა ცხოვრებისა ჭეშმარიტი უჩვენოს. აი ამას ვეღარ ვხედავ ზოგიერთ დღევანდელ წიგნში. პირიქით, კვითხულობ და ასე მგონია: არც წინათ რაღე ვყოფილვართ, არც ახლა ვართ და თითქოს უკეთესი რამ არც მომავალში გვეუფენის.

— ახლა ასეა, პაპა ქორია, — შენიშნა ნოსრევეანმა — უფრო ხალხზე იწერება, ხალხი, მასა უნდა ჩანდეს.

— ხალხი — ეს თავისთავად, ამაზე უარს არც მე ვარ, მაგრამ ხალხს სათავეში თუ კაცი არ უდგას... აბა ვის მიბაძოს წამკითხველმა? რა მოიწონოს, ან რა დაიწუნოს, თუ ვერც გმირს იპოვის და ვერც საქმეს? თუმცა, რა ვიცი, შეიძლება, დღეს ასე იყოს საჭირო და მე აქაც ჩამოვრჩი.

ქორია პაპამ სიგარეტის ნამწვი ჩექმის ქუსლით მოსრიხა და ჩანთიდან ამოყრილი წიგნებიდან მომცრო ტანის, ლურჯყდიანი წიგნი აიღო. ლურჯ ფონზე ამოტვიფრული წითელ დროშას ხანგრძლივად დაამტერდა, მერე წიგნი ჭრაქისაკენ შეაბრუნა და თვალმოჭუტულმა სათაური ჩამარცვლით ჩაიკითხა.

— ჩემი სიჭაბუკის წიგნი, — თქვა წუთიერი ჩაფიქრების შემდეგ. — ჩემი დროის ახალგაზრდობას ეს წიგნი სასთუმალ-ქვეშ ედო. პაპეა... აი, როგორი იყო! მაგრამ ერთი რამ არც ამისი მომწონდა, — თავს არ უფრთხილდებოდა, სიცოცხლე ჩალად არ

უღირდა. . . ისე კი ნამდვილი გმირი იყო. უკვე წაიკითხე?

— ჯერ არა, ახლა უნდა წაიკითხოთ.

— მალე წაიკითხე... საჭიროა... ეს წიგნი ბევრ ისეთ რასმეს ვეცხვის, რომ... გამოგადგება ცხოვრებაში გამოგადგება. — წიგნი წარგვინა ხელის გულზე დაიღო და დიდხანს ჩაფიქრებით უცქირა. თვალ-წარბზე ნაღველისა და სინანულის ჩრდილმა გადაჰკრა, ბოლოს წიგნი ისევ წიგნებზე წამოდო და მოგონებებში წასულმა ნელა, თავისთვის ჩაილაპარაკა, — პავლე... პავლე... ვებ, მაშინდელი დრო...

— ლექსებს თუ კითხულობთ? — ჰკითხა ნოსტრევანმა.

— ვკითხულობ, მაშა, აბა გული რამ აცოცხლოს, რამ გაახაროს? ქართული კაცის გულს უმეტესწილად სამი რამ ახარებს: წმინდა ღვინო, გულის სტუმარი და ფრთიანი ლექსი... ვიფა-ფშაველა, ილია, აკაკი... ახლაც ბევრი კარგი პოეტი გვყავს, ამას წინათ გაზეთში დაიბეჭდა „კომუნისტები“, წაიკითხე? პო, ძალიან კარგი ლექსი იყო, რომეწონა. მაგრამ ხანდახან... ლექსსაც თითქოს რაღაც ხენი გაუჩნდა, ისეთი რაღაც გამოფრევა, რომ... გვერდება ყირამალა გადადიან, — თეთრი მწუსარება, შავი სისარული, ცივი პაპანაქება, ცხელი ყინვა... გალექსილი რომ იყოს, კიდევ პო, ან გაწყობილი, დალაგებული, მაგრამ... ერთი — ალთას, მეორე — ბალთას, არც თავი, არც ბოლო... არ ვიცი, არ მესმის, — ისევე აიჩნა მხრები და ნოსტრევანს შეხვდა, — შენ მოგწონს?

— ზოგი მომწონს, ზოგი — არა.

— აი, მე კი არ მომწონს. ლექსი გულს უნდა მოხედვს და მხარში ძმასავით ამოგიდგეს — ღმინში გაღმინოს და გაპატრონოს ნუგეში გცვს. აი როგორი უნდა იყოს! ეს კი — რა... თითქოს ვიღაც გოდებს, ოხრაგს... უმწეო, დავრდომილი... რაზე, რა უნდა, რა სტკივა, რა აწუსებს, — ვერ გაიგებ... პოდა, არ მომწონს, — გაიმეორა გაჯავრებით, — აღამიანები ხეობრები და სათამაშო თოჯინები არც რადისმე უფილან და არც იქნებიან... აბა ერთი, ეგვე მომწონდეს, ენასო, რა არის? — და ნოსტრევანს ცი-სფერყლიან წიგნზე მიუთითა.

ნოსტრევანმა წიგნი აიღო და დიმილით უთხრა:

— ოო, ეს კი, ალბათ არ გექნებათ წაკითხული, პაპა ქორია, ნამდვილად არ გეკნებათ.

— რატომ გგონია ვერ?

— იმიტომ, რომ სათქვენო არ არის.

— მიჩვენე და გეტყვი, — პაპა ქორიამ სათაურს დახვდა და თავი ჩაიქნია, — კი, როგორ არა, მახსოვს... ძალიან სერიოზული წიგნია, გონივრული.

— აკი სასაცილოა?

— ვინ გითხრა?

— აგრე ამბობენ... გამიგია.

პაპა ქორიამ გვიან მიაქცია ყურადღება ნოსტრევანის პასუხს და თვალები წყენით და გაკვირვებით გადმოკარკლა:

— როგორ, გაგიგია? თვითონ ჯერ კიდევ არა გაქვს წაკითხული?

— ჯერ... არა, — გამოტყდა ნოსტრევანი.

პაპა ქორია უფრო გაოცდა:

— აბა, რა აკეთე, ბიჭო, ათ წელიწადს სკოლაში, წიგნს არ კითხულობდი?

— ხად შეცალა, პაპა ქორია, ახლა სკოლაში ისეთი პროგრამებია, რომ... თავის მოსაფხანი დრო აღარ რჩება. მერე ჯარში ვიყავი, ჯარიდან დაგბრუნდი და აი, აქა ვარ... აბა როდის?

— პოდა, ახლა წაიკითხე. სხვათა შეფასებით წიგნს ნუ განსჯი, აი, სადღაც მოგეკრავს ყური და გაიძახი, სასაცილოა. სასაცილო კი არა, სიბრძნით სავსე წიგნია. სხვათა შორის, სახელმწიფო წესწყობილებაც არის აქ ლაპარაკი და ბევრი ისეთი რამ წერია, რაც ქვეყნიერებას ჯერაც არა აქვს, აკლია და ნატრობს. აი, როგორი რამეებია შიგ და შენ კი... წიგნს მართო წაკითხვა კი არა, გაგებაც უნდა.

ნოსტრევანმა ჩანთა ბოლომდე ამოყარა, ქორია პაპას წიგნების უმეტესი ნაწილი წაკითხული ჰქონდა, ახლა ხელახლა სინჯავდა, ხელში იღებდა, ფურცლავდა, იხსენებდა შინაარსს და თვითყელზე საკუთარ აზრს გამოთქვამდა.

— როგორ მოასწარი, ამდენის წაკითხვა, — ჰკითხა ნოსტრევანმა, — ან როდის კითხულობდი?

— დროს უქმად არ ვგარგავდი, — მოკლედ აუხსნა პაპა ქორიამ, — ახალგაზრდობას სწორედ ეს გაკლიათ, — დროის გამოყენება არ იცით. აი, თუნდაც შენ, რამდენი ხანია, აქა ვართ და ჯერ ერთი წიგნიც არ წაგვიკითხავს. რატომ? მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ დრო ვერ მონახე. აი, ხვალ, აი, ზეგ და... ხომ მართალია?

— მართალია, — აღიარა ნოსრეგანმა.

— ჰოდა... უნდა ისწავლო, — დიმილით შენიშნა პაპა ქორიამ, — დროის გამოყენება უნდა ისწავლო, მიერვით.

ისევ გამოიღო სასთუმალქვეშიდან კიბეში დებით გაბრტყელებული „პრიმა“ წითელი კოლოფი, მაგრამ სიგარეტი ბოლომდე აღარ მოუწვია, მხოლოდ რამდენიმე ნაფაზი დაჰკრა, ნაწივი ჩააქრო და კოლოფშივე ჩააბრუნა.

— ციხეში რაზე იყავით, ქორია პაპა? — როგორც იქნა, გაუბედა და ჰკითხა ნოსრეგანმა.

პაპა ქორიამ მაშინვე არ უპასუხა, ერთხანს არც განძრეულა, მერე კისერი ოდნავ გვერდზე გადახარა და ისე თქვა — ნელა, ჩაფიქრებით, თითქოს თავის თავს ელაპარაკებოთ:

— მებრძოდნენ და ვებრძოდი. სიმართლე მინდოდა, ხოლო სამართალი სხვათა ხელთ იყო და... მაჯობენ. დიამ მაჯობეს! — გაიმიორა ხმამაღლა, შეკავებული წყენით და იმავე წამს სინანულით დაუმატა, — თუმცა არც იმათ შერჩა... ბედისწერანი იმათაც

მწარედ აზღვევინა, — კმ, — რაიციანა და ცოტა ხნის შემდეგ, — მთელი კვირა სწორება სიმართლეს დავეძებდი და უბრალოდ გილი ვერსად ვერ ვაპოვე. ვერც მაშინ და ვერც ახლა. პაპა, აი, ამხნის კაცი საქონელში გამომაგდეს, ვითომ ხალხი არ ჰყოფინდათ, ნამდვილად კი სოფელს მომაცილეს. იმ წლებში ჩემი სოფლად ყოფნა ვიდაც-ვიდაცვებს ხელს არ აძლევდა და... მომიშორეს, — ისე დაეტყო ხმაში წყენა, მაგრამ სძლია თავს, ღრმად, გაგრძელებულად ამოიხუნთა და წუთიერი დუმილის შემდეგ ისევ ჩაფიქრებით განაგრძო, — სიმართლე უსასრულო ყოფილა, ბრძოლაც დაუსრულებელი სდომებია... ჩანს, ესეც ერთი იმ ცოდვათაგანია, პირველ წასახვისთანავე რომ დაჰყვა კაცთა მოღვმას და, ალბათ, არც დასრულდება, ხანამ დედამიწაზე ადამიანი იარსებებს... ალბათ, ალბათ, — დააფოლა თავის დაქნევით და ტანსაცმლის გახდას შეუდგა. თეთრი წინდები ჩექჩის ყელზე გადაკიდა, ფაქიზად დაკეცილი შარვალ-ხალათი ნამორზე დააწყო, ნოსრეგანს ძილინებისა უსურვა და ნაბადქვეშ ჩუმი ხეწებით შეგორდა.

ნოსრეგანმა წიგნები უკანვე ჩაალაგა და ჩანთაც ისევ შეგნით შეიტანა, მერე დერეფანში თავისი ქვეშაგები გაასწორა, ტანსაცმელი გაიხადა და ღრმად დარწმუნებულმა იმაში, რომ პაპა ქორიას მისი დღევანდელი საქმისა არაფერი შეუტყვია, ნაბადი წაიხურა და ყინადა, გულდამშვიდებით დაიძინა.

IV

კიდევ გავიდა ერთი კვირა ისე, რომ ნოსრეგანს კოტე აღარ უნახავს. ამხნის მანძილზე კოტე ორჯერ ამოსულიყო ფერწაში. ერთხელ სამანქანე გზამდე ყველის გადასაზიდად მეურმეები ამოეყვანა და ჯერიც ამოეყოლებინა, მორეგდ პირდაპირ იალალზე ასულიყო, ვიდაც კაციც აეყვანა და თავისი საკუთარი საქონელი გაერეკა. ეს ყველაფერი ნოსრეგანმა მწყემსების საუბ-

რიდან გაიგო. ერთ დილას განაყოფი ბინის ზრიგადირმა გამოიარა და დერეფანში იოთანს საიდუმლოდ ჰკითხა.

— უკვე გარეკა?

ნოსრეგანი ამ დროს ბოსელში წვერს იბარსავდა და მათი ლაპარაკი კარგად ესმოდა.

— კი.

— სულ გარეკა?

— კი.
 — ნეტა, სად წაასხამდა?
 — ალბათ, დაყიდის, ან ხორცკომბინატს ჩააბარებს.

— ხორცკომბინატს როგორ, მერე, საბუთი?

— შენც ამბობ, რაღა, კოტეხს საბუთის შონა გაუჭიკებდა?

— არა, ახლა, იცი, რა ამბავია? ათასი კაცი ამოწმებს.

— კოტეხ მოახერხებს, ძველია.

— ყველა მაინც არა მგონია დაყიდოს, — თქვა ცოტა ხნის შემდეგ ბრიგადირმა, — ასე ერთპირად, არა მგონია, ხარბია, ვერ გაიმეტებს, ნაწილს ალბათ სადმე გააბარებს, დროებით წაინც.

— რაც უნდა ის ქნას, თავში ქვაც უხლია, — უთხრა იოთამმა, — თუნდა კლდეზე გადაყაროს, მე კი მომშორდა და... მოგარიცხე და დავიდარაბას.

— რათ, ესენი... ჩუბობდნენ? — მწყემსებზე ჰკითხა ბრიგადირმა და ხმას უფრო დაუწია. — რას ამბობდნენ?

— რას იტყოდნენ, არ იცი? დღე ერთი იყო და საყვედური ათასი... ოკ, დავინებენ, და ალბათ, ესენიც დაისვენებენ.

მწყემსებს მართლაც დაეტყუთ ცვლილება. გაჭრა ის ჩუმი შფოთი და დაძაბული უთქმელობა, რასაც ნომრეგანი თითქმის ყოველ დილა-საღამოს ამჩნევდა. ფერმა დაწყნარდა, დამშვიდდა, თითქოს მხარებში გაიშალა და მთლიანად თავის ძირითად, ყოველდღიურ საქმიანობას მიეცა. მწყემსები უფრო ასლბს მივიდნენ ერთმანეთთან და საქმესთანაც. დილა-საღამოს უკვე სრულიად გულგრილად, ძალდაუტანებლად ოსუნჯობდნენ. ექილიკებოდნენ ერთიმეორეს ან სერიოზულად საუბრობდნენ წლებგანდელ გვეგებზე, წველადობის გასრდაზე, ლალიანობაზე, ნამატის შენარჩუნებასა და შეხორცებაზე, ასევე პირდაპირ, მიუკიბ-მოუკიბავად საუბრობდნენ დამატებით შემოსავალზე — პრემიებზე, შრომადღის ჭარბ ღირებულებაზე და ანაზღაურებაზე და თავიანთ შრომას უკვე სრული რწმენითა და მოლოდინით შეკუთრებდნენ. მათს მოლოდინს ამინდიც საიმედოს სდიდა, უკვე წიაღის ჩამოსხმა, ტყემის ფოთოლი მთლიანად

გაიშალა და რუსი, ჩამოლასტული მისი კალთები ხშირმა მწვენიე ხანში დაფარა. მწვერვალებსა და ღელეებს შერჩენილი თბავლის ხორდები შეთხელდა, ან მთლიანად გაქრა და დილა-საღამოს იქიდან სუსხი და სიციფე აღარ მოქონდა. ამისდაკვალად, საქონელმაც უფრო მალლა აიწია, ხაშში გავიდა და წაძღრისად მოძოვა. თანდათან მოლონივრდა, ნაშამთრი ბეწვი გაიყრევინა, რძე ჭარბად მოიყვნა და ფერ-ხორცილთაც გაიგოს. ხბოებიც მოიწარდნენ, მუხლში მომაგრდნენ, საბოლოოდ მიეჩვიენენ იალალს და აღარც ერთმანეთს ხამობდნენ. ახლა უკვე შეიძლებოდა ერთი დღით ან ერთი ღამით სოფელში ჩასვლა და ალბათ, აღარც კოტეხტყოდა უარს, მაგრამ რომ არ ჩანდა?

ლოდინში მეორე კვირაც მიაწურა, კოტეხ არც პარასკევს გამოჩნდა. თუ შაბათ-კვირასაც არ აწოვიდა, ორშაბათს აღარ გადააცდენსო, ამბობდნენ მწყემსები და ნომრეგანიც ამის იმედით იყო. დარჩენილ ორ დღეს გუნებაში ათასნაირად ამოკლებდა: რაღა დარჩა? გავრეკავ ხბოებს და მივრეკავ, კიდევ გავრეკავ, მოვრეკავ და ორშაბათიც გათუნდება... სულ ფრენით ჩავალ... და... ენახავ. ოღონდ ჩქარა, ჩქარა, გავიდეს დრო — დაღამდეს და გათუნდეს, დაღამდეს და გათუნდეს.

დრო მართლაც ჩქარა გავიდა, მაგრამ ორშაბათი ისეთი თავსხმა წვიმით გათუნდა, რომ ნომრეგანს ერჩინა, სულაც არ გათუნებულყო, ან თვითონ არ გაღვიძებოდა. გაღვიძებისთანავე თითქოს დაშლა დაეცა. — ჩვეულებრივ აღარ წარმოხტარა ლოგინიდან, სელის ერთი გაკერით არ გადაუძრია ნაბადი, როგორც ამას წინა დღეებში შერებოდა, არ გამოსულა ბოსლის წინ, კიდურზე და აქეთ-იქით. მოუთმენლად არ გაუსხედ-გამოუსხედავს: იქნებ კოტეხ ან მისი თეთრი ცხენი სადმე დავინახოთ. რომც დაეინახა, ახლა აღარაფრთარი ფასი აღარ ქმონდა — ერთ დღითა და ღამით კი არა, ფერმისა და სამწყსოს მიტოვება ახლა ერთი წუთითაც აღარ შეიძლებოდა. სხვა გზა არ იყო, სურვილი ისევე გულში უნდა ჩაეკლა და ამდენი ხნის ნალოდინევი ოცნება — სოფელში ჩასვლა და ლილის ნახვა — ამინდის გამოკლებაზე გადაედო.



ადგილი სათქმელია, გაღივდო, ან როდისღა ეღივსებოდა ანინდს სასიკეთოდ მოხედვა. ირგვლივ ორ ნაბიჯზე აღარაფერი ჩანდა, — არც ყვევლილოვანი ფერდობების მზით ნაფერი ღიმილი, არც ზღვასავით მოტორტმანე ტყის ფაფუკი ქორორი და აღარც ის უძირთ, ლილინდური ლაგვარდი. ნოსრევანი დილაობით რომ შეხედავდა სოლმე და გული თვითონაც ცასავით გაუბნებოდა. ყველაფერი მძიმე, უფერულ ჯანდასოვებდა და გაესრისა, დაეხრჩო: ბუნება დამარცხებულს ჰგავდა, ფეხქვეშ გათელილ და თავის მწარე ხვედრს თითქოს თვითონვე დასტიროდა.

წინ, სადამდეც კი თვალი მიუწვდებოდა, თავის თავს აღარაფერი აღარ ჰგავდა, წყლით გალუმპული ხეები, ბუჩქები, ბაღები, და თვით ბოძები და ბაკის ხარიხებიც კი დაღვრენით და უღიმღამოდ გამოიყურებოდნენ. მიწა დამბალიყო და ეზო-კარი უშნოდ ატალახებულებო. გაწუწული, ფერდებამოხერტყილი საქონელი მოსუვენრად მიმოდიოდა ბაკებში და დამბალ მიწაზე ღრმა ნაფხებურებს ანივვდა. ნაფხებურები იმავე წამს მღვრთე წყლით ივსებოდა, გუბურებში წვიმის მსხვილი ბუშტუკები ხსდებოდა. ხმოებს თუმცა არ აწვიმდა, ჩაგრამ ავდარს იხინიც შეეწუხებინა — აშლილიყვნენ და ამუშულ-ატკრეცილები ზრთმანეთს მჭიდროდ მიჰკეროდნენ. ბრუნების საწვიმარწამოსხმული მწყემსები წყალსა და ტალახს ფეხს არიდებდნენ, მღვრთე გუბურებს შორის გრძელი, მოსომილი ნაბიჯებით დააბოტებდნენ, ხელში რკინის ნიჩბები ან წვეწარბატყულებული ქოკები ვჭირათ და ბოსელს და ბაკებს შუა ვიწრო ღარებს ავლებდნენ, რომ ზვედიან მოვარდნილი წყალი პატარ-პატარა რუებად დატოტილიყო და ეზო აღარ დაეხრამა. მერე იოთამი, ილო, თედო და ჩოფური საწველი ფურების ბაკთან გავიდნენ. პაპა ქორიან საცეცხლურს ცოტა შიგნით, საფარისკენ გადმოუნაცვლა და საგვერდულს მომღვარ ნიაღვარს გზა განზე გაუკვლია. სახურავიდან მონაწერი წყალი მხრებსა და ბეჭებზე დასდიოდა, საწვიმარზე სხლ-

ტებოდა და ასლად გაღვივებულ ნაკვერჩხაღნი ფუტფუტებდა.
 — აბა, ჯეილო, ახლა რაღას იტყვი? — გაეძრახა ქორია ნოსრევანს, როცა დარეუბას მორჩა და დერეფანში შევიდა. ნიჩაბი გუთხეში მიაცუდა, ბრუნების თავსაღარი გადაიძრო და ხველი, დაწითლებული ხელები ცეცხლს მიუშვინა. — პა, რას იტყვი, გუშინ რომ არ დამიჯერე? ნოსრევანს ახლად გაახსენდა პაპა ქორიას გუშინდელი ნათქვამი და ლოგინში დარცხვენით გაიღიმა. გუშინ დილას, მზის ანოსახედზე ცა სპილენძისფრად შეიღება. ქორია პაპა ირწუნებოდა, დღესვე თუ არა, ხვალისთვის მაინც უსათუოდ გაავდრდებო. ნოსრევანმა არ დაუჯერა, ცაზე ერთი პაწია ლაქაც არხად ჩანდა და არაფრით არ ეგონა, თუ ღრუბელი პირს ასე უცრად და სწრაფად შეიკრავდა.
 — პა, არც ახლა გჯერა? — ნიშნის მოგებით ეკითხებოდა პაპა ქორია, — ხომ გამართლდა ჩემი ნათქვამი? ჰოდა, ამის შემდეგ იცოდე, ცა, მზის ამოსვლისას, უმიწეზოდ არ წითლდება. იქ, სადღაც საავდრო ღრუბელია აშლილი, მაგრამ შორია და ვერ ვამჩნევთ, თვალი ვერ სწვდება, მზის სხივი კი სწვდება და აწითლებს. და რაც უფრო შორია მანძილი და ღრუბელიც უჩინარია, ავდრობაც მით უფრო ხანგრძლივ არის მოსალოდნელი.
 საცეცხლურს ისევ შოადგა ღვარი, პაპა ქორიან ნიჩაბი აიღო, მაგრამ კარში აღარ გასულა, დერეფნიდანვე გადასწვდა, დარუბულში ჩაგორებული ბელტი ნიჩბის წვერით გადააგდო, ცეცხლს მიეფიცხა და განაგრძო:
 — ეს ცოდნა, ჩემო ნოსრევან, ხალხმა მრავალი წლის დაკვირვების შედეგად დააგროვა და იმდენჯერ გამოსცადა, დარწმუნდა ჩის უტყუარობაში, რომ ერთი პატარა იგავიც კი მიუღუქსა: დილა წითდა — მწუხრისა წვიმდა, მწუხრისა წითდა — დილა მზითა.
 პაპა ქორიან ხელები მოიშრო, ცოტა ნაპირზე მიდგა და ბაკების ირგვლივ დასარუებლად გასულ ამხანაგებს გახედა. ნოსრევანმა ნაბადი გადაიძრო და ჩაცმას შეუდგა. ზანტად იცვანდა, მისი გულგრილობა

მწყემსებს ყველა საჭირო თადარიგი მოესწროთ და ასაჩქარებელი აღარაფერი ჰქონდა. მიშველება საჭიროდ აღარც პაპა ქორიამ ჩათვალა, სველი საწვიმარი გაიხადა, მშრალი თეჭა წამოიხსნა და ცეცხლის პირას ნამორზე ჩამოჟდა.

— ჰოდა, — გააგრძელა წუთით შეწყვეტილი საუბარი, — ველად გასულმა კაცმა, სულერთია, მწყემსი იქნება თუ სხვა, ბევრი რამ უნდა იცოდეს. ამინდი ხომ, რაღა თქმა უნდა. შენ გგონია, მარტო იმით გამოვიყნა ამინდის შეცვლა, რომ ცა შეწითლდა? სულაც არა. აი, მავალითად, გუშინ კვამლი მაღლა არ აღიოდა, მიწაზე წვებოდა — ესეც აედრის ნიშანი იყო, მერცხლები, თუ შვანჩნივ, დაბლა დაფრინავენ, მაშ, უნდა გაავდრებულყო, გუშინ დილას დავინახე, შენი აღმასა ბალახს ძოვდა, ძალდი თუ ბალახს წიწკნის, ან ხშირად გორაობს, აგრეთვე, ცოტას ჭამს და ბევრი სძინავს, — წვიმას უნდა ელოდო. ეს ნიშნები ყველა მწყემსმა ზეპირად უნდა იცოდეს. პირველად არც მე ვიცოდი, ახლა კი, — შევხედავ ცას, მთვარეს, მზეს, ვარსკვლავებს, დავსედავ პირუტყვს, ბალახს, ფრინველს და გეტყვი, შეიცვლება თუ არა ამინდი... და არც შევცდები.

— მაშ, კარგი და, ხვალ როგორი ამინდი იქნება? — ჰკითხა ნოსრევანმა.

— აი, როგორიც არის, ასეთი.

— ზეგა?

— ზეგაც.

— ვა, აბა აღარასოდეს გაიდარებს? — წყენით იკითხა ნოსრევანმა.

— ვინ გითხრა, არ გაიდარებსო?

— თქვენი თქნით ასე გამოდის.

— არა, მე ვე არ მითქვამს, — ღიმილით შენიშნა პაპა ქორიამ, — გამოდარებით როგორ არ გამოიდარებს, მაგრამ ჯერ არა, ასე ადრე არა. იმიტომ, რომ, ჯერ ერთი, წვიმა უკუშრად დაიწყო, ცა არ ჭუხდა, მეორეც — მთვარის დაბადებას დაჰყვა, თვითონ წთვარეც საავდრო იყო, გულადმა იდო, აი ასე, — ცური და სალოკი თითი ნახევარკალად მოხარა და მაღლა შეაბრუნა, — გარდა ამისა, ავე, ნისლს დააკვირდი, ხედავ, სულ მაღლა და მაღლა მიიწევს, ეს კი ხანგრძლივი აუდრას ნიშანია.

ასე რომ, სულ მცირე, ორ კვირამდე, მაინც გასტანს, ესე იგი, მთვარის მარულ ცაღებამდე მაინც.

— აუჰ, როდისღა გავა ორი კვირა! — დაუფარავი გულდაწყვეტით წამოიძახა ნოსრევანმა.

— ჩაღე, ძალიან მალე, — უთხრა პაპა ქორიამ და ისევ ღიმილით დაუმატა, — ცუდ კაცს არაფერი ეშველება, თორემ ავდარი მალე კარგ ამინდად იქცევა.

ჯერჯერობით კი წვიმა მთელი სიუხვით ასხამდა, ჩქეფდა, ტლამუნობდა სახურავზე, ხის ფოთოლზე, მოშუოდა, მოთქრიალებდა. ტყე გაბმით და მომამბურებლად ოხრავდა, დროდადრო ცაც დაიქუხებდა ყრუდ, გაგრძელებულად; მღვრიე ღვარებს თანდათან ენატებოდა წყალი, თანდათან ახლებიც ჩნდებოდა და ამისდაკვლად, ბოსლის გვერდით, ღრმა ღელეში ჩამდინარი ნაკადულის ხმაც იზრდებოდა.

მწყემსებს იმ დილას საწველი ჩვეულებრივ აღარ გაუდილაურებით — აზრი არ ჰქონდა, საქონელი ვერც მაძღრისად მოძოვდა და, რა თქმა უნდა, ვერც ზედმეტ რძეს მოიყვებდა. თვითონაც ძალიან მცირე ხნით შეისვენეს დერფანში, სველი ლაბადები გაიხადეს, დაბერტყეს, ხელები სანაწვეთზევე გადაიბანეს, ცეცხლზე მოიშრეს, პრეუნტის მოკლე ბაჭკოები წაწოცეს და ისე დასტაცეს საწველელებს ხელი. რომ საყვარელი სიგარეტების გამოღებაც აღარ მოჰკონებიათ. — გაძლება ვინდა, ნაბადო, ჭეჭა-ჭუხილხა ცისასა! — წაიკაფიავა პაპა ქორიამ, პირველი გავარდა დერფნიდან და ბაკის ხარისხებს მართლა ქორებულ გადაეწლო. პაპა ქორიას სხვებიც უკან მიჰყვნენ, ნოსრევანმაც მოკლე ბაჭკო წამოიყვია და მწველაგებს შეუერთდა. წესით მას ფურების დაწველვა არ ევალეობოდა, სანდახან თავისით თუ მოინდომებდა, ან გასაჭირისას წაეხმარებოდა, გაჭირვებით კი ახლა ყველაზე მეტად ჭირდა: წვიმა ჩქეფდა, ტალახში ფეხი ცურავდა, წვიმით თავმობურებული საქონელი ერთ ადგილზე არ ჩერდებოდა, სველი ცურ-ძუქ-წამაღაწეუმ ხელიდან სხლტებოდა და ვერ-



თი ფურის მოწველას ორის სამყოფი დრო მიჰქონდა.

მაგრამ საქმემ მაინც თავისი გაიტანა, სულ წალე წვიმის შხაპუნსა და ტყის სამ-გლოვიარო გოდებას რძის თანაბარი, უწყვეტი შხივილიც დაერთო. მწყემსებს მკობ-ნობის ჟინმა წამოუარა, ჭაფმოდებულ, გა-ლიცლიცებულ ვედროებს დერეფნისაკენ და-სწრებაზე მიაბრუნებდნენ, უკანაც ასევე აჩქარებითა და ბარბაც-ბარბაცით ბრუნ-დებოდნენ, თან სულ ოხუნჯობდნენ და თვითონ გაჭირვებულები ერთმანეთს ამხნე-ვებდნენ, აქეზებდნენ:

— სადა ხარ, იოთამ? არ შედრეკე. ბი-ჭო, არ შეშინდე!

— იოთამი რძის წონის ჩაწერას მორ-ჩებოდა და დერეფნიდან ყოჩინით გამო-ვარდებოდა.

— ჰე,ჰე, მოდის ამირანი, წოდის! ცო-ტა კაცია ამირანი, ცოტა სმა-ჰამა ეყოფა! დამიდგეით, ვინც ვაჯეცი ხართ!

— ჰო,ჰო-ჰო! შენც რომ ამირანი ხარ!

— მოდის და, ჭაფიც მოდის კისერში!

— თედო რას შერება, თედო?

— რას შერება და — იკაკვება.

— დაბდურო, შენც მარაჟა გერგო?

— წინ იყურე, წინ ფეხი არსად დაგიც-დეს.

ილოს მართლაც დაუსბლტა ფეხი და ტა-ლახში ორივე მუსლით ჩაიოჭა, ჩოფურს ფური მიაწყდა და გულაღმა გადააგორა, საჯდომი და ცალი ბეჭიც აზელილი ნეხე-ტალახით და წუნწუნით დაესვარა. მწყემსე-ბი ყოველ ასეთ მარცხზე ხმამაღლა ხარბა-რებდნენ და ერთმანეთსაც და თავიანთ თა-ვსაც სწორდასწორ აქილიკებდნენ. მათი სიცილი, ხუმრობა და გაძახილ-გამოძახილი ავდარს თითქოს ანელებდა, თითქოს უწყი-ნარსა და სახალისოსაც კი ხდიდა. მწყემ-სები ჩვეულებრივ დროს ალბათ ასე არ ასორხოდებოდნენ. წვიმა უკვე აღარ იყო უსიამო, მომბეზრებელი ჩოლოდნელო-ბა, უკვე ისეთივე ყოველდღიურ და კანონ-ზომიერ მოვლენად იქცა, როგორც, მაგა-ლითად, გუშინ დილით მზის ამოსვლა ან წუხანდელი ვარსკვლავიანი ღამე. ამინდის ეს უცვარი სახეცვლილება ფერმამ როგო-რღაც ძალიან მოკლე დროში შეითვისა,

შეიგუა, შეისისხლხორცა და თვითონაც ბუნების საერთო ფერხულში ჩაღრმავდა. საერთო განწყობილება ნომრისადაც ვე ჩქარა გადაედო, ავდარი მის თვალშიც მოთვინიერდა და ისეთი საშინელი და ჩი-უკარები აღარ ჩანდა, როგორც წებან, პი-რველ თვალის გახელისას მოეჩვენა. „აი, რა აძლებინებს მწყემსს ზამთარ-ზაფხულ ველზე დგომას, — ფიქრობდა თავისთვის და ფურის ძუძუებს თითებში ზედიზედ ინა-ცვლებდა. — მხნე გული და ამტანობა. ტყუილად კი არ ამბობს პაპა ქორია, მწყე-მსი ჯარისკაცივით მამაცი და შეუპოვარი უნდა იყოსო. ეს რომ არა, ალბათ, ურთ ველიწადაც ვერაგინ გასძლებდა“.

მაგრამ უეცრად მოვარდნილმა თავსხმამ მწყემსებს თუ ვერა დააკლო რა, ვერ წა-უხდინა გუნება, სამაგიეროდ, თავისი შე-დეგი საქმეს ამ პირველსავე დღეს დააჩინა. წველას რომ მორჩნენ, დერეფანში შეიკრი-ბნენ და იოთამმა რძის რაოდენობა დააჯა-მა, აღმოჩნდა, რომ თვითველ ფურზე ლი-ტრანახევიარი რძე დაჰკლებოდათ.

— აი, რა შეუძლია ამინდს, — თქვა იო-თამმა და მუსხლებზე ჩამოდებული დავთა-რი დაკვდა, — საქმეს ამინდი აკეთებს და არა კაცი.

— ახლა ღალა ნახე, რას იზამს, — მო-აგონა ილომ, — ნახევრამდე მაინც დაიკ-ლებს.

— რა თქმა უნდა.

— თუ მეტსაც არა.

— ჰო, იქნებ მეტიც.

— მალე მაინც გადაიღებდეს, უპატრო-ნო, — ჩოფურმა ბურუსს გახედა, — მაგ-რამ აგე...

— ახლა თქვენა თქვით, — პაპა ქორია წინ წამოადგა და ყველანი სათითაოდ ჩა-მოათვალევრა, — ეს ფერმის გამგეები, ხე-ლმძღვანელები წინასწარვე რომ გაიძახიან, ამდენს და ამდენს მოგწველი, ამდენ და ამ-დენ ღალიანობას ვაჩვენებო, რა პირით, ჰა, რის იმედით? კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდაო.

— რა ქნან, პაპა ქორია, ავალებენ, რა-იონში ავალდებულებენ, ასე და ასე თქვი-თო, დაწერეთო... და მავთაც რა ქნან? —

ითამი წამოდგა და დავთარი და საანგარიშო შეივნით შეიტანა.

— კარგი, ერთი, არც თვითონ არიან წამა აბრამის ბატონები, ერთს რომ იქ ავალეზენ, სამს და ოთხს თვითონ უმატებენ, — დაადევნა პაპა ქორიამ, კოცონისკენ გააბიჯა და თავისთვის დაუმატა, — მაგრამ საკვირველი ეს არის, ვის რად უნდა ცარიელი ბუკ-ნალარა, რას იძლევა საბოლოოდ? იმ დილას მწყემსებს რძებურა აღარ დაუღბიათ და არც პაპიარად ზეზე მდგომებს წაუხეხსიათ, როგორც ხანდახან არქარებისას იცოდნენ ხოლმე, — არაფრის დრო აღარ იყო, ფურები და ტოტუ-დეკეულები შეეუხდნენ თავსხმა წვიანში ერთ ადგილზე დგომით და მიმოდენას უმატეს, მშრალი საქონლის ბაქებში რამდენჯერმე ბულების მოუთმენელი ყვირილიც გაისმა, ეს კი იმის ნიშანი იყო, რომ საქონელი მეტს ვეღარ აიტანდა და თუ დროზე არ გაუღებდნენ კარს, ღობის ხარისებს თვითონვე გადალევად.

ნახირის გაშვებამდე მწყემსებმა მხოლოდ რძის შეთბობა და ჩადღება მოასწარეს, ყველის ამოწურვა და სხვა სადილო საქმეც ნოსრევანს მიანდეს. სანამ წვიმა არ გადაიღებდა, ან ოდნავ მაინც არ შენელებოდა, ხბოები საბალახოდ მიიხეც არ გაიშვებოდა. მერე საქართოდ მოიხზადეს საგზალი — თითო შოთი და ყველის ნატეხები საწვიმარებშივინითა ჯიბებში გადაინაწილეს, კოხები აიღეს და ბაქებს კარებზე გახიდული ხარისები ააცალეს.

* * *

ნოსრევანი მწყემსებს ცოტაზე თვითონაც გააყუა — ნახირის შემართვაში შეეშველა, მერე ბაქის კარებთან მიჯრდიელ ხბოებს ჩამოუარა. ხბოებს თავები ნაღლა აეწიათ და მიმოლოდინე მწერია: გამოიყურებოდნენ.

— ცოტაც მოითმინეთ, სულ ცოტაც და გაემკვებთ.

ღრუფანში ჩანაგლებულ კოცონს მშრალი შემა დააყარა, საწვიმარი გაიძრო, სალათის სახელოები იდაყვებამდე დაიმკლავა და დაეისრებულ საქმეს შეუდგა: დარცხსა საწველელი ვეღროები, რძის საწურები,

რძის სასომი და მარვილებზე პირველ ჩამომსო. სანამ რძე სამყოფად შეედგდნოდა, ბოსლისა და დერეფნის დაგვამა და მთავრად მოასწრო. მერე ერთხელ კიდევ გადახადა მარჯვენა საგვერდულის გასწვრივ ჩამოდგმულ უსარმანარ ჩანებს და რძის შედღება მოხინჯა: გადამთავრება აღარაფერი აკლდა, მკვრივი, გლუ ზედაპირი ადგილ-ადგილ უკვე დაშარულიყო, და თუ დროზე არ ამოიღებდა, შეიძლება აჭრილიყო კიდეც და ყველის ხარისხი და მაწირობა განახევრებოდა. შეივნიდან ერთმანეთში ჩადგნული ალუმინის საწურები გამოიტანა, შეკუთებული რძის სურნელოვანი კუშული საწურებში თანაბრად გადაანაწილა, ნაპირები მოუსწორა, მოუტკეპნა და გასაწურად ჩანებს გაწყობილ ხიდურებსზე ჩამოდგა. კუშულები მთლიანად რომ დაიწკლიტა და შემკვრივდა, წინა დღეებში ამოწურულ ყველთან ერთად წაკიან კასრებში ჩაალაგა, ხოლო შრატის ჩანებიდან საკალტე ქვებში გადმოხსაპა და ახადულებლად ცეცხლზე შემოკვიდა. ყველაფრის რომ მიორჩა — ტანსაცმელი ჩამოიბურტყა, სანაწვეთზე ჩექმები დაირცხა, ხელ-პირი დაიბანა და ყველითა და პურით მსუბუქად დანაყრდა, ძაღლსაც აჭამა, სასაგულე ჩანთიდან სახატავი ალბომი და ფერადი ფანქრები ამოალაგა, ნამორზე ზურგით კოცონისაკენ ჩამოყდა და ძველ ჩანახატებს ერთი ახალი სურათი მიუმატა. „ადრიაინი დილა ფერმასი“. ნახატს კარგა ხანს უყურა, არა უშეღა რა, — თავსხმა წვიმაში მგაფიოდ ჩანდა, ჯანღში არილად გამოკვეთილ ხეებსა და დედამწიასაც ემინებოდა სიხველე. ალბომი დახურა და ხელუკუღმა საწოლზე შემოდა, იდაყვით თვითონაც საწოლის კიდეც დაეყრდნო და მზერა ახლად გამიშვებულ, გაუფერულებულ ფერდობებს გაუშტერა. ნიხლი ზვეთ და შევით მიიწვედა და ფერდობები სულ უფრო მეტად მიშვლდებოდა, მაგრამ მათი ცქერა თვალს ძველებურად აღარ ახარებდა. უმოქმედობამ მოწვევა გაუორკვეცა და წვიმა და უამინდობაც კვლავ ესადაღა და მტკივნეულად შეიგრძნო. ახ, ეს წვიმა, ეს წვეული წვიმა, ეს წვეული ანაღი რა წილოდინი გაუცრუა და გამაოცალა ხელიდან... თან



თითქოს ხარობს კიდევ, დასცინის, — სასურავზე განგებ მის განაჯავრებლად ტულა-მუნობს ასე ძლიერ, მისი ჯიბრით მოთქრი-ალებს ფოთლებიდან, მოქანავს ღვარებდა, გუბურებში მღეროდ ბურთულებს ათამაშებს და ნიშნის მოგებით ხტის, ცეკვავს, ხარხარებს...

— ფუპ, ჯანდაბა შენ და შენს მომგონს! ჯაერის განაჯავრებლად წიგნი გამოიტანა, რაც ხელში მოხვდა, ჩანთიდან ის ამოიღო. სამაწულო ომზე დაწერილი გამოდგა — ქართულ პარტიზანთა უცხოეთში ბრძოლას და გმირობას ეხებოდა, წიგნი საინტერესო იყო და არც წაიკითხეოდა, წიგნი საინტერესო იყო და არც წაიკითხეოდა, წიგნი საინტერესო იყო და არც წაიკითხეოდა, წიგნი საინტერესო იყო და არც წაიკითხეოდა.

ბეჭვზე სიცივე იგრძნო — კალტის ქვაბებს ცეცხლი ჩაქრობოდა, მუგულელებიც ბოლომდე ჩამწვარიყო. წიგნი აღმოშთან გადადიო საწოლზე, და ბოსლის მარცხენა საგვერდულისაკენ გადაიხვდა, სადაც შეშას აღაგებდნენ — ორად-ორი ღერილა დაჩინილიყო. წამოდგა, ჯერ ისევ ხეული, ბრუხენტის თავსაფრიალი, მოკლე საწვიმარი წაწიციდა და ცული აიღო. ადვილი როდი იყო ახლა ტყეში შესვლა და ნაწვეთქვემ დგომა, სიარული ამას ისევ თავსმა წყი-მაში ყოფნა ჯობდა, მაგრამ უმოქმედობას მინც ეს ფრჩივნა — საქმესაც გააკეთებდა და თავსაც შეიკვებდა.

ნაყარი არ უძებნია — ასეთ ამინდში მთლიანად წყლით გაქლენილი იქნებოდა და შეშად აღარ ივარგებდა. კარგ ამინდში, ბოსლის ზვეით, დღლის შეყოლებასზე, ერთ მომცრო ტანის ზედხეულ მიშელას ხედავდა ყოველთვის და გუზი პირდაპირ იქით აიღო. დღევანდლამდე შეშა არ მოუტანია, დღეს პირველად მოუწია და უნდოდა ველიდან დაბრუნებული, დაეიბებული მწყემსებისათვის მადლიანი შეშა-ცეცხლი დაეცვდრებინა.

სანამ სეს მოსჭრიდა, გასხვებდა, კადამორავდა, ჩამოხიდავდა და კალტის ქვაბებს ცეცხლს ხელახლა შეუნთებდა, მოშუადღევდა კიდევ, ამინდმაც მოიკარინა. წართალია, წვიმა მთლიანად არ შეწყვეტილა.

მხოლოდ თავსმამ გადაიღო და წერილი თქორი ჯერ ისევ სჭრიდა, მაგრამ წიგნი საკმაოდ შეთხელდა, ცა განიხილდა და ოდნავ ჩამოთბა. ახლა უკვე შეიძლებოდა სპობების გაშვება, დროც იყო, საკმაო ხანა იმარსულეს — დამწველები ბაკში უკვე შესაბრალოსად ბლაოდნენ.

ოფლი ღვარად სდიოდა სახეზე, თფლი ტანსვე სდიოდა და ილღებდა და ყვლი-კიანებს უწვევდა, მაგრამ დასვენებისთვის არ იცალა — ამინდს უნდა დაამურებოდა. სველი ბაჭო ბომზე დაქიდა და ბრეხენტის გრძელი საწვიმარი ჩაიცვა, რომ არ ჩამქრალიყო და შრატიც სამყოფად ჩახარშულიყო, ცეცხლს კიდევ შევმატა შეშა, თოფში მსხვილკარტეჩინი სამგლე ვაზნა ჩადო, სპობები, როგორც ყოველთვის, კარებში სათითაოდ გამოთვალა და, რაკი შორს წახსმისა არც დრო იყო და არც ამინდი, იქვე, ბუქწარიან ტაფობში ჩარეკა.

თქორი ბან შენდებოდა, ხან გულუხვად ჩამოიფრქვეოდა და ნაწვიმარ ბალახს რთვილივით ედებოდა, ბალახი თამაინებდა, სპობებსაც ხშირი თქორი უყარა ბეჭვზე, მაგრამ სიხველეს არ იმწინედნენ — ბუქქის ძირებში თავწარგულეები ნამიან თოთო ბალახს ხარბად და სასიამოვნოდ ლომინდნენ, ნოშრევანს მართლა სიამოვნებდა მათი ცქერა, ნახირს ირგვლივ უვლიდა, ან თოფზე დაყრდნობილი იდგა — აღმასაც გვერდით ედგა და ტაფობის ყველა კუთხე-კუნჭულს თვალფხიზლად ზეგრადა. ნადირი ყველაზე მეტად სწორედ ასეთ დროსა და ასეთ ადგილებშია საშიში — მოხერხებულად ისაფრებს წვიმის ხმაურს, ბურჭს, ბარდნარს და მწყემსს ასი თვალი და ყური უნდა, რომ უხიფათოდ გადაურჩეს. ჩაგრამ ვანა ადვილია დიდიდანვე მუხლჩაუსრულად ფეხზე დგომა. — ამდენი აღმა-დაღმა სიარული, ცულის ჯახუნი და მძიმე ნამორების მხრითა და ზურგით თრევა? ერთი ორჯერ სცადა კიდევ მუხლის მოხრა — ბორცვზე საწვიმრის კალთა გაიფინა, მაგრამ ჩამოკადა თუ არა, ბრუხენტში იმავ წინა წყალმა შეგონა და ისევ ზეზე წამოავდო. არა, ტყელია, დღეს დაჯდომა არ უწერია და საღამომდე, ნახირის ბაკში შერეკამდე, არც დასვენების იმედი უნდა.

ქმონდეს, ასეთია მწვემის ყოფა და რას იზამ!

სადამოხანზე ცამ ისევ დაბლა დაიწია, მოქურღუდა და დილანდელივით მსხვილი წვიმა წამოუშინა. წვიმას სეტყვა და ხშირი ხორხოსაც მოჰყვა. ხბოები ჯერ ფარსაგად არ იყვნენ დამაძღრები — ჯერ ისევ გულწიფებით ძოვდნენ, მაგრამ ასეთ ამინდში მათი ველზე გაჩერება ყოვლად შეუძლებელი იყო, — სირბილით დაუარა აქეთ-იქიდან, ერთად დააქუნა და ბინისაკენ დაურიალა:

— ჰი-ჰე! გერ-გერ-გერ... აბა — ჰე, აბა-ჰე!

რამდენიმე წუთით მხოლოდ ხეზე შეაჩერა, — წყლის დაღვევა აცალა, მერე ისევ გააკივლა და აღმართი სულ სირბილითა და ფაცასფუცხით აატარა. გაწუწული ხბოები ნაადრე ყვავებს დაემსგავსნენ, წყალი თვითონაც თქრიალით სდიოდა, ჩამოწურწურებდა თავსაფრიდან, სახელოებიდან, სალთებიდან და მუსლებზე ესხმოდა. ღვარი ჩექმის ყელებშიც ჩახდიოდა.

— ფუპ, რა ამინდია, რა ვაგლახი ამინდია!

სულის მოთქმა არც დერეფანში დასცალდა, შრატს უკვე ჩაედუნა, გადმოღება და საწურ პარკებში გადასხმა უნდოდა, ცეცხლიც წოლიანად ჩანავლებულიყო. სველი, გაკერკემებული საწვიმარი კოცონის გვერდით, ბოძზე მიჰკიდა, საკიდრიდან შრატინი ქვაბები გადმოიღო, ცეცხლს საოტი მისცა, გული გაუჩხრკია და ნალვერდალზე ხმელი შემა დააყარა, მერე ქურთუკის კალთით თოფი გაამშრალა და ისევ შრატის ქვაბებს მიუბრუნდა. თუმცა შრატის გაწურვა მერევე შეიძლებოდა, მწვემები ამას მუდამ სადამოს, ფურების დაწვეღვის შემდეგ აკეთებდნენ, მაგრამ ახლა ისეთები დაბრუნდებოდნენ საძოვრებიდან, რომ... ეგვი არ იყოს, გასაკეთებელ საქმეს ამხანაგებს ხომ არ დაალოდინებდა?

კალტის გაწურვას რომ შორჩა, ცეცხლიც ანთო, ალი უცბად ამოვარდა გულიდან, გადაცოცდა მსხვილ შემებზე და ტაქატკუცი დააწყვინა, დერეფანში სასიამოვნოდ ჩამოთბა და ორთქლისა და შმორის ბული დატრიალდა.

ნოსრვეანა ხელები მოითბო, სველი მუხლები და მუხლისთავეებიც შიშირით დავედრით ხბოებს ქვაშირილს კომბოლებში შეუტანა. ხბოებიც შემშრალიყვნენ, მშრალი ბეწვი ზურგზე ტალა-ტალა ეყარათ. მოცოცხლებულიყვნენ კიდევ, ნოსრვეანს ხელებში ეტანებოდნენ და მარილის ბაგებში გადანაწილებას არ აცდიდნენ.

— თქვენ კი, რა ყურები ჩამოგყრიათ, არ გინდათ მარილი? — ნოსრვეანმა ახლა დაინახა კარების გვერდით ატუზული ბიჩოლები, ორივე საფურე იყო, ერთს, თეთრ-წითლით ჭრელს, ღიღილო ერჭვა, მეორეს — უნიშნოდ ნისლისფერს — თავგა. მობუზულები თავდახრით იღვნიენ და მიბნედილი თვალებით მიწას ჩასცქეროდნენ.

— ჰა, რა მოგივიდათ, დაცივდით? — შეგკითხა ხელახლა და აქეთ-იქიდან ყურადღებით შემოხედა: ხბოებს ბეწვი აშლოდათ და ოდნავ წუცლები დაბერვოდათ. ნამდვილად შესცივნიათო, დაასკვნა გულში და ორივენი ანთებულ კოცონთან გამოიყვანა.

გავიდა ოცი წუთი, ერთი საათი, მაგრამ ხბოებს სასიკეთო არაფერი დამწვევით, პირიქით, უფრო ავეშალათ ბეწვი და მუცლებიც წიდანდელზე მეტად დაებერათ. „ხომ არ მოიწამლენ?“ — გაუკვლა თავში და ელდა ეცა. ბოროლებს კი თანდათან ემატებოდათ სიმზიენე და სუნთქვაც სულ უფრო უჭირდათ. ბოლოს ისე დამრგვალდნენ, რომ ოთხ ფეხზე შეყვებულ უზარმაზარ ბურთებს დაემგავანენ, ნეკნები და იოგის ძვლები არცერთს აღარ ეტყობოდა, პირზე ორივეს დორბლი მოადგა და ხისინი დააწყებინა.

არა, ეს სასუნძარო საქმე აღარ იყო: ორი სული საქონელი — გამოშამთრებული და სულ რაღაც ერთი საათის წინ ჯანსაღი, სალხალამათი თვალა და ხელშევა ველებოდა და შევლა და გადარჩენა კი არაფრით შეუძლო. გვერდით არავინ ჰყავდა, რომ რჩევა ეკითხა ან შევლა ეთხოვა. ვერც მწვემებთან წასვლა და შეტყობინება გადაწყვიტა, — ვინ იცის, რა მოუვათ ამით, ხანამ იალალზე ავა, იპოვის ხმას მიაწვდენს და იქიდან ჩამოშველებიან, გაძლებენ კი მანამდე? იქნებ სულიც ამოხდეთ?

საკუთარი უმწიბრობით გატანული უაზროდ აწყდებოდა აქეთ-იქით, მიმოდიოდა დერეფანში, ოხრავდა, ხმოებს ხან ერთ გვერდით შეაბრუნებდა კოცონისაკენ, ხან — მეორე გვერდით, უსვამდა ხელს, ეფერებოდა, მეგრე სასოწარკვეთილი ზურგს შეაქცევდა, რომ საცოდაობისათვის არ ეყურა და ისევ დერეფანში სიარულს მოჰყვებოდა. თვალწინ პაპა ქორიას სახე დაუდგებოდა, მაღალი ალატიანი შუბლი, კეხიანი ცხვირი, მშვიდად მომზირალი თვალები და ყურშიც მისი დილანდელი ნათქვამი ჩაესმოდა:

— სულადობას უნდა გავფურთხილდე... უდანაკლისოდ შევიწარმნოთ...

ხწორედ ამ გასაჭირში მოუსწრო იოთამმა, იოთამს მხარზე შემის კონა შეეფო და დაწინაურებულიყო. ნოსრევანი ბოსლოს ზემოთ შეეგება და ენის ბორძიკით მომხდა-რი ამბავი აუწყა. იოთამი უმალ მიხვდა, რაც სჭირდა ხბოებს, ნოსრევანს ბოლომდე აღარ მოუსმინა, — გ, ბიჭო, სისხლი ასდგომიათ! — წამოიძახა აჩქარებულმა და შემის კონა იქვე დააგდო, გრძელი ნაბიჯებით დერეფნისკენ გაიჩქარა, სიარულშივე გადაიწია საწვიმრის სველი კალთა, ქარქაშიდან რქისტარიანი ურსა დანა ამოაძრო და თვალის დახამხამების უმალ ხბოებს ცალცალი ყურის წვერი წააჭრა.

რას სჩადით, — უნდოდა ეყვირა ნოსრევანს, მაგრამ იოთამმა ხმის ამოღება არ აცალა, ერთს თვითონ სტაცა ხელი კისერში, მეორე ნოსრევანს მიუგდო, წაჭრილ ყურზე ხელუკუღმა ცემა დაუწყო და ნოსრევანსაც იგივე უბრძანა. ნოსრევანი უსიტყვოდ დამორჩილდა, მაგრამ იოთამივით გამეტყვებით ვერ ურტყაწად. იოთამმა ეს შეამჩნია და ხმამაღლა დაუყვირა:

— მაგრა დაკა, მაგრა, ნუ გენანება!

ღიახაც ენანებოდა, მაგრამ მეტი რა გზა ჰქონდა. ხბო შიშისა თუ ტკივილისაგან მთელი ტანით კანკალებდა, ზმუოდა, თავი გვერდზე მიჰქონდა, წელში იზნიკებოდა და ყოველ დარტყმასზე თრთოდა.

წაჭრილი ყურიდან სისხლმა ჯერ წვეთ-წვეთად იწყო დენა, მერე იმატა, მოხშირდა, ნართის სისქე შედრეგნებად მოსკდა

და ატალახებული ჩიწა და სველი ნაცარი საცეცხლურს ირგვლივ წითელი წინწკლებით მოჭვრიტა. ნოსრევანს ემინოდა, ხბოს სისხლად არ დაიცალოსო და ხელს ხშირად აჩერებდა. იოთამი თვალს შეასწრებდა და კვლავ ხმამაღლა შესძახებდა:

— კიდევ დაკა, კიდევ, ჯერ არ ეყოფა!

ცოტა ხნის შემდეგ შედრეგნები შესუსტდა, მერე წვეთებიც შეთხელდა, სისხლის დენამ თანდათან იკლო და ბოლოს სულაც შეწყდა. ხბოებს სიცოცხლის ანდეკვალი დაუბრუნდათ — მუცლები დაუცხრათ, სუნთქვა დაუამდათ, პირზე მომდგარი დორბლი შეამრათ და თვალებიდანაც ცოცხლად, ხალისით გამოიხედეს, აშლილი ბეწვიც დაულაგდათ.

— აი, ასე უნდა, — თქვა იოთამმა, როცა ხბოებს მარილიანი პური შეაჭამა და დაჭრილ ყურებზეც ფხენილი მარილი დააყარა. — ანას სისხლდამდგარს ვეძახით და სულ ასე ვმკურნალობთ. არის ექიმის წამალიც, მაგრამ ეს კობია, უფრო მალე არჩენს.

— რისგან უჩნდებათ? — კითხვა ნოსრევანმა.

— უმიზეზოდ, რა თქმა უნდა არაფერი ხდება, — გააგრძელა თავისებურად იოთამმა, — მაგრამ ყოველთვის ვერ გაიგებ, უფრო ნამიან ბალახზე იცის, დაღლოლმა თუ წყალი დალია, მაშინაც — ჩხრები აიჩენა, — რა ვიცი, ენა არა აქვს, პირუტყვიცა.

ნოსრევანი გამოტყდა, ხევზე დაღლილებს წყალი რომ დააღვეინა და ბოლოს დაუმატა:

— მე კი მეგონა, მოიწამლენენ-მეთქი და გული გამისკდა.

— ეგეც ხდება იშვიათად, — თქვა იოთამმა, — ლოგინზე დაგდებული სისხლიანი დანა აიღო, ჩექმის ყელზე გაწმინდა და ისევ ქარქაშში ჩააგო. — ჰო, ხდება, — მაგრამ იხერხებად სამიში არ არის — შხამს საქონელი თვითონვე წაწოარწყვეს ან ისევ ბალახით მოიჩრჩენს, ეს კი ისეთი ვაგლახი რამ არის, რომ... თუ დროზე არ მოუსწარი, უნათუოდ ბოლოს მოუღებს, და, საერთოდ, ერთი რამ იცოდე, — უთხრა სალოლოდ იოთამმა და სალოკი თითიც კვლავ

თავისებურად აფშიკა, — საქონელს თუ ბეწვი აეშალა, მორჩენილი საქმეა — ავად არის, რალაც სტკივა, აწუხებს, და იმავე წამს შეგვატყობინე, იმავე წამს!

* * *

ეს პირველი ავდრიანი დღე მეტისმეტად გაგრძელდა და ძალიან ჩქარა კი დაღამდა. ფურები რომ დაწველეს და რძე დააბინავეს, ნოშირევანმა მიხედვე-მოხედვაც ვერ მოასწრო, რომ ბოსელს და ბაკებს ირგვლივ უკვე ბინდი შემოადგა. მწყემსებმა დერეფნის საყრდენ ბოძებზე თოკი გააბეს და სველი საწიმირები გადაჰკიდეს, მერე ტანსაცმელ-ფეხსაცმელი დაიბერტყ-დაირცხეს, და რაკი დრო აღარ იყო, ვახშმად ისევ სახელდახელო რძეპურა მოადუღეს.

ვახშმის შემდეგ მშრალი ნაბდები წამოისხეს, კოცონს უფრო ახლოს მიუსხდნენ, სიგარეტებიც ჩვეულებრივ გააბოლეს, მაგრამ წინანდელივით აღარ ოხუნჯობდნენ და აღარც ზღაპრებსა და არაკებს პყვებოდნენ. ავი დარი მწყემსების ყველაზე დიდი მტერია — თითქოს გულსაც ჯანლსა და ბურუსში ხვევს, ხალისს ახშობს და გუნებას აფუჭებს. ისხდნენ ჩუმად კოცონის ირგვლივ, გამტკნარებული სახით, იდაყვს ჩამოყრდნობილები და მოტკრციალე ნაკვერჩხალს დაღვრემით ჩაპყურებდნენ.

ღამე თანდათან ჩკერივდებოდა, მკვრივდებოდა ნოტიო ნისლის ბლანტი ფენაც, რომელიც სიბნელეში თითქოს უფრო დამძიმდა და ბოსელს და ბაკებს წყლით გაღვნილი ნაბადივით ჩამოეშხო. მისი სიმძიმის ქვეშ თვით ეს მოგიზგიზე კოცონიც კი როგორღაც მეტისმეტად მკრთალად და უნიათოდ გამოიყურებოდა, თითქოს კი არ ენთო, უფრო ბეუტავდა და წინანდელი არც სითბო კქონდა, არც — სინათლე. წვიმა გაბმით და თანაზომიერად ჩქაფუნობდა, გარსშემომდგარი ტყვე კვლავ გაბმით ოხრავდა, ტყის ეს ერთფეროვანი უწყვეტი მოთქმა უდემეტად მომთენთავად გაისმოდა სიბნელეში და თვლემას ჰკვრიდა ცეცხლის პირას მსხდომებს. რა ჯობს ავდარში თბილ ნაბადში ძილს, როცა წვიმის გრილი თქორი საამოდ გემცვრევა სახეზე და დახველ-

ბის შიში კი არა გაქვს, მაგრამ ვინ მოაწლის მწყემსს ასეთ ამინდში საძილედ: ნადირი კარგად სარგებლობს სიბნელით და საქონელზე გააფთრებით მოიწვეს, ძალღებს მოსვენება არა აქვთ — ხან ერთ მხარეს გავარდებიან გნაივით, ხან — მეორე მხარეს, მწყემსიც ფხიზლად უნდა იყოს, მყეფარს ფეხდაფეხ უნდა მისდოს, უნდა სმა მისცეს, გაამხნევოს, ნადირი გააფთროს და პირუტყვს ხიფათი ააცილოს.

* * *

— ორ დღე და ღამეს გადაუღებლად წვიმადა, მერე გაშუდმებული თავხსნა შეწყდა, მაგრამ უამინდობა ამით არ დამთავრებულა. დიდ ნიაღვრობას, როგორც ხშირად ხდება ხოლმე, ყინვა დაერთო. ჰაჰა ქორიას ვარაუდი აქაც გამართლდა — მესამე დილას, ნისლი რომ აიკრიფა, დათოვლილი მთის წვერები და მათს ძირბაზე ტირხლით შესუდრული ტყის ქორიოი გამოჩნდა. წერე ამინდმა გაიმუდმა და შემდეგ დღეებშიც ასე გაგრძელდა: დღისით თალხი ნისლი იწვა და წვრილი წვიმა სცრიდა, ღამლამობით ნისლი იკრიფებოდა, მალა მიიწვედა და ტყის წვერებზე აბურძგულ ტირხლს სტოვებდა. მოზრდილი საქონელი ყინვას ისერივად არ იმჩნევდა, ხბოებს კი პირველი დღიდანვე ბეწვი აბურძგნათ და ფარსაგად ვეღარც ტანში იშლებოდნენ, ხოლო მეორე თუ მესამე დღეს გაციების პირველი ნიშანიც გამოჩნდა — ნაწილს თვალები ჩაუღრმავდა და ხველა დაწვებინა — თოთო ხბოს ბევრი კი არ უნდა.

სწორედ იმ დილას კოტეც ამოვიდა სოფლიდან, მეურმეებს ჯერი ამოატანინა, კვირის მანძილზე დაგროვილი ყველი წააღებინა და თვითონაც უკან გაქყვა. მწყემსებს დაუბარა, — ხვალ ვეტქიმს ამოვიყვან და წამლებსაც წამოვალეზინებო.

მაგრამ კოტეც მეორე დღეს არ ამოხულა. არც მესამე დღეს გამოჩენილა, მეოთხე დღეს, დილაადრიან მეტყვევ ამოვიდა და წყემსებს კოტეს დანაბარები ამოუტანა: წამლები რაიონში არ აღმოაჩნდათ, თბილისიდან ელოდებიან, ერთ-ორ დღეს იქნებ

კიდევ შემადგინდეს და ჩემს ამოსვლამდე როგორმე იოლად გადითო.

ეს ყელის გამოჭრას უდრიდა. ხბოებს თანდათან უძლიერდებოდათ ხველა და გაციებულთა რიცხვიც დღითიდღე მატულობდა. შეიძლება ყინვას უფრო მოეჭირა და მოზრდილ საქონელსაც იგივე დამართოდა. და რა ექნათ მწყემსებს ცარიელი ხელებით, რით ეშველათ?

დამწუხრება ყველაზე მეტად მაინც იოთამს დაეტყო. შეტყვევებ რომ გააცილა და უკან შემობრუნდა, სახე ჭირისუფალს ეგავდა — ღრმა ნაოჭებით დაღარვოდა, და თითქოს უფროც გაშავებოდა, დაპატარავებოდა. წვერილ, შავ თვალებს სიღრმიდან შიშითა და შემფოთებით აცეცებდა. ღერყფანში მწყემსების წინ ჩამოდგა და ხელუბი უმწყოდ გაშალა.

— აბა, საქმეა ახლა ეს, საქმეა? — წამოიძახა სასოწარკვეთილი ხმით და მწყემსები სათითაოდ ჩამოათვალეირა, — იოლად გადითო, კი ბატონო, მაგრამ რით? როგორ? რა მაქვს ხელთ, რა დამიტოვა? ან თვითონ სად არის? განა, გამგე — ხელმძღვანელი, უფროსი ასე უნდა მუშაობდეს? ა, გვეკითხებით, ასე უნდა მუშაობდეს?

მწყემსებთან განა არავის ამოუღია, არც განძრეულან. საკმაოდ მოგვიანებით ისეც პაპა ქორიამ უპასუხა.

— ოღონდაც არ უნდა მუშაობდეს. საქმე ის კი არ არის, სხვას დაასწრო და თავი მოიწონო... ასე ადრე რომ ამოგცვივდით... რა დაგჭირდება, რა გინდა, არ უნდა იფიქრო? იზრუნო?

ეს უმისამართო ნათქვამი იოთამმა მხარ-

დატერად მიიჩნია და იმავე წამს აიტაცა:

— დიახ, სწორია. უნდა უზრუნველყავი, მოემარაგებინა, აბა... უფიქრა, მოემარაგებინა, აბა...

— შენა? — შეაწყვეტინა უცბად პაპა ქორიამ, — შენზე კი რატომ არაფერს ამბობ? — და გვერდიდან ისე გახედდა — ეჭვით, უხიამოდ, უნდოდ, რომ აშკარად ჩანდა, იოთამს ასეთ ყოფაში პირველად არ ხედავდა, პირველად არ ისმენდა ამ ნაძალადე გულისტკივილს და ისიც კარგად იცოდა, რამდენად მართალი და სარწმუნო იყო იგი.

და მართლაც, იოთამს სახის დამწუხრებული გამომეტყველება თვალის დახამხამების უმაღლესი გავუქრა, პაპა ქორიას შეკითხვა თითქოს გაიოცა, მხრები აიჩუნა, ისევე საწოლზე ჩამომსხდარ მწყემსებს გადახედა, ტუჩები დაპრანჭა და სრულიად გულგრილად, უნაღვლოდ და დაუდევრად თქვა:

— მე?! მე რა? რა შუაში ვარ?... არ ეიცო, არ შესმის...

პაპა ქორიამ ეს კი ველარ მოითმინა, ეს მეტისმეტად ურცხვი, შოურიდებული თავისმართლება იყო და ვერ აიტანა. ნამორზე ისე შეტკოდა, თითქოს ნემსი უჩხვლიტესო და იოთამისაკენ მთელი ტანით შემობრუნდა.

— როგორ, რა შუაში ხარ?... — უთხრა ფოლადივით მტლერი ხმით, — რა პირით ამბობ? — შენ, ბრიგადირი... ბრიგა... აბა, სხვა რა გვეალება? რაში გეწერება დამატებითი შრომადღე?... რა აკლია, ბინას, რა გიჭირს... მთაში რომ ხარ, დაგავიწყდა? თუ სხვისი სეღით გინდა ნარის გლეჯა?

იროდიონე ქაპხარაძე

ვალმოსდილი

დოკუმენტური მოთხრობა გიგელ აბაშიძის ცხოვრებაზე

ინგლისელთა შემოსვლისა და თურქების წასვლის დღიდან, 1919 წლის იანვრის დამდეგს, ჩვენ ბათუმში გადავედით. „სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტი“ უკვე ლეგალურ პირობებში მოქმედებდა. ჩვენ გაორკეცებული ენერგიით შევედევით მუშაობას.

თურქეთიდან ჩემი უფროსი ძმა ხასან ბეგი გამოვიდასე ჩვენთან სამუშაოდ. მან ოსმალეთში უმაღლესი იურიდიული განათლება მიიღო და გუბერნიის პროკურორი იყო. ხასან ბეგი ბათუმში ინგლისელთა ოკუპაციის დროს ჩამოვიდა.

გუბერნატორად დანიშნულმა გენერალმა კუკ-კოლისმა ბათუმის ოლქის მმართველი საბჭოს შედგენა თეთრგვარდიელ მასლოვს დაავალა. ეს საბჭო ინგლისელ სამხედრო გუბერნატორს ემორჩილებოდა და მისი დავალებით ანტიხალხურ პოლიტიკას ატარებდა. მმართველი საბჭო და ინგლისელი გუბერნატორი დენიკინს ყოველმხრივ ეხმარებოდნენ. იგი, ერთი მხრივ, საბჭოთა რესპუბლიკას ებრძოდა, ხოლო, მეორე მხრივ, ბათუმისა და მისი ოლქის დაპყრობას ცდილობდა. 1919 წლის გაზაფხულ-ზაფხულში ბათუმი თეთრგვარდიელებით აივსო. ახალმა საოკუპაციო რეჟიმმა სამუსლიმანო საქართველოს მოსახლეობას ყოველგვარი

იმედი გაუქარწყლა. მმართველმა საბჭომ, როგორც ბათუმში, ისე მისი ოლქის უბნებში, ყველა თანამდებობაზე უცხოელები, ანდა თეთრგვარდიელები დანიშნა.

ჩემი ხელმძღვანელობით განმათავისუფლებელმა კომიტეტმა ბათუმის ოლქში მოაწყო საპროტესტო კრებები და მიტინგები. 1919 წლის იანვარში ერთი ასეთი მიტინგი ჩავატარეთ ქობულეთში. მიტინგმა ქობულეთიდან გააძევა უბნის უფროსად დანიშნული უცხოელი დერგებენი და მის მაგივრად რეჟებ ნიჯარაძე აირჩია. სულ მალე ბათუმში შედგა ოლქის მოსახლეობის წარმომადგენელთა ყრილობა, რომელმაც პროტესტი განაცხადა საოკუპაციო რეჟიმის წინააღმდეგ და მოითხოვა უკანონოდ შედგენილი საბჭოს დაშლა და ახალი საბჭოს შედგენა მოსახლეობის მიერ არჩეული ქართველებისგან. კონფლიქტი მალე აჯანყებაში გადაიზარდა, მაგრამ იგი ინგლისელთა რაზმმა სასტიკად ჩააქრო.

რაც დრო გადიოდა, საპროტესტო მოძრაობა მით უფრო ძლიერდებოდა. მიუხედავად ამისა, დენიკინელთა რიცხვი მაინც იზრდებოდა. ამასთან დაკავშირებით, ბათუმის ბოლშევიკურმა ორგანიზაციამ შექმნა მებრძოლთა რაზმი, რომელმაც ბევრჯერ შიშის ზარი დასცა, როგორც ინგლისელებს, ისევე დენიკინელებს.

ამ ბრძოლაში განმათავისუფლებელი კომიტეტი აქტიურად მონაწილეობდა. ვებრძოდით, ვებრძოდით კუკ-კოლისეებს და მათს დამქაშებს; ჩვენმა შეუპოვარმა შეტყეამ დენიკინელთა შტაბი აიძულა 1919 წლის ზაფხულში დროებით ჩვენს ქვეყანას გასცლოდა, შტაბის უფროსი გენერალი დიბენკო დონის მიმართულებით გაიქცა და თავი „მოსხლისელთა არმიას“ შეაფარა.

* * *

დიდად დავამწუხრა „სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტის“ წევრის ყადირ შერვაშიძის მოულოდნელმა გარდაცვალებამ. 33 წლისა გამოეთხოვა იგი წუთისოფელს.

1919 წლის დასაწყისში ჩვენი დაუეწიყარი ყადირი ახალციხეშია, პარტახტიანი ტიფის ეპიდემიას ებრძვის. იგი მიიწვიეს თათბირზე თბილისში, თუმცა უკვე გრძნობდა პარტახტიანი ტიფის შეტევას, მაინც გაემგზავრა თბილისში. ექიმებმა ვეღარაფერი უშველეს...

ყადირი სწავლობდა ახლად გახსნილ ბათუმის გიმნაზიაში, საიდანაც 1908 წელს მოსწავლეთა ამბოხებაში მონაწილეობისათვის „მგლის ბილეთით“ გარიცხეს. სწავლა განაგრძო თბილისის გიმნაზიაში. 1909 წელს ყადირი იურივეის (ტარტუს) უნივერსიტეტში შედის. 1914 წელს ამთავრებს სამედიცინო ფაკულტეტს და მუშაობას იწყებს ბათუმის საავადმყოფოში.

ამავე წლიდან იწყება ყადირ შერვაშიძის ცხოვრების მეტად ძნელი ეზა. მსოფლიო ომის დაწყებასთან დაკავშირებით ჯარში გაიწვივენ და კავკასიის მოქმედ არმიაში სამხედრო ექიმად იგზავნება.

1914 წლიდან ოსმალთა რაზმებმა თავდასხმები დაიწყეს ახალციხე-ახალქალაქის მხარეებში და ბათუმთან. ამ ბანდებს მეთაურობდნენ სულთანის აგენტები, რომლებიც რუსეთის არმიების შურგის მოშლას ცდილობდნენ. ამ ბანდების წინააღმდეგ ბრძოლაში აქტიურად მონაწილეობდა რუსეთის სარდლობის მოწინავე ოფიცერი ყადირ შერვაშიძე. ბანდებმა მრავალი ადგილობრივი მცხოვრები იმსხვერპლეს. ობლად დარჩენილი მათი ბავშ-

ვები ექიმმა შერვაშიძემ ბორჯომში გახიზნა.

ყადირ შერვაშიძე, ბათუმიდან დევნილ ქართველ მუსლიმანებთან ერთად, თბილისში 1918 წელს მონაწილეობს „სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტის“ შექმნაში და აქტიურად ებრძვის ოსმალთ მოძალადეებს. როცა თურქები იძულებული გახდნენ 1918 წლის დეკემბერში ჩვენს ქვეყანას გასცლოდნენ, ისინი მაინც ყოველმხრივ ცდილობდნენ ბათუმი შეენარჩუნებინათ. ამ მიზნის მიხედვით ოკუპანტები დიდ ჯილდოს შეპირდნენ ბერლინის კონგრესზე მიწვეულ ყადირ შერვაშიძეს, თუ ამ კონგრესის მუშაობაში მონაწილეობას არ მიიღებდა. ჩვენმა ყადირმა ცივად უარყო თურქების ვერაგული, შეურაცხმყოფელი წინადადება. ბათუმიდან ოსმალთა წასვლის თაობაზე ოფიციალური განკარგულების მიუხედავად, თურქთა დამქაშებმა კვლავ ცდილობდნენ მოსაზღვოების გადაბირებას. ყადირ შერვაშიძე მტკიცედ აცხადებდა: „აჭარა მარად ერთგული დარჩება საქართველოს ერთიანობისა.“

სამხედრო სამსახურში მყოფი ყადირ შერვაშიძე, ჩვენი კომიტეტის რწმუნებულად ახალციხეში დანიშნული, თავის საზოგადოებრივ მოვალეობას თავდადებულად ასრულებდა. მან თავისი უანგარობით ხალხის სიყვარული დაიმსახურა. 1916 წლის პირველი მარტიდან, ქედამი, ორსართულიანი საკუთარი სახლის რამდენიმე ოთახი უფასოდ დაუთმო ინფექციურ საავადმყოფოს. ყადირ შერვაშიძე უმხარებოდა მეფის ოხრანკის მიერ დაპატიმრებულ ბოლშევიკებს, შველოდა ციხიდან თავი დაეღწიათ.

* * *

ბათუმსა და მის ოლქში ინვლისელთა ოკუპაციის ხანაში ყველაფერი აირღაირა,

შექმნილი მდგომარეობის გამო დიდი ბრიტანეთის სამეფოს წარმომადგენელს, ინვლისის საოკუპაციო ჯარების გენერალს, ბათუმისა და მისი ოლქის გენერალ-გუ-



ბერნატორს კუკ-კოლის ვეწვიე. ბათუმის სასტუმრო „პალასში“ ცხოვრობდა. მის მახლობლად ნომერში ბინადრობდა თარჯიმანი შალვა მირიანაშვილი.

კუკ-კოლისმა დიდი თავაზით მიმიღო. სამუსლიმანო საქართველოში არსებულ მდგომარეობაზე ვსაუბრობდით.

— მეც კარგად ვხედავ, ეს მხარე მძიმე პირობებშია. ყოველგვარ ზომებს ვიღებ, რომ აქ ნორმალური ცხოვრება დავამკვიდრო. თქვენც ხედავთ, რომ ეს არ ზერხდება. ბევრი რამ არის ხელისშემშლელი. მე ვფიქრობ, მას ამ მდგომარეობიდან გამოვიყვანდით, თუ თქვენ, მემუდ-ბეგ, ბათუმის ოლქის თავკაცი, დავცხმარებოდით, ეს მხარე დიდი ბრიტანეთის სამეფოს გადასცემოდა. შალვა მირიანაშვილმა ეს მიტარგმნა.

ირონიულად გავიღიმე და, ალბათ, ჩემმა სახემ აღშფოთებაც გამოხატა.

კუკ-კოლისს ეს არ გამოპარვია და დიპლომატიური ზერხი გამოიყენა, მაშინვე თავის ნათქვამს გვერდი აუარა.

— ამბობენ, ბატონი მემუდ-ბეგი ზღაპრული ღონის პატრონიაო, ხელის ჩამორთმევას ვერაფერს ვნებდავსო. მსურს, პირადად დავრწმუნდე.

ხელი გავუწოდე გენერალს და ვთხოვე, ხელი მთელი ძალით ჩამოერთმია. გენერალმა ხელი ძლიერ მომიჭირა. იგი, ბრკვე ვაჟაკაცი, ღონიერი ჩანდა.

— სულ ეს არის?

— სულ ესაა... — მიბასუნა.

— ახლა ჩემი ვერია, თქვენო აღმატებულებე!.. — ვუთხარი და ხელი ისე ღონიერად მოუჭირე, რომ კუკ-კოლისს სახეზე ნაკვეთები აუთართოლდა, ვეღარ შეძლო, წონასწორობა დაკარგა და იძულებული გახდა ჩემს წინაშე ჩაჩოქილიყო.

შევიბირი დამთავრდა. თარჯიმანს მიემართე:

— გადაეცით ბატონ კუკ-კოლისს, რომ მისი სახით მე დაეინახე როგორ ჩაიჩოქა დიდი ბრიტანეთის სამეფო წარმომადგენელმა, ინგლისის საოკუპაციო ჯარების გენერალმა ქართველმა, მამულიშვილის წინაშე... ეს არის ჩემი პასუხი ბატონი კუკ-

კოლისის მიერ შემოთავაზებულ წინადადებაზე.

გაზეთ „სამუსლიმანო საქართველოში“ გამოქვეყნდა რედაქტორის ხასან თახსიმ ხიმშიაშვილის სტატია, სადაც ინგლისელებს იგი გადაქარბებით აქებდა. არ მოეწონა, მაგრამ გავიფიქრე, ასეთი სტატია ტაქტიკური მოსაზრებით თუ დაბეჭდა შეიქნე. რედაქტორს არაფერი ვუთხარი.

ცოტა ხნის შემდეგ ხიმშიაშვილი ჩემთან ცხადდება და მეუბნება:

— ართვის ოლქმა, ინგლისელთა ზეგავლენით, გენერალ კუკ-კოლისს გადასცა თხოვნა შეიდი წლის ვადით დიდი ბრიტანეთის მფარველობაში აგვიყვანეთო. ასეთივე მუშაობა დაწყებულია აჭარაშიც. რატომ არ სარგებლობთ ასეთი კარგი ხელსაყრელი შემთხვევით?

— მეორედ არ გაბედოთ ამდაგვარი ნართაულებით ჩემთან ლაპარაკი!.. — ვუთხარი აღშფოთებულმა.

ოთხი-ხუთი დღის შემდეგ ჩემთან მოვიდა ინგლისელთა მთავრობასთან მიმავრებული თარჯიმანი და მითხრა:

— დღეს კუკ-კოლისთან იყო ხიმშიაშვილი და ინგლისურ ენაზე გაზეთის გამოცემის ნებართვა სთხოვა.

ამის შემდეგ ხიმშიაშვილს ვეღარ ვენდობოდი. გადავწყვიტე, ქართული ენის არცოდნის გამო, თბილისში გამეგზავნა ქართულის შესასწავლად; ჩვენი გაზეთის რედაქტორობა ისევ მე დავივალე.

* * *

ინგლისელთა სარდლობის მიერ დამკარგებული რეჟიმის მდგომარეობაში ქვეყნის დატოვება შეუძლებლად მიგვიჩნდა. ყველა უბედურებას ისიც დაერთო, რომ გუბერნატორი ქართველებს ნატანებიდან ბათუმში არ უშვებდა. ამის გამო მუშები გაფიცვებს აწყობენ. ქმედითი ზომები უნდა მიგვეღო.

განმათავისუფლებელმა კომიტეტმა ასეო ზომად ჩათვალა სამუსლიმანო საქართველოს წარმომადგენელთა ყრილობის მოწვევა და მექლისის არჩევა, რომელსაც ხალხის მეთაურობა დაეკისრებოდა. იურიდიუ-



ლი თვალსაზრისით ეს იქნებოდა ავტონომიის მოპოვებისთვის ერთი ნაბიჯის წინ გადადგმა. მეჯლისი, ყრილობის მიერ არჩეული, იურიდიულ უფლებასაც მოიპოვებდა მართვა-გამგებლობის, საკითხების მოსაგვარებლად, საოკუპაციო მთავრობა ყრილობის მოწვევას ეწინააღმდეგებოდა, მაგრამ ხანგრძლივი, დაბეჯათებითი მოთხოვნის შედეგად ინგლისელთა, სარდლობამ ნება დაგვრთო სამუსლიმანო საქართველოს წარმომადგენელთა ყრილობა მოგვეწვია.

ჩვენმა კომიტეტმა, ადგილობრივ არჩევნების ჩასატარებლად, თავისი წარმომადგენლები გაგზავნა. არც თურქოფილები და მათი ამყოლო-დამყოლნი ისხდნენ გულხელდაკრეფილნი.

ყრილობას ასამდე დელეგატი დაესწრო. მათ შორის თურქოფილები და რეაქციონერი დელეგატები საგრძნობ ძალას წარმოადგენდნენ.

* * *

ყრილობა 1919 წლის 31 აგვისტოს გაიხსნა. თავმჯდომარედ ამირჩიეს. ყრილობას ესწრებოდნენ ირანის, სომხეთის, აზერბაიჯანისა და საქართველოს კონსულები.

მუსლიმან ქართველთა პირველ ყრილობაზე წარმოვთქვი სიტყვა:

„ხუთი წლის ომმა და რევოლუციამ მთელი ცხოვრება დაანგრია და დაამტკიცა, რომ კაცობრიობა ძველ ცხოვრებასა და წეს-წყობილებას ვერ დაუბრუნდება. ყველა ხალხი ამოდრავდა, ყველა ეძებს თავისუფლებას თავისი ერის და ქვეყნის კეთილდღეობისათვის. ჩვენ უნდა დაუეკვირდეთ ამას, მოვიგონოთ ჩვენი წარსული ტანჯული ცხოვრება, გავითვალისწინოთ ყოველივე და ნუ დაეიშურებთ ნურავითარ ღონისძიებას ჩვენი საქმის მოწყობისათვის და ჩვენი ქვეყნის ბედნიერებისათვის, ნუ ვეგვიანებთ, რადგან ღაგვიანება საქმეს წააბდნის. ჩვენი სამშობლო, ომის შემდეგ, კუნძულს წარმოადგენს, რომელსაც ყველა აპოტიენება და მის ჩაყლაპვას ლაშობს. ასეთ გაპირებულ დროში არავის ვხედავთ მშველელს, გარდა საქართველოსი, რომელიც, როგორც ყოველთვის, უანგაროდ და თავგანწირულად ეღილობს ჩვენი დაღუპ-

ვისაგან გადარჩენას. ჩვენ უნდა დაეაფხოსოთ ეს და დავემყაროთ მის ძალას და გამოცდილებას...

ნურავინ ფიქრობს, რომ ხარწმუნობა და ერთგება ერთი და იგივეა. ჩვენ მტკიცე მუსლიმანები ვართ, მაგრამ მასთან ერთად ჩვენ ქართველები ვართ, საქართველოს ღვიძლი შვილები. ჩვენ უნდა შევიგნოთ, რომ გარდა საქართველოსი, ჩვენი ხსნა არ არის. მოიგონეთ, რომ როცა ჩვენ ვძრწოდით ცეცხლისა და მახვილის ქვეშ, ჩვენი მშველელი იყვნენ მხოლოდ ჩვენი ძმები-ქართველი ქრისტიანები. დაუკვირდით ყველაფერს კარგად და თქვენი გადაწყვეტილება მომავალი ჩვენი ცხოვრების შესახებ ისე გამოიტანეთ. გახსოვდეთ, რომ თქვენ ხართ პასუხისმგებელი ისტორიისა და შთამომავლობის წინაშე. მოიგონეთ, თუ რას წარმოვადგენთ ჩვენ ახლა, ჩვენს სახლში, ჩვენს ქვეყანაში, როცა ჩვენი ქვეყნის მართვა-გამგებობაში ვერავითარ მონაწილეობას ვერ ვიღებთ და ჩვენს ბედს და იღბალს უცხოელები განაგებენ მაგრამ დღეს ჩვენმა ხალხმა გამოიღვიძა ხანგრძლივი ძალისაგან და გადაწყვიტა შეერთებული ძალებით თვითონ შეიქნას თავისი ბედის პატრონი, რასაც მოწმობს დღევანდელი კრება.“

ყრილობამ აირჩია მეჯლისი, რომლის თავმჯდომარეობა მე დამაიხრეს.

ხულ ცოტა ხნის შემდეგ ინგლისელთა ჯარის სარდლობამ ავტიკრძალა ბათუმიდან ოლქში გამგზავრება, აგრეთვე მეჯლისის მოწვევა; მხოლოდ მეჯლისის პრეზიდიუმი განაგრძობდა მუშაობას.

* * *

„განმათავისუფლებელი კომიტეტის“ თანამშრომელმა სტეფანე ქემხაძემ ჩემს ხალხულ მოსული პაექტი გადმომიცა. ეს უყო ქუთაისის საპატრიარქოდან გამოგზავნილი 27 პატრიარქის წერილი:

„ბატონო მიმედ-ბეჯ, შემცდარი ვართ, რომ „სედაიმილუალებს“ მივმხრეთ. ამ პარტიამ შევდომამში შეგვიყვანა, სწორ გზას აგუცდინა. ჩვენ ვგრძნობთ ჩვენს ნიჭმედებას. დაგრწმუნდით, თქვენი მოწოდების სინამდვილეში, რომ ჩვენ ნამდვილი

ქართველები ვართ და არა თურქები. თქვენს წინაშე დიდ ბოდვის ვინდით, რომ სულელური ნაბიჯი გადავდგით, „სედაიმი-ლეთელების“ პარტიას რომ მივემხრეთ და არა თქვენ.

